ლევან ზ. ურუშაძე

დიადი სულის უკვდავება

მიხაკო წერეთელი

გამომცემლობა არტანუჯი
თბილისი 2012

ნინამდებარე გამოცემა ეძღვნება გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, თანამედროვე შუმეროლოგიისა და ურარტოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებლის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი ფუძემდებლის, სხვადასხვა დროს თბილისის, ბრიუსელის და ბერლინის უნივერსიტეტების პროფესორის, ცნობილი პუბლიცისტის, ერთ-ერთი უდიდესი ეროვნული მოღვაწის, ქართული პოლიტიკური ემიგრაციის თვალსაჩინო წარმომადგენლის მიხეილ (მიხაკო) წერეთლის (1878-1965) ცხოვრებასა და მოღვაწეობას. გამოკვლევას ერთვის ვრცელი დანართი: მიხაკო წერეთლის 20 რჩეული ნაშრომი, მისდამი მიძღვნილი რამდენიმე პუბლიკაცია და ზოგიერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტის ასლები. გამოცემა უხვადაა ილუსტრირებული. წიგნი განკუთვნილია როგორც ისტორიკოსების, ისე მკითხველთა ფართო წრისათვის.

რედაქტორი **მაია წერეთელი**
ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი

ავტორი **ლევან ზ. ურუშაძე**
საქართველოს ეროვნული მუზეუმის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

© ლევან ზ. ურუშაძე, 2012.

ISBN 978-9941-445-06-4

© გამომცემლობა „არტანუჯი", 2012.



სარჩევი

შესავალი 7
ოჯახი 10
1898-1907 წლები 16
1907-1918 წლები 23
1918-1921 წლები 36
1921-1965 პოლიტიკური ემიგრანტი 38

დანართი

(მიხაკო წერეთლის ზოგიერთი რჩეული პუბლიკაცია)

როგორ უნდა მოვრიგდეთ? 65
„კაცია ადამიანი?!" 73
ერის უფლება 76
ქართველი ერი და საქართველოს ტერიტორია 86
ეროვნების პრინციპი და საქართველოს ბედი 95
მწუხარება და იმედი 102
მათი „ბრწყინვალე" თარიღი 108
სიტყვა ბატონ მიხეილ წერეთლისა წარმოთქმული გერმანულ ენაზე ბერლინში 1943 წლის 26 მაისის საზეიმო დღეს 120
ძახილი გმირისა 127
არჩილ ჯორჯაძის სახსოვრად 130
ექვთიმე თაყაიშვილი 144
საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას, ალექსანდრე ასათიანის გარდაცვალების გამო 155
გიორგი კერესელიძე (ძვირფასი მეგობრის ხსოვნას) 157

დავით ვაჩნაძე 161
ჩემო ძვირფასო გრიგოლ! 163
ქართველო, ხელი ხმალს იკარ! 166
ერი 171
მცირე რამ „ვეფხის-ტყაოსნისა"-თვის 180

მიხაკო წერეთლის შესახებ

მეგობართა ბარდული 190
საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი პირველი მსოფლიო ომის დროს 215
შალვა ამირეჯიბი 238
დოკუმენტური მასალის ასლები 240

საძიებლები

პირთა საძიებელი 246
გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი 254

შესავალი

ქართული პოლიტიკური ემიგრაციის გამორჩეულ მოღვაწეთაგანი გახლდათ ეროვნული ერთობის დარაზმულობა „თეთრი გიორგი“-ს ერთ-ერთი ლიდერი, გამოჩენილი ქართველი მეცნიერი (ისტორიკოსი და ლინგვისტი) და პუბლიცისტი, თანამედროვე შუმეროლოგიისა და ურარტოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი, ქართული სოციოლოგიის მამამთავარი, ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული და ამავე უნივერსიტეტის ძველი ისტორიის დოქტორი, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი, სხვადასხვა დროს თბილისის, ბრიუსელის და ბერლინის უნივერსიტეტების პროფესორი მიხეილ (მიხაკო) წერეთელი (1878-1965), რომელიც ამჟამად ლევილის ქართველთა სასაფლაოზე განისვენებს.

უაღრესად სასიამოვნოა ბოლო დროს საქართველოს ხელისუფლების მიერ მიღებული გადაწყვეტილება დიდი მეცნიერისა და მამულიშვილის სამშობლოში, მთაწმინდის პანთეონში, გადმოსვენების შესახებ.

ჩვენთვის დიდად საამაყოა იმის აღნიშვნა, რომ მრავალი ათეული წლის მანძილზე (1921 წელს ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ) მიხაკო წერეთლისადმი მიძღვნილი პირველი ფორუმი, – მისი დაბადებიდან 130-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სამეცნიერო სესია, 2008 წელს ჩაატარეს საქართველოს ეროვნულმა მუზეუმმა, ეროვნული მუზეუმის საბჭოთა ოკუპაციის მუზეუმმა და ევრომეცნიერების საქართველოს ეროვნულმა სექციამ. გამოიცა აღნიშნული ღონისძიებისადმი მიძღვნილი ბროშურა.

წინამდებარე გამოცემა ეძღვნება სწორედ პროფესორ მიხეილ წერეთლის ცხოვრებას და მრავალმხრივ ფასეულ მოღვაწეობას, რომელსაც წითელ ზოლად გასდევს საქართველოსადმი, საქმისადმი უსაზღვრო სიყვარული. შევეცადეთ შეძლებისდაგვარად წარმოგვეჩინა მისი ფასდაუდებელი ღვაწლი სამშობლოს წინაშე, პირველყოვლისა, როგორც ეროვნული მოღვაწისა. ამ მიზნით, გამოკვლევას ერთვის ვრცელი დანართი და საილუსტრაციო მასალა. დანართში წარმოდგენილია როგორც მიხაკო წერეთლის ნააზრევი (მისი 20 რჩეული ნაშრომის სახით), ისე მის თანამებრძოლთა (გრიგოლ რობაქიძე, კალისტრატე სალია, შალვა ამირეჯიბი) წერილები და ლექსი, აგრეთვე, საყურადღებო დოკუმენტური მასალის ასლები.

რაც შეეხება საკუთრივ მის ნაშრომებს, შევეცადეთ შეგვერჩია ის პუბლიკაციები, რომლებიც ზედმიწევნით წარმოაჩენს მათი ავტორის სულისკვეთებას, მის მრწამსს. განსაკუთრებით ფასეული გახლავთ ის სტატიები, რომლებშიც განხილულია რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები და რუსული სახელმწიფოს რაობა. მათში ნაჩვენებია ის უდიდესი უბედურება, ვარამი, რომელიც საქართველოს მოუტანა რუსეთის ორასწლიანმა ოკუპაციამ და ისიც, რომ, სამწუხაროდ, არ არსებობს არავითარი „ორი რუსეთი" მრავლისმეტყველია ის ფაქტი, რომ ყველა ეს ნაშრომი საოცრად მნიშვნელოვანი და აქტუალურია სწორედ დღეს, როდესაც რუსული ფსევდოდემოკრატიული ნეოიმპერია ყოველ ღონეს ხმარობს სუვერენული საქართველოს კვლავ საკუთარი ტორის ქვეშ მოქცევისათვის.

არანაკლებ საყურადღებოა მიხაკო წერეთლის ის ნააზრევი, რომელიც ეძღვნება ილია ჭავჭავაძის ხსოვნას. სწორედ 1907 წლის აგვისტოში ილიას საზარელი მკვლელობა გახდა ის მოვლენა, რომელმაც მთლიანად შეცვალა მისი ცხოვრება, მისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობის ვექტორი. ადამიანი, რომელიც 1900-1907 წლებში იყო ანარქისტი, 1907 წლის აგვისტოდან ხანგრძლივი ცხოვრების ბოლომდე (მიხაკო აღესრულა 87 წლის

ასაკში) იყო დაჯერებული, უაღრესად საღად მოაზროვნე ნაციონალისტი, ილიას გზის ღირსეული გამგრძელებელი. ამიერიდან, როდესაც საქმე შეეხებოდა ეროვნულ ინტერესებს, მიხაკო იყო შეუვალი და უკომპრომისო. უფრო მეტიც, იგი გახლდათ ეროვნული თვითგამორკვევის, ერთა უფლებების საკითხთა ერთ-ერთი გამოჩენილი მკვლევარი. რად ღირს, თუნდაც, ფსევდონიმით „Baton" 1910 წელს გამოცემული მისი შესანიშნავი მონოგრაფია „ერი და კაცობრიობა", რომელიც, იმავდროულად, წარმოადგენს პირველ ქართულ მონოგრაფიულ გამოკვლევას სოციოლოგიის დარგში. ამავე დროს, მიხაკო წერეთლისთვის კატეგორიულად მიუღებელი და უცხო იყო ყოველგვარი შოვინიზმი, იყო რა სხვა ერთა ღირსეულად დამფასებელი.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას: საქართველოს ყველა ტკივილმა და უბედურებამ მიხაკოს ტვინსა და გულზე გაიარა! სწორედ ამიტომ, მისი ყოველი სიტყვა იყო ცამდე მართალი, სპეტაკი, შეულამაზებელი და ხშირად – მკვახე. ბოლომდე, დაუნდობლად ამხელდა საქართველოს მტრებს, – გარეულთ და შინაურთ! მის უკლებლივ ყველა ნაშრომში ჩანს ავტორის მაღალი ნიჭიერება და უზადო პროფესიონალიზმი, მახვილი გონება და პოლიტიკური გამჭრიახობა, სამშობლოსადმი უსაზღვრო და უანგარო სიყვარული, მეომრის შემართება და თავგანწირვა...

2013 წელს სრულდება 135 წელი მიხაკო წერეთლის დაბადებიდან. ჩვენც უდიდესი მოწიწებით, წინამდებარე გამოცემას ვუძღვნით ამ თარიღს. და ბოლოს, თავს მოვალედ ვრაცხ, გულითადი მადლობა მოვახსენო წიგნის რედაქტორს, ქალბატონ მაია წერეთელს და გამომცემლობა „არტანუჯი"-ს მესვეურთ, პირადად ბატონ ბუბა კუდავას.

ოჯახი

როგორც შესავალში აღვნიშნეთ, მიხეილ (მიხაკო) გიორგის ძე წერეთელი იყო მსოფლიო მასშტაბის მეცნიერი ძველი აღმოსავლეთის ისტორიის დარგში, ფილოლოგი, პუბლიცისტი, პოლიტოლოგი, საქართველოში სოციოლოგიის, ასევე თანამედროვე შუმეროლოგიისა და ურარტოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, სხვადასხვა დროს თბილისის, ბრიუსელის და ბერლინის უნივერსიტეტების პროფესორი, ცნობილი ექიმის, გამოჩენილი პუბლიცისტისა და ეროვნული მოღვაწის ვასილ წერეთლის (1862-1937) უმცროსი ძმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსების გიორგი (აღმოსავლეთმცოდნე) და თინათინ (სამართლისმცოდნე) წერეთლების ბიძა.

მამამისი, – გიორგი წერეთელი, რომელიც იყო წერეთელთა მრავალმხრივ საყურადღებო და მნიშვნელოვანი განშტოების, – მოძღვრიშვილ-წერეთელთა, თვალსაჩინო წარმომადგენელი, თავისი დროისთვის უაღრესად განათლებული პიროვნება იყო, დიდად განსწავლული მწიგნობარი და ბრწყინვალე კალიგრაფი. მის მიერ გადაწერილი რამდენიმე თხზულება, რომლებიც წარმოადგენს ქართული კალიგრაფიის საუკეთესო ნიმუშებს, დღეს დაცულია საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.

მიხაკო წერეთლის დედა, – მაია ფარსადანის ასული იაშვილი, ასევე საკმაოდ განათლებული მანდილოსანი, გახლდათ ონის რაიონის სოფელ სომიწოდან, რაჭველი თავადის მოწინავე არისტოკრატული ოჯახიდან და შვილების აღზრდით იყო დაკავებული.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს უფროსი ძმის, – ვასილ წერეთლის (1862-1937) ღვაწლი. მან განსაკუთრებული გავლენა

მოახდინა მასზე 16 წლით უმცროსი ძმის ღირსეულ პიროვნებად, მამულიშვილად და მრავალმხრივ მოღვაწედ ჩამოყალიბებაზე, რასაც მუდამ ხაზგასმით, მადლიერებით აღნიშნავდა მიხაკო წერეთელი. იგი განსაკუთრებით უსვამდა ხოლმე ხაზს გამზრდელი ძმის დამსახურებას მის ეროვნულ მოღვაწედ ჩამოყალიბებაში.

ვასილ წერეთელი, რომელსაც დამთავრებული ჰქონდა (1884 წ.) ქუთაისის კლასიკური გიმნაზია, იყო ცნობილი ექიმი-თერაპევტი (უმაღლესი სამედიცინო განათლება მიიღო კიევის უნივერსიტეტში), წლების მანძილზე მოღვაწეობდა, როგორც პრაქტიკოსი ექიმი თიანეთში, მშობლიურ ჭიათურასა და ქუთაისში, ჰიგიენას ასწავლიდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ქუთაისის ქართულ სათავადაზნაურო გიმნაზიაში, 1920-იან წლებში კი, გარკვეული ხნის მანძილზე რედაქტორობდა ჯანსახკომის (ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატის) სპეციალურ სამედიცინო პერიოდულ გამოცემას „ჯანსახკომის მოამბე“ მიუხედავად ამისა, შეუდარებლად დიდია სამშობლოს წინაშე მისი, როგორც ბრწყინვალე პუბლიცისტის და ეროვნული მოღვაწის დამსახურება.

ახალგაზრდობაში ვასილი გატაცებული იყო ხალხოსნობით, რის გამოც, თავის დროზე, დაატოვებინეს უნივერსიტეტი. ამის შემდეგ რამდენიმე წლის მანძილზე ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ბათუმში, სადაც რედაქტორობდა რუსულენოვან პერიოდულ გამოცემას „ჩერნამორსკი ვესტნიკ“ აღსანიშნავია, რომ ის მშობლიური ენის გარდა, ზედმიწევნით ფლობდა რუსულ, გერმანულ და ფრანგულ ენებს. შესანიშნავად იცოდა ლათინურიც.



ვასილ წერეთელი
(1862-1937)

ვასილმა მოგვიანებით, 1899 წელს დაამთავრა კიევის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი და საბოლოოდ დაბრუნდა სამშობლოში.



ვასილ წერეთელი (ქუთაისი, 1900-იანი წწ.)

მართალია, დასაწყისში ვასილ წერეთელი გატაცებული იყო ხალხოსნობით და, ნაწილობრივ, მარქსიზმით, მაგრამ, მასში ყოველთვის ძლიერი იყო ეროვნული სულისკვეთება. მოგვიანებით, იგი თავის დიდ შეცდომად თვლიდა ყმაწვილკაცობის ჟამს ე. წ. „ეკონომიური მატერიალიზმით" გატაცებას. სწორედ ეროვნულმა ცნობიერებამ განაპირობა ის, რომ ჯერ კიდევ 1886 წელს 24 წლის ვასილი დაუახლოვდა ილია ჭავჭავაძეს, რომელმაც ახალგაზრდა პუბლიცისტი 1889 წელს მიიწვია „ივერიის" რედაქციაში სამუშაოდ. ამის შემდეგ, აღნიშნული გაზეთის დახურვამდე, ვასილ წერეთელი გახლდათ მისი მუდმივი თანამშრომელი და ავტორი. ამ და სხვა ქართულ პერიოდულ გამოცემებში იგი აქვეყნებდა პუბლიცისტურ და ლიტერატურისმცოდნეობით წერილებს როგორც სახელით და გვარით, ისე ფსევდონიმებით („ვ. წ.", „ვ. წ-ლი", „აურო", „კვერი", „კაერემენი", „ულმობელი", „გრდემლი", „ექიმი", „ზემო იმერელი", „ისარი", „ვასილი" და სხვ.). მისი ეროვნული ცნობიერება იყო იმის მიზეზიც, რომ იგი მკვეთრად

დაუპირისპირდა ე. წ. „მესამე დასს“ (რომელიც იყო გამოკვეთილი ეროვნული ნიჰილიზმით გამორჩეული ქართველი მენშევიზმის აკვანი) და მის რუსეთუმე ლიდერებს დღიდან ამ დაჯგუფების შექმნისა. აღსანიშნავია ისიც, რომ ჯერ კიდევ 1890-იანი წლების დამდეგს ვასილ წერეთელი აირჩიეს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ნამდვილ წევრად და აქტიურად მონაწილეობდა ამ უმნიშვნელოვანესი საზოგადოებრივი ორგანიზაციის საქმიანობაში. არც ის გახლდათ შემთხვევითი, რომ 1920-1924 წლებში ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ახალგაზრდული ფრთის აქტიური წევრები იყვნენ მისი შვილები – ბარბარე (ბაბო), თინათინ (თიკო) და გიორგი წერეთლები. ბოლშევიკური რუსეთის მიერ სუვერენული საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, 1921-1924 წლებში, სამივე მონაწილეობდა ეროვნულ-განმათავისუფლებელ, ანტისაოკუპაციო მოძრაობაში. ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ რაღა გასაკვირია ის, რომ გამზრდელი ძმის ზეგავლენით, თავისი ეროვნული ცნობიერებით გამოირჩეოდა მიხაკო წერეთელი. ის ფაქტიც, რომ ყმაწვილკაცობის ჟამს მიხაკო ანარქიით იყო გატაცებული, ცარისტული რუსეთისადმი პროტესტის გამოხატულება იყო. მოგვიანებით ამაზე მიუთითებდა თავად მიხაკო წერეთელი. დავუბრუნდეთ ვასილ წერეთლის შესახებ თხრობას, ვინაიდან მისი პიროვნების სრულფასოვნად წარმოჩენას დიდი მნიშვნელობა აქვს მიხაკოს პიროვნების სრულფასოვანი დახასიათებისათვის.

საბოლოოდ, 1903 წელს ვასილ წერეთელმა გაწყვიტა ყოველგვარი კავშირი მარქსიზმთან და მთლიანად მიუძღვნა თავი ეროვნულ პოლიტიკურ საქმიანობას. ამის შემდეგ მისი როგორც პუბლიცისტური, ისე საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობა ატარებდა მკაფიოდ გამოხატულ ეროვნულ-დემოკრატიულ ხასიათს.

1910-იან წლებში ვასილ წერეთელი იყო ქუთაისში გამომავალი ეროვნული პოლიტიკური გამოცემის, – გაზეთის „ჩვენი ქვეყანა“, რედაქტორ-გამომცემელი და გაზეთის „სამშობლო“ თანარედაქტორი. 1905 წლიდან 1917 წლამდე იგი იყო სოციალ-

ფედერალისტთა პარტიისგან გამოყოფილი პირველი ქართული ეროვნულ-დემოკრატიული დაჯგუფების აქტიური წევრი.



საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრები. მეორე რიგში, მარცხნიდან მესამე – ვასილ წერეთელი (1918 წლის 26 მაისი)

1917 წელს, სხვა ცნობილ ეროვნულ მოღვაწეებთან: კონსტანტინე (კოტე) აფხაზთან, სპირიდონ კედიასთან, იოსებ დადიანთან, გიორგი გვაზავასთან, პართენ გოთუასთან, ალექსანდრე ასათიანთან, დავით (დათა) ვაჩნაძესთან და სხვებთან ერთად ვასილ წერეთელმა აქტიური მონაწილეობა მიიღო საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის დაარსებაში და წლების მანძილზე იყო მისი მთავარი კომიტეტის წევრი.

იმავე 1917 წლის ნოემბერში სახელოვანმა მამულიშვილმა აქტიური მონაწილეობა მიიღო გენერალ კოტე აფხაზის თაოსნობით ჩატარებულ ეროვნულ ყრილობაში. აღნიშნულმა ყრილობამ ვასილი აირჩია „საქართველოს ეროვნული საბჭოს“ წევრად (ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სიით). საქართველოს დემო-

კრატიული რესპუბლიკის გამოცხადების შემდეგ, 1918 წლის მაისიდან 1919 წლის მარტამდე, სწორედ ეროვნული საბჭო ასრულებდა საქართველოს პირველი პარლამენტის ფუნქციას. ვასილ წერეთლის ხელმოწერა ამშვენებს უმნიშვნელოვანეს სამართლებრივ დოკუმენტს, – საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის 1918 წლის 26 მაისის აქტს.

ასეთი გახლდათ მიხაკო წერეთლის უფროსი, გამზრდელი ძმა, ბრწყინვალე მამულიშვილი ვასილ წერეთელი. შემთხვევითი არ არის, რომ სწორედ მის ოჯახში აღიზარდნენ სახელოვანი მამის ღირსეული შვილები: ცნობილი ისტორიკოსი, აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის ერთ-ერთი უახლოესი თანამშრომელი ბარბარე (ბაბო) წერეთელი, აღმოსავლეთმცოდნეობის ქართული სამეცნიერო სკოლის ფუძემდებელი, აკადემიკოსი გიორგი წერეთელი, გამოჩენილი სამართლისმცოდნე, აკადემიკოსი თინათინ წერეთელი და ცნობილი მედიკოსი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ელენე წერეთელი (ვასილის შესახებ იხილეთ: ვასილ ნერეთელი. ლიტერატურული წერილები, მემუარები. გამომცემლობა „მერანი". თბილისი. 1998, გვ. 3-14, 222-224; ელ. პატარიძე. ვასილ წერეთელი (ნეკროლოგი). ჟურნ. „სამშობლო". პარიზი. 25-26. 1938. გვ. 29-31; თამარ ღვალაძე. ვასილ წერეთელი. გაზ. „ლიტერატურული საქართველო". 1988 წ. 9 სექტემბერი).

ასევე ცნობილი მოღვაწეები იყვნენ მიხაკო წერეთლის მეორე ძმა, მედიცინის დოქტორი სერგი წერეთელი (გარდაიცვალა 1919 წელს) და საბავშვო მწერალი კონა წერეთელი (გარდაიცვალა 1920-იან წლებში).

დაიბადა მიხაკო წერეთელი 1878 წლის 23 დეკემბერს, ზემო იმერეთის ერთ-ერთ ულამაზეს სოფელ ცხრუკვეთში (ამჟამად ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორია), რომელიც მდებარეობს მდ. საძალიხევის მახლობლად.

აღსანიშნავია, რომ იგი იმერეთის სამეფო ტახტის აზნაურის, იმერთა მეფეების, – ალექსანდრე V-ის და სოლომონ I-ის კარის მოძღვარის სვიმონ წერეთლის (მისგან იღებს სათავეს მოძღვრიშვილ-წერეთელთა ცნობილი საგვარეულო) და იმერეთის მეფის დავით II-ის ასულის, – ატატო ბაგრატიონის, პირდაპირი შთამომავალი იყო.

1898-1907 წლები

მიხეილ წერეთელმა, უფროსი ძმების მსგავსად, 1898 წელს დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია. იმავე წელს ჩაირიცხა კიევის უნივერსიტეტის ბუნებისმეტყველების ფაკულტეტზე, საიდანაც გარიცხეს 1899 წელს, აქტიური პოლიტიკური, ანტიიმპერიული მოღვაწეობისათვის. შემდეგ, 1901-1902 წლებში სწავლობდა სორბონის და ჟენევის უნივერსიტეტებში. 1912 წელს წარმატებით დაამთავრა ჰაიდელბერგის (გერმანია) უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი ძველი აღმოსავლეთის ისტორიის განხრით. 1914 წელს მიენიჭა აღნიშნული უნივერსიტეტის დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

მიხაკო წერეთელი (წინ) მეგობრებთან ერთად. მარცხნიდან: ირაკლი დეკანოზიშვილი, უცნობი და გიორგი დეკანოზიშვილი (1900 წ.)

1900-1906 წლებში მ. წერეთელი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა საფრანგეთსა და შვეიცარიაში. აქტიურად იყო ჩაბმული ანარქისტულ და ეროვნულ-განმათავისუფლებელ საქმიანობაში. ახლო ურთიერთობა ჰქონდა ვარლამ ჩერქეზიშვილთან, პეტრე კროპოტკინთან და საერთაშორისო ანარქისტული მოძრაობის სხვა ლიდერებთან. ამასთან, ეწეოდა ნაყოფიერ პუბლიცისტურ

მოღვაწეობას. ფსევდონიმებით „Baton", „ton", „მ. სანგალა", „ალაროდიელი" და „ერაცი" აქვეყნებდა პუბლიცისტურ წერილებს ქართულ პერიოდულ პრესაში („ნობათი", „ისარი", „საქართველო", „ნიშადური" და სხვ.).

მიხაკო წერეთელი (ჰაიდელბერგი, 1914 წ.).

1904 წელს იგი შეუერთდა ქართველ სოციალ-ფედერალისტთა ჯგუფს გიორგი დეკანოზიშვილის ხელმძღვანელობით. ეს ჯგუფი მოღვაწეობდა პარიზში. აქ გამოდიოდა მათი გაზეთები „საქართველო" და „La Géorgie" იმავე წელს მ. წერეთელმა მონაწილეობა მიიღო რუსეთის იმპერიის რევოლუციური ჯგუფების ინტერპარტიულ კონფერენციაში, რომელიც გაიმართა პარიზში. ამ თავყრილობაში მასთან ერთად მონაწილეობდნენ გიორგი დეკანოზიშვილი, ვარლამ ჩერქეზიშვილი და გიორგი ლასხიშვილი. ისინი, სოციალ-დემოკრატებისგან განსხვავებით, აქტიურად იცავდნენ ქართველი ერის შელახულ უფლებებს. იმავე წელს ჟენევაში ჩატარდა ქართველი ფედერალისტების კონგრესი, რომელშიც აქტიური მონაწილეობა მიიღო მიხაკო წერეთელმა.

საქართველო

ჟურნალი „საქართველო" (პარიზი, 1903-1906 წწ.). მის რედაქციასთან მიხაკო წერეთელი თანამშრომლობდა 1904 წლიდან.

იმავე 1904 წელს, გ. დეკანოზიშვილის დავალებით, მიხაკო წერეთელი ჩამოვიდა საქართველოში, იმ დროს მოქმედი ეროვნული პოლიტიკური ძალების წარმომადგენლებთან შეხვედრის მიზნით.

აღსანიშნავია, რომ 1905 წელს, სხვა ცნობილ მამულიშვილებთან (თედო სახოკია,

ვარლამ ჩერქეზიშვილი, გიორგი დეკანოზიშვილი, ივანე ციციშვილი, იასონ ბობღიაშვილი და სხვანი) ერთად, მან აქტიური მონაწილეობა მიიღო გემით „სირიუსი" ეროვნული მოძრაობისათვის იარაღის (7 ათასი თოფი და 1 მილიონი ტყვია) შემოტანაში. 1906 წელს მიხაკო წერეთელი იყო მის მიერ დაარსებული პოლიტიკური ჟურნალის „ნობათი" ფაქტობრივი რედაქტორი (ოფიციალურად რედაქტორი გახლდათ ცნობილი ქართველი მწერალი ქალი დ. ერისთავი-მდივნისა). აქ იგი აქვეყნებდა ანარქისტული, პოლიტოლოგიური და ანტიიმპერიული შინაარსის წერილებს ფსევდონიმით „Baton". იმავე 1906 წლის დამლევს ცენზურამ ჟურნალი დახურა...

„ნობათი"-ს დახურვიდან მცირე ხნის შემდეგ, 1906 წლის დამლევს მიხაკო წერეთელმა საბოლოოდ დატოვა ანარქისტების დაჯგუფება.

მცირე ხნის შემდეგ, 1907 წლის 30 აგვისტოს, საქართველოში უდიდესი ტრაგედია დატრიალდა – რუსეთის „დემოკრატიაზე" ჯვარდაწერილმა ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა წიწამურთან ვერაგულად მოკლეს დიდი ილია.

გაზეთის „ისარი" 1907 წლის 2 სექტემბრის ნომერში გამოქვეყნდა მ. წერეთლის ცნობილი წერილი „კაცია ადამიანი?!" გარდა ამისა, ქართველი საზოგადოებისთვის კარგად არის ცნობილი სიტყვა, რომელიც მან წარმოთქვა ილიას დაკრძალვაზე. როგორც სტატია, ისე სიტყვა იმავე წლის დამლევს გამოქვეყნდა მემორიალურ კრებულში „ილია ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება"

„მამულიშვილნო! ვინა სთქვა საქართველოზედ – რა დიდი ლომი კვდებაო!" – ბევრმა რამ და ბევრმა ვინმემ! – ყოფილან ჩვენ ისტორიაში შავნი დრონი, როდესაც თავზარ-დამცემნი სიტყვანი – საქართველოს დიდი ლომი კვდება, – სიმართლედ მოგვჩვენებია, ეჭვს შეუპყრია მთელი საქართველოს გონება, მართლა ხომ არ წახდა საქართველო საუკუნოდ! იყო ერთი, უკანასკნელი შავი დრო, ოდეს საქართველოს ლომი პოლიტიკურად მოკვდა, დამარხა რა თვისივე ხელით თავისი საკუთარი თავისუფლება, დამოუკიდებლობა და შემდეგ, მთელი ასის წლის განმავლობაში, მთელი მისი არსება მომაკვდავი სულსა ღაფავდა! – მაგრამ

ამ შავ დროებაზედ უფრო მჭერმეტყველად, უფრო მედგრად და უფრო კადნიერად ილია ჭავჭავაძის მკვლელებმა ჩამოგვძახეს ყურში მთელ საქართველოს – საქართველო, ეს დიდი ლომი მართლაც მოკვდა, – მოკვდა ზნეობრივად, და ეს სიკვდილი მისი საუკეთესო ძის, მისი დიდების ვერაგულად მოკვლაში გამოიხატა!" – ასე დაემშვიდობა საქართველოს უგვირგვინო მეფეს მისი მკვლელობით სულშეძრული მიხაკო წერეთელი და იმავე სიტყვაში ომახიანად მოუწოდა ღირსებაშელახულ ქართველობას:

ილია ჭავჭავაძის დაკრძალვა (სასახლესთან დგას მიხაკო წერეთელი)

„ეხლა რაღა უნდა ვქნათ? – უპირველეს ყოვლისა, მე არ ვეთანხმები აქ წარმოთქმულ სიტყვებს, – ილიას ხსოვნას „შურის ძიება" არ ეკადრებაო! კი – ეკადრება! ამ სირცხვილს სწორედ შურის ძიებით გავაქარწყლებთ, შურის ძიება მთელი ერისა იმ უმსგავსთა წინააღმდეგ, რომელთაც დღეს მთელი საქართველო ძაძით შემოსეს და მთელს ქვეყანაში გააბიაბრუეს, ერთად ერთი საშუალებაა მთელი ერის გასამართლებლად. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ყველანი დამნაშავენი ვიქნებით ილიას წინაშე!

ყოველივე სხვა ერი ჩვენს ალაგას ამასვე ჩაიდენდა. ჩვენი სიჩუმე ჩვენი ჰუმანიური თვისებისა და დიდ-სულოვანების დამამტკიცებელი კი არ იქნება, არამედ ჩვენი სისუსტისა და გულგრილობისა!" – მოუწოდა მიხაკო წერეთელმა მშობელ ერს და მთელი მისი ცხოვრება, მთელი მისი მოღვაწეობა სწორედ შურისძიება გახლდათ ქართული მოდგმის შელახული, უმოწყალოდ გადაჯეგილი ღირსებისა და მეობის აღსადგენად!

1907 წელს მოხდა საქართველოს უახლესი ისტორიისათვის მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა. კერძოდ, ილიას მკვლელობამდე მცირე ხნით ადრე, ხსენებული წლის მარტში, ფედერალისტებისა და 1905 წელს მათგან გამოყოფილი ეროვნულ-დემოკრატიული დაჯგუფების თაოსნობით, დაიწყო სერიოზული მზადება ჰააგის საერთაშორისო სამშვიდობო კონფერენციაზე ქართველი ერის სახელით ყოველმხრივ არგუმენტებული პეტიციის წარდგენისათვის. ყოველივე ამის და საკუთრივ პეტიციის შესახებ ვარლამ ჩერქეზიშვილის საყურადღებო ნაშრომი 1918 წელს გამოქვეყნდა ქართული ჟურნალის „პრომეთე" მე-3 ნომერში (იხ.: ვარლამ ჩერქეზიშვილი. საქართველოს პეტიცია საერთაშორისო კონფერენციისადმი ჰააგაში. 1907 წ. ჟურნ. „პრომეთე". თბილისი. 3, 1918, გვ. 81-95).

მაინც, რას ისახავდა მიზნად ხსენებული პეტიცია? ამ შეკითხვაზე მოკლე, ლაკონურ და, იმავდროულად, სავსე პასუხს გვაძლევს ვ. ჩერქეზიშვილი. იგი მიუთითებს, რომ პეტიციაში საუბარი უნდა ყოფილიყო „საქართველოს და რუსეთს შორის დადებულ ხელშეკრულობაზე, ჩვენს უფლებაზე – გვქონოდა ავტონომიური ეროვნული თვითმმართველობა, ავტოკეფალური ეკლესია, საკუთარი ფული და ეროვნული ჯარიც გვყოლოდა" (იხ.: ვარლამ ჩერქეზიშვილი. საქართველოს პეტიცია. გვ. 83). როგორც ვხედავთ, ლაპარაკია ძალზე ფართო პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული, რელიგიური და სამხედრო-თავდაცვითი უფლებების მქონე ავტონომიაზე. იმ დროს, 1907 წელს, ეგზომ ფართო ავტონომიის მიღება საქართველოსთვის იქნებოდა უაღრესად დიდი გამარჯვება და ძალზე სერიოზული ტრამპლინი სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლის ნარ-ეკლიან გზაზე.

ქართული ეროვნული პოლიტიკური ძალების ყურადღება ასეთი პეტიციის მომზადების აუცილებლობაზე ჯერ კიდევ 1905 წელს გაამახვილა ცნობილმა ინგლისელმა პუბლიცისტმა, ჟურნალ „თაიმ"-ის კორესპონდენტმა ვილლარმა, რომელიც ვ. ჩერქეზიშვილის თხოვნით საქართველოს ეწვია ხსენებული წლის შემოდგომაზე. მას მასპინძლობდნენ ილია ჭავჭავაძე, გიორგი ზდანოვიჩი (მაიაშვილი) და მიხაკო წერეთელი. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ვილლარმა ლონდონში გამოსცა შესანიშნავი წიგნი „ცეცხლი და მახვილი კავკასიაში" („Fire and Sword in the Caucasus"). მასში ევროპელ მკითხველთა ყურადღება გამახვილებულია იმ სიმხეცეზე და ბოროტებაზე, რომელსაც სჩადიოდა ცარისტული რუსეთი საქართველოში და სრულიად კავკასიაში (იხ.: ვარლამ ჩერქეზიშვილი. საქართველოს პეტიცია. გვ. 81).

პეტიციის მომზადების მიზნით, 1907 წლის მარტში, მიხაკო წერეთელმა, გიორგი გვაზავამ და ვარლამ ჩერქეზიშვილმა გამოსცეს გაზეთის „საქართველოს აზრი" პირველი ნომერი (იხ.: ვარლამ ჩერქეზიშვილი. საქართველოს პეტიცია. გვ. 90). სამწუხაროდ, მეორე ნომერი არ გამოცემულა, ვინაიდან იმპერიულმა ცენზურამ გაზეთი დახურა, მის გამომცემლებს კი გადასახლებით დაემუქრა.

„საქართველოს პეტიცია"-ს ხელი მოაწერა ორი ათასამდე ადამიანმა. „როდესაც გავეცანი ხელისმომწერთა სახელებს, მათ პროფესიასა და საზოგადოებრივ მდგომარეობას, მე უნებლიედ გავოცდი მათი მოქალაქეობრივი სიმამაცით: თითქმის ორიათასამდის კაცი და ქალი არ შეუშინდა შესაძლო საფრთხეს გასამართლებისა და ციმბირში გაგზავნის"-ო, აღნიშნავდა ვ. ჩერქეზიშვილი (იხ.: ვარლამ ჩერქეზიშვილი. საქართველოს პეტიცია. გვ. 91).

ვარლამ ჩერქეზიშვილის და მიხაკო წერეთლის მიერ მომზადებული, ზედმიწევნით არგუმენტებული პეტიციის ლობირება თავს იდო საგანგებოდ საქართველოს ინტერესების დასაცავად შექმნილმა „ინგლისურ-ქართულმა კომიტეტმა" (რომლის წევრი საქართველოს მხრიდან მიხაკო წერეთელიც იყო). საბოლოოდ, საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი უდიდესი ავტორიტეტის, საერთაშორისო ტრიბუნალის წევრის, ბრიუსელის უნივერსიტე-

ტის პროფესორის ერნესტ ნისის მიერ რედაქტირებული ტექსტი ზემოხსენებული კომიტეტის ძალისხმევით, გამოქვეყნდა ინგლისურად და ფრანგულად. პეტიცია ჰააგის საერთაშორისო კონფერენციას წარუდგინა „ინგლისურ-ქართული კომიტეტი"-ს წევრმა ნევინსონმა. კონფერენციის გახსნის დღეს პეტიციის პაკეტში ჩადებული ტექსტი მიიღო უკლებლივ ყველა დელეგატმა. მართალია, ამ საკითხზე კონფერენციას არ მიუღია ცალკე რეზოლუცია, მაგრამ იგი გახდა განხილვის საგანი და შეიტანეს კონფერენციის ოქმებში (იხ.: ვარლამ ჩერქეზიშვილი. საქართველოს პეტიცია. გვ. 91-92). ყოველივე ამას მოჰყვა მსოფლიო პერიოდული პრესის ფართო გამოხმაურება. მაგალითად, პეტიციის ტექსტი სრულად გამოაქვეყნა აშშ-ის პრესტიჟულმა გამოცემამ, – გაზეთმა „ჩიკაგო დეილი ნიუს". ამ გაზეთიდან პეტიცია გადაბეჭდა შეერთებული შტატების თითქმის ყველა სერიოზულმა პერიოდულმა გამოცემამ. გარდა ამისა, პეტიცია გამოაქვეყნა ინგლისის და ესპანეთის პრესამაც (იხ.: ვარლამ ჩერქეზიშვილი. საქართველოს პეტიცია. გვ. 92-93).

რატომღაც, ქართულ ისტორიოგრაფიაში, განიხილავენ რა ზემოხსენებულ პეტიციას, საგანგებოდ გამოყოფენ ხოლმე მხოლოდ ვ. ჩერქეზიშვილის დამსახურებას, რაც, როგორც საკუთრივ ამ უკანასკნელის განხილული მოგონებიდან ჩანს, არამართებულია. ამას ადასტურებს საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალურ საისტორიო არქივში დაცული მასალები, კერძოდ, ჟანდარმერიისა და პოლიციის დეპარტამენტის საიდუმლო მიმოწერა მიხაკო წერეთლის მოღვაწეობის შესახებ. კერძოდ, ზემოთქმულს ადასტურებს კავკასიაში მეფისნაცვლის კანცელარიის საგანგებო განყოფილების უფროსის, თავად ვ. რლოვის სახელზე ჟანდარმერიის ქუთაისის საგუბერნიო სამმართველოს უფროსის 1915 წლის 12 მაისის 120 მოხსენებითი ბარათის მონაცემები (იხ.: საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 13, აღწ. 27, საქმე 5412, ფურც. 18-19). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ დოკუმენტის ავტორი ერთმანეთში ურევს „საქართველოს პეტიციას" და „საქართველოს უფლებათა დამცველი კავშირის" მოწოდებას.

1907-1918 წლები

როგორც აღვნიშნეთ, 1907 წელს ჰააგაში შედგა საერთაშორისო სამშვიდობო კონფერენცია, რომელზე წარსადგენად ვარლამ ჩერქეზიშვილის და მიხაკო წერეთლის თაოსნობით მომზადდა ქართველი ერის პეტიცია. მასში ყურადღება გამახვილებულია ქართველი ერის შელახულ უფლებებზე, კერძოდ, ცარისტული რუსეთის მიერ 1783 წლის ე. წ. „გეორგიევსკის ტრაქტატი"-ს დებულებათა უხეშ დარღვევაზე.

მიხაკო წერეთელი (1900 წ.)

1908 წელს, ოსმალეთის კონსტიტუციის გამოცხადების შემდეგ, მიხეილ წერეთელი საგანგებო მისიით ჩავიდა თურქეთში, დიდი გავლენისა და მდგომარეობის მქონე მუსლიმან ქართველებთან მოსალაპარაკებლად. იმავე წლის დამლევს იგი დაბრუნდა თბილისში. პეტრე სურგულაძესთან და გიორგი მაჩაბელთან ერთად დააფუძნა საქართველოს დამოუკიდებლობის საიდუმლო ჯგუფი. იმავდროულად, დაიწყეს ეროვნული პოლიტიკური გაზეთის „ერი" გამოცემა, რომელიც, ცენზურის აქტიურობის გამო ხშირად იხურებოდა და გამოდიოდა სხვადასხვა სახელწოდებით (იხ.: გაზ. „თეთრი გიორგი". პარიზი. 104, 1938, გვ. 2).

1910 წელს თბილისში გამოიცა მ. წერეთლის მნიშვნელოვანი სოციოლოგიური გამოკვლევა „ერი და კაცობრიობა". ეს იყო ქართულ ენაზე გამოცემული პირველი სოციოლოგიური მონო-

გრაფიული გამოკვლევა. ამ ფუნდამენტური ნაშრომის გამოცემით მისმა ავტორმა განსაკუთრებული წვლილი შეიტანა ერთა უფლებების, ეროვნული თვითგამორკვევის, ნაციონალიზმის საკითხების შესწავლის საქმეში და დღემდე წარმოადგენს სამაგიდო წიგნს აღნიშნულ სფეროში მომუშავე სპეციალისტებისთვის.

იმავე 1910 წელს მიხაკო წერეთელი ვრცელი სიტყვით გამოვიდა ლონდონის ჩაგრულ ერთა კონგრესზე.

1910 წლის დამლევს ჟანდარმერიამ დაიწყო განსაკუთრებით აქტიური ქართველი ეროვნული მოღვაწეების დევნა. კერძოდ, საქართველოდან გაასახლეს ლეო და გიორგი კერესელიძეები, პეტრე სურგულაძე, მიხაკო წერეთელი, გიორგი მაჩაბელი და სხვანი.

თავისუფალი საქართველო

იანვარი № 1 1913

გაზეთის „თავისუფალი საქართველო“. პირველი ნომრის (1913 წ.) ქუდი. „თავისუფალი საქართველო“-ს წარმომადგენლები ევროპაში იყვნენ გიორგი კერესელიძე და მიხაკო წერეთელი.

1910 წლიდან ქართველმა ნაციონალისტებმა ლეო და გიორგი კერესელიძეებმა, პეტრე სურგულაძემ, ნესტორ მაღალაშვილმა, გიორგი მაჩაბელმა ჟენევაში დააფუძნეს „საქართველოს დამოუკიდებლობის ჯგუფი“, რომელსაც 1911 წელს შეუერთდნენ მიხაკო წერეთელი და ვარლამ ჩერქეზიშვილი. მოგვიანებით, 1914 წლის სექტემბერში, სწორედ ამ ჯგუფმა შეადგინა „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის“ დამფუძნებელი ბირთვი. ეს ჯგუფი 1913 წლიდან გამოსცემდა გაზეთს „თავისუფალი საქართველო“, რომლის წარმომადგენლები ევროპაში იყვნენ გიორგი კერესელიძე და მიხაკო წერეთელი. გარდა ამისა, მი-

ხაკო წერეთელმა განაგრძო განათლების მიღება ჰაიდელბერგის (გერმანია) უნივერსიტეტში, რომელიც წარმატებით დაასრულა 1912 წელს ძველი აღმოსავლეთის ისტორიის განხრით. ორი წლის შემდეგ, – 1914 წელს, მან მოიპოვა აღნიშნული უნივერსიტეტის ისტორიის დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. მისი სადოქტორო ნაშრომი გახლდათ ქართველი მეცნიერის მიერ დაცული პირველი სადისერტაციო ნაშრომი ასირიოლოგიის დარგში.

1911 წლიდან კაიზერული გერმანიის დაზვერვის თბილისის რეზიდენტურას სათავეში ედგა გამოცდილი დიპლომატი, გენერალური კონსული, გრაფი ფრიდრიხ ფონ დერ შულენბურგი, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის 1918 წელს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის საქმეში. შემთხვევითი არ არის ის ფაქტი, რომ მას მოიხსენიებდნენ ხოლმე, როგორც „საქართველოს დამოუკიდებლობის რუხ კარდინალს". არც ის იყო შემთხვევითი, რომ სწორედ მას დაუკავშირდა ქართველ ეროვნულ მოღვაწეთა ზემოხსენებული ჯგუფი. დროის ძალზე მცირე მონაკვეთში შულენბურგმა შეძლო კავკასიაში ცარისტული რუსეთის წინააღმდეგ მიმართული ძლიერი და ფართო გერმანული აგენტურული ქსელის შექმნა. აღსანიშნავია, რომ ამ მიზნით მან შეძლო რუსეთის კავკასიის არმიის ადგილობრივი ოფიცრობის მიმხრობა და მათი აქტიურად ჩაბმა აგენტურულ საქმიანობაში. გარდა ამისა, იგი აქტიურად მუშაობდა ამიერკავკასიის, განსაკუთრებით კი, – საქართველოს, ეროვნული სულისკვეთებით გამორჩეულ არისტოკრატიასთან და ამავე მიმართულების პოლიტიკურ ძალებთან. ამ უკანასკნელთაგან გამორჩეული იყო სწორედ „თავისუფალი საქართველოს" ჯგუფი და, ამდენად, „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი". ჯგუფის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ფიგურა იყო მიხეილ (მიხაკო) წერეთელი.

არც თუ იშვიათად, ისტორიოგრაფიულ გამოკვლევებში, ვხვდებით მოსაზრებას, რომ საქართველოში სრული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლა დაიწყო მხოლოდ და მხოლოდ 1917 წელს და ეს უკავშირდება

თებერვლის რევოლუციას. ეს მოსაზრება აშკარად მცდარია, რაზეც მერტყველებს არაერთი როგორც ქართული, ისე ევროპული და რუსული პირველწყარო.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1913 წლის იანვარში ჟენევაში გამოსვლა იწყო ქართულენოვანმა ჟურნალმა „თავისუფალი საქართველო" (რედაქტორი – გიორგი კერესელიძე; ფაქტობრივი რედაქტორი – მიხეილ წერეთელი). პირველი ნომრის სარედაქციო წერილში, რომლის ავტორიც იყო მიხაკო წერეთელი, ვკითხულობთ:

„დღევანდელ ქართველს ორი გზა უდევს წინ: ერთია გზა დაცემისა, გათახსირებისა, სიკვდილისა, მეორე – გზა შემოქმედებისა, სიცოცხლისა, თავისუფლებისა, დამოუკიდებლობისა...

შემოქმედებითი საქართველო, ქართველი დემოკრატია ეროვნულ განთავისუფლების გზაზე მომუშავე, ეროვნულ დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი – აი, ვის მივმართავთ ჩვენ.

დამოუკიდებელი, დემოკრატიული საქართველო, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა – აი, ჩვენი მიზანი."

სწორედ ამ სანუკვარი მიზნის მისაღწევად ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სამოქმედო ასპარეზად დასახეს ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობის მჭიდრო კონტაქტები ევროპასთან, იმ ძალებთან, რომლებიც ხელს შეუწყობდნენ საბოლოო მიზნის მიღწევას. ვინაიდან, ანტანტის წევრი სახელმწიფოები იყვნენ რუსეთის მოკავშირენი, ეროვნულმა პოლიტიკურმა ძალებმა პრინციპული უარი თქვა ანტანტასთან ყოველგვარ ურთიერთობაზე და კავშირი დაამყარეს გერმანიასთან და მის მოკავშირე ქვეყნებთან თურქეთთან და ავსტრია-უნგრეთთან. სწორედ გერმანიის რეზიდენტურა წარმოადგენდა იმ რგოლს, რომლის საშუალებით საქართველოს მემარჯვენე, ეროვნულ პოლიტიკურ სპექტრს ურთიერთობა ჰქონდა გერმანიის და მის მოკავშირეთა საგარეო პოლიტიკურ თუ სამხედრო უწყებებთან.

1912 წლიდან საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა პარტიაში ჩამოყალიბდა ორი მძლავრი ფრთა: 1. ერთი, რომლის ლიდერი იყო რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი ვარლამ გელოვანი, მხარს უჭერდა რუსეთის იმპერიის ფარგლებში საქართველოს ავტონომიის იდეას; 2. მეორე ფრთა კი (შალვა ამირეჯიბი, ვასილ წერეთელი (მიხაკო წერეთლის უფროსი ძმა, გამოჩენილი ეროვნული მოღვაწე და პუბლიცისტი, 1917 წლიდან ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის დამფუძნებელი წევრი), ალექსანდრე ყიფშიძე, დავით მაჩაბელი, მიხეილ მაჩაბელი, გიორგი მაჩაბელი, გიორგი გვაზავა, გიორგი ჟურული, ექვთიმე თაყაიშვილი, ლეო და გიორგი კერესელიძეები, რევაზ გაბაშვილი და სხვანი) გამოდიოდა საქართველოს სრული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დროშით. 1913 წლიდან სწორედ ამ ჯგუფს დაუკავშირდნენ და 1917 წლამდე აქტიურად მონაწილეობდნენ მის საქმიანობაში მიხაკო წერეთელი და ვარლამ ჩერქეზიშვილი. ეს ფრთა აშკარად გამოხატული მემარჯვენე, ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების ჯგუფი იყო, რომელიც 1912-1915 წლებში ჟურნალის, – „კლდე" გარშემო იყო თავმოყრილი, 1915 წლიდან კი დაირაზმა ყოველკვირეული გაზეთის, – „საქართველო", გარშემო.

მიხაკო წერეთელი
(სტამბოლი, 1915 წ.)

1913 წელს მ. წერეთელი და ვ. ჩერქეზიშვილი მონაწილეობდნენ დამონებულ ერთა კონგრესში, როგორც ოფიციალური დელეგატები.

ქართველ ეროვნულ მოღვაწეთა ზემოხსენებული ჯგუფის ინიციატივით და გრაფ ფონ დერ შულენბურგის აქტიური მხარდაჭერით, 1914 წლის სექტემბერში ბერლინში შეიქმნა „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი", რომელიც მცირე ხნის შემდეგ გადავიდა სტამბოლში. დამოუკიდებლობის კომიტეტის თავმჯდომარედ, მიხეილ წერეთლის

წარდგენით, ერთხმად აირჩიეს იმხანად უკვე ფართოდ ცნობილი მოღვაწე პეტრე სურგულაძე. ოსმალეთის სახელმწიფო მოღვაწეთაგან კომიტეტის საქმიანობას ხელს უწყობდნენ იმჟამინდელი თურქეთის წამყვანი პოლიტიკური ფიგურები ენვერ-ფაშა, თალაათ-ფაშა და სხვანი. დამოუკიდებლობის კომიტეტის შექმნისთანავე განაწილდა ფუნქციები მის მესვეურთა შორის. პეტრე სურგულაძე, მელიტონ ქარცივაძე და ლეო კერესელიძე მას წარმოადგენდნენ იმხანად კვლავ ოსმალეთად წოდებულ თურქეთში, ხოლო მიხაკო წერეთელი და გიორგი კერესელიძე გერმანიაში (იხ.: გაზ. „თეთრი გიორგი". პარიზი. 104, 1938).

მეტად საინტერესო ცნობებს შეიცავს ოდესის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსის 1914 წლის 15 ოქტომბრის 3125 მოხსენებითი ბარათი პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის სახელზე (დედანი დაცულია საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში). კერძოდ, მასში მითითებულია, რომ აღნიშნული წლის 13 ოქტომბერს თურქეთიდან კავკასიაში ჩამოვიდა „დაუდგენელი ქართველი ინჟინერი", რომელიც საზღვარგარეთ იმყოფებოდა 9 წლის მანძილზე. მისი მონაწილეობით სტუდენტ მიხეილ ჯიბრაელის ძე იაშვილის (პაოლო იაშვილის ძმა) ბინაზე ჩატარებულა შეკრება, რომელსაც აგენტურული მონაცემების თანახმად, მათ გარდა ესწრებოდნენ: სტუდენტები კლავდია ტყემალაძე, ქრისტეფორე რაჭველიშვილი და მიხეილ საყვარელიძე. მოხსენებითი ბარათის ავტორი მიუთითებს, რომ ქართველი ემიგრანტი მიხეილ გიორგის ძე წერეთელი, სხვა ქართველებთან ერთად, თურქეთში აქტიურ მოლაპარაკებას ატარებს გერმანიის წარმომადგენლებთან. კერძოდ, ამ მოლაპარაკებებს, ავტორის ცნობით, ესწრებოდნენ გერმანიის ყოფილი ელჩი რუსეთის იმპერიაში, გრაფი პურტალესი, ოსმალეთის სამხედრო მინისტრი ენვერ-ფაშა და სხვანი. რა თქმა უნდა, მოლაპარაკებების თემა იყო საქართველოს დამოუკიდებლობა გერმანიის მფარველობის ქვეშ. შემდეგ აღნიშნულია:

„ამასთან, წერეთელმა და მისმა მეგობრებმა გერმანელებს მიმართეს შეკითხვით, მოისმენენ თუ არა სამშვიდობო კონფერ-

ენციაზე საქართველოს წარმომადგენელთა მემორანდუმს. ამ შეკითხვაზე მათ მიიღეს პასუხი, რომ მოისმენენ იმ შემთხვევაში, თუ ქართული მხარის მიერ აქტიურად იქნება გამოხატული პროტესტი რუსეთის წინააღმდეგ. ქართველთა წარმომადგენლების მხრიდან ამას მოჰყვა მტკიცე პასუხი, რომ საჭირო მომენტში კავკასიის ქართველებს ძალუძთ 50 ათასი კაცის გამოყვანა. გერმანიამ მათ აღუთქვა დათქმულ ვადებში შეიარაღების, მედიკამენტების და სხვა სახის საჭიროებათა მიწოდება. ამ შეიარაღების ნაწილი, თითქოს, უკვე იმყოფება საზღვარზე ტრაპიზონსა და ბათუმს შორის და ამ კონტრაბანდული გზით მათი გადაზიდვისთვის უკვე მომზადებულია ნავები. ამ იარაღის ტრანსპორტირებას რუსეთში ხელმძღვანელობს ზემოხსენებული მიხეილ წერეთელი. გარდა ამისა, გერმანელებს ქართველებისთვის გადაუციათ 30 ათასი მანეთი ავანსის სახით, ხარჯებისათვის.

კავკასიაში დაბრუნების წინ ხსენებულმა ინჟინერმა ოდესის ქართულ სათვისტომოს (იგულისხმება ქართველ სტუდენტთა სათვისტომო, – ლ. უ.) დაუტოვა 200 მანეთი შეტყობინების სხვა უნივერსიტეტების ქართველი სტუდენტებისთვის დასაგზავნად" (იხ.: ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 157. აღწ. 1, საქმე 320, ფურც. 354).

იქვე მითითებულია, რომ ამ „დაუდგენელ ქართველ ინჟინერს" გამოუთქვამს ვარაუდი თურქეთის მიერ რუსეთისთვის ომის გამოცხადების თაობაზე.

იმავე საქმეში არსებული სხვა საბუთები ადასტურებს, რომ ხსენებული უცნობი ქართველი ინჟინერი იყო იმხანად 35 წლის გიორგი ვასილის ძე მაჩაბელი, – სახელოვანი ლიტერატორისა და მამულიშვილის ივანე მაჩაბლის ძმის შვილი, გამოჩენილი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ პრინც მაჩაბელის სახელით აშშ-ში მცხოვრები და ამავე სახელწოდების („პრინც მაჩაბელი") მსოფლიოში ცნობილი სუნამოს მწარმოებელი (იხ.: სცსსა, ფონდი 157, აღწ. 1, საქმე 320, ფურც. 398).

1914 წლის 24 სექტემბერს, გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს და დაზვერვის სამსახურის დავალებით გიორგი მაჩაბელმა და მიხაკო წერეთელმა სამინისტროს წარუდგინეს თავიანთი გეგმა – „ამიერკავკასიის ჩამოშორება რუსეთისგან და მისი შემდგომი პოლიტიკური მოწყობა". გეგმის ქვაკუთხედს წარმოადგენდა შეიარაღებული ამბოხების ორგანიზება და ამიერკავკასიაში რუსეთის სამობილიზაციო გეგმის ჩაშლა, კავკასიის რუსული არმიის ბრძოლისუნარიანობის მოშლა და ზოგიერთი სხვა ღონისძიების გატარება, რომლებიც აიძულებდნენ რუსეთს ხელი მოეწერა გერმანიასთან ზავისათვის (Г. В. Пипия. «Германский империализм в 1910-1918 годах». Москва. 1978. стр. 64-65). სწორედ ამ გეგმის საფუძველზე, ქართველ „მოხალისეთა რაზმების" ფორმირებისათვის საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტს გამოეყო 200 ათასი გერმანული მარკა (იქვე, გვ. 65). სახელმწიფო მოწყობის თვალსაზრისით გეგმაში წარმოდგენილი იყო ამიერკავკასიის სახელმწიფოთა კონფედერაციის მოდელი. თუმცა, მცირე ხნის შემდეგ გეგმის ავტორებმა გერმანიის საგარეო უწყებას წარუდგინეს ახალი დოკუმენტი – „კავკასიის ნეიტრალიზაციისა და მისი მომავალი პოლიტიკური ორგანიზაციის პროექტი". ამ ახალი დოკუმენტის ძალით კავკასიის ტერიტორიაზე უნდა შექმნილიყო სამი სუვერენული სახელმწიფო: 1. ქართული სახელმწიფო კონსტიტუციური მონარქიით, 2. სომხურ-თათრული კანტონი და 3. ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა რესპუბლიკა (იქვე, გვ. 66). გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ მოიწონა და სახელმძღვანელოდ მიიღო სწორედ ეს პროექტი.

იმავე ხანებში, „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის" შექმნიდან მცირე ხნის შემდეგ, გრაფი შულენბურგისა და ლეო კერესელიძის თაოსნობით, კაიზერული გერმანიის არმიის პატრონაჟით, თურქეთში ჩამოყალიბდა „ქართული ლეგიონი". ლეგიონს სათავეში ედგა ლ. კერესელიძე, რომელიც თავის მხრივ, ექვემდებარებოდა შულენბურგს.

მიხაკო წერეთელი

მეტად საინტერესოა საკუთრივ დამოუკიდებლობის კომიტეტის მიმართვის ტექსტი. საქმეში დაცულია დოკუმენტის რუსული თარგმანი. კომიტეტი აღნიშნავს, რომ ვინაიდან, რუსეთის იმპერიას წარმატებით ებრძვიან გერმანია და თურქეთი, დადგა დრო საქართველოს გათავისუფლებისა. მოწოდებაში მითითებულია, რომ დამოუკდებლობის კომიტეტი, გერმანელებთან ერთად, მოემართება საქართველოსკენ და მოუწოდებს ქართველ ერს ააფრიალოს დაკარგული თავისუფლების აღდგენისათვის ბრძოლის დროშა. კომიტეტი მოუწოდებს ქართველებს, რომ უარი თქვან დამპყრობელი რუსეთის არმიაში სამსახურზე. ამასთან, აღნიშნულია, რომ გერმანია უზრუნველყოფს საქართველოს ეროვნულ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას, მოყვანილია რა გერმანიასთან შეთანხმების პირველი პუნქტი: „საქართველო წარმოადგენს დამოუკიდებელ სახელმწიფოს; არც რუსეთს და არც თურქეთს არ ექნება რაიმე უფლება საქართველოზე".

ვინაიდან, თურქეთი პირველ მსოფლიო ომში იყო ჩართული გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის მხარეზე, ეს უკანასკნელნი კი საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტთან გაფორმებული ხელშეკრულებების ძალით საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე ცნობდნენ მის სუვერენიტეტს, ბუნებრივია, თურქეთიც იძულებული იყო გადაედგა ანალოგიური ნაბიჯი.

საგულისხმოა ის გარემოება, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტმა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის საქმეში გამოჩენილი განსაკუთრებული ღვაწლისათვის გერმანელთა და ქართველთათვის დააწესა „თამარ მეფის ორდენი", რომელიც იყო სამი ხარისხისა. ამ ორდენის პირველი გერმანელი კავალერები იყვნენ ფონ ჰინდენბურგი, გრაფი შუ-

ლენბურგი, ფონ ჰოლცი (იგივე ჰოლც-ფაშა), ფონ კრესენშტაინი და სხვანი. ქართველთაგან ორდენი მიიღეს მემედ-ბეგ აბაშიძემ, დათა ვაჩნაძემ, შალვა ქარუმიძემ, ლეო კერესელიძემ, პეტრე სურგულაძემ, ნიკო ხორავამ, ყადირ შარვაშიძემ, შალვა ვარდიძემ და სხვებმა. დამოუკიდებლობის კომიტეტის ხელმძღვანელთა დაჯილდოება მოხდა 1918 წელს. ვფიქრობთ, მათ შორის აუცილებლად იქნებოდა მიხაკო წერეთელი, როგორც ერთ-ერთი თაოსანი აღნიშნული კომიტეტის შექმნისა და მისი საქმიანობის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური მონაწილე. აღსანიშნავია, რომ ამ ორდენით დაჯილდოება ხდებოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წლებშიც (1918-1921).

ისტორიული წყაროები ცხადყოფს, რომ ჯერ კიდევ 1912 წელს, დამოუკიდებლობის კომიტეტის შექმნამდე, არჩილ ჯორჯაძის და მიხაკო წერეთლის თაოსნობით უცხოეთში დაფუძნდა „საქართველოს ხელშეკრულების უფლებათა დამცველი კავშირი" (იგულისხმება უფლებები, რომლებიც გარანტირებული ჰქონდა ქართლ-კახეთის სამეფოს გეორგიევსკის 1783 წლის მკვდრადშობილი ხელშეკრულებით). ამ თვალსაზრისით საყურადღებოა საქართველოს სახელმწიფო საისტორიო არქივის ერთ-ერთი საქმე (ფ. 13, აღწ. 27, საქ. 5412), რომელშიც დაცულია როგორც რუსეთის აგენტურული მონაცემები ამ ორგანიზაციის შესახებ, ისე კავშირის მოწოდება ქართველი ერისადმი, რომლის სახელწოდებაა „ქართველი ერის უფლებანი". სტილი ცხადყოფს, რომ ტექსტის ავტორია მიხაკო წერეთელი. ამ მრავალმხრივ საინტერესო საბუთში მოტანილია ის რეზოლუცია, რომელიც ხსენებულმა კავშირმა წარუდგინა „ინგლისის მშვიდობიანობის საზოგადოების" კონგრესს (ლივერპული. 1914 წლის თიბათვის 12). რეზოლუცია შეიცავს პროტესტს ტირიფონის ველიდან 40.000 ქართველის აყრისა და იქ რუსული ჯარის 100.000 მოსამსახურისათვის საწვრთნელი ბაზის მოწყობის შესახებ რუსეთის იმპერიის ხელისუფლების ბრძანების გამო. საბუთი ცხადყოფს, რომ დამოუკიდებლობის კომიტეტის მესვეურებს კონტაქტები ჰქონდათ ინგლისის პოლიტიკურ წრეებთანაც.

დამოუკიდებლობის კომიტეტმა იარსება 1917 წლის ნოემბრამდე, როდესაც ილია ჭავჭავაძის დის შვილის, გამოჩენილი

ეროვნული მოღვაწის, გენერალ კონსტანტინე (კოტე) აფხაზის და დამოუკიდებლობის კომიტეტის მესვეურთა ინიციატივით თბილისში მოიწვიეს საგანგებო ეროვნული ყრილობა. ყრილობაზე აირჩიეს „საქართველოს ეროვნული საბჭო“, რომელმაც 1918 წლის 26 მაისის საგანგებო ყრილობაზე გამოაცხადა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა. ოფიციალურად, დამოუკიდებლობის კომიტეტის საქმიანობის დასრულების თარიღად ითვლება 1918 წლის ივნისი, როდესაც ბერლინში ჩავიდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამთავრობო დელეგაცია აკაკი ჩხენკელის ხელმძღვანელობით. დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდნენ თავად აკაკი ჩხენკელი, ნიკო ნიკოლაძე, მიხაკო წერეთელი, ზურაბ ავალიშვილი, გიორგი მაჩაბელი და გერმანული წარმოშობის ქართველი ერ. ბერნშტეინი (იხ.: გაზ. „თეთრი გიორგი“. პარიზი. 104, 1938; ზურაბ ავალიშვილი. საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-21 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში. თბილისი. 1990. გვ. 103).

1914 წელს მიხეილ წერეთელმა მოიპოვა ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის დოქტორის ხარისხი ასირიოლოგიაში. სადისერტაციო ნაშრომი იმავე წელს ცალკე წიგნად გამოცა ხსენებულ უნივერსიტეტის მიერ. ეს გახლდათ აღნიშნულ დარგში ქართველი მეცნიერის მიერ დაცული პირველი სადისერტაციო ნაშრომი. მოგვიანებით, 1920 წელს, სწორედ მ. წერეთელმა დააარსა ასირიოლოგიის კათედრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მანამდე მან დაიწყო აქტიური კვლევითი საქმიანობა შუმეროლოგიისა და ურარტოლოგიის დარგებში, ხოლო 1912 წელს გამოსცა თავისი ცნობილი მონოგრაფიული გამოკვლევა „შუმერული და ქართული“, რომელიც მოგვიანებით გამოიცა ინგლისურ და ფრანგულ ენებზე. საგულისხმოა აღინიშნოს, რომ ის ითვლება ურარტოლოგიის ერთ-ერთ ფუძემდებლად. კერძოდ, თანამედროვეობის გამოჩენილი მეცნიერის, მარბურგის და იელის უნივერსიტეტების პროფესორის ალბრეხტ გეტცეს მითითებით, რომ არა პროფესორი მიხეილ წერეთელი, ურარტოლოგია, როგორც მწყობრი სამეცნიერო დისციპლინა, არ იარსებებდა.

1916 წლის 26-29 ივნისს მიხაკო წერეთელი მონაწილეობდა ლოზანაში გამართულ ჩაგრულ ერთა მესამე კონგრესში. აქ მან

წარმოადგინა ვრცელი მოხსენება „ქართველი ერის უფლებანი“, რომელმაც დელეგატთა დიდი მოწონება და ხანგრძლივი ტაში დაიმსახურა. მოხსენების ქართული ტექსტი გამოქვეყნდა ბერლინში იმხანად გამომავალი ემიგრანტული გამოცემის, „ქართული გაზეთი“-ს მე-13 – მე-20 ნომრებში (1916 წლის 1 ოქტომბერი-1917 წლის 16 იანვარი).

იმავე 1916 წელს ფრანგულ ენაზე გამოიცა მ. წერეთლის წიგნი კავკასიის ეთნიკური და კულტურული განვითარების საკვანძო საკითხების შესახებ.

1913-1916 წლებში დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის სამეფო სააზიო საზოგადოების შრომების რამდენიმე ნომერში გამოქვეყნდა მ. წერეთლის გახმაურებული ნაშრომი „შუმერები და ქართველები“. არჩეული იყო აღნიშნული საზოგადოების ნამდვილ წევრად.

1916-1918 წლებში მიხაკო წერეთელს მიჰყავდა იმხანად ბერლინში გამომავალი გამოცემის, – „ქართული გაზეთი“-ს (რედაქტორ-გამომცემელი: გიორგი კერესელიძე) სპეციალური რუბრიკა „დოკუმენტები“, რომელშიც ხშირად ქვეყნდებოდა მისი წამყვანის საყურადღებო სტატიები („რუსია დროებითი მთავრობა და ჩაგრული ერნი“, „ეროვნული საკითხი“, „ცენტრალიზმი თუ ფედერალიზმი?“, „ეროვნების პრინციპი და საქართველოს ბედი“, „საქართველოს დამოუკიდებლობა“, „სიტყვა თქმული ბ-ნ მ. წერეთლის მიერ ბერლინში 27 მაისს 1918 წელს“ და სხვა მრავალი).



„ქართული გაზეთი“-ს (ბერლინი) ქუდი

იმავე წლებში მიხაკო წერეთელი აირჩეს მნიშვნელოვანი საერთაშორისო პოლიტიკური გაერთიანების, – „რუსეთის ჩაგრულ ერთა ლიგის“ წევრად. ამ სერიოზული გაერთიანების შტაბ-ბინა

განთავსებული იყო სტოკჰოლმში. სწორედ ამ ლიგის საქმიანობის ფარგლებში მეტად მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა მიხაკო წერეთელმა. 1916 წელს მან საგანგებო წერილით მიმართა აშშ-ის იმჟამინდელ პრეზიდენტს ვუდრო ვილსონს. ავტორმა პრეზიდენტ ვილსონის ყურადღება მიაპყრო საქართველოს პრობლემებს, მის შელახულ უფლებებს და აშშ-ის ხელისუფლებისგან ითხოვა თანადგომა (იხ.: „ქართული გაზეთი". ბერლინი. 6, 1916). მოგვიანებით, 1917 წლის 25 იანვარს, პრეზიდენტ ვილსონს, „თავისუფალი საქართველო"-ს ჯგუფის სახელით, მიმართეს მიხაკო წერეთელმა და გიორგი კერესელიძემ (იხ.: „ქართული გაზეთი". ბერლინი. 22, 1917). მოხერხებულად იყენებენ რა აშშ-ის პრეზიდენტის 1917 წლის 22 იანვრის მემორანდუმს, რომელიც წარედგინა შეერთებული შტატების კონგრესს და, რომელშიც ვუდრო ვილსონი მოითხოვს პოლონეთის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დე-იურე აღიარებას, ქართველი მოღვაწენი აშშ-ის პრეზიდენტისგან ითხოვენ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის მხარდაჭერას.

1917 წლის ოქტომბერში გერმანიიდან საქართველოში ფარულად ჩამოვიდა გერმანული წყალქვეშა ნავი ობერლეიტენანტ შვარცის მეთაურობით. მან ანაკლიის მახლობლად გადმოსხა ექსპედიცია მიხეილ წერეთლის ხელმძღვანებლობით. მთავარი ამოცანა იყო გარკვევა უმნიშვნელოვანესი საკითხისა – „რუსეთთან თუ ურუსეთოდ?". დათა ვაჩნაძის დახმარებით შესაძლებელი გახდა ფარული თათბირის ორგანიზება. თათბირს, რომელიც ჩატარდა 1917 წლის 5 ნოემბერს, ესწრებოდნენ: მიხაკო წერეთელი, დათა ვაჩნაძე, იოსებ გედევანიშვილი, ევგენი გეგეჭკორი და ნოე ჟორდანია. მიხაკო წერეთლის ზედმიწევნით არგუმენტებულ პოზიციას, რომ საქართველო უპირობოდ უნდა ჩამოცილდეს რუსეთის ორბიტას, უყოყმანოდ დაეთანხმნენ დათა ვაჩნაძე და ევგენი გეგეჭკორი. განსხვავებული აზრი გამოთქვა იოსებ გედევანიშვილმა. ნოე ჟორდანია იძულებული გახდა მხარი დაეჭირა უმრავლესობის პოზიციისთვის (იხ.: დავით ვაჩნაძე. საქართველოს განთავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ხანიდან. გაზ. „საქართველო". ბერლინი. 1944).

1918-1921 წლები

1918 წლის 26 მაისს მ. წერეთელი ესწრებოდა საქართველოს ეროვნული საბჭოს იმ ისტორიულ საგანგებო სხდომას, რომელზეც გამოცხადდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა.

მიხაკო წერეთელი და მისი მეუღლე მარიამ ვახვახიშვილი

1918-1919 წლებში იგი იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიური მისიების ხელმძღვანელი გერმანიაში და სკანდინავიის ქვეყნებში. ზურაბ ავალიშვილთან და გიორგი მაჩაბელთან ერთად მიხაკო წერეთელს დიდი დამსახურება მიუძღვის იმდროინდელი საქართველოს პროევროპული საგარეო პოლიტიკური კურსის ფორმირებაში. სამწუხაროდ, ამ კურსს უპირისპირდებოდა ნოე ჟორდანიას და მისი გუნდის პრორუსული კურსი. მ. წერეთელი შედიოდა საქართველოს სამთავრობო დელეგაციებში, რომლებიც 1918 წელს მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ საფრანგეთთან და გერმანიასთან (იხ.: ზურაბ ავალიშვილი. საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-21 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში. თბილისი. 1990, გვ. 99-106).

1919-1921 წლებში მიხეილ წერეთელი იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ასირიოლოგიასა და ძველი

აღმოსავლეთის ისტორიაში. მანამდე, ჯერ კიდევ 1917 წელს, იგი აირჩიეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს პირველ შემადგენლობაში, რაც დაფიქსირებულია პროფესორთა საბჭოს პირველი სხდომის ოქმში (იხ.: ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. პროფესორთა საბჭოს ოქმები (1917-1926). თბილისი. 2006. გვ. 82-83). ამდენად, მიხაკო წერეთელი სამართლიანად უნდა ჩაითვალოს საქართველოში და ამიერკავკასიაში უძველესი უნივერსიტეტის ერთ-ერთ ფუძემდებლად. 1920 წელს მისი თაოსნობით დაარსდა თსუ-ის ასირიოლოგიის კათედრა, რომელიც ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ დაიხურა, როგორც „ხალხის მტრის" მიხაკო წერეთლის მიერ დაფუძნებული. აღსანიშნავია ისიც, რომ 1920 წლის ნოემბრიდან 1921 წლის 25 თებერვლამდე პროფესორი მიხეილ წერეთელი ასრულებდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს მდივნის მოვალეობას (იხ.: ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. პროფესორთა საბჭოს ოქმები. თბილისი. 2006. გვ. 253-268). სამშობლოდან ემიგრირების შემდეგ, 1921 წელსვე, იმხანად უკვე საერთაშორისო ავტორიტეტის მქონე ქართველი მეცნიერი მიიწვიეს ბრიუსელის უნივერსიტეტში, ძველი მსოფლიოს ისტორიის პროფესორად.

1921 წლის თებერვალ-მარტში ბოლშევიკურმა რუსეთმა მოახდინა საქართველოს ოკუპაცია. მ. წერეთელი იძულებული გახდა სამუდამოდ დაეტოვებინა სამშობლო.

1921-1965 პოლიტიკური ემიგრანტი

მიხაკო წერეთელი

1922-1945 წლებში იგი იყო ჯერ ბრიუსელის უნივერსიტეტის (1922-1933), შემდეგ კი ბერლინის ჰუმბოლდტის სახელობის უნივერსიტეტის (1933-1945) პროფესორი. 1920-იანი წლების პირველ ნახევარში სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა სავანესთან არსებულმა გამომცემლობამ გამოსცა მ. წერეთლის მიერ ნათარგმნი „გილგამეშიანი" და მისი მონოგრაფიული გამოკვლევა „ხეთის ქვეყანა"

1924 წლის აგვისტოს ეროვნული ამბოხების სისხლში ჩახშობის შემდეგ, იმავე წლის ნოემბერში, კონფედერაციის საფუძველზე, სტამბოლში შეიქმნა კავკასიის ერთა კონფედერაციული ტიპის პოლიტიკური გაერთიანება, – „კავკასიის განმათავისუფლებელი კომიტეტი". დამფუძნებელ აქტზე ხელი მოაწერეს: ქართული პოლიტიკური ემიგრაციის მემარჯვენე ფრთის წარმომადგენლებმა – მიხეილ წერეთელმა, დავით ვაჩნაძემ, ალექსანდრე ასათიანმა; აზერბაიჯანელებისგან – ხოსროვ სულთან-ზადემ, აბდულა ალი ემირჯანმა, შეიხულ ისლამ-ზადემ; ჩრდილო კავკასიელებისგან – ვასან გირეიმ, ჯაბაგიმ (ჩეჩენი), ალიხან კანტემირმა (ოსი), ჰაიტეკ ნამიტოვმა (ჩერქეზი). ამის შესახებ თავის მოგონებებში მოგვითხრობს ქართული პოლიტიკური ემიგრაციის გამოჩენილი მოღვაწე, პოლკოვნიკი დავით (დათა) ვაჩნაძე (იხ.: დავით ვაჩნაძე. სამშობლოს სამსახურში. ჟურნ.

„ივერია“. პარიზი. 35, 1990). კომიტეტს დიდხანს არ უარსებია, 1925 წელს მენშევიკების ინიციატივით შეიქმნა ახალი ორგანიზაცია, – „კავკასიის კონფედერაციის კომიტეტი“ (კ. კ. კ.). სწორედ სოციალ-დემოკრატთა სიმრავლე გახდა მთავარი მიზეზი იმისა, რომ ამ ახალ ორგანიზაციაში არ შევიდა მიხაკო წერეთელი.

1926 წელს ეროვნული ერთობის დარაზმულობა „თეთრი გიორგი“-ს მთავარმა მდივანმა, გენერალმა ლეო კერესელიძემ თავის მოადგილედ და დარაზმულობის პოლიტიკურ ხელმძღვანელად მიიწვია თავისი განუყრელი მეგობარი, პროფესორი მიხეილ წერეთელი. ასე იქცა მიხაკო წერეთელი 30 წლის მანძილზე (1924-1954) ქართული პოლიტიკური ემიგრაციის მემარჯვენე, ეროვნული ფრთის წამყვანი პოლიტიკური ორგანიზაციის, – დარაზმულობა „თეთრი გიორგი“-ს მთავარ იდეოლოგად. ამ ორგანიზაციამ იმდენად ღრმა კვალი დატოვა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი, ანტისაოკუპაციო მოძრაობის ისტორიაში, რომ უფრო ვრცლად მიმოვიხილავთ მის საქმიანობას და მიხაკო წერეთლის, როგორც მისი ერთ-ერთი ლიდერის, როლს.

1924 წლის აგვისტოს ეროვნული ამბოხების დამარცხების და სისხლიანი რეპრესიების შემდეგ აუცილებელი იყო ბოლშევიკური საოკუპაციო რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლის ახალი გზების მოძებნა. საკუთრივ საქართველოში დიდი ორგანიზაციის შექმნა შეუძლებელი იყო. ამიტომ იქმნება მცირერიცხოვანი მობილური არალეგალური ჯგუფები.

განსაკუთრებით გააქტიურდა ქართული პოლიტიკური ემიგრაცია. სწორედ ამ დროს საფრანგეთში დაფუძნდა საქართველოს ეროვნული გმირის, პოლკოვნიკ ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის „შეფიცულთა რაზმი“. ამან დიდი ბიძგი მისცა პოლიტიკური ემიგრაციის ახალგაზრდული არასოციალისტური ფრთის გააქტიურებას.

1924 წლის სექტემბრის დამლევს პარიზში შეიკრიბა პოლიტიკური ემიგრაციის ახალგაზრდული ფრთის 5 წარმომადგენელი შალვა ბერიძის (შემდეგში ნეაპოლის უნივერსიტეტის პროფესორი) ინიციატივით. მათ დააფუძნეს „ქართველ პატრიოტთა ლიგა“.

საბოლოოდ ორგანიზაციას უწოდეს ქართველი არასოციალისტური ახალგაზრდობის ორგანიზაცია „მომავალი". შეადგინეს ათი მუხლისაგან შემდგარი დებულება, რომელიც მთლიანად ქართული ეროვნული სახელმწიფოს აღდგენაზე და ისტორული ტრადიციების განვითარებაზე იყო ორიენტირებული. დებულება გმობდა პარტიებს შორის შუღლს. ამ დოკუმენტის დასკვნითი მე-10 მუხლი ასეთი გახლდათ: „მომავალი" არის თავისუფალი, უწმინდესი შეფიცვა უტყუარის პატრიოტიზმით აღჭურვილი ქართველებისა და საქართველო სამლოცველო დიდებაა მისთვის". აღსანიშნავია, რომ დებულების ფრანგული თარგმანი გამოქვეყნდა ერთ-ერთ ფრანგულ მემარჯვენე პერიოდულ გამოცემაში.

იმავე წლის 24 ოქტომბერს ქაქუცა ჩოლოყაშვილი და მისი შეფიცულები მიწვეულ იქნენ „მომავლის" ერთ-ერთ სხდომაზე. კრებას დაესწრო შეფიცულთა ბელადი, რომელმაც დამსწრეთ გააცნო თავისი წინადადება ორგანიზაციისათვის ეწოდებინათ „თეთრი გიორგი". ამდენად, პატრიოტული დარაზმულობის „თეთრი გიორგი" ნათლია გახლდათ ქაქუცა ჩოლოყაშვილი. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მოგვიანებით შეფიცულნი გახდნენ ამ ორგანიზაციის წევრები. რაც შეეხება თავად ქაქუცას, იგი ბოლომდე ერთგული დარჩა თავისი ოდინდელი კრედოსი – არ ყოფილიყო არც ერთი პოლიტიკური ორგანიზაციის წევრი, თუმცა, იგი ბოლომდე იყო „თეთრი გიორგი"-ს ხელშემწყობი და თანამდგომი, მისი სულიერი წინამძღოლი.

უკვე 1924 წლის 1 ნოემბერს ორგანიზაციაში შედიოდნენ: შალვა ბერიძე, კალისტრატე (კალე) სალია (შემდგომში სორბონის უნივერსიტეტის პროფესორი), ალექსანდრე გრიგოლია (შემდგომში ცნობილი პოლიტოლოგი), ბ. ხუნწარია, მიხეილ კედია (საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაზვერვის სამსახურის ხელმძღვანელის მექი კედიას ვაჟი, შემდგომში ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე), ნიკოლოზ დგებუაძე, ბ. მღებრიშვილი, ელისე პატარიძე (ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ახალგაზრდული ფრთის ერთ-ერთი ლიდერი, ცნობილი პუბლიცისტი და პოლიტიკური მოღვაწე) და დავით მხეიძე.

ორგანიზაციის პირველი საპროგრამო ხასიათის დოკუმენტი, როგორც აღვნიშნეთ, გახლდათ „10 მცნება“, რომელიც გამოქვეყნდა 1925 წლის იანვარში. მაშინ ორგანიზაციას ჯერ კიდევ "მომავალი" ერქვა. დოკუმენტში ჩამოყალიბებული იყო ორგანიზაციის 10 უმთავრესი სამოქმედო პრინციპი. მასში ხაზგასმით იყო დაფიქსირებული დარაზმულობის ზეპარტიული ხასიათი. იმთავითვე ორგანიზაციის ლოზუნგი („ყიჟინა“) იყო: „საქართველო უწინარეს ყოვლისა!“

1925 წლის ნოემბერში, როდესაც ორგანიზაციის წევრთა რაოდენობა უკვე 40-ს აღწევდა, სპარსეთიდან პარიზში ჩავიდა ცნობილი ქართველი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე, გენერალი ლეო კერესელიძე, რომელიც მაშინვე მიიწვიეს „თეთრი გიორგი“-ს ერთ-ერთ სხდომაზე და აირჩიეს მის მთავარ მდივნად. მცირე ხნის შემდეგ ორგანიზაციას შეუერთდნენ გამოჩენილი მეცნიერი და პოლიტიკური მოღვაწე, პროფესორი მიხეილ (მიხაკო) წერეთელი, გენერალი ზაქარია (შაქრო) ბაქრაძე (აკადემიკოს დიმიტრი ბაქრაძის შვილი), ნიკოლოზ (კოკი) დადიანი, ვიქტორ ნოზაძე (ცნობილი რუსთველოლოგი და პოლიტიკური მოღვაწე), ირაკლი ოთხმეზური და სხვანი.

ორგანიზაციის პირველი საპროგრამო დოკუმენტი, – დეკლარაცია, დაამტკიცეს 1925 წელს. უნდა აღინიშნოს, რომ „თეთრი გიორგი“-ს როგორც აღნიშნული დეკლარაცია, ისე შემდგომი პერიოდის საპროგრამო ხასიათის დოკუმენტები შინაარსობრივად ძალზედ ახლოს დგას საქართველოს 1913-1917 წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის უმნიშვნელოვანესი ორგანიზაციების, – ე. წ. „თავისუფალი საქართველო“-ს ჯგუფისა და „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი“-ს ანალოგიური ხასიათის დოკუმენტებთან. შემთხვევითი არ არის, რომ დაფუძნებიდან სულ მცირე ხნის შემდეგ „თეთრი გიორგი“-ს ხელმძღვანელები და მთავარი იდეოლოგები გახდნენ დასახელებული ჯგუფების ლიდერები ლეო კერესელიძე და მიხაკო წერეთელი.

რაც შეეხება საქართველოს სახელმწიფოებრივ მოწყობას, ასეთ ფორმად დარაზმულობის მესვეურთ მიაჩნდათ კონსტიტუციური მონარქია ძლიერი, სრულ პარიტეტზე დამყარებული პარლამენტით („დარბაზი") და ასევე ძლიერი, ქმედითი აღმასრულებელი ხელისუფლებით.

ალბათ, მკითხველი დაინტერესდა, თუ რას ნიშნავს მე-13 ქვეთავში მითითებული „დიდი და დიადი საქართველო" ამიტომ, მთლიანად მოვიტანთ ქვეთავის ტექსტს:

„ერი, რომელსაც გარკვეული მიზანი არა აქვს დასახული და არ მიისწრაფვის სიდიდესა და სიდიადისკენ, – მოკლებულია ეროვნულ დინამიკას, მოწყვეტილია ეროვნულ ძალას, დაჩაჩანაკებულია. ეს საერთოდ არის ასე და ქართველმა ერმა კი უნდა აღიდგინოს ის ისტორიული იდეალი, რომელიც მისი წარსული სიდიადის გამომხატველია. მაგრამ, ქართველ ერს ახლა აქვს თავისი საკუთარი ეროვნული მოთხოვნილებები, რომელიც გამოიხატება რუსეთის მიერ გაჩუქებულ თუ წანართმევ მიწაწყალთა დაბრუნების სურვილით. მოხდება ეს ახლო მომავალში, დიად მიზანთა ერთი უახლოესი მიღწეული იქნება, არა და საქართველოს მთლიანი აღდგენა უნდა იყოს ის მუდმივი წადილი და სწრაფვა, რომელიც აცოცხლებს ერს, ჰბერავს სულს, იწვევს დაჭიმული მუშაობისაკენ, ბრძოლისაკენ...

საქართველოს სიდიადე უნდა გამოიხატოს აგრეთვე მისი ეროვნული კულტურის გაფურჩქვნა-აყვავებაში, მის სულიერ ძალთა უმაღლეს განვითარებაში;

საქართველომ კვლავ უნდა შვას შოთა რუსთაველი!" – ვკითხულობთ დოკუმენტში (იხ.: გაზ. „თეთრი გიორგი". პარიზი. 98, 1936).

რა თქმა უნდა, ბევრს მიამიტ და ბავშვური გულუბრყვილობით დაღდასმულ იმედად მოეჩვენება ყოველივე ეს, მაგრამ აქ გასათვალისწინებელია შემდეგი საყურადღებო მომენტები: 1. მაშინ, როდესაც ზემოხსენებული დოკუმენტი იქმნებოდა, ძალზედ ახალი და ღია გახლდათ ქართველთა ის მოუშუშებელი ჭრილობა, რომელიც გაგვიჩინა ბოლშევიკური რუსეთის მიერ ჩვენი ძირძვე-

ლი ტერიტორიების საქართველოსთვის ჩამოჭრამ და გაჩუქება-შეტკბილისკვერებამ; 2. სწორედ ამგვარი ტექსტი უაღრესად მნიშვნელოვანი იყო კომუნისტური იმპერიის მძიმე ჩექმის ქვეშ მოქცეული ქართველი ერის მებრძოლი სულისკვეთების შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის. ამდენად, სავსებით ცხადია, რომ ამგვარ პასაჟებს გააჩნდა სერიოზული იდეოლოგიური დატვირთვა.

1927-1928 წლებში გამოდიოდა დარაზმულობის გაზეთის „თეთრი გიორგი"-ს სამხედრო დამატება, რომელსაც რედაქტორობდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არმიის გენერალი ალექსანდრე ერისთავი (ქსნის ერისთავთა ჩამომავალი).

გაზეთ „თეთრი გიორგი"-ს ქუდი

1926 წელს პარიზში გამოსვლა იწყო დარაზმულობის გაზეთმა „თეთრი გიორგი", რომლის სამი პარალელური ნომერი 1930 წელს გამოიცა ბერლინში ლეო კერესელიძე უმცროსის (ლეო კერესელიძე უფროსის ძმის შვილი) რედაქციით. გაზეთს სხვადასხვა დროს რედაქტორობდნენ მიხაკო წერეთელი და ვიქტორ ნოზაძე. გაზეთი გამოდიოდა 1939 წლის ჩათვლით (გამოვიდა 106 ნომერი). გარდა ამისა, 1934-1935 წლებში ალ. მანველიშვილის ხელმძღვანელობით პარიზში გამოიცა ორგანიზაციის გაზეთის „მომავალი" 14 ნომერი. 1937-1939 წლებში, პარიზში ვიქტორ ნოზაძის რედაქტორობით გამოდიოდა ჟურნალი „ქართლოსი", ხოლო 1934-1935 წლებში მისივე რედაქტორობით გამოდიოდა ჟურნალი „ორნატი"

როგორც პერიოდული გამოცემის, ისე საკუთრივ დარაზმულობის დასახმარებლად შექმნილი იყო ფონდი, რომელშიც

მუდმივად ირიცხებოდა შემოწირულობები სხვადასხვა ქვეყნებში მოღვაწე ქართველ პოლიტიკურ ემიგრანტთა მიერ.

მეტად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ 1920-1930-იან წლებში საქართველოს ტერიტრიაზე შეიქმნა „თეთრი გიორგი"-ს ორი კონსპირაციული ჯგუფი. პირველმა, რომელიც 1926 წელს შეიქმნა 1920-1930-იანი წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ცნობილი მოღვაწის, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული არმიის ყოფილი ოფიცრის ევგენი (გენო) ღვალაძის (1900-1937) თაოსნობით, იარსება 1937 წლის აგვისტომდე, როდესაც საბჭოთა უშიშროებამ დააპატიმრა ჯგუფის სრული შემადგენლობა. იმავე წლის დამლევს ე. წ. „შინსახკომი"-ს „დიდი სამეული"-ს დადგენილებით ისინი დახვრიტეს.

ევგენ (გენო) ღვალაძე (1900-1937)

მეორე ჯგუფი შეიქმნა 1928 წელს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული არმიის ყოფილი პოლკოვნიკის ალექსანდრე ჭავჭავაძის თაოსნობით. სამწუხაროდ, ჯგუფმა იარსება მხოლოდ 1930 წლის სექტემბრამდე. 1930 წლის 3 ოქტომბერს ალ. ჭავჭავაძე და ჯგუფის სხვა წევრები „გპუ"-ს დადგენილებით დახვრიტეს.

სამწუხაროდ, „თეთრი გიორგი" ვერ ასცდა პოლიტიკური ორგანიზაციებისთვის ესოდენ დამახასიათებელ შიდა უთანხმოებებს: 1936 წელს, ორგანიზაციის მე-4 ყრილობაზე, მოხდა განხეთქილება (იხ.: „თეთრი გიორგის" IV ყრილობა. გაზ. „თეთრი გიორგი". პარიზი. 97-100, 1936). გენერალი ლეო კერესელიძე ჩამოაცილეს დარაზმულობის ხელმძღვანელობას. ამის შემდეგ, 1936-1937 წლებში, „თეთრი გიორგი"-ს მთავარი მდივანი იყო შალვა მაღლაკელიძე (ერთხანს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის წლებში, სამცხე-ჯავახეთის გენერალ-გუბერნატორი, 1941-1944 წლებში კი, როგორც აღვნიშნეთ, მესამე რაიხის „ვერმახტი"-ს „ქართული ლეგიონი"-ს მეთაური, 1944 წლიდან გერმანიის არმიის გენერალი).

ამის შემდეგ, პროფესორ მიხეილ წერეთლის და პროფესორ კალისტრატე სალიას კატეგორიული მოთხოვნით, დარაზმულობის მთავარ მდივნად კვლავ აირჩიეს გენერალი ლეო კერსელიძე, რომელიც ორგანიზაციას ხელმძღანელობდა ტრაგიკულ აღსასრულამდე (1944 წ.).

1937 წლიდან დარაზმულობას ეწოდა „საქართველოს ფაშისტური დარაზმულობა „თეთრი გიორგი". ამას ადასტურებს დარაზმულობის იმჟამინდელი ლიდერის შალვა მაღლაკელიძის 1937 წლის 30 იანვრის დადგენილება (იხ.: ჟ. „ქართლოსი". პარიზი. 1, 1937).

ამასთან დაკავშირებით კვლავ აღვნიშნავთ შემდეგს:

როგორც ზემოხსენებული სახელწოდება დარაზმულობისა, ისე მესამე რაიხის გერმანიაში არსებული ქართული ლეგიონის საქმიანობა არასგზით არ ემსახურებოდა გერმანული ან იტალიური ფაშიზმის ინტერესებს. უპირველესი და ერთადერთი მიზანი იყო ბოლშევიკურ-საბჭოური საოკუპაციო რეჟიმის მარწუხებიდან საქართველოს გამოხსნა და ქართული ეროვნული სუვერენული სახელმწიფოს აღდგენა. ამაზე ზედმიწენით მეტყველებს დარაზმულობის 1937 წლის საპროგრამო ხასიათის მასალები (ჟ. „ქართლოსი". პარიზი. 1, 1937), ალექსანდრე მანველიშვილის ხელნაწერი მოგონება „თეთრი გიორგი" (დაცულია თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ემიგრაციის ისტორიის მუზეუმში) და სხვა მნიშვნელოვანი მასალები. რად ღირს თუნდაც ის ფაქტი, რომ ჟურნალ „ქართლოსი"-ს აქტიური თანამშორმლები იყვნენ დიდი მამულიშვილები ექვთიმე თაყაიშვილი და გრიგოლ რობაქიძე (რომელიც ემიგრირების შემდეგ აქტიურად მონაწილეობდა „თეთრი გიორგი"-ს საქმიანობაში).

1941 წლის ივნისში საბჭოთა იმპერიაზე გერმანიის თავდასხმამ იმედი ჩაუსახა ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციას იმისა, რომ ამ მომენტის გამოყენებით შესაძლებელი გახდებოდა საქართველოს დახსნა ბოლშევიკურ-საბჭოური იმპერიის მარწუხებიდან. მესამე რაიხი ქართული პოლიტიკური ემიგრაციისათვის და კეძოდ, „თეთრი გიორგი"-სთვის იყო მხოლოდ გზა, საშუალება ამ სანუკვარი მიზნის მისაღწევად.

1941 წელს „ვერმახტი"-ს შემადგენლობაში ჩამოყალიბდა „ქართული ლეგიონი", რომლის შექმნის ერთ-ერთი მოთავე იყო ყოფილი თეთრგიორგელი, პოლკოვნიკი შალვა მაღლაკელიძე, რომელმაც 1944 წელს მიიღო ვერმახტის გენერლის ხარისხი. ლეგიონის ქართველ ოფიცერთა და ლეგიონერთა დიდი ნაწილი „თეთრი გიორგი"-ს წევრები იყვნენ.

1942 წლის მარტში მოხდა „ქართული ნაციონალ-სოციალისტური ჯგუფის" და „თეთრი გიორგი"-ს გაერთიანება ერთ მძლავრ ორგანიზაციად, რომელსაც ეწოდა „ქართული ნაციონალ-სოციალისტური პარტია – „თეთრი გიორგი". მის თავმჯდომარედ არჩიეს პროფესორი მიხეილ (მიხაკო) წერეთელი, ხოლო მოადგილეებად – დოქტორი გიორგი მაღალაშვილი და გენერალი ლეო კერესელიძე. მეტად საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ხსენებული სტრუქტურის ჩამოყალიბება ნაკარნახევი იყო კონკრეტული პრაქტიკული საჭიროებებით და არა იდეოლოგიური მოსაზრებებით. სწორედ ამიტომ მიხეილ წერეთელი კატეგორიულად წინააღმდეგი იყო ორგანიზაციის წესდებისა და პროგრამის ემიგრაციაში დამტკიცებისა, ვინაიდან მისი და ორგანიზაციის სხვა ხელმძღვანელთა ღრმა რწმენით, წესდება და პროგრამა უნდა მიეღოთ მხოლოდ გათავისუფლებულ საქართველოში, ადგილობრივი სპეციფიკისა და პირობების ზედმიწევნითი გათვალისწინებით, რათა ორგანიზაცია, მისი სტრუქტურული წყობა და კონცეფცია მთლიანად დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს ინტერესებთან ყოფილიყო მისადაგებული. მანამდე, ორგანიზაციას ექნებოდა დროებითი დებულება.

ქართველი ერი

ქართული ეროვნული კომიტეტის ორგანო

№ 1/2 იანვარი – ივლისი 1943 ბერლინი

„ქართული ეროვნული კომიტეტის" ჟურნალი „ქართველი ერი", 1 ნომრის (1943 წ.) ქუდი.

ომის დასრულებისთანავე ბერლინში მყოფმა ქართულმა ეროვნულმა პოლიტიკურმა ძალებმა, მათ შორის „თეთრი გიორგი“-ს დარაზმულობამ, მიუხედავად გადაინაცვლეს. 1944 წელს გენერალ ლეო კერესელიძის დაღუპვამ და ომის დროს ორგანიზაციის შემადგენლობაში სერიოზულმა დანაკარგებმა მნიშვნელოვანი დარტყმა მიაყენა ორგანიზაციას. მთავარი მდივნის მოვალეობას ასრულებდა მიხეილ ნერეთელი.

„თეთრი გიორგი“-ს ნორმალური საქმიანობის აღდგენის მიზნით პარიზში მოიწვიეს კონფერენცია. კონფერენციაზე არ მიიწვიეს დარაზმულობის ის წარმომადგენლები, რომლებიც შემჩნეულნი იყვნენ საბჭოთა იმპერიის დიპლომატიურ წარმომადგენლებთან, კერძოდ ვინმე თავაძესთან კავშირში. ასეთ პიროვნებათა შორის, სამწუხაროდ, იყო კალისტრატე სალიაც. ამაზე ხაზგასმით მიუთითებს ალ. მანველიშვილი „თეთრი გიორგი“-ს შესახებ თავის ხელნაწერ ნაშრომში. მიუხედავად ამისა, კონფერენციამ გაითვალისწინა რა კ. სალიას წარსული დიდი დამსახურება დარაზმულობის წინაშე, იგი დატოვა ორგანიზაციის წევრად.

ვინაიდან, ომის დასრულების შემდეგ დარაზმულობას არ გააჩნდა საკუთარი პერიოდული გამოცემა, 1948 წლიდან ორგანიზაციის გაუქმებამდე, „თეთრი გიორგი“-ს მასალებს ადგილს უთმობდა კ. სალიას და მისი მეუღლის ნინო ქურციკაშვილის მიერ დაარსებული ჟურნალი „ბედი ქართლისა“.

1950-იანი წლების პირველ ნახევარში ორგანიზაციის საქმიანობისათვის თვალის გადევნების საშუალებას გვაძლევს ჟურნალში „ბედი ქართლისა“ გამოქვეყნებული პუბლიკაციები.

1951 წლის მარტში გამოქვეყნებულ ორგანიზაციის სამდივნოს განცხადებაში ვკითხულობთ:

„ვითვალისწინებთ რა, დღევანდელ მსოფლიო პოლიტიკურ მდგომარეობას და ქართველთა მოქმედების პირობებს უცხოეთში, გამოვსთქვამთ სურვილს, რომ საჭიროა მოხდეს ემიგრაციაში არსებულ ყველა ეროვნულ ძალთა გაერთიანება და შეთანხმებული მუშაობის წარმოება.

უნდა შეიქმნას ქართული პოლიტიკური ცენტრი პარიზში, სადაც იმყოფება საქართველოს ნაციონალური მთავრობა და პოლიტიკურ პარტიათა ხელმძღვანელობა.

ამ ცენტრს უნდა დაუქვემდებაროს ყოველმა ქართველმა თავისი ეროვნული საქმიანობა.

თანახმად ჩვენი მოძრაობის მეთაურის პროფ. მიხეილ წერეთლის დირექტივებისა, თეთრი გიორგი მიიღებს მონაწილეობას მხოლოდ ისეთ გაერთიანებაში, რომლის ხასიათი და მიზანი არ ეწინააღმდეგება ზემოთქმულს" (იხ.: ჟურნ. „ბედი ქართლისა". პარიზი. 9, 1951).

საგულისხმოა „თეთრი გიორგი"-ს 1952 წლის საგანგებო განცხადება, რომელშიც ვკითხულობთ:

1. „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა" ცნობილი იურიდიულად მრავალ სახელმწიფოთა და თვით საბჭოთა რუსეთის მიერ, დაპყრობილ იქნა 1921 წ. ვერაგულად თავდასხმით იმავე რუსეთისაგან, რომელმაც ამით მოსპო დამოუკიდებელი სახელმწიფო საქართველო და ამასთანავე გაამეფა იქ წეს-წყობილება მონობისა და ტერორისა.

2. ქართველმა ერმა პირველი დღიდანვე მისი დაპყრობისა აღმართა დროშა ბრძოლისა როგორც პოლიტიკურ-ეროვნული, ისე სოციალური დამონების წინააღმდეგ და მრავალ წელთა ბრძოლაში სისხლით დაიცალა იგი, შესწირა რა საუკეთესო ნაწილი თვისი წმიდა საქმეს სახელმწიფოსა და თავისუფლების აღდგენისა.

3. უცხოეთში გადმოხვეწილ თვის კანონიერ მთავრობას და პოლიტიკურ მებრძოლთ მან გამოგვატანა თან იგივე დროშა თვისი, რომელიც აქ უნდა გვეტარებინა განსაგრძობათ მისი ბრძოლისა ორი მიზნის მისახწევად: უკუ-გდებად რუსეთის ძალადობისა და აღდგენად საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობისა და გაუქმებად ბოლშევიზმისა მისს მიწაზედ და თავისუფალი სოციალური წეს-წყობილების კვლავ დასამყარებლად.

4. უცხოეთში ჩვენი პოლიტიკური ემიგრაცია იბრძოდა დღემდე ჩვენი კანონიერი მთავრობის მეთაურობით, რომელსაც

ხელთ ეპყრა ქართველი ერისაგან მიცემული დროშა, ყველა იმ საშუალებით, რომელიც მოეპოვება სამშობლოს გარეთ მყოფთ სამშობოსათვის საბრძოლველად, და ყველა იმ ერთა პოლიტიკურ მებრძოლებთან ერთად, რომელთაც ეწვია ჩვენივე ბედი უცხო სახელმწიფოს მიერ დაპყრობისა და დამონებისა.

5. ხოლო დღეს დადგა საკითხი ჩვენი თანამშრომლობისა ემიგრანტ რუსთა პოლიტიკურ პარტიებთან, რომლის არა-სწორ განჭვრეტას შეუძლია სავსებით წაართვას აზრი მთელს ჩვენს აქამდე მოქმედებას ემიგრაციაში და გაუმართლებელ ჰყოს თვით არსებობა ქართული პოლიტიკური ემიგრაციისა.

6. არც ერთი იმპერია არ შეელევა არც ერთს თვისს ნაწილს, თუ არა იძულებული თვით დაპყრობილ ერთა ბრძოლით, ომით ან სხვა გარემოებით, ყოველ იმპერიას თვისი „იმპერიალისტური" მიზნები აქვს და ამ მიზნების მიღწევისათვის სჭირდება მას ყოველი კუთხე თვისი ტერიტორიისა. ამიტომ უფლებანი იმ ერთა, რომელთა მიწები მოქცეულია მისს საზღვრებში, ან სულ არ არიან ცნობილნი მისგან, ან მხოლოდ ნაწილობრივ, მაგრამ უფლება მათი სახელმწიფოებრივი არსებობისა არასოდეს.

7. ანტიბოლშევიკური რუსული პოლიტიკური აზროვნება ამ მხრივ სრულიად არ განსხვავდება ბოლშევიკურისაგან, განსხვავება მათ შორის ის არის, რომ ბოლშევიკებს სურთ მათ მიერ შექმნილი ბოლშევიკური რუსული იმპერიის დაცვა და კიდევ გადიდება, ხოლო ანტიბოლშევიკურ – რუს იმპერიალისტებს იგივე იმპერია ბოლშევიკების მიერ განდიდებული, ხოლო უბოლშევიზმოთ.

8. ქართული პოლიტიკური ემიგრაციის მიზანი კი არის რუსეთის მონობისაგან დახსნა საქართველოსი და აღდგენა მისი სახელმწიფოსი, აგრეთვე უბოლშევიზმოთ, მაგრამ ურუსოდ.

9. ჩვენ და რუსების ამ მიზანთა წინააღმდეგობის მოსპობა და შექმნა ჩვენი თანამშრომლობის საფუძვლისა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ გვექნება ერთი და იგივე მიზანი ბოლშევიზმის დამხობისა, ხოლო არც ერთ საკითხში, რომელიც საქართველოს სუვერენობის აღდგენას შეეხება, ჩვენ

შორის დავა არ იქნება: ე. ი. თუ რუსები სცნობენ საქართველოს დამოუკიდებლობას მართლად, ცხადათ და საქვეყნოდ, აგრეთვე საბჭოთა რუსეთის საზღვრებში მოქცეულ სხვა ერთ უფლებას მათი პოლიტიკური ბედის გადაწყვეტისა მათივე ნებით – მაშინ ჩვენთვის მისაღებია ყველა ანტიბოლშევიკურ ორგანიზაციაში მონაწილეობის მიღება და მოქმედება რუსებთან ერთად, ექნება რა თანასწორი უფლება ყველა ბოლშევიზმის წინააღმდეგ მებრძოლი ერის წარმომადგენელს.

10. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ საქართველოს აქ მყოფი მთავრობის მიერ არ იქნება გადადგმული არც ერთი ნაბიჯი, რომელიც მის თვით – გაუქმებას მოასწავებს. მთავრობა მთავრობად უნდა დარჩეს, საქართველოს კანონიერ მთავრობად და მის მიერ რაიმე პრაქტიკული მოსაზრებით რუსების ისეთ წინადადებათა მიღება, რომელიც კანონიერებას ახდიან მას, ჩვენი პოლიტიკური ბრძოლის დროშის კანონიერ მპყრობელთა დაცემას ნიშნავს.

11. ვერც ერთს ორგანიზაციაში, ვერც უცხოსა და ვერც ქართულში, ჩვენ მონაწილეობას ვერ მივიღებთ, თუ იგი არ ხელმძღვანელობს მით, რაც ჩვენ მიერ ზემოთ არის აღნიშნული.

12. დასასრულ, მოვუწოდებთ ყველა პოლიტიკურ მებრძოლთ ჩვენი ემიგრაციისა საქართველოს დამოუკიდებლობის დროშის ირგვლივ შემოკრბენ ბრძოლის განსაგრძობად.

გვეპყრას მტკიცე ხელით ეს დროშა, შეუბღალავი და ჯერ არვის და არაფრის წინაშე დახრილი!"

„ბედი ქართლისა"-ს იგივე ნომერში გამოქვეყნებულია „თეთრი გიორგი"-ს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ 1952 წლის 30 იანვარს მოძრაობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს პროფ. მიხეილ წერეთელი, მოადგილეებად – კ. სალია და დ. კლდიაშვილი, მდივნად – აკ. გამსახურდია, წევრებად – აკ. გამსახურდია, შ. გიორგაძე, ა. გომართელი, მ. კერესელიძე, მ. კვიტაშვილი, დ. კლდიაშვილი, გ. კობახიძე, ირ. ოთხმეზური, კ. სალია, შ. ჩუბინიძე და ვ. ცხომელიძე (იხ.: ჟურნ. „ბედი ქართლისა". პარიზი. 11, 1952).

1952 წლის ნოემბერში გამოქვეყნდა წერილი „განმარტება“, რომელსაც ხელს აწერს „თეთრი გიორგი“-ს ხელმძღვანელობა. წერილი თარიღდება 1952 წლის 25 ოქტომბრით. მასში ვკითხულობთ:

„მებრძოლი საქართველო“-ს 6) ბიულეტინში მოთავსებულია ქ. ე. ს. კომიტეტის შემდეგი განცხადება: „რაც შეეხება „თეთრი გიორგი“-ს საბჭოდან გასვლას, ჩვენთვის გაუგებარია ეს დემონსტრაცია; არც საერთოდ და არც განსაკუთრებით იმ მომენტში, როცა ეს მოხდა, მას არ ჰქონდა არავითარი გასამართლებელი მიზეზებიო“.

არ ვიცით, რისთვის დასჭირდა კომიტეტს ისეთი უცნაური და არა-მართალი ცნობის მოთავსება, როდესაც მან მშვენივრად იცის მიზეზები ჩვენ მიერ გადადგმული ნაბიჯისა, რომელიც მისთვის სრულებით მოულოდნელი არ იყო და მის ხელთ არის ჩვენი განცხადებაც, გაგზავნილი 5 ივლისის თარიღით კომიტეტიდან და საბჭოდან გამოსვლის შესახებ.

მთავარი უთანხმოების გამომწვევი ჩვენ და კომიტეტს შორის იყო თავიდანვე რუსებთან თანამშრომლობის საკითხი, რომლის შესახებ ჩვენი შეხედულება არა ერთხელ იყო განცხადებული საჯაროთ ჩვენ მიერ და პრესსაშიც გამოქვეყნებული (იხ. „ბედი ქართლისა“. 11-12), ამიტომ მისი განმეორება აქ საჭიროთ არ მიგვაჩნია, ვიტყვით მხოლოდ: დღეს მაინც, ამდენი ცდების შემდეგ, ცხადი უნდა იყოს კომიტეტისათვის, რომ ერთი მეორის მოუტყუებლად და საქართველოს დამოუკიდებლობის პრინციპის შეულახავად შეუძლებელია თანამშრომლობა რუსებთან, რომელთა მთავარი მიზანია ამა თუ იმ ფორმით მთლიანი და განუყოფელი რუსეთის შენახვა. ამ იდეის დასაცავად ისინი გაშმაგებულ პროპაგანდას ეწევიან ყველგან და ცდილობენ დაარწმუნონ დაინტერესებული წრეები, რომ საბჭოთა კავშირში შემავალი ერები მხოლოდ ბოლშევიკურ რეჟიმს ებრძვიან და არა რუსეთის ბატონობას, რომ ამ ერთა საკითხი რუსეთის შინაური საქმეა, რომელსაც ის მოაგვარებს თვითონ რეჟიმის დამხობის შემდეგ და სხვ.

ჩვენ ამის საწინააღმდეგო ზომები უნდა მიგვეღო.

საჭირო იყო დარაზმვა მოსკოვის მიერ დაპყრობილი ერებისა და შეერთებული ძალებით ჩვენი უფლებების დასაცავად ენერგიული მოქმედება.

საჭირო იყო დაკავშირება და თანამშორმლობა უკვე არსებულ, სატელიტებად წოდებულ სახელმწიფოთა ანტიბოლშევიკურ ფრონტთან. ჩვენ ვიცით, რომ ამის შესაძლებლობა არსებობდა.

საჭირო იყო ყველა საშუალებებით გამაგრება ამერიკულ კომიტეტში იმ მიმართულებისა, რომელიც დაჩაგრულ ერებს თანაუგრძნობდა.

ქართულ კომიტეტს ამ მიმართულებით უნდა ემუშავა.

იმედებიც იყო დადებითი შედეგების მიღწევისა. სამწუხაროდ, მან სხვა გზა აირჩია, გზა, ჩვენი რწმენით მიუღებელი.

„თეთრი გიორგის" წადილი იყო აგრეთვე სრული და ნამდვილი საბჭოს შექმნა, სადაც ყველა ქართული პოლიტიკური ორგანიზაციები იქნებოდა წარმოდგენილი. ამიტომ მოვითხოვდით კატეგორიულად საბჭოს დაარსების დროს მისი ყრილობის გადადებას, და ჩვენი წინადადებით იყო მიღებული კომიტეტის და საბჭოს მხოლოდ ექვსი კვირით არჩევა. რვა თვის განმავლობაში კომიტეტში ჩვენი მუშაობის შედეგი ის იყო, რომ არც ერთი ჩვენი მოთხოვნილება არ იქნება დაკმაყოფილებული და აღსრულებული.

ჩვენ და ქ. ე. ს. კომიტეტის ხაზის სრული სხვა და სხვაობა საბოლოოდ გამოაშკარავდა ჩვენთვის 18 ივნისის შტარენბურგის კონფერენციის დროს. ამ დღითგან ცხადი შეიქმნა, რომ კომიტეტი თავის ხაზს არ შეცვლიდა და უკვე არავითარი მიზანი არ ჰქონდა იქ ჩვენს დარჩენას. მაგრამ თუ საბჭოდან გამოვედით მის ყრილობამდე, ეს იმიტომ, რომ არ გვქონდა გარანტია კომიტეტი შესძლებდა მოკლე ხანში ყრილობის მოწვევას (ეს იყო ივნისში), ხოლო იგი საბჭოს სახელით მოქმედებდა და ჩვენ არ გვინდოდა პასუხისმგებლობა გაგვეზიარებინა იმ საქმიანობისა, რომელიც ჩვენ აღარ გვწამდა და სწორედ არ მიგვაჩნდა" (იხ.: ჟურნ. „ბედი ქართლისა". პარიზი. 13, 1952).

მიხაკო წერეთელი მეუღლესთან ერთად

ამდენად, სავსებით ნათელია, რომ დარაზმულობა „თეთრი გიორგი" მუდამ უკომპრომისოდ იცავდა ქართულ ეროვნულ იდეას და ქართველი ერის ინტერესებს.

1929 წელს ჰაიდელბერგის უნივერსიტეტმა გერმანულ ენაზე გამოსცა მ. წერეთლის მონოგრაფია „ახლადაღმოჩენილი ქალდეური წარწერები".

1933-1953 წლებში საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალის „reviu d'asirioloJi" (ბელგია) ნოემრებში გამოქვეყნდა მისი სტატიების სერია ურარტუს ისტორიის საკითხებზე. მ. წერეთელი აირჩიეს ამ ჟურნალის სარედაქციო საბჭოს წევრად.

1933 წელს ბერლინში გამოიცა სულხან-საბა ორბელიანის ცნობილი თხზულების „სიბრძნე სიცრუისა" მიხეილ წერეთლისეული გერმანული თარგმანი.

მეორე მსოფლიო ომის წლებში მ. წერეთელი განაგრძობდა აქტიურ ეროვნულ-პოლიტიკურ და სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას.

1942 წლის აპრილში მესამე რაიხის საგარეო საქმეთა სამინისტროს აღმოსავლეთის საქმეების კომისარმა, ქართველთა დიდმა მეგობარმა გრაფმა ფრიდრიხ ვერნერ ფონ დერ შულენბურგმა ბერლინში მიიწვია ქართული პოლიტიკური ემიგრაციის

თვალსაჩინო წარმომადგენლები, მათ შორის „თეთრგიორგელები": გენერალი ლეო კერესელიძე, პროფესორი მიხეილ (მიხაკო) წერეთელი, მედიცინის დოქტორი გიორგი მაღალაშვილი, იმხანად პოლკოვნიკი (მოგვიანებით გენერალი) შალვა მაღლაკელიძე, პროფესორი ზურაბ ავალიშვილი, ისტორიის დოქტორი ალექსანდრე მანველიშვილი და არჩილ გომართელი. შულენბურგმა შეკრებილთ შესთავაზა „ქართული პოლიტიკური კომიტეტის" შექმნა. თათბირი მიმდინარეობდა ბერლინის ცნობილ სასტუმროში „ადლონი". მომავალი კომიტეტის თავმჯდომარედ იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრმა, გრაფმა ჩიანომ თათბირის მონაწილეებს შესთავაზა ირაკლი ბაგრატიონ-მუხრანელის კანდიდატურა. ამან სტიმული მისცა მონაწილეთა მიერ მონარქიის აღდგენის იდეის განხილვას. შეარჩიეს ორი კანდიდატი – ირაკლი ბაგრატიონ-მუხრანელი და ბაგრატიონთა ჩამომავალი, თავადი სვიმონ ციციშვილი. საბოლოოდ, მომავალი სუვერენული საქართველოს მეფედ, სვიმონ ციციშვილის წინადადებით, დასახელდა ირაკლი ბაგრტიონ-მუხრანელი (იხ.: კრებული „შალვა ამირეჯიბი". ტომი II. თბილისი. 1998, გვ. 254). რაც შეეხება „ქართულ ეროვნულ კომიტეტს", საბოლოოდ მის თავმჯდომარედ აირჩიეს პროფესორი მიხეილ წერეთელი (იხ.: დავით ვაჩნაძე. სამშობლოს სამსახურში. ჟურნ. „იველია". პარიზი. 35, 1990).

საბოლოოდ, შულენბურგის პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა საბჭოთა იმპერიაში შემავალი ქვეყნების დამოუკიდებელ სახელმწიფოებად გამოცხადებას, ჰიტლერმა არ დაამტკიცა. გრაფი შულენბურგი იძულებული გახდა საკითხის შემდგომი განხილვა აღმოსავლეთის სამინისტროსათვის დაეთმო (იხ.: გიეი გაბლიანი. ეორე მსოფლიო ომი და ქართველები, ჟურნ. „იველია", პარიზი, 11, 1981, გვ. 9).

„ქართულ ეროვნულ კომიტეტს", მიხეილ წერეთლის, ზურაბ ავალიშვილის, სპირიდონ კედიას და გიორგი მაღალაშვილის შემადგენლობით, ევალებოდა თანამშრომლობა გერმანიასთან, კომიტეტში ქართველ პოლიტემიგრანტთა გაერთიანება, მათი ხელმძღვანელობა და მათზე ზრუნვა (იხ.: გიორგი მაღალაშვილი.

ქართული ცენტრი. ჟურნ. „ქართველი ერი". ბერლინი. 1-2, 1943, გვ. 1-2). კომიტეტის საქმიანობის უმთავრესი მიზანი იყო საერთო იდეით ქართველთა გაერთიანება, მესამე რაიხის ფარგლებში ყველა ქართული საქმის ხელმძღვანელობა და ქართველი ერის ინტერესების დაცვა.

„სამწუხაროდ, იმ თავიდან ქართველთა მონაწილეობას ამ დიდ ბრძოლაში ხელმძღვანელი არ ჰყავდა, არ არსებობდა ერთიანი ქართული ორგანო, რომელსაც უნდა აეღო ხელში მთელი საქმე სათანადო გერმანულ უწყებებთან შეთანხმებით. ასეთი ცენტრის არ არსებობა დიდი დანაკლისი იყო ჩვენი ეროვნული საქმისათვის. დიდი სიხარულით შევხვდით ჩვენ რამოდენიმე თვის წინ ასეთი ცენტრის დაარსებას, რომელსაც სათავეში მოექცნენ როგორც საქართველოში, ისე მის გარედაც კარგად ცნობილი და ეროვნულ ბრძოლებში გამობრძმედილი სანდო პატრიოტები. ქართულ საქმეს მფარველი და პატრონი გაუჩნდა",– აღნიშნავდა „თეთრი გიორგი"-ს თვალსაჩინო მოღვაწე, ცნობილი მეცნიერი-ისტორიკოსი, პროფესორი კალისტრატე სალია (იხ.: კალისტრატე სალია. ეროვნული ძალები ქართული კომიტეტის ირგვლივ, ჟურნ. „ქართველი ერი". ბერლინი. 1-2, 1943, გვ. 4-5).

კომიტეტის მესვეურთა ძალისხმევით ბერლინში დაიწყო ჟურნალ „ქართველი ერის" გამოცემა. ჟურნალის რედაქტორად დამტკიცდა გიორგი მაღალაშვილი. 1944 წლის ნოემბრამდე გამოვიდა ჟურნალის 15 ნომერი. კომიტეტის დათხოვნის შემდეგ, 1943 წლის ოქტომბერში, მისი გამოცემა შეჩერდა. მცირე ხნის შემდეგ, 1944 წლის აპრილიდან, ჟურნალის გამოცემა განახლდა. მას უძღვებოდნენ გიორგი მაღალაშვილი, დოქტორი ვიქტორ ნოზაძე, ისიდორე მანწკავა და რედაქციის მდივანი ილია კუჭუხიძე (იგივე მინდია ლაშაური).

ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარედ კვლავ მიხაკო წერეთელი დაინიშნა. „პროფესორი მიხეილ წერეთელი მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე ებრძოდა ჯერ რუსულ თვითმპყრობელობას, ხოლო შემდეგ ბოლშევიზმს საქართველოს უფლებების დასაცავად, ბ-ნი მ. წერეთელი არის მედროშე და მებუკე საქართველოს

ეროვნული ბრძოლისა", – აღნიშნავდა გ. მაღალაშვილი (იხ.: მისი წერილი „ქართული ცენტრი". ჟურნ. „ქართველი ერი". 1-2, 1943). კომიტეტის და ჟურნალის საქმიანობაში აქტიურად მონაწილეობდნენ: ლეო კერესელიძე, გიორგი მაღალაშვილი, კალისტრატე სალია, ზურაბ ავალიშვილი, დათა ვაჩნაძე, გრიგოლ რობაქიძე, გიორგი კვინიტაძე, ირაკლი ბაგრატიონ-მუხრანელი, დავით საღირაშვილი, ალექსანდრე ნიკურაძე, ვალერიან ტოგონიძე, ტიტე მარგველაშვილი, გივი კობახიძე, ილია კუჭუხიძე და სხვანი.

1943 წლის 26 მაისს გერმანიის და საქართველოს ეროვნული დროშებით მორთულ „ბახის დარბაზში", ეროვნული კომიტეტისა და ქართული სათვისტომოს გამგეობის მიერ მოწყობილ ზეიმზე, თავი მოიყარა დიდძალმა საზოგადოებამ. საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო საღამო გახსნა ქართული სათვისტომოს თავმჯდომარემ, დოქტორმა ტიტე მარგველაშვილმა. „დიდების" შესრულების შემდეგ შეკრებილთ გერმანულ ენაზე მიმართა ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარემ, პროფესორმა მიხეილ წერეთელმა. წინამდებარე გამოცემის დანართში სრული სახით ვაქვეყნებთ ამ შესანიშნავ სიტყვას. პროფესორმა ბლაიხშტაინერმა წაიკითხა მოხსენება „ქართული საგმირო თქმულებანი". დავით (დათაშკა) კავსაძის ყოფილ ქართველ სამხედრო ტყვეთა გუნდმა შეასრულა ქართული სიმღერები და ცეკვები (იხ.: გივი კობახიძე. 26 მაისის დღესასწაული ბერლინში 1943 წელს. ჟურნ. „ქართველი ერი" ბერლინი. 1-2, 1943, გვ. 24-26).

1943 წლის შემოდგომაზე ჰიტლერის ბრძანებით ეს კომიტეტიც დაიშალა. მისი ადგილი დაიკავა ახალმა ორგანიზაციამ, – „ქართულმა სამოკავშირეო შტაბმა", რომელსაც სათავეში ჩაუდგა ყოფილი თეთრგიორგელი მიხეილ კედია. მიხაკო წერეთელმა აქტიური პოლიტიკური მოღვაწეობა განაგრძო, როგორც „თეთრი გიორგი"-ს ლიდერმა.

ვლაპარაკობთ რა მეორე მსოფლიო ომის წლებში მიხაკო წერეთლის და მისი ხელმძღვანელობით მოქმედი პოლიტიკური ორგანიზაციების მოღვაწეობაზე, ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ,

რომ ამოძრავებდათ ერთადერთი წმინდა და სანუკვარი მიზანი: სამშობლოს გამოხსნა საბჭოთა იმპერიის მარწუხებიდან. ამასთან, ისინი არ ემსახურებოდნენ ნაცისტურ იდეოლოგიას, ისინი ზემოხსენებული მიზნის ხორცშესხმისათვის იყენებდნენ მესამე რაიხს და მის ომს საბჭოთა იმპერიის წინააღმდეგ.

როგორც ვთქვით, სახელოვანი მამულიშვილი განაგრძობდა აქტიურ სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას ასირიოლოგიის, ურარტოლოგიისა და შუმეროლოგიის დარგებში. 1933-1945 წლებში მიხაკო წერეთელი გახლდათ ბერლინის ჰუმბოლდტის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი და კათედრის გამგე (მანამდე, 1921-1933 წლებში იგი კათედრას განაგებდა ბრიუსელის უნივერსიტეტში). როფესორი მიხეილ წერეთელი იყო გამოჩენილი რუსთველოლოგიც, გამოაქვეყნა რა ამ დარგში არაერთი მნიშვნელოვანი ნაშრომი. 1975 წელს პარიზში გამოიცა „ვეფხისტყაოსნის“ წერეთლისეული გერმანული პროზაული თარგმანი.

მიხაკო წერეთლის ვაჟი, ოთარი (1902-1944)

უმძიმესი იყო სახელოვანი მამულიშვილისთვის 1945 წელი: აღნიშნულ წელს ბრმა შემთხვევამ იმსხვერპლა მისი ერათადერთი ვაჟი, – ოთარ წერეთელი.

1945 წლიდან იგი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა მიუნხენში. სიცოცხლის ბოლომდე აქტიურად თანამშრომლობდა მიუნხენის უნივერსიტეტთან და მიუნხენის აღმოსავლეთ ევროპის და სსრ კავშირის შემსწავლელ ინსტიტუტთან.

მიხეილ წერეთელი იყო ქართული ემიგრანტული პერიოდული პრესის აქტიური თანამშრომელი. მისი უშუალო მონაწილეობით პარიზში დაარსდა სამეცნიერო ჟურნალი „ბედი ქართლისა“, რომელშიც გამოქვეყნებულია მ. წერეთლის არაერთი საყურადღებო წერილი. მისი საყურადღებო ნაშრომებია გამოქვეყნებული, აგრეთვე, პროფესორ ვიქტორ ნოზაძის რედაქტო-

რობით პარიზში გამომავალ ჟურნალში „კავკასიონი" გარდა ამისა, მიხაკო წერეთელი იყო ლონდონში გამომავალი ინგლისურენოვანი სამეცნიერო ჟურნალის „Georgica" სარედაქციო საბჭოს უცვლელი წევრი. ამ ჟურნალში გამოქვეყნდა მისი ქართველოლოგიური ხასიათის არაერთი მნიშვნელოვანი ნაშრომი. მისი საერთაშორისო სამეცნიერო სამყაროს მიერ აღიარებული ნაშრომებია გამოქვეყნებული საერთაშორისო ჟურნალში „Revue d'Assyriologie". განსაკუთრებით აღსანიშნავია ე. წ. „კელიშინის სტელის" ასურულად ნათარგმნი ურარტული ტექსტის კრიტიკული პუბლიკაცია (ტ. 47, 1953), რომელსაც ფართო გამოხმაურება ხვდა წილად. უაღრესად ფასეულია მიხაკო წერეთლის გამოკვლევა „ვეფხისტყაოსნის" ტექსტისათვის", რომელიც გამოქვეყნდა ჟურნალის „ბედი ქართლისა" მე-12 – მე-16 ნომრებში (პარიზი. 1952-1954 წწ.). ნაშრომი მიჩნეულია რუსთველოლოგიის სფეროს ერთ-ერთ საეტაპო გამოკვლევად.

მიხაკო წერეთლის საფლავთან (ლევილი, 1990 წ.)

გარდაიცვალა მიხაკო წერეთელი 1965 წელს, 87 წლის ასაკში. მოგვიანებით მისი ნეშტი მიუნხენიდან გადაასვენეს საფრანგეთში, ლევილის ქართველთა სასაფლაოზე.

მარიამ რეგენფუსი, პროფესორ მიხეილ (მიხაკო) წერეთლის შვილიშვილი.

და ბოლოს, გვსურს თხრობა დავასრულოთ მიხაკო წერეთლის სიტყვებით, რომლებიც ზედმიწევნით ახასიათებს მათ ავტორს: „უფლება არსებობისა და ხელშეუხებლობისა, თანასწორობა სრული და სამართლიანი, უფლება რომელიმე ფორმის სახელმწიფოს დაარსებისა, უფლება საზოგადოებათა, საზოგადოების წინაშე სამართლის პოვნისა და თანასწორი სამართლიანი ვალდებულება მის წინაშე, აი, ერის უფლება“ (იხ.: Baton. ერი და კაცობრიობა. 1910. გვ. 253). სწორედ ქართველთა შეგინებული და შელახული ეროვნული ღირსების აღდგენას მიუძღვნა მიხაკო წერეთელმა მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება. დღეს გერმანიაში ცხოვრობს და მოღვაწეობს ჩვენი სახელოვანი თანამემამულის შვილიშვილი მარიამ რეგენფუსი.

დანართი

მიხაკო წერეთლის ზოგიერთი რჩეული პუბლიკაცია

როგორ უნდა მოვრიგდეთ?

ორი უზარმაზარი, გიგანტიური ძალა იბრძოდა ურთიერთის წინააღმდეგ როგორც რუსეთში, ისე საქართველოში. განსაკუთრებით საქართველოში გამოიხატა ეს ბრძოლა უფრო მკაფიოდ, უფრო მძლავრად, უფრო იდეურად, უფრო ღრმად.

ჩვენ ამას ეროვნული თავმოყვარეობა არ გვალაპარაკებს. ეს ფაქტია, რომელსაც არ უარჰყოფს არც ერთი ნამდვილად საქმის ვითარების მცოდნე და თვალ-ყურის მადევნებელი ჩვენში დაწყებული და შინაარსიანად განგრძობილ რევოლიუციისა. მაშინ, როდესაც რუსთა უმეტესი ნაწილი ჩვენში ხულიგანების ბრბოს შეადგენდა, მაშინ როდესაც სომხები და თათრები ურთიერზედ ხმალ-ამოწვდილნი და თოფ-მოღერებულნი იერიშით მიდიოდენ, მაშინ როდესაც კავკასიის ბევრი ხალხი არც კი იღებდა სრულიად არავითარ მონაწილეობას რევოლიუციაში, – ჩვენი ხალხი თავისი მაღალი აღფრთოვანებით ამირან-გმირივით ანადგურებდა ძველს და თავისი აღგზნებილი შემოქმედებით საფუძველს უყრიდა სანეტარო „ერთობას“.

და მაშინ, როდესაც ამ ერთობის ტკბილი და ძლიერი გალობით მოცული იყო მთელი ჩვენი ქვეყნის არე-მარე, როდესაც ამ ერთობის ძალით ხალხმა გამოაცხადა თავისუფლება და თავისუფალი ორგანიზაციის პრინციპი, როდესაც მან სამსჯავრო, სამღვდელოება, თავად-აზნაურთა და ბურჟუაზიის პრიველეგიები სასასირცხო უღლად მიიჩნია და გადმოიგდო იგი მრავალტანჯულ და შრომისაგან დაღარებულ ქედიდან, როდესაც მან მთელი საუკუნოებით განმტკიცებული სახელმწიფოისა და საკუთრების პრინციპები ფეხით გასთელა და უკვე მზად იყო შესდგომოდა სრულიად ახალი, თავისუფალი და ღირსეული ცხოვრების დაწყე-

ბას, – მაშინ უკვე ნელ-ნელა იკრიბებოდა და ძლიერდებოდა ჩუმად, ქურდულად, გაიძვერულად საზიზღარი ძალები რეაქციისა, – სამღვდელოებისა, ბურჟუაზიისა, თავად-აზნაურთა, მოხელეთა და სხვათა, – და საკმარისი იყო, რომ მოსკოვის შეიარაღებული აჯანყება დამარცხებულიყო, საკმარისი იყო, რომ რუსეთი რეაქციას ჩავარდნოდა კლანჭებში და ჩვენსკენაც გადმოეხედნა მას მრისხანე და სისხლით სავსე თვალით, – რომ აქ გუშინდელი ჩვენი უვნებელნი, ხან „მოყვარე" თანამემამულენიც დაგვრეოდენ ისეთისავე სისასტიკითა და საშინელ-მხეცურ-პირველ-ყოფილ უდიერობით, როგორც დაგვერიენენ თვით რეაქციის იარაღნი – ჯარი, პოლიცია და „ჩინოვნიკობა".

ხალხმა ფიცხელი და სასტიკი ომი გამოუცხადა ეკონომიურსა და პოლიტიკურ მონობას, მან გაიმარჯვა და ამაში გამოიხატა მისი რევოლუციონური სიძლიერე; ხალხის მტრები, ეკონომიურად, და პოლიტიკურად გაბატონებულნი, პირველად დამარცხდენ და ზოგი მლიქვნელობით უძვრებოდა გამარჯვებულს, ზოგი მხოლოდ იმალებოდა; როდესაც კი რეაქციის ძალები ისევ შეიკრიბნენ და შავი უზარმაზარი ღრუბლებივით წამოვიდენ ჩრდილოეთიდან და წარღვნით წაჰლეკეს ჩვენი ქვეყანა, – მაშინ ქართველი ბატონ-პატრონნიც ქართველი ერისა გაეხვივნენ უსირცხვილოდ სრულიად რუსეთის რეაქციის შავ-ბნელეთში და ყაზახ-რუსებთან ერთად ებრძვიან უკვე ჩამქრალი რევოლიუციის ოდნავ-მბჟუტავ ნაპერწკლებსაც კი და ლამის გადააჭარბონ ბარბაროსობაში განთქმულ სკვითებს.

ხალხსა და მის ყველა მტერთა შორის ჩვენს ქვეყანაში დიადი ბრძოლა იყო! ერთის მხრით მშრომელი, – მეორე მხრით მდიდარი მყვლეფელი, მთავრობა და სულიერი განმათახსირებელი! პირველმა სძლია მეორედ. რამოდენიმე ხანს პირველი გამარჯვებული იყო, – ეხლა კი მეორეთ დაუდგა დღესასწაული და ცინიკურად დანავარდობენ ხალხის გულზედ. პირველი ქვეშ არის მოქცეული, ყელში სულმობჯენილი ფართხალობს, ჰლამობს წარმოდგომას, და ოდეს წარმოსდგება, მაშინ რევოლიუცია ახალის, უფრო სასტიკის ძალით იფეთქებს, ულმობელი იქმნება

მოპირდაპირისათვის, – განსწავლული პირველი შეტაკების მწარე გამოცდილებით!..

ჩვენთვის ყოველივე არ გათავებულა, არ დაკარგულა, ისე როგორც თქვენთვის, მტარვალნო, ყოველივე აგრეთვე არ გათავებულა, გამარჯვების ძეგლი სამუდამოდ არ აგიგიათ!

ორი მებრძოლი ძალა ისევ პირისპირ არის, მათი „მორიგების“ საკითხი დღეს იცავს მთელს ჩვენ ცხოვრებასა და მოქმედებას.

რაიო? „მორიგებისაო“?!.. – და მხოლოდ ჩვენია ეს კითხვა, ჩვენი გულიდან ამონაკვნესი, აგრეთვე იმ ხალხის გულიდან ყრუდ ამონაკვნესი, – ყაზახი-რუსის ხმლის შიშისაგან უკანვე მსწრაფლად მუცელში ჩაბრუნებული ამონაკვნესი კითხვა, – იმ ხალხის გულიდან, რომელიც სევდისა და ტანჯვის სამართებლით არის დასერილი აი უკვე რამდენი თვეა!

სხვებისათვის კი ეს „მორიგება“ მართლაც საუკეთესო მოქმედების ღერძად გამხდარა. აბა გაიხედეთ, რა ფაცა-ფუცია არჩევნებისა, როგორ გაიღვიძეს, – საკვირველია ეს არა კონსტიტუციონალურ ქვეყნებში, – არჩევნების მელებმა და როგორი იდიოტური, საცოდავი და თანაც ვირული სიბრიყვით მიეშურება ჩვენი ტვინ-კურთხეული ინტელლიგენტი საარჩევნო ურნისაკენ; აბა ჩაიხედეთ მის გულში, – შეიძლება ოცნებობს კიდეც ცხვრის... უკაცრავად სახელმწიფო დუმაში შეძრომას!

ოჰ! მორიგებავ, შენ ხარ მხდალთა ნავთ-საყუდარი! და არა მარტო პარტიათათვის, რომელთაც პრეტენზია აქვსთ ყოველთვის გამოჰხატონ (რასაკვირველია მარტო მათ!) ხალხის ინტერესები, არამედ თვით ხალხისთვისაც, როდესაც მას ძალა აღარ აქვს და ბრძოლაში სისხლით დაცლილი, გრძნობა დაკარგული გულზედ ესვენება გადამკვდარი ყოველგვარ მომრიგებელ შუამავალთ, რომელნიც ტკბილ-იუდურად ჩასჩურჩულებენ იმედისა და უკეთესი მომავლის სიტყვებს მის მიღონებულ სულს!

მორიგება, – როდესაც ხალხს სამი წლის ნაწვავ-ნადაგი რევოლიუცია სისხლის მორევში ჩაუხრჩეს, როდესაც მთელი მისი შემოქმედება ტლანქი ფეხით გასთელეს უუსაშინელეს ბარბაროსთა მსგავსად!

მორიგება, – როდესაც ხალხი გადასწვეს და გაანადგურეს, სახლ-კარი ცეცხლს მისცეს, ადამიანთა სიცოცხლე – ხმალსა და თოფს, დედაკაცთა ნამუსი – ზნეობრივსა და ხორციელს წამებას!

მორიგება, როდესაც მთელი ჩვენი ქვეყნის ტყეები ქალთა და ბავშვთა კვნესით იყო აღსავსე და ეს საშინელი კვნესა, საშინელი გულ-შემზარავი გმინვა შიშით აძაგძაგებდა თვით გაფხოწილ ხის ტოტებსაც კი შუა-გულ ზამთარში! მორიგება, როდესაც ხალხს სათესლე სიმინდი და პურიც აღარ დაუტოვეს, რომ გლეხს შიმშილისაგან შემდეგში მაინც დაეცვა თავი და თავის ცოლ-შვილი.

მორიგება, როდესაც თავს დაგვტრიალებს მავნე სულივით შიმშილი და შეიძლება რომელიმე გადამდები სენიც, რომელმაც მთელი ერი სამარეში უნდა ჩაასვენოს ერთი თვალის დახამხამებაში.

მორიგება, – როდესაც მთელ დასავლეთ საქართველოში ძნელად მოიპოვება დედაკაცი, რომ შიშისაგან ნერვები არა ჰქონდეს აშლილი და არანორმალური არ გამხდარიყოს სულიერად, ან შეიძლება სიფილიც შეიძინა ქრისტეს მოყვარე ყაზახ-სალდათთაგან.

მორიგება, როდესაც იაპონელის მიერ სირცხვილ ნაჭმევი ლაჩარი პეჩენეგი უიარაღო დედაკაცებზე მამაცობს და ქვევრებსაც აუპატიურებს, ე. ი. – უკაცრავად პატივს აყრის, თუმცა მაჰმადიანი არ არის, არამედ მართლმადიდებელი ქრისტიანი, ღვინისა და არყის ძლიერი პატივის მცემელი და ხშირად ცხვირგაწითლებული თავისი საყვარელი კერპისადმი გადაჭარბებული თაყვანისცემით! მორიგება, როდესაც ხალხის მრავალწლოვანი ნაამაგარი, ნამუშევარი, ნაღვაწი ერთი თვალის დახამხამებაში, ერთი ხმლის მოქნევითა და ერთი ცეცხლის წაკიდებით მოსპეს, გაანადგურეს და აღგავეს ჩვენი ქვეყნის მიწის პირიდან, როდესაც თბილისიდან დაწყებული ბათუმამდის მთელი საქართველო ცეცხლ-წაკიდებულია და ცეცხლზედ ხელს ითბობენ ცინიკურად ჩვენი რეაქციონერები, ცეცხლის გამჩენნი კი იდიოტი ნერონივით მძლავრად გაიძახიან მშვენიერსა და ენერგიულ სიტყვებს! თუმცა არ გეგონოთ, რომ ნერონისათვის მათაც ილიადის სიტყვები

ადგესთ პირზე: ნერონი ტროას დაწვის ამბავს ჰგალობდა ილიადიდან და სიამოვნებდა, როცა ხედავდა თავის სატახტო ქალაქში ავარდნილ ალებს. ცეცხლის ალში გახვეულ საქართველოს კი მე-XX საუკუნის ნერონები, მხოლოდ ჩინით უფრო დაბლა მდგარნი, ილიადის მშვენიერ ლექსების მაგივრად სამ-ეტაჟიან ხალხურ სიბრძნის სიტყვებს უგალობენ! ფერი ფერს, მადლი ღმერთს!

მორიგება, როდესაც მთელმა ადამიანის ბარბაროსობამ, მთელმა ცინიზმმა გახულიგანებული გამარჯვებულისა, მთელმა სისხლის-მსმელობამ და სისასტიკემ რეაქციისა, – როდესაც ყოველმა საშინელებამ და საზიზღრობამ ჩვენზედ მოიყარა თავი და ლამის ამოვიხრჩოთ ამ ცეცხლში და ტალახში, ლამის სული ამოგვძრეს ინკვიზიტორებისა და მტარვალთა ხელში სირცხვილითა და ტკივილებით, ლამის გავნახევრდეთ ხოცვით და ციმბირში გადასახლებით!

მორიგება, როდესაც აღარ დაგვრჩა აღარც სიცოცხლე, აღარც ლუკმა პური, აღარც არაფერი, რაიც შეადგენს ადამიანის ცხოვრების უუსაჭიროეს პირობას!

მორიგება, – როდესაც არამც თუ მორიგება არა სურსთ ჩვენთან, არამედ სრულიად არა სურთ გაიგონ, წარმოიდგინონ, რომ ჩვენცა გვაქვს სიცოცხლისა და ცხოვრების უფლება, როდესაც პირდაპირ, საქმით უარ-ჰყოფენ ამ უფლებას?!..

ეჰ! მაშ რაღა არის ეს დუმა, რომელსაც თითქმის ყველა „პარტიებმა" ბოიკოტი გამოუცხადეს ჯერ, და მერე კი კისრის ტეხით გაექანენ იქითკენ და ლამის ერთმანეთი გადათელონ, რომელმა მოასწროს ამ თბილ ადგილას შეძრომა, ხალხის საკეთილდღეოდ რასაკვირველია! რა არის ეს თუ არ მორიგება?

აგვიშენებს „დუმა" გადამწვარ ქონებას, აგვაცილებს თავიდან კარზედ მომდგარ შიმშილს, დაუბრუნებს ახდილს ნამუსსა და ზნეობრივ სისაღეს ჩვენ ქალებსა და ქალწულებსა, იმ თავისუფლებას, რომელიც ხალხმა ორი წლის განმავლობაში ბრძოლით მოიპოვა და დაიმკვიდრა, – მოგვაშორებს თავიდან ჯარსა და პოლიციას, ხარჯთ-ამკრეფთა და სამსჯავროებს, ღიპიან

მღვდლებსა და ჩარჩებს, ბრწყინვალე თავად-აზნაურთა თავ-აშვებულ ფარფაშს, მოგვაშორებს თავიდან მთელ ბიუროკრატიულსა და სახელმწიფო სამხედრო მექანიზმს, რომელმაც სისხლით დაგვცალა და მოგვსპო ნახევრად, სული შეგვირყვნა და გული დაგვილაჩრა, მთელი ჩვენი არსება სისხლით შეზავებულ ნეხვში ამოსვარა და ყელში ხელ-წაჭირებული ეხლაც გვაფართხალებს საცოდავად და უწყალოდ?!

იფიქრეთ, ახლად მოვლენილო მირაბეოებო! არა, ათასჯერ არა! ჩვენი მორიგება არაფერს არ შეუძლია, არც სახელმწიფო სათათბიროს, არც დამფუძვნებელ კრებას, რომელიც ისეთსავე მონობას დაგვიფუძნებს, კიდევ უარესს, ვიდრე საფრანგეთის რევოლუციონურმა დამფუძნებელმა კრებამ დაამყარა. ჩვენი მორიგება მხოლოდ შურისძიების შემდეგ შეიძლება.

ჩვენი მოქმედება არჩევნები კი არ არის და არც იქნება, – ეს მხოლოდ დაღლილობის ნიშანია, ან დიდი შეცდომისა, რომელიც ძვირად სწორდება ხოლმე, ან თუ სწორდება, ხელ-ახალი რევოლიუციით, – არამედ შემოქმედება, მსგავსი იმ ხალხის აღფრთოვანებული შემოქმედებისა, რომელმაც ისეთი დიდი იმედი დაგვისახა გულს 1905 წლის წინად და განსაკუთრებით 1905 წელს, და რომელსაც დუმაში შესაძრომად გამზადებული განსწავლული მეცნიერნი ანარხიას, ხაოსსა და განადგურებას უწოდებდენ და უწოდებენ დღესაც, ზოგი პირდაპირ და ზოგი კი მხდალად, მალულად, რომ „რევოლუციონერის" სახელი არ გაუტყდეს.

დუმის მირაბოებო! რითი მოურიგდებით მტერს? ნუ თუ იმითი, რომ აღიარებთ გათავებულად რევოლუციას, აღიარებთ რომ რასაც სათათბირო დაამტკიცებს, იქ წერტილი უნდა დაესვას ამ უზარმაზარ აბობოქრებულ ოკეანეს ხალხურ ენერგიისას? – მაშინ რიღას რევოლუციონერები ხართ, ვის ატყუებთ? – ან კიდევ იმითი, რომ სათათბირო დაამტკიცებს ხალხის მიერ მოპოვებულ წვრილ თავისუფლებათა? – მაშ აქ ხალხი ყოფილა პირველი მიზეზი თავისუფლების მოპოვებისა, და ის არა სჯობდა თვით ხალხის ენერგიის განდიდებისათვის და განცხოველებისათვის დაგეხარჯათ ამდენი დრო და ძალ-ღონე, ვიდრე დუმის აგი-

ტაციისათვისა და მელაკუდაობისათვის? იკითხავთ, – მაშინ ხომ რეაქციონერები გაიმარჯვებდენო. მაგრამ „კადეტები" სადღა არიან? სადღა არის თვით ხალხი, რომელმაც განიცადა რეაქციის სუსხი და მისგან დადაგული თავის დღეში არ ჩააბარებს თავის ბედ-იღბალს გულქვა და სისხლ-მსმელ რეაქციონერებს? სადღა ხართ თქვენ, რევოლუციონერებო, რომელიც მუდამ ხალხის გულში სტრიალებთ და ნებას არ მისცემთ რეაქციონერებს მოატყუონ დაქანცული ხალხი?..

ახლად მოვლენილო მირაბოებო! თქვენც აგიხვიათ თვალი სამთავრობო ცრუმორწმუნეობამ! ჩვენში, როგორც ყოველ სხვა ქვეყანაში, ჩვენ აზრთა რეგულიატორად ყოველთვის ხდება მთავრობის საცოდავ ტვინთხელთა რომელიმე წევრი, რომელსაც ბედმა არგუნა ქვეყნის მართვა! საკმარისია ჩვენი საზიზღარი სოციალური და პოლიტიკური პირამიდის წვეროში მდგომმა იდიოტმა რაიმე ულაზათოდ წაოიყრანტალოს, და მთელი „მოაზრე" ელემენტი საზოგადოებისა, მთელი ჟურნალ-გაზეთობა, მთელი წიგნები, მთელი ათი-ათასობით კრებანი აივსება ხოლმე ჟივილ-ხივილით, ლაპარაკით და მსჯელობით ამ უმეტეს ნაწილად მტკნარ სიტუტუცის მნიშვნელობაზედ და ბოლოს და ბოლოს თან და თან იპყრობს მთელ პარტიათა მოქმედებას და აქედან გადადის ხალხზედ, სწამლავს მის აზრსა და უკარგავს მოქმედების ხალისს. ასეთი მოვლენაა რეაქციისაგან შეზლაზნილი დუმაც, რომელმაც ყველა პარტიები გადარია და მორიგებზედ დაითანხმა.

ხალხი კი ისევ ისე რჩება ნამუსახდილი და განადგურებული, დალაჩრებული და იმედგადაწყვეტილი.

მას უნდა შურისძიება და ახალი ძალის შეძენა, რომ განაგრძოს დაწყებული დიადი საქმე თავის განთავისუფლებისა. მას თავისი ცოლების, დედებისა, დებისა და შვილების გაუპატიურება, სახლ-კარის გადაწვა უსივებს გულს, მის ქოხებს პულემიოტები და ზარბაზნები უშვერია, თავზედ ყაზახი-რუსი ადგას სანავთითა და ცეცხლით ხელში – თანაც მიდიან და ეუბნებიან პეტრე ჯობია ივანეს, მას მიეცი თეთრი კენჭი, ის უკეთ დაიცავს შენს ინტერესებს... აგრეთვე ზარბაზნებით გარემოცულ დუმაშიო! ორი მე-

ბრძოლი ძალის შორის შუამავალ-მომრიგებლად დადგომა ამასა ჰქვია. როგორ უნდა მოარიგოთ ეს ორი ძალა? როგორ უნდა მოვრიგდეთ ხალხი და სახელმწიფოს უარმყოფელნი ერთი მხრით, – და სახელმწიფო და პოლიტიკური პარტიები მეორეს მხრით?

პასუხი ადვილია, – როდესაც ძალას ძალა დაუდგება წინ და ბრძოლა ერთის ან მეორეს სრული მოსპობით დამთავრდება! ჩვენ კი ხალხის გამარჯვებაში ვხედავთ ახალი ცხოვრების საძირკვლის ჩაყრას, და ამიტომაც ვართ შეურიგებელნი.

სრული მოურიგებლობა, არავითარი მორიგება, არავითარი დათმობა, – აი ჩვენი დევიზი!

Bâton

გაზ. „ნობათი“, 6, 1906 წ.

„კაცია ადამიანი?!“

საზარელი ამბავი ილია ჭავჭავაძის სიკვდილისა მეხივით დაატყდა მთელ საქართველოს! მოჰკლეს ვინ – ილია ჭავჭავაძე! არავინ თავის გულში ფიქრადაც არ გაივლებდა ასეთ რამე საზარელს, საზიზღარსა და უცნაურს!

ადამიანი, რომელმაც თავისი გული ჩონგურად აქცია და რომელიც ამ ჩონგურის სიმებს საქართველოსათვის აჟღერებდა ტკბილად და ძლიერად; ადამიანი, რომელმაც თავისი თავი უმაღლეს გონების ჭურჭელი, ნახევარ საუკუნის განმავლობაში ამუშავა საქართველოს ერის გულისათვის; ადამიანი, რომელმაც მთელი თავისი სულის სიმტკიცე და ძალა შესწირა ჩვენის დაბეჩავებულ ცხოვრების აღდგენას, განმშვენიერებასა და განსპეტაკებას, ეს ადამიანი წარიტაცა დღეს ვიღაცის მურტალმა ხელმა!

ვინ მოჰკლა ილია? – აი, საშინელი კითხვა, რომელიც დღეს მთელ ერს უდგია წინ და რომელიც დაუყოვნებელ პასუხს თხოულობს. პასუხის გაუცემლობა მთელ ერის საშინელ, სამუდამო სირცხვილის ლაფში ამოსვრით ემუქრება!

ვინ მოჰკლა ილია? ქართველმა თუ სხვა ერის უმსგავსომ? თუ ქართველმა მოჰკლა – მაშინ, ცხადია, რა ქართველიც აიღებდა თავზედ ამ ყოვლად უმსგავსო, საშინელ და არაჩვეულებრივ საქმეს, რომლის მაგვარიც ქვეყნიერებას ჯერ არა სმენია! პოეტი პუბლიცისტი, ახალი ქართველი ენის დიადი შემქმნელი, პირვე-

ლი მეტყველი ქართულ ენისა – მოჰკლეს, განუქრეს სიცოცხლე, როგორც ვინმე ავაზაკს, ან ქურდს, ან მავნე ადამიანს! ილია ჭავჭავაძე მოჰკლეს იმისათვის, რომ იგი, როგორც მავნე პირი საზოგადოებისათვის, რომელსამე „უდიდეს იდეას" უნდა შესწიროდა ზვარაკად? ილია ჭავჭავაძე უნდა მოეკლათ, იმისი სიცოცხლე იყო მავნე საქართველოს ხალხისათვის, და ათასმა გოშია-გოშპარამ, რომელთაც თავს იდვეს ჩვენი ცხოვრების მოწყობა და ნაცვლად შერყვნეს, გაანადგურეს, შეურაცხყვეს იგი, – უნდა იცოცხლონ, რომ ხალხს მალამოდ მოეცხონ?

თუ მართლაც ილია ქართველებმა მოვკალით და შევირცხვინეთ თავი ამიერიდან უკუნისამდე, სამარადისოდ გამოვირიცხეთ ჩვენვე ჩვენი თავი ხალხთა რიცხვიდან, მთელი კაცობრიობიდან, – ნება მომეცით ვკითხო მთელ საქართველოს ილიასავე სიტყვებით: ჩვენში, საქართველოში, საზოგადოდ მთელ საქართველოში, შავი ზღვიდან დაწყებული დაღესტნის საზღვრებამდე – „კაცია ადამიანი?!" თუ მხეცია, ადამიანის სახით მოვლენილი და ამ მხეცმა, ქართველმა კოლექტივურმა მხეცმა წაიყვანა გოლგოთას ილია ჭავჭავაძე ეკლის გვირგვინითა და თვით კი ლაფის გვირგვინი დაიდგა თავზე მთელის კაცობრიობის თვალში?!

ან იქნება ილია არაქართველებმა მოჰკლეს?...

რა მიზეზიც უნდა იყოს იმის მკვლელობისა, ვინც უნდა იყოს მისი მკვლელი, საქართველოს დღეს ჩირქი მოეცხო, ისეთი ჩირქი, რომლის მსგავსიც მას არასოდეს არ მოსცხებია, და თუ მართლა დღეს ჩვენში კიდევ დარჩენილა კაცი, რომელსაც ადამინია ჰქვიან, რომელიც თავის თავსა სთვლის ადამიანად, ერთადერთი რამ დაგვრჩენია, – შურისძიება! მაგრამ ჩვენი ქვეყანა სიგრძე-სიგანით შეურაცხყვეს და გააუპატიურეს, – ხმა კი არავის ამოუღია ვაჟკაცურად და ღირსეულად. გარდა სასოწარკვეთილის ლაჩრულ ძახილისა, ღონემიხდილ შერცხვენილისა ჩვენში ძლიერი ხმა არავის სმენია კაი ხანია, და რა იმედი-ღა უნდა გვქონდეს, რომ ეხლა მაინც შეიცვლება ეს სამარეში ჩასასვლელად მომზადებული, რომ ხელში ავიღოთ მახვილი და მტერი განვგმიროთ, ვინც უნდა იყოს?!

მაგრამ, მითხარით, ჩვენში ამისათვის ვის შესწევს ძალა, მითხარით, საქართველოს სინიდისი კიდევ ცოცხალია, თუ სამუდამოდ დაიმარხა სამარეს ილია ჭავჭავაძესთან ერთად? დაე, ეხლა გამოჩნდეს ყველაფერი!

ჰფიქრობ კაცი ყოველსავე ამას, თავში აზრები გერევა, ფეხთაგან ნიადაგი გეცლება, ჰქრება ხალისი მუშაობისა, უიმედობა გულს გესახება, იქ ჩირქდება და სქელ, შხამიან ბალღამად იქცევა, და „უსასოდ ქმნილს", „ეჭვით შეპყრობილ" ივერიის ძეს მთელი თავისი საშინელებით გეყუდება გონების წინაშე თავზარდამცემი კითხვა: რისთვის იტანჯები, რისთვის იღვწი და სანთელივითა დნები ჩვენს უცნაურს ქვეყანაში? აქ, ამ გათახსირებულ დანაშაულთა სამფლობელოში მართლაც „კაცია ადამიანი?!"

Baton

„ისარი", 2 სექტ., 1907 წ.

ერის უფლება

საუბედუროდ საერთაშორისო სამართლის ლიტერატურაში და საზოგადოდ სოციალური მეცნიერების ლიტერატურაში ერისა და მის უფლებათა შესახებ ისეთი ვრცელა და ღრმა გამოკვლევანი არ მოიპოვებიან, როგორნიც სახელმწიფოსა და მის უფლებათა შესახებ. ამ უკანასკნელ საგანზედ უფრო მეტიც ულაპარაკნიათ და უფრო მეცნიერულად, მაშინ როდესაც ერის ნამდვილი მეცნიერული განსაზღვრაც კი არსად მოიპოვება, არა თუ მისი უფლებანი სასწორით არ არიან განსაზღვრულნი. არა მარტო საერთაშორისო სამართლის მეცნიერება არის ცოდვილი ამ მხრივ, არამედ მეტად კიდევ ის სოციალისტური ლიტერატურა, რომელიც აღმოცენდა ინტერნაციონალიზმის ნიადაგზედ, – სოციალისტური ინტერნაციონალიზმისა, რომელსაც თავს უნდა ედვა ერის ცნების განსაზღვრა და გარკვევა მის უფლებათა, რადგანაც მისი პრეტენზიაა ადგილი დაიჭიროს თანამედროვე, არსებულ, ბურჟუაზიულ განწყობილებათა, როგორც საზოგადოებათა შიგნით, ისე საზოგადოებათა გარედ, მათ საურთიერთობო დამოკიდებულებათა სფერაში.

გავყვეთ ავტორებს, რას ამბობენ იგინი ერისა და მისი უფლების შესახებ.

ლიტტრე ამბობს: „ერი არის კრებული ადამიანთა, რომელნიც ერთს ტერრიტორიაზედ სცხოვრობენ, რომელთაც შეიძლება ჰყავდესთ და არა ჰყავდესთ საკუთარი მთავრობა, რომელთაც იმდენად საერთო ინტერესები აქვსთ, რომ შეიძლება იგინი ერთს რომელიმე რასას მივაკუთვნოთ". „ეროვნებათა პრინციპი ის არის, რომ ერთი რასის ნაწილი მიისწრაფის შეადგინოს პოლიტიკური ორგანიზმი".

აქ უკვე მონახაზია ერის უფლებისა, თუმცა მკრთალად თვალსაჩინო.

ესმენისა და თვით პრ. ნისის აზრით, სახელმწიფო ერის იურიდიული გაპიროვნებაა (A. Esmein, Elèments de droit constitutionnel).

ნისის აზრით (Le droit International, t. I), ერი თემისაგან – კლანისაგან წარმოსდგა: თემთა და კლანთა კავშირი იჭერს განსაზღვრულ ტერრიტორიას, რომელზედაც ვითარდება ეროვნული საზოგადოება, საერთო მიზნის განხორიცელებისაკენ მიმსწრაფი.

აი, აქ იბადება ევროპისათვის პრობლემაო – ამბობს ნისი. აქვს თუ არა ყოველ ერს უფლება დააარსოს სახელმწიფო, ე. ი. აქვს თუ არა მას ერთი უპირველესი უფლებათაგანი, ვიტყვით ჩვენ, ურომლისოდაც იგი ყოველთვის სხვა სახელმწიფოს მონობაში ვარდება.

ბევრი აღიარებს ასეთს უფლებას ერისას. ამერიკელ ბრინტონისათვის ერი უპირველესი ელემენტია კაცობრიობისა, რომლის შემდეგი განვითარება იწვევს საერთაშორისო განვითარებას (The „nation" as an element in Anthropology). – ყოველ პირველყოფილ ხალხს უფლება აქვს შეადგინოს სახელმწიფო. შემოიზომოს ტერიტორია, და ამ სახელმწიფოს საშუალებით აღასრულოს თავისი ისტორიული მისსიაო – ამბობს ნისი სხვებთან ერთად. ეროვნული პრობლემა ერთი ერისგან შემდგარ სახელმწიფოს უფრო მაღლა აყენებს, ვიდრე მრავალ ერისაგან შემდგარ სახელმწიფოს. ამ პრობლემის მიხედვით, ერი უნდა იყოს საერთაშორისო სამართლის საგანი და სახელმწიფოს ადგილი უნდა დაიჭიროსო.

როლენ ჟაკმენმა დააყენა შემდეგი პრობლემა: საჭიროა ვიცოდეთ, განსახილველია თუ არა ერი, როგორც უფლებათა და ვალდებულებათა მქონე იურიდიული არსი, როგორც ინდივიდი და სახელმწიფოო (Les prinoipes philosophiqnes du droit International).

ძველად თვით საზოგადოებაში არ იყო ეროვნული მოძრაობა ისეთი ძლიერი, როგორც მეცხრამეტე საუკუნეში, რადგანაც ერთა შინაგანი კოჰეზია ისეთი მჭიდრო არ იყო მაშინ, როგორც შემდეგ.

უკვე საფრანგეთის რევოლუციას სრულიად თანამედროვე ეროვნული ხასიათი დაეტყო. საფრანგეთის აზრმაც წამოაყენა პრინციპი ერთა უფლებისა, თავისუფლებისა და თანასწორობისა, მით უმეტეს რომ მთელი ევროპის ერთა რეაქციონური ძალა საფრანგეთის ერს ემუქრებოდა. რევოლიუციამ განაცხადა, რომ „კაცობრიობა წარმოადგენს ერთს დიდს საზოგადოებას, რომლის მიზანიც უნდა იყოს მშვიდობიანობა და ბედნიერება მისი ყველა წევრისა". „ამ დიდ საზოგადოებაში, განაგრძობდენ რევოლუციონერები, ხალხებსა (ე. ი. ერებს. B) და სახელმწიფოს აქვსთ თანასწორნი ბუნებრივი უფლებანი და იმავე სამართალს ექვემდებარებიან, როგორსაც ინდივიდები, მაშასადამე არც ერთს ხალხს არა აქვს უფლება შეესიოს სხვის საკუთრებასა და წაართვას თავისუფლებაო".

პოლ ლეხერი ამბობს (Introduction à un cours de droit International): „საზოგადოებრივ ჯგუფებს ჰქონდათ უფლება თავიანთი ბედის განხორციელება ისეთ პოლიტიკურ წყობილებაში ენახათ, რომელნიც განირჩეოდა იმ საზოგადოებრივ ორგანიზმებისაგან, რომელთანაც ისინი შეკავშირებულნი იყვნენ. მათ ჰქონდათ უფლება შეერთებოდენ ან იმ სახელმწიფოს, რომლისადმი ბუნებრივ სიმპატიასა ჰგრძნობდენ, ან როდესაც ასეთს სახელმწიფოს ვერა ჰპოულობდენ თანახმად თავიანთი მისწრაფებისა, განთავისუფლებულიყვნენ და თავისთვის შეექმნათ საკუთარი პოლიტიკური ორგანიზმი."

ნისის სიტყვით, ვენის კონგრესსზედ გამარჯვებულმა რეაქციამ პირდაპირ ფეხით გასთელა ერის უფლება, უარჰყო ერთა მისწრაფებანი, პირველად თანამედროვე ხანაში პირდაპირ დაურიგეს გამარჯვებულთ 33 მილიონი ხალხი. ამან ისეთი ძლიერი ეროვნული იდეა დაჰბადაო, მოჰყავს ნისს ლაველეს სიტყვები, რომელიც სიძლიერით XVI საუკუნის რელიგიოზურ აღფრთოვანებას უდრიდაო. ამან განათავისუფლა საბერძნეთი, სერბია, რუმინია, ბოლგარია, შეაერთა გერმანია, სამხედრო ავსტრიისა და ოსმალეთის ხალხები, დაჰბადა პანგერმანიზმი და პანსლავიზმიო.

პირველი მეცნიერი, რომელმაც მეცნიურად განიხილა ეროვნული უფლების პრობლემა, უკვე ხსენებული იტალიელი მანჩინია, რომელიც ნეაპოლიდან განაძევეს და რომელიც სარდინიის მთავრობამ ტურინის უნივერსიტეტის კათედრაზედ მიიწვია 1850 წელს სამართლის სასწავლებლად. ეს ისეთი დრო იყო, როცა იტალიას მახვილი ჰქონდა აღებული, თავგანწირულად იბრძოდა, მთელი ევროპა კი ამხედრებული იყო მეტტერნიხის პრინციპის წინააღმდეგ, – რაც სახელმწიფოებს აქვსთ, იგი ხელუხლებელია და სიტყვა „იტალიას“ არავითარი პოლიტიკური აზრი არა აქვსო. პროგრესსისტი აზრითა და მოყვარე თავის დიადი სამშობლოსი, რომელსაც შეიძლება ყველაზედ მეტი უფლებაც ჰქონდა საკუთარი სახელმწიფოს დაარსებისა და ეროვნული თავისუფლებისა, მანჩინი გამოესარჩლა საზოგადოდ ერის უფლებასა და აღიარა იგი მიუხედავად იმისა, რომ რომელიმე ერს შეიძლება არა ჰქონოდა სახელმწიფო; მისი აზრით სწორედ ისეთ ერს, რომელსაც არა ჰქონდა სახელმწიფო და სხვა სთელავდა მის მიწა-წყალსა, უფლება ჰქონდა სახელმწიფოს დაარსებისა, რომ ეს უფლება დაცული ყოფილიყო. მისთვის საერთაშორისო სამართალი უნივერსალური სამართალი იყო, ერის იდეა იყო ელემენტარული, სახელმწიფოს იდეა კი მისგან უბრალო წარმომდგარი იდეა. ამიტომაც ერი უნდა ყოფილიყო საგანი საერთაშორისო სამართლისა და არა სახელმწიფო.

ამ მიზნით იკვლევდა იგი თეორიულად ერის არსებას. ტერრიტორია, რასა, ენა, ზნე ჩვეულება, სჯული, ისტორია – აი რა ჰქმნიდა ერის სხეულსა, რომელსაც ასულდგმულებდა შეგნება საკუთარი ეროვნებისა, ეროვნული თვითშეგნება, – გრძნობა, რომელიც ერს შიგნით აწესრიგებს და გარედ ამოქმედებს, როგორც ერთს მთელს პაროვნებასა. საჭიროა ეს ზნეობრივი ერთობა, საერთო აზრი, უმაღლესი იდეა ეროვნებისა. ერი მისთვის არის ამგვარად: „ადამაინთა ბუნებრივი საზოგადოება, რომელთაც აქვსთ ერთობა ტერრიტორიისა, შთამომავლობისა, ზნე-ჩვეულებათა, ენისა, თანახმად მათი საერთო ცხოვრებისა და საზოგადოებრივი შეგნებისა“. მისთვის დაცვა და განვითარება

ერისა არ იყო მხოლოდ უფლება, არამედ იურიდიული მოვალეობა. იგი პირდაპირ ამბობს: „არსებობს მხოლოდ ერთი საგანი, ერთი პიროვნება საერთაშორისო სამართლისა, – ერი"-ო. „რაციონალური საზღვარი ყოველი ერის უფლებისა არის სხვა ერები; გარანტია საერთაშორისო სამართლისა ყოველი ერის დამოუკიდებლობის პატივისცემაში და აღიარებაშია. მასთვის უმაღლესი მიზანია ჯანბატისტა ვიკოს „ერთა კაცობრიობის შექმნა" (1. E. Nys. Le droit International. p. 343 et seq.) (კურს. ჩვ.) (Professore Pasquale Stanislao Manoini; Della nazionalitá come fondamento del dritto delle genti etc.).

ბლუნჩლი თითქმის ეთანხმება მანჩინის ერის განსაზღვრაში, მაგრამ რაც ერია მანჩინისათვის, იგი ბლიუნჩლისთვის ხალხია. ხოლო ერი მას სახელმწიფოდ ვერ წარმოუდგენია. მაგრამ განა საქმე სიტყვაა. მაშინ როდესაც მანჩინისათვის ერის დაცვა და განვითარება არა თუ უფლებაა, არამედ მოვალეობაც კი უნივერსალური სამართლისა, ბლიუნჩლი ამბობს: „არა არს ერი უსახელმწიფოდო". „ერი გვაჩვენებს, რასაკვირველია, – ამბობს ბლუნჩლი, – სულიერ ერთობასა, ხასიათისა, ენისა და ზნე-ჩვეულებათა ერთობასა, როდესაც იგი ერთობით დამყარებულია ერთ ხალხზედ. მაგრამ იმ ერს, რომელიც შესდგება სხვა და სხვა ხალხისაგან, ან ხალხთა ნაფლეთებისაგან, ნაკლები ერთობა აქვს, ვიდრე თვით ხალხსა.

ერს ყველაზედ უფრო ახასიათებს სრული ერთობა სამართლისა, მონაწილეობა მმართველობაში, ნიჭი თავის ერთიანობის, ნების გამოხატვისა და მისი საქმედ ქცევისა, ის ორგანოები წესწყობილებისა, რომელიც მას აქვს, ერთი სიტყვით საზოგადოებრივი და იურიდიული პიროვნება", (Thèorie gènérale de L'Etat). აქ ცხადია, რომ ბლიუჩლი ერსა და სახელმწიფოს ერთმანეთში აღრევს. მისთვის ერი და სახელმწიფო ერთი და იგივეა, ხოლო ხალხი ის არის, რაც ჩვენთვის ერი. მაგრამ უბედურება ეს კი არ არის, უბედურება ის არის, რომ მას არა სწამს პირველის უფლება, არამედ მეორესი. რაღაი ერთხელ ოდესმე სხვა და სხვა ხალხები (ერები) ერთი უფლების ქვეშ მოქცეულან, ამიტომ მათ ერი (სახელმწიფო)

შეუდგენიათ, ე. ი. იურიდიული პიროვნება, და არ არის საგანი საერთაშორისო სამართლისა გარეშე ასეთის პიროვნებისაო. ის კი ავიწყდება პატივცემულ ავტორს, რომ არსად არა ხდება, რომ ერთი სახელმწიფოს ხალხები თანასწორად იღებდნენ მონაწილეობას მართვა-განგეობაში, თანასწორად იჩენდნენ ნებასა და საქმედ აქცევდნენ მას. ისიც ავიწყდება, რომ სხვა ერის იურიდიული ნორმებით დაჭერილი „ხალხი" თვით არის პიროვნება, რომელსაც უფლება აქვს ახდილი „ერის" მიერ, და ამ პიროვნებას უნდა მოიპოვოს იურიდიული პიროვნებაც, რომ სწორ-უფლებიანი წევრი გახდეს საზოგადოებათა საზოგადოებისა. ამიტომაც არის, რომ „ხალხები" არასოდეს არ კმაყოფილდებიან „ერის" ნაწილად ყოფასა და „ერობას" სცდილობენ, – ამაში გამოიხატება მათი ნების გამოჩენაცა და საქმედ ქცევაც უპირველეს ყოვლისა.

ყოველ შემთხვევაში ბლუნჩლი არსებულ სახელმწიფოებს აღიარებს საერთაშორისო სამართლის საგნად, საერთაშორისო სამართალიც მისთვის მომქმედი სამართალია, რომელიც მარტო სახელმწიფოთა, უკვე სუვერენ სახელმწიფოთა შორის განწყობილებათ აწესრიგებს, და არა იდეალური, უნივერსალური სამართალი, რომელმაც მოვალეობად უნდა გაიხადოს ერთა (ხალხთა) დაცვა და განვითარება, ამ ბუნებრივ სოციალურ ორგანიზმთა საერთაშორისო სამართლის სფეროში შეყვანა თანასწორობის პრინციპის სახელითა. ბლუნჩლი პირდაპირ ამბობს: „ჩვენც (მანჩინისთან ერთად) ვაღიარებთ ერებს, როგორც რასიულად და კულტურულად ისტორიულ საზოგადოებებს, რომელთაც უნდა განაცხოველთონ სახელმწიფონი ეროვნული სულითა, და ჩვენ ვიცით, რომ თანამედროვე სახელმწიფოთა არსების ხასიათი უპირველეს ყოვლისა ეროვნულია. მაგრამ სანამ ერები ხალხებად არ იქცევიან და სანამ სახელმწიფოს სახით კანონიერ სხეულად არ გარდაიქმნებიან, ისინი ვერ წარმოდგენენ იურიდიულ ძალასა. მათ აკლიათ ერთობა ნებისა, და ის ორგანოები, რომელთაც ნება უნდა გამოიჩინონ. ეს ორგანოები მხოლოდ სახელმწიფოშია.

საერთაშორისო სამართალი რომ ეროვნების ელასტიურ საფუძველზედ იყოს ნამდვილად დამკვიდრებული, და არა სახელ-

მწიფოს მაგარ საფუძველზედ, იგი ყოველივე ძალას დაჰკარგავდა, მას აღარც აღიარებდნენ და აღარც პატივსა სცემდნენ". (La droit International ondifiè). აქ უკვე უკუღმა ესმის ბლუნჩლის „ერი" და „ხალხი", ვიდრე ზემოდ. – აქ პირდაპირ არის აღიარებული – ძალა აძლევს ერს უფლებას საერთაშორისო სამართლის სფერაში შესვლისას, და არა თვით სამართალი იღებს საზოგადოდ ერს თავის სფეროშიო. აქ პირდაპირ ძალაზეა დამყარებული საერთაშორისო სამართალი, და არა საერთაშორისო სამართალია შემზღუდველი ძალისა, რომელიც შეიძლება უსამართლობას სჩადიოდეს. და რამდენს სჩადის სახელმწიფოთა ძალა ასეთს უსამართლობას! ამას თვით ბლუნჩლიცა გრძნობს და ერთ ადგილას ამბობს – ჩვენ ვაღიარებთ სახელმწიფოთა საქმეებში ჩარევის საჭიროებას, საერთაშორისო სამართლის სახელით, როდესაც ადამიანის უფლებაა შელახული რომელიმე ეროვნების სახითაო!.. – ყოველ შემთხვევაში ბლუნჩლის საერთაშორისო სამართალი დიამეტრალულად წინააღმდეგია მანჩინის სამართლისა, რომელიც იდეალურია და „სამართლიანი სამართალი" (Kiohtiges Reobt, როგორც ამბობს შტამლერი). ამ მხრით როგორ მაღლა სდგას მანჩინი ბლუნჩლიზედ, თუ გინდ იმითაც, რომ მისი სამართალი უახლოვდება ნამდვილ სამართალს, საზოგადოების შიგნით რომ სცდილობს იმოქმედოს და რომელიც უკვე სცდილობს გამოჰყოს და თითქმის ერთმანეთს დაუპირდაპიროს ძალა და სამართალი დამცველი სუსტთა, დამცველი თავისუფლებისა ძალის წინააღმდეგ. ბლუნჩლის სამართალი კი ნამდვილ პირველყოფილ სამართალს უახლოვდება, რომელიც მხოლოდ ძალიდან გამომდინარეობს. ეს არც საკვირველია. როგორც ათასჯერ გვითქვამს, უბრალო სამართალი უხსოვართ დროთაგან არსებულ საზოგადოებათა მიერ შექმნილია, საერთაშორისო კი შედარებით გუშინდელი, და როდესაც ინდივიდი უფრო ზნეობრივია მთელ საზოგადოებაზედ, ისე საზოგადო სამართალი უფრო სამართლიანია საზოგადოებათა საზოგადოების სამართალზედ. – აღიღე მახვილი, განთავისუფლდი, დააარსე სახელმწიფო, – სამართლიც მაშინ შენს მხარეზე იქმნებაო, გვეუბნება ბლუნჩლი. მანამ კი სამართლისგან დაცვას

ნუ მოელით. რომ გაგწყვიტონ მაინც, ჩვენ უფლება არა გვაქვს შევესიოთ სხვა სახელმწიფოს შინაგან საქმეებში, რადგანაც ეს მისი უფლების შელახვა იქნებაო (ესე იგი ჩემი გაწყვეტა!) თუმცა ოდნავ, ხან და ხან, ისიც სუსტ სახელმწიფოთა ვერაგობის დროს, ამოვიღებთ ხმას „ადამიანის უფლების“ დასაცველად, ისიც მაშინ, როცა დიდ სახელმწიფოებს რაიმე სახრავი ეგულებათ ამ სხვის სახელმწიფოში! – რა იქნებოდა, რომ უბრალო სამართალი ამასავე გვეუბნებოდეს! – თვით საზოგადოება შეუძლებელი იქნებოდა, ისე აირეოდა ყოველივე; ეს იქნებოდა მკლავაძეთა საზოგადოება, პირველ-ყოფილი, ველური, კიდევ უარესი, – რადგანაც იქაც არ აღიარებს ჩვეულებათა სამართალი ასეთ პრინციპებსა.

მანჩინის გარდა სხვაც ბევრი იყო, რომ აღიარეს ერის უფლებანი, მსგავსად ადამიანის უფლებისა. უზენაესი სამართლის სახელით დარღვევა ამ უფლებათა უფლებას აძლევს ერებს აჯანყებისა და წინააღმდეგობისასო! მაგრამ ეს ხომ საერთაშორისო სამართალი არ არის, და აჯანყებისა და წინააღმდეგობის უფლება რა უფლებაა, თუ იგი გამარჯვებით არ დაგვირგვინდა. დამარცხებისას ხომ ბატონს უფლება აქვს მთელი ერის ძირი ან ფესვიანად ამოგდებისა, და საერთაშორისო სამართალიც უკანონებს მას ამ უფლებას, თუ იგი ძლიერია.

ერის უფლებათა ბლუნჩლის თეორიამ წინადაც და შემდეგაც დააფრთხო იურისტები და სახელმწიფო კაცები. საკანონმდებლო კრების 14 მარტის 1867 წლის სეანსზედ ტიერმა ეს თეორია ევროპის დამღუპველად გამოაცხადა და სთქვა: „თუ ეროვნების დოქტრინა რასმეს ნიშნავს, მხოლოდ შემდეგს: საჭირო იქნება, რომ მთელი ევროპა, ან უმეტესი ნაწილი ევროპისა შესდგებოდეს ამიერიდან ერთი რასისაგან, ერთისა და იმავე ენით მოლაპარაკეთაგან ასეთ პირობებში არც ერთს სახელმწიფოს არ ექნებოდა უფლება არსებობისა“[1].

---

[1] საკვირველია, რომ ბევრს ჩვენსა და სხვა ქვეყნის სოციალ დ.-ებს ერის უფლების საკითხში ყოველთვის მეტ ტერნიხი, ტიერი და სხვა უდიდესი რეაქციონერები ჰყავსთ გვერდში, როგორც დღეს ავტონომიის და ავტოკეფალიის საკითხში ვოსტორგოვი, პურიშკევიჩი და მსგავსნი. ხოლო მანჩინი, რენანი და სხვანი – არას დროს!

შვეინფურტი ამბობს: „გეოგრაფიულის თვალსაზრისით, ადამიანი თავის იდეებითა და ვნებით, თავის მიდრეკილებით და ზნეჩვეულებით არის მხოლოდ „აკცესუარი" (sir! B.) დედამიწისა; იგი ბუნების შემოქმედებითმა ძალამ განაცხოველა და განასულიერა, როგორც მცენარე, რომელიც მიწამ აღმოაცენა იდეა ეროვნებისა უნდა დაემორჩილოს იდეას გონებისას, გონება კი კაცობრიობის საერთო საუნჯეა!-ო. – პირველი ნაწილი ამ ამოწერილისა ჩვენი აზრით, სრული სიცრუეა, ადამიანი დედამიწის ისეთი „აკცესუარი" არ არის, როგორიც მცენარე. მეორე ნაწილი კი არაფერს შუაშია – აქ სამართალზედ, უფლებაზეა საგანი და არა იმაზე, თუ რომელი იდეა რომელს უნდა დაუმორჩილდეს. ამავე ფორმულით რატომ სახელმწიფოც არ უნდა დაუმორჩილდეს იმავე იდეას გონებისას? – და მერმე, რა მნიშვნელობა აქვს ამას საერთაშორისო სამართლისათვის და მის საგანთა გამორკვევისათვის?

რასაკვირველია, მანჩინისა და სხვათა იდეამ პრაქტიკაში ვერ გაიმარჯვა: ბლიუნჩლისა და მის მსგავსთა თეორიაა დღეს განხორციელებული, მაგრამ თვით საკითხი რომ იყო წამოყენებული მეცნიერებაში ერისა და სახელმწიფოს შესახებ საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით, – ესეც დიდი პროგრესსია. დიდი პროგრესსია იმიტომ, რომ დღეს სახელმწიფოებრივ საერთაშორისო სამართლის მხრითაც კაცობრიობა არ არის მოწესრიგებული ჯერ კიდევ სრულიად და სავსებით, და მხოლოდ დიდთა და ძლიერთა სახელმწიფოთა ორგანიზაცია, მათი ბატონობა მიაჩნიათ მთელი კაცობრიობის ორგანიზაციად. მომავალში კი, როდესაც კაცობრიობის ორგანიზაცია. წინ წაიწევს, არა თუ ერს, – უმცირესს სოციალურ ინდივიდთა უფლებაც კი იქნება აღიარებული. ამისი ჩანასახი უკვე სჩანს ჯონ კასსონის განცხადებაში 1885 წელს. ყოველ შემთხვევაში: 1) თვით არსებობა თანამედროვე სახელმწიფოთა-შორისი სამართლისა ძველ დიდთა და პატარა სახელმწიფოთა უწესრიგობისა და უსამართლობის ნაცვლად; 2) აღიარება ამ სახელმწიფოთა თანასწორობისა მიუხედავად იმისა – დიდი იქნება სახელმწიფო თუ პატარა, სუსტი თუ ძლიე-

რი, – თუმცა კი უფრო თეორიულად; 3) მიღება საერთაშორისო სამართლის მიერ ყველა ერისა, რომელიც თავს გაინთავისუფლებს მჩაგვრელ სახელმწიფოსაგან, თუმცა ეს უფლება ერისა არ გამომდინარეობს თვით მისი არსებობის უფლებისაგან, არამედ მისი ძალისაგან და ძალით ნაშოვნ დამოუკიდებლობისაგან; 4) აღიარება, რამდენიმე მეცნიერთაგან მაინც იმ ჭეშმარიტებისა, რომ ერი და არა სახელმწიფო უნდა იყოს ერთადერთი საგანი საერთაშორისო სამართლისა, ერთადერთი იურიდიული პიროვნება უნივერსალურ სამართლის წინაშე, – ყოველივე ესე დიდი პროგრესსია ერის უფლების აღიარების მხრით. მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე საერთაშორისო სამართალი აღსავსეა შინაგანი წინააღმდეგობით, პრაქტიკული უძლურებითა და ამიტომაც უმეტეს შემთხვევაში უარმყოფელი ნამდვილ, იდეალურ საერთაშორისო სამართლისა.

კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა წინ მეცხრამეტე საუკუნეში ერის უფლებამ. ეს ნაბიჯი სოციალისტური ინტერნაციონალიზმის სფეროში იყო გადადგმული, და, საკვირველია, რომ იგი გაცილებით უფრო ბუნდოვანად არის ახსნილი სამართლის თვალსაზრისით, ვიდრე მომქმედ სამართლისაგან გადადგმული ესეეე ნაბიჯი. შეიძლება თვით ერებსაც მეტი იდეური წინააღმდეგობა ხვდებოდათ სოციალისტურ ინტერნაციონალიზმის მხრით, ვიდრე საერთაშორისო მეცნიერების მხრით, და ვინ იცის, რომ შესაძლებელი ყოფილიყო განხორციელება ასეთის სოციალისტურის ინტერნაციონალიზმისა, იქნება ერებს მეტი ბრძოლაც დასჭირდებოდათ ამ საშინელი დესპოტიის წინააღმდეგ, ვიდრე მათ დასჭირდათ მთელი საუკუნის განმავლობაში თანამედროვე სახელმწიფოთა წინააღმდეგ!

Báton

ჟურნ. „ქართველი ერი", №1, 1909 წ.

ქართველი ერი და საქართველოს ტერიტორია

ქართველი ერის განთავისუფლება, დამოუკიდებელი საქართველოს აღდგენა. ეს რთული საკითხი თავისთავად ნაწილდება მრავალ საკითხად, რომელთაც ჩვენ ცალ-ცალკე განვიხილავთ. ჩვენი აზრით, ქართველი ერის არსებობა პირდაპირ შეკავშირებულია ქართველ ერის სახელმწიფო ერად გადაქცევასთან. აღადგენს საქართველო თავის საკუთარ სახელმწიფოს, ესე იგი მოიპოვებს ის სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას, – ქართველ ერის განვითარება და წინსვლა უზრუნველყოფილია. თუ ვერ აღადგენს, ის აუცილებლივ გადაშენდება, დაირღვევა და გაქრება, ხოლო ტერიტორია ამ შემთხვევაში არის ძირითადი საფუძველი. გამოაცალეთ ქართველ ერს საქართველოს ტერიტორია – ის უკვე მოსპობილია. შეიძლება, თქვენ მიპასუხოთ, აი არსებობენ უტერიტორიო ერებიო და დაასახელოთ ებრაელები და სომხები. მართალია, ეს ერები არსებობენ, მაგრამ ვაი ასეთ არსებობას. გაპნეულნი მთელ დედამიწის ზურგზე, ისინი ყოველგან უცხონი არიან და ვერსად თავისი ეროვნული შემოქმედება ვერ გაუშლიათ. მასთან, თუ მათ დღემდისაც მიაღწიეს, ეს იმიტომ რომ ისტორიულ მსვლელობაში ისინი ისეთ პირობებში მოხვდნენ, რომ ყოველი ხალხი მათ მტრულად ეპყრობოდა, ყოველ ხალხს ისინი ეჯავრებოდა. სიძულვილი კი ამ შემთვევაში იყო საოცარი ჯავშანი, რომელიც ამ ერებს იცავდა სხვა ერთა შორის არევისაგან. მაგრამ რამდენადაც სხვა ერები მათ ურიგდებიან, რადენადაც ისპობა მათდამი სიძულვილი და ისინი სრული მოქალაქობრივ თავისუფლებას იძენენ და ადგილობრივ მცხოვრებთ

უფლება-მოვალეობით უთანაბრდებიან, იმდენად ისინიც ერევიან ამ ერებში, ზოგი სულ კარგავს თავის ეროვნულ სახეს და სავსებით უერთდება უცხო ერს, ზოგს კი რჩება მხოლოდ სარწმუნოებრივი თავისებურობა. აბა, გამოიცანით შვეიცარიაში, გინდ ინგლისში, ამერიკაში, ვინაა ებრაელი და ვინ არა. ამასთან, ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ თუ ებრაელებს დღემდისაც ასე თუ ისე დაუცავთ თავისი სახე, მათ მეტად დიდი ეროვნული კულტურა აქვთ, კულტურა სარწმუნოებრივი დუღაბით შედუღებული და ათასი, ორი ათასი წლის წინედ გამაგრებული თანამედროვე ერების ასპარეზზე გამოსვლამდის. საგულისხმო ჩვენთვის სწორედ ისაა, რომ ებრაელთა ერის ის ნაწილი, რომელმაც მიზნად დაისახა აღადგინოს კავშირი ძველ ებრაელურ ენასა და კულტურასთან, აღადგინოს ებრაელთა ერი, დარწმუნდა, რომ ეს შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ ებრაელობა დაუბრუნდება იმ ტერიტორიას, სადაც შეიქმნა მისი ისტორია, აქედან პოლიტიკური მიმართულება, რომელსაც ჰქვია სახელად სიონიზმი. დიდი ხანი არაა, რაც სიონიზმი დაიბადა, მაგრამ უკვე ნაყოფი მოიტანა. ებრაელებმა შექმნეს ეროვნული ფონდი, დააარსეს ბანკები და შეუდგნენ პალესტინაში მამულების შეძენას. მოაწყვეს უკვე იქ ორას ათასამდე ებრაელი, გახსნეს დაბალი საზოგადო და სამრეწველო სასწავლებლები, დააარსეს გიმნაზია, ამ მოკლე დროში გახსნიან პოლიტეხნიკუმს. და ყველა ამ სასწავლებელში სწავლება იქნება ძველ ებრაულ ენის შემწეობით. ებრაელობა, როგორც გაფანტული ერი, ინთქება სხვა ერებში; ებრაელობა, როგორც ერი, ცოცხლდება თავის ისტორიულ ტერიტორიაზე დაბრუნებული.

თუ ის ერიც კი, რომელიც ორი ათას წელზე მეტია, გაფანტულა დედამიწის ზურგზე, თავის ეროვნულ საკითხის გადაწყვეტას ჰპოებს საკუთარ ისტორიულ ტერიტორიის დაბრუნებაში, რაღა გვეთქმის ჩვენ – ერს, რომელიც ჯერ კიდევ თითქმის სრულიად მიწათმომქმედია, რომელსაც აქვს განსაზღვრული ტერიტორია? ქართველი ერი და საქართველოს ტერიტორია ურთიერთისაგან განუყრელია.

ქართველ ერს ბევრი იერიში აუტანია, მაგრამ ისეთს, როგორიც მასზე რუსმა მოიტანა, არას დროს არ მოსწრებია, რუსის მთავრობა კარგად ხედავდა, რომ სახელმწიფოებრიობა ქართველ ერში ძლიერია, რომ ის ასე ადვილად არ დასთმობს და არ მოინდომებს თავის პიროვნებაზე ხელი აიღოს. ამიტომ მან პირველ დღიდანვე იერიში მოიტანა ჩვენი ეროვნული არსებობის საფუძველზე. ჯერ კიდევ კარგად შემოსულიც არ იყო, რომ შემოგვისია გერმანელი გადმოსახლებულნი, ჩამოართვა ქართველებს მამულები და დაურიგა მათ იმდენი, რომ გერმანელი დღესაც დიდი მემამულეა. ზედ მოაყოლა რუსის ახალშენები. და აქიდან იწყება სახელმწიფოებრივი სისტემატიური ბრძოლა ქართველთა წინააღმდეგ მიწა-წყლის ნიადაგზე. ჩვენ აქ ვერ შევუდგებით მთელი ამ სისტემის გამორკვევას. უმძლავრესი საშუალება ქართველ ერის ქონებრივ დაცემისა იყო საქართველოს მიწა-წყლის სადავოდ გამოცხადება. ეს დავა, როგორც მოგეხსენებათ, ჯერაც არ დასრულებულა და როგორ აჩანაგებს და ღუპავს ის ქართველობას, ამასაც, ვინც ბრმა არ არის, კარგად უნდა ხედავდ ეს. მეორე საშუალება იყო ქართველობის სამშობლოდან ძალით არეკა. ეს ბარბაროსული საშუალება მარტო რუსის მთავრობას შეეძლო ეხმარა. და მართლაც, მან გარეკა ყირიმის კუნძულიდან თათრობა, გარეკა შვიდასი ათასი ჩერქეზი ჩრდილო კავკასიიდან, გარეკა ნახევარ მილიონზე მეტი მაჰმადიანი ქართველობა მესხეთიდან და მათ ადგილზე დაასახლა სომხობა, რომელმაც ასეთი დიდი როლი ითამაშა საქართველოს პოლიტიკურ დაცემაში. მესამე დიდი საშუალება არის სისტემატიური გადმოსახლება და ამ საშუალების ორგანოთა შექმნა, როგორც არის გადმოსახლების კომისია, სახელმწიფო სათავად-აზნაურო და საგლეხო ბანკები. აქ თქვენ, ერთი მხრით, ხედავთ მწყობრ სახელმწიფოებრივ სისტემას, მიმართულს ქართველ ერის ტერიტორიის წინააღმდეგ, მეორე მხრით, კი ერს უფლება აყრილს, დევნილს, დამონებულს. საქართველოს ტერიტორიას სხვა მტრებიც უხვად ყავს. განსაკუთრებულ როლს ამ შემთხვევაში თამაშობს სომხობა. იმ ერთა შორის, რომლებთან ქართველობას რაიმე დამოკიდებულე-

ბა აქვს, სომეხი ყველაზე უფრო მაღლა უნდა დავაყენოთ პრაქტიკული საქმიანობის ნიჭით, როგორც კერძო, ისე ეროვნულ საქმეშიაც. სომეხი ცოტას ლაპარაკობს და ბევრს აკეთებს. დიდი ხნის ვაჭრულმა ვარჯიშობამ ის ბუნებრივ დიპლომატად გახადა, რომელსაც, ტალეირანის დახასიათებით, ენა იმისთვის აქვს, რომ თავისი აზრები დამალოს.

და აი ეკონომიურად გაღონიერებული სომეხი საკუთარი ეროვნული სარწმუნოებით, რომლის ორგანიზაცია წარმოადგენს ერთნაირ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ წყობილებას, საკუთარი ეროვნული სკოლით და სხვა ეროვნული მოწყობილობით, ძლიერი ეროვნული შეგნებით, თავისუფალი უსაქმურ წოდებისაგან, რაც დრო მიდის, იმდენად აძლიერებს თავის ეროვნულ საქმიანობას. განსაკუთრებით ის ცდილობს ქართველთა ნაპარტახევზე მაგრად მოიკიდოს ფეხი და კიდეც საგრძნობლად აღწევს მიზანს. ბორჩალოს მაზრის, თბილისის მაზრის და სხვა ადგილების ლატიფუნდიები ერთი მეორეზე სომეხთა ხელში გადადის. და ეს გადასვლა არ არის უბრალო ყიდვა-გაყიდვის საქმე. სომეხ მესაკუთრეს თან მისდევს სომეხი მუშა, სომეხი გლეხი და ამ გვარად პროცესი ეროვნულ ექსპროპრიაციად იქცევა. მყვირალა ქართველთ არ უყვართ ასეთ საკითხების შესახებ ლაპარაკი, მაგრამ ეხლა მაინც დროა ამ მყვირალა უსაქმურთ ბურთი პირში ჩავსჩაროთ და საქმეს პირდაპირ შევხედოთ. ასე, საქართველოს ტერიტორიას მოადგა ყოველ მხრივ სხვადასხვა ხალხი და ლამობს ის ხელში ჩაიგდოს, ქართველობა გააბოგანოს და ამით სულ აღგავოს დედამიწის ზურგიდან. ქართველმა ერმა უნდა დაიცვას თავისი თავი, მან უნდა იბრძოლოს თავისი მიწა-წყლისათვის, როგორც უბრძოლია დასაბამიდანვე. და აი ის აცხადებს: საქართველოს ტერიტორია ქართველ ერს.

ესაა პრინციპი, რომელიც მას ხელმძღვანელობას გაუწევს გარეშე ძალთა წინააღმდეგ, ესაა პრინციპი, რომელიც მას გზას გაუკვალავს შინაურ საქმიანობაშიც. რასაკვირველია, ერთად ერთი საშუალება ნამდვილი, უტყუარი, რომ ქართულმა ერმა თავისი მიწა-წყალი შეინარჩუნოს, არის საქართველოს სახელმწი-

ფლებრივი აღდგენა. ტერიტორიას ფლობს ის, ვინც სუვერენია ამ ტერიტორიაზე, ვისაც შეუძლია განსაზღვრულ სახელმწიფებრივი საქმიანობით მოსულიც მოიგეროს და შინაც მცხოვრებთა ურთიერთოლბა მოაწესრიგოს. თუ ქართველ ერს ეს სუვერენობა დროებით წაერთვა, მან უნდა დაიბრუნოს წართმეული და თავის სახლში სხვას ხელი არ აფათურებიოს. დაკარგულის დაბრუნება მოითხოვს სისტემატიურ ბრძოლას. ეს ბრძოლა იქნება საერთო პოლიტიკური ხასიათის. მაგრამ თუ, ერთი მხრით, ჩვენ ვებრძვით ყოველივე გარეშე ძალას და ვიცავთ სამშობლო მიწა-წყალს, მეორე მხრით, ჩვენ მოვალე ვართ შინაც მივიხედ-მოვიხედოთ.

ჩვენ ვიცავთ კერძო საკუთრებას. მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს, რომ კერძო საკუთრებას არავითარი საზღვარი არ ჰქონდეს. ყოველი საზოგადოებრივი დანესებულება განისაზღვრება მისი სარგებლობით საერთო ერთეულის წინაშე. კერძო საკუთრებასაც იმდენად ვიცავთ, რამდენადაც ის ხელს უწყობს ქართველი ერის ეკონომიურ-სოციალურ და პოლიტიკურ აღდგენას. თქვენ რომ მესაკუთრე ხართ, ეს კი არ ნიშნავს, რომ თქვენ მხოლოდ უფლება გქონდეთ და არავითარი მოვალეობა, ეს კი არ ნიშნავს, რომ თქვენ თქვენი საკუთრება, როგორც გნებავდეთ, ისე მოიხმაროთ, ერთ ღამეს გაფლანგოთ, ან რუსის საგლეხო ბანკს მიჰყიდოთ და ამით ხელი მოუმართოთ ჩვენში რუსთა ჩამოთესვლას და ქართველთა შევიწროებას, ეს არც იმას ნიშნავს, რომ თქვენ უფლება გეძლეოდეთ, ისეთი საქმიანობა გააჩაღოთ, რომელიც ხალხს პოლიტიკურად და სოციალურად აძაბუნებდეს და აჩაჩანაკებდეს. არა, კერძო საკუთრება მარტო უფელბა კი არაა, ის მოვალეობაც არის, მას თან ახლავს განსზაღვრული მოვალეობა, მოვალეობა იმ ერის წინაშე, რომლის საუკუნოებითი ბრძოლის შედეგია ის სიკეთე, რომელიც თქვენ ხელთაა. კერძო პირი ფლობს იმდენად, რამდენადაც ეს მფლობელობა თვით ერისთვის, მისი კეთილდღეობისთვის სასარგებლოა. კერძო პირი კარგავს უფლებას იყოს მესაკუთრე, რამდენადაც ეს მისი უფლება ქართველ ერის, მისი უმრავლესობის არსებობის წინააღმდეგაა მიმართული. ქართველი ერი თუ ჰკარგავს მამულს, გარდა იმი-

სა, რომელსაც რუსის მთავრობა ძალით დაეპატრონა, ჰკარგავს თავად-აზნაურობის წყალობით; თუ ქართველი ერი ინარჩუნებს მიწა-წყალს – მშრომელი წვრილი მესაკუთრის წყალობით. თუ ქართველი ერი აუმჯობესებს თავის კულტურას, თუ ის ქმნის მეურნეობის ახალ დარგებს და განვითარების გზაზე მიდის, ეს მხოლოდ წვრილი მესაკუთრის წყალობით. აქედან აშკარაა, თუ გსურთ ქართველი ერი წელში გაიმართოს, უნდა დასცეთ თავად-აზნაურობა და ძალა გადასცეთ წვრილ მესაკუთრეს. მართლაც და, საქართველოში ას მცხოვრებზე 87 გლეხია, 9 თავად-აზნაურია. ცხრაშიც დაალოვებით 6 იქნება ისეთი წვრილი მესაკუთრე, რომელიც, თუმცა კიდევ არ განთავისუფლებულა სავსებით ძველებურ კუდაბზიკობისაგან, მაგრამ უკვე ჩაება მამულის დამუშავებაში და ამგვარად ერის შემოქმედი ელემენტია. დაგვრჩა ასზე სამი კაცი. აი ამ რაოდენობით უმნიშვნელო რიცხვს უჭირავს უმთავრესი ნაწილი საქართველოს მიწა-წყალისა. მთელი ბორჩალოს მაზრა სულ ოთხი გვარის ხელში იყო; თითქმის მთელი სამეგრელო სამეგრელოს მთავრის შვილს ეკუთვნის და როდის გაგვყიდის, არ ვიცით, და განა ვინმეს შეუძლია შეჩერდეს რაიმე ზომის წინაშე, რომ ეს მცირედი ნაწილი, რომელიც ფლანგავს ქართველ ერის ტერიტორიას, რომელიც უფსკრულისკენ მიგვაქანებს, მოსპობილ იქმნას?

მაგრამ ვთქვათ, მემამულეთ ჩამოართვით მიწა-წყალი. როგორ უნდა მოიხმაროთ? აქ წინ დაგხვდებათ სხვა და სხვა რეცეპტი. ერთი გეტყვის: „მუნიციპალიზაცია საკუთრებისა ეს ერთად-ერთი ფორმაა, რომლის მომხრედ ჩვენ (იგულისხმეთ რუსის სოც.-დემ.) შეგვიძლია გამოვიდეთ კაპიტალისტურ ხანაში". ახლა მას მეორე წამოედავება და კიდევ უფრო ბუნდოვან და ზღაპრულ გეგმას მოგცემთ: ჩვენ უსათუოდ სოციალიზაცია გვსურსო. სამწუხაროდ, ადგილი ნებას არ გვაძლევს ეს ორი ბუნდოვანობა შესაფერად დავაფასოთ. მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ არც ეკონომიური, არც სოციალური, არც ტეხნიური მდგომარეობა დღევანდელ მიწათმოქმედებისა, მით უფრო ხალხის სულიერი განწყობილება არ ეგუება ამ გეგმებს. ჩვენ არც კი აღ-

ვნიშნავდით მათ, ვინ იცის, ცხოვრებაში რამდენი უსაფუძვლო ოცნება იბადება და ქრება. მაგრამ საქმე ისაა, რომ ზოგიერთი ჯგუფები თითქო ცდილობენ ეს ზღაპრები პრაქტიკულ პოლიტიკის საფუძვლად გახადონ და ამით ხალხს გზა-კვალს უბნევენ. ამ ზღაპრებმა უკვე საკმარისი ვნება მოუტანეს ქართველ ხალხს. მაშინ, როდესაც ყოველი გლეხი სულ სხვა დევიზით გამოდის. ის ამბობს: მშრომელს თავისი შრომის იარაღი. მიწა ხომ საფუძველია მისი შრომის. მაშ ყოველ მიწათმომქმედს იმდენი მამული, რამდენსაც გაწვდება მისი საქმიანობა – აი ჩვენი მისწრაფება. ამგვარად, ჩვენი მიზანია დიდ მემამულეთა ექსპროპრიაცია. რასაკვირველია, პირდაპირი გზა ამ მიზნისაკენ არის რევოლუციონური გამოსვლა. ამ გამოსვლისათვის ჩვენ მუდამ მზადებაში უნდა ვიყვეთ და იმავე დროს უნდა გვახსოვდეს, რომ აჯანყება ყოველთვის მხოლოდ დაგვირგვინებაა იმ პროცესისა, რომელიც ცხოვრებაში მოქმედობს და ვითარდება.

ბრძოლა გლეხისა ბატონის წინააღმდეგ ისევე ხანგრძლივია, როგორც თვით ფეოდალობის არსებობა. მაგრამ დღეს ამ ბრძოლას უფრო მკაცრი ხასიათი აქვს. რამდენად დემოკრატია წელში იმართება, რამდენად ის შეგნებული ხდება, იმდენად მისთვის აუტანელია მუდმივი ნამდვილი ყმობა უმამულობით გამოწვეული. ბრძოლას ეძლევა სისტემატიური ხასიათი. ტერორი, ბოიკოტი და სხვა საშუალება მუდმივ მოქმედებაშია. გლეხთა კავშირი თანდათან იზრდება და ბრძოლის საშუალებაც ძლიერდება. თუ ჩვენ ვაღიარებთ პირდაპირი ბრძოლის საჭიროებას, იმავე დროს ჩვენ ვერ დავერიდებით სხვა საშუალებებსაც. ესეთია მამულის გამოყიდვა გლეხების მიერ.

გლეხები ადგენენ საკუთარ ორგანიზაციებს მამულის შესაძენად. ამ საქმეში მათ უნდა დაეხმაროს მთელი საქართველოს დემოკრატია, რადგან გახელხთა მესაკუთრედ გახდომა და ბატონისაგან განთავისუფლება – ესაა უმტკიცესი საფუძველი ჩვენი მომავლისა. სამწუხაროდ, ამ აზრს ბევრი მტერიც ჰყავს. აი რას სწერს სხვათა შორის, რუსის სოც.-დემ. პუბლიცისტი ბ-ნ ნ. ჟ-ია: „მიწების გლეხთა მიერ დღეს შეყიდვას არც ვებრძვით და არც

ვქადაგებთ. როცა გლეხები ასეთ სურვილს აცხადებენ, ჩვენ ვეუბნებით, თუ გნებავთ, იყიდეთ, მარა ეცადეთ იყიდოთ, რაც შეიძლება იაფად და შეღავათებით". ცოტა შემდეგ: „თუ გლეხი რჩევას გვკითხავს, ვიყიდო თუ არა", მას ჩვენ ვეუბნებით: „ეს თქვენი ჯიბის საქმეა, ჩვენ მხოლოდ დაგეხმარებით მემამულესთან მოლაპარაკებაში და მამულის ხელსაყრელ პირობებით გამორთმევაში". (ნ. ჟ. თხზ. გვ. 536). აქ ორი რამ აშკარად ირკვევა. ერთი მხრით, არის „ჩვენ", ე. ი. რუსის სოციალ-დემოკრატები, მეორე მხრით, „თქვენ", ე. ი. ქართველი გლეხი, თუ ასეთი ჩვენ-თქვენობაა მათ შორის, რაღაზე გამოგვიჭედეს ყური რუსის სოციალ-დემოკრატებმა ჩვენ ვართ ერთად ერთი წარმომადგენელი ქართველ გლეხებისო. მეორე, როცა გლეხი თავისი ნაოფლარით ცდილობს ერთი მტკაველი მიწა შეიძინოს, რუსის სოციალ-დემოკრატი მას ეუბნება, ეს შენი ჯიბის საქმეა, თუ ძალიან დამიმადლებ (აქ მადლობა არც ისე უანგაროა), დალალობას გავწევო.

ჩვენში მიწის მობილიზაცია ისეთი სისწრაფით ხდება, ისეთი ძლიერი იერიშია მოტანილი ჩვენზე ყოველ მხრივ, რომ საჭიროა ყოველ ზომას მივმართოთ, რათა ტერიტორიაც დავიცვათ, მშრომელი ქართველიც უზრუნველვყოთ. თუ გლეხი მიწის შეძენას მოინდომებს, არამც თუ გვერდზე არ უნდა გავდგეთ, ეს პირდაპირ სამშობლოს ღალატი იქნება, პირიქით უნდა წავაქეზოთ და ყოველ-ნაირად დავეხმაროთ. დღეს დიდ ეროვნულ საჭიროებას წარმოადგენს ეროვნული ბანკის შექმნა. აქ სიძნელე მთავრობის მხრივაა, თორემ დანარჩენ დაბრკოლებას ადვილად გადავლახავთ. ხოლო ვიდრე ამ ბანკს დავაარსებდეთ, საჭიროა ეხლავე შევუდგეთ ეროვნულ ფონდის დაარსებას. რასაკვირველია, ამ ფონდს არ ექნება მიზნად მხოლოდ მამულების შეძენა გლეხთათვის, მაგრამ ეს უმთავრესი მისი დანიშნულება უნდა იყოს. ჩვენ ამ ფონდის შესახებ შემდეგ გვექნება დაწერილებით ლაპარაკი. მხოლოდ ახლავე ვურჩევთ ჩვენ თანამოაზრეთ შეუდგენ საქმეს, შეადგინონ ეროვნული ფონდის წრეები, იქონიონ მსჯელობა, გამოარკვიონ მისი დანაშაულება, საშუალება და გამგეობა. დარწმუნებული იყავით, მცირედითაც ბევრი გაკეთდება, როცა

შეგნებით მდიდარი ხართ და შეუჩერებლივ, სისტემატიურად მიილტვით განსაზღვრულ მიზნისკენ.

ამნაირად, ჩვენი პრინციპია – საქართველოს ტერიტორია ქართველ ერს. ამ პრინციპის ძალით ჩვენ ვებრძვით ყველას, ვინც უნდა იყოს, ჩვენ ტერიტორიაზე გარედან მოსული და მივმართავთ ყოველ საშუალებას მათ მოსაგვარებლად. შიგნით ვებრძვით დიდ მემამულეთ, რათა ჩამოვართვათ მათ მამული და წვრილ-ნვრილ ნაჭრებათ დავურიგოთ მშრომელ გლეხკაცობას. ტერიტორიული და მასთან მჭიდროდ შეკავშირებული აგრარული საკითხი ჩვენ მიგვაჩნია ძირითად საკითხად ქართველი ერის არსებობისა. ვინც მას გვერდს უვლის და არ იბრძვის სამშობლოს ტერიტორიის დასაცავად, ის თავისი ერის მოღალატეა. ვინც იბრძვის ამ ტერიტორიის დასაცავად, ის ხელს უწყობს ქართველ ერის არსებობის დაცვას, საქართველოს გამაგრებას, ქართველ დემოკრატიის გაძლიერებას და მით ჩვენი მომავლის – დამოუკიდებელ საქართველოს შექმნას.

მიხეილ წერეთელი

ჟურნ. „თავისუფალი საქართველო“, ჟენევა, 1, 1913 წ.

ეროვნების პრინციპი და საქართველოს გედი

I

თანამედროვე დიდი მსოფლიო ომი რომ დაიწყო, თითქმის ყველა მეომარმა მხარემ განაცხადა ქვეყანაზედ თავისუფლების დასამყარებლადა და ერთა განსათავისუფლებლად ვიბრძვიო. ინგლისი თითქოს ბელგიის დასაცველად ჩაება ომში, საფრანგეთი ელზას-ლოტარინგიის „ფრანგთა“ განსათავისუფლებლად, რუსეთი ავსტრიის სლავიანთა განსათავისუფლებლადა და სხვ. ნამდვილად კი ყველა ამ სახელმწიფოებს თავიანთი იმპერიალისტური მიზნები ჰქონდათ და დღესაც ამ მიზანთა მიღწევისათვის განაგრძობენ იგინი ბრძოლას თვარა, თუ მართლა ერთა განსათავისუფლებლად იბრძოდენ, განა ინდოელები და ირლანდიელები ინგლისების მიერ არ არიან ჩაგრულნი და მიწასთან გასწორებულნი? განა საფრანგეთის ბატონობა მის კოლონიებში, აზიაში და აფრიკაში უუსასტიკესი არ არის? განა რუსეთის ბატონობა იმ უზარმაზარ მიწა-წყალზედ, რომელზედაც წინათ თვითმპყრობელობა იყო განმტკიცებული, მრავალ ერთა გასრესა და გადაგვარება არ იყო? და როდესაც ამერიკაც ჩაერია ამ ომში, თითქოს ერთა განთავისუფლების მიზნით, განა ეს ის ქვეყანა არ არის, სადაც ერთხელ მონად ყოფილი ზანგი დღესაც კაცად არ არის მიჩნეული?

ნამდვილი მიზეზები ომისა, ნამდვილნი მიზანნი დღეს ურთიერთის წინააღმდეგ მებრძოლ სახელმწიფოთა ძლიერ კარგად ვიცით. ამაზედ ხშირად გვილაპარაკნია, ეხლა აღარ გავიმეორებთ მრავალჯერ ნათქვამს. ეროვნული პრინციპის განხორციელების

მიზანი მხოლოდ ერთი დიდი ტყუილი იყო, რომელიც გადაისროლა ხალხთა შორის ანტანტამ (შეთანხმების სახელმწიფოები), რომ მოეპოებია მრავალ ჩაგრულ და პოლიტიკურ ცხოვრებას მოკლებულ ერთა თანაგრძნობა.

მაგრამ ამ უბრალო განცხადებასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. თუ კი მას აცხადებდენ სახელმწიფოები, როგორც ისეთს პრინციპს, რომლის განხორციელების, თვისაც სახელმწიფოებმა სისხლი უნდა დაღვარონ და მილიარდები უნდა დახარჯონ, მაშასადამე, ცხადია, მას უდიდესი საკაცობრიო ღირებულება ჰქონია, რადგანაც სახელმწიფოები ამ პრინციპის განცხადებით ამაყობენ და ამასთანავე ჩაგრულთა სიმპატიებს მოიპოვებენ. და მართლაც, მიუხედავად სახელმწიფოთა მიერ ეროვნული პრინციპის არაგულწრფელი განცხადებისა, ღირებულება ამ პრინციპისა ისე გაიზარდა ამ ომის დროს, რომ სახელმწიფოები ურთიერთს უკიჟინებენ მის უპატივცემლობას, როდესც იგი დათრგუნულია, და ხშირად იძულებულნი არიან ძალაუნებურად იმოქმედონ ამ პრინციპის თანახმად, თუმცა ძალის მქონებელთ არა სურთ მისი განხორციელება.

დიდი იმედი იყო განცხადება ამ პრინციპისა ჩაგრულ ერთათვის, თუმცა ამ უკანასკნელებმა იცოდნენ ძლიერ კარგად, რომ ეს განცხადება გულწრფელი არ იყო. მათი იმედი დამყარებული იყო იმაზედ, რომ პრინციპს ერთა თავისუფლებისას საბოლოოდ მოეპოვებია საკაცობრიო ღირებულება, და უმთავრესად კი იმაზედ, რომ თვით ჩაგრულნი ერნი გამოიჩენდენ საკმარის ენერგიას, და განთავისუფდებოდნენ უცხოთა ბატონობისაგან და თვითვე იქნებოდნენ განმახორციელებელნი ამ დიდებული პრინციპისა. და ჩაგრულ ერთა სიმპატიებიც გაიყო იმგვარად, თუ ვინ იყო მათი მტერთა მტერი: ჩაგრულნი თავიანთ მტერთა მტერს მიუდგნენ, ზოგი აშკარად, ზოგიც გულში, ცარიელი სიმპატიით. ჩვენც ქართველებს, სხვანაირად არ შეგვეძლო მოვქცეულიყავით. ხოლო როგორ განვახორციელეთ ჩვენი პროგრამა, ან რა შედეგები მოჰყვება ჩვენ პოლიტიკას და რითი გათავდება ტრაგედია ქართველი ერისა, ეს სულ სხვა საკითხია. ამას მომავალი გვიჩვე-

ნებს. დღეს მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ ვერ გადავდგით ხოლმე ძლიერ ხშირად თამამი ნაბიჯი მოხერხებულ დროს და შეიძლება მომავალში ამ ჩვენმა მუდმივმა რყევამ ცუდი ნაყოფი გამოიღოს.

II

ეროვნული პრინციპის ძალით თითოეულ ერს, რომელსაც აქვს განსაზღვრული ტერიტორია, უნდა ჰქონდეს უფლება თავისუფლად მოაწყოს დამოუკიდებელი პოლიტიკური ცხოვრება, ხოლო თუ მას განსაზღვრული ტერიტორია არა აქვს და იძულებულია გაბნეულად სხვა ერის ტერიტორიაზე იცხოვროს, უნდა ჰქონდეს მასპინძელი ერის კონსტიტუციის მიერ მინიჭებული უფლებანი მისი ენის, ეორვნული კულტურის, სარწმუნოების, საკუთრებისა და პიროვნების დაცვისა. თავისუფალ ერს უფლება აქვს, აგრეთვე, თუ უნდა სრულიად დამოუკიდებელი იყო და თუ უნდა მეზობელ ერებს შეეკრას ისეთი კავშირით, რომელიც მთელ კრებულს აძლევს გარანტიას სრულის თავისუფლებისას და ეროვნულ-პოლიტიკური განვითარებისას. ეს კავშირი უნდა იყოს სრულიად ნებაყოფლობით, რომ დაცული იყოს პრინციპი ეროვნებისა. ხოლო თუ კი ერთი ერია გაბატონებული სხვა ერებზედ რომელიმე სახელმწიფოში, თუ კი მისი ენა ითვლება სახელმწიფო ენად, თუ მისი კულტურის გავრცელებას ცდილობს სახელმწიფო და სხვებისას კი ჩაგრავს, აქ ერთა თავისუფლებაზე ლაპარაკი არ შეიძლება, რაც გინდ დემოკრატიული მმართველობა იყოს სახელმწიფოში. ინგლისში ძლიერ დიდი თავისუფლებაა საზოგადოდ, მაგრამ ირლანდიის ერი სულსა ჰღაფავს ინგლისის კლანჭებში. ხოლო, როდესაც ჩვენი მოწინავე პარტიები რუსეთის ერთა კავშირზე ლაპარაკობენ რევოლუციამდე, აგრეთვე, კავკასიის ფედერაციაზედ და სხვ., სწორედ ის ნებაყოფლობითი კავშირი ჰქონდათ მათ პოლიტიკურ იდეალად დასახული, და არა მარტო შეცვლა მმართველობის ფორმისა, არა მარტო თვითმპყრობელობის დამხობა თვით რუსეთში.

ამ ომში რუსეთი დამარცხდა. დამარცხებას მოჰყვა რევოლუცია, როგორც იაპონიის ომს მოჰყვა რევოლუცია 1905 წლისა, მხოლოდ უფრო დიდი და ღრმა. ამ რევოლუციამაც გამოაცხადა პრინციპი ეროვნებისა, უფრო აშკარად და ენერგიულად, რასაკვირველია, ვიდრე ეს ჰქმნა ნიკოლაი ნიკოლაევიჩის მანიფესტმა, რომელიც პოლონელების შიშით იყო გამოცემული ომის დასაწყისში. ქართველებს თვითმპყრობელობის დროსაც ჰქონდათ ცოტა იმედი, ომის შემდეგ ავტონომიას მაინც მივიღებთ რუსებისგანაო, რადგანაც მთელი ქვეყანა აცხადებდა ეროვნულ პრინციპს და რუსეთიც ქვეყნის ფეხის ხმას აჰყვა. მაგრამ რუსეთის ჯარებმა დაიჭირეს სომხეთი, ხოლო მისი თავისუფლება არ გამოაცხადა რუსეთმა, თუმცა იგი სომხეთს ამას შეჰპირდა. ეს პირველი მაჩვენებელი იყო იმისა, რომ თვითმპყრობელობა სტყუოდა და გულწრფელად არც საზოგადოდ ეროვნული პრინციპი სწამდა მას და არც კერძოდ სომხების თავისუფლება აინტერესებდა.

პოლონეთი რომ დარჩენოდა გამარჯვებულ ნიკოლაი ნიკოლაევიჩს, რასაკვირველია, რუსეთი თავისივე მანიფესტის სიტყვას უკან წაიღებდა და არც მას აღირსებდა თავისუფლებას. კერენსკის მთავრობა რევოლცციის დასაწყისში რუსეთის ყველა ერს შეჰპირდა თავისუფლებას, მაგრამ, როდესაც ერებმა ისარგებლეს მთავრობის განცხადებით და ისე გაიგეს თავისუფლება, როგორც ჩვენ ზემოდ განვსაზღვრეთ, ე. ი. ნამდვილად, კერენსკი ცეცხლითა და მახვილით დაემუქრა ყველას, ავტონომიაც ვერ გაიმეტა ვერავისათვის, არა თუ დამოუკიდებლობა. ბოლშევიკების მთავრობა უფრო შროს წავიდა და თვით სეპარატიზმიც კი შერაცხა თვითგამორკვევის ცნებაში, მაგრამ როდესაც ერებმა მოინდომეს თავისუფლად მოწყობა თავიანთი პოლიტიკური ცხოვრებისა, მათ ბოლშევიკებმა ჯარები შეუსიეს სოციალიზმის სახელით და კვლავ დაიპყრეს „თვითგამორკვევის“ ძალით განთავისუფლებული ერები.

თვითმპყრობელობა პირდაპირ გვატყუებდა ცინიკურად, კერენსკის მთავრობა გვპირდებოდა თავისუფლებას და ამასთანავე გვემუქრებოდა, სისხლით მოვრწყავ თქვენს არემარეს, თუ

განთავისუფლება მოინდომეთ, რადგან ეგ თქვენი თავისუფლება სახელმწიფოს ერთობას არღვევსო, სოციალისტური მთავრობა კი მის მიერვე განთავისფულებულ უკრაინას ჯარებით კვლავ იპყრობს, ბურჟუაზიული მთავრობა რად გაქვსო, ეხმარება ფინლანდიაში წითელ გვარდიას და ამით უარყოფს მის მიერვე თავისუფლად აღიარებულ დამოუკიდებელ სახელმწიფოს შინაგან საქმეებში ჩაურევლობის პრინციპს. სანამ გერმანელები არ შეიდნენ უკრაინაში, ამ უკანასკნელებს ბოლშევიკებმა არ მისცეს საშუალება საკუთარი ეროვნული მთავრობა მოეწყოთ. იგივე ხდება ფინლანდიაში. მხოლოდ გერმანელების ჯარები როცა განდევნიან იქიდან რუსებს, მაშინ იქნება შესაძლებელი იქ ეროვენული მთავრობის შედგენა. და რომ ჩვენსა და ბოლშევიკებს შორის ყაზახები არ ყოფილიყვნენ, რომელნიც ბოლშევიკებს ებრძოდნენ, საქართველოშიაც და მთელს კავკასიაშიც შემოვიდოდნენ იგინი და არც საქართველოს მთავრობა არ იქნებოდა ახლა და არც ამიერკავკასიის კომისსარიატი.

ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ ეროვნულ პრინციპს ყველა აღიარებს, არც რეაქციონური და არც რევოლუციონური მთავრობა ნებას არ აძლევს ჩაგრულ ერებს განახორციელონ იგი, როცა გაბატონებულ ერს სცილდება ჩაგრული ერები. რაიმე მიზეზით, თვით სოციალიზმის სახელითაც კი გაბატონებული ერი ომს უცხადებს ჩაგრულ ერთა თავისუფლებას. მაგრამ ღირებულება ამ დიადი პრინციპისა მაინც ვერავის ვერ უარუყვია! ეს არის ჩვენი იმედი, ამაშია ჩვენი ზნეობრივი ძალა და თუ სხვა ძალაც შეგვწევს ჩაგრულთ, და ეროვნული პოლიტიკა ჭკვიანად ვაწარმოეთ, მისი განხორციელებაც შეგვიძლია, როგორც ეს უკრაინამ და ფინლანდიამ უკვე ჰქმნეს!

III

რევოლუციის მიერ გამოცხადებულ თვითგამორკვევის პრინციპით ქართველებმა და კავკასიელებმაც ისარგებლეს. მით უმეტეს ჰქონდათ უფლება ქართველებს ეფიქრათ თავიანთ პო-

ლიტიკურ ცხოვრების თავისუფლად მოწყობაზედ, რომ რუსეთის რევოლუციის უენერგიესნი შემომქმედნი თვით ქართველნი იყვნენ, და თავისუფლება მათთვის რუსეთიდან საჩუქრად არავის გამოუგზავნია.

მთელი სამოცი წლის განმავლობაში ავრცელებდენ აგრეთვე ქართული სხვადასხვა პარტიები მთელს კავკასიაში იდეას ერთა სოლიდარობისას და კავკასიის კონფედერაციისას.

ბოლშევიკების მოძრაობამაც ფეხი ვერ მოიკიდა ჩვენში და საქართველო და კავკასია ფაქტიურად ჩამოცილდა რუსეთს ბოლშევიკების რევოლუციის შემდეგ.

დადგა დრო, როდესაც საქართველოსა და კავკასიას უნდა ეფიქრა საკუთარ ბედზედ და რუსეთისაგან დამოუკიდებლად მოეწყო შინაური ცხოვრება და გარეშე მეზობლებთანაც განსაზღვრული დამოკიდებულება დაეჭირა. ამ მიზნით დაარსდენ ეროვნული მთავრობანი ქართველთა, თათართა, სომეხთა და მთიელთა. დაარსდა აგრეთვე ამიერკავკასიის კომისარიატი, სადაც შედიოდენ საქართველო, თათრები და სომხები. დაარსდა ფედერაცია კავკასიის მთიელთა და ყველა ამ ახალგაზრდულ პოლიტიკურ ორგანიზმებს განსაზღვრული განწყობილება ჰქონდათ ურთიერთ შორის. ეს იყო პირველი დიდი ნაბიჯი თვითგამორკვევისაკენ, პოლიტიკურ თავისუფლებისაკენ გადადგმული კავკასიელთა მიერ. ქართველობა და კავკასია უცდიდენ, – როდის წავიდოდა ოსმალეთის ფრონტიდან რუსის ჯარი რუსეთისაკენ, რომ ოფიციალურად გამოეცხადებინათ თავიანთი დამოუკიდებლობა.

კავკასიაში მოხდა ნამდვილად ის, რასაც ერთა თვითგამორკვევას უწოდებენ და დღესაც არსებობენ ჩვენი მთავრობანი დამოუკიდებლად რუსეთის ცენტრისაგან, მაგრამ მდგომარეობა გაართულა ბრესტლიტოვსკის ზავმა და ვინ იცის რითი გადაწყდება საბოლოოდ ჩვენი პოლიტიკური ბედი. ბრესტლიტოვსკის კრებაზედ ჩვენი წარმომადგენლები ვერ დაეწრენ, რადგანაც

ეს მაშინდელ პირობებში შეუძლებელი იყო. ამის შედეგი იყო კონფლიქტი ჩვენსა და ჩვენ მოსაზღვრე სახელმწიფოს შორის. რით გათავდება ეს კონფლიქტი არ ვიცით. ყოველ შემთხვევაში კი ცხადია, რომ ჩვენ თავისუფალნი ვართ. ეს თავისუფლება საქვეყნოდ არის განცხადებული და შეძლება გვაქვს ზავზედ ვილაპარაკოთ დამოუკიდებლად უცხო სახელმწიფოებისა. ერთი ნაბიჯი კიდევ და უცხო სახელმწიფოები თვით გვაღიარებენ დამოუკიდებლად. ხოლო ყოველი ქართველის მოვალეობაა ხელი შეუწყოს ამ ახლად მოპოვებულ თავისუფლების განმტკიცებას და სისხლიც დაჰღვაროს თუ ამ თავისუფლებასა და საქართველოს და კავკასიის მიწა-წყლის მთლიანობას საფრთხე მოელის რომელიმე მხრიდან...

მ. ნ-ლი

„ქართული გაზეთი", ბერლინი, 10 (50), 1918 წ., გვ. 2-4.

მწუხარება და იმედი

იმპერატორთა რუსეთის ასის წლის ბატონობას არ მიუყენებია საქართველოსთვის ისეთი ზიანი, როგორც ოთხი წლის განმავლობაში მიაყენა მას სოციალისტურ-ბოლშევიკური რუსეთის ბატონობამ. იმპერატორთა რუსეთი ვერ შესძლებდა, ვერ გაბედავდა, ვერ მოახერხებდა, არც იკადრებდა ჩაედინა საქართველოში ის, რაც ჩაიდინა ეგრედ-წოდებულმა „საბჭოთა" კომუნისტურმა რუსეთმა.

საბჭოთა „რუსეთი"! – თითქოს ეს რუსეთი მართლა რევოლუციის რუსეთი იყოს! ტყუილია! რუსეთში ისეთი რევოლუციები, როგორც მოხდა ინგლისში, საფრანგეთში, როგორიც ხდებოდა იტალიაში, გერმანიაში და ევროპის სხვა ქვეყნებში, – რევოლუცია, შედეგი თვით ერის სულიერ და ნივთიერ ცხოვრების სიღრმეში მომხდარ ცვლილებისა, როდესაც ახალ იდეას თვით ერი და მისი საუკეთესო წარმომადგენელნი ატარებენ, როდესაც ამ იდეის განმახორციელებელი თვით ერია, შემოქმედების გამომჩენი, დამთრგუნველი ძველისა და შემქმნელი ახალის ცხოვრებისა, – ასეთი რევოლუცია არ მომხდარა რუსეთში. მართალია, ასეთ დიდ რევოლუციათა დროსაც აღელვებული ზღვა ეროვნულ ცხოვრებისა საზოგადოების ძირში საუკუნოებით დანალექს ტალახს მოიტივტივებს ხოლმე ყოველთვის თვისსა ზედაპირზედ, მაგრამ ნამდვილი შემომქმედი ძალები ერისა ახალ საფუძველს უყრიან საზოგადოებას სწორედ ამ საშინელ გარდატეხის დროს, ახალ ბედსა სჭედავენ ერისას, და ტალახი ისევ ძირს ექანება, დადგება რა ღელვა და ხორცს შეისხამს რა იდეა, მამოძრავებელი ერთა.

ყოველი რევოლუცია დიდი ეროვნული აქტია. ვითარება, ღირსება მისი ისეთია, როგორიც არის თვით ერი, შემომქმედი რევოლუციისა. ხოლო რუსეთის „დიდ" რევოლუციას წინ უძღოდა აღრევა, უწესობა, „სმუტნოე ვრემია", სტენკა რაზინი, პუგაჩევი – ყაჩაღობა, ქურდობა, მკვლელობა, დაწვა, დანგრევა და არა ძველის მაგივრად ახლის აშენება, და ამ „მოძრაობათ" ავაზაკები ხელმძღვაძვანელობდენ და არა დიდი იდეის მქონე პიროვნებანი. შემდეგ, მთელი XIX საუკუნის განმავლობაში ევროპის აზროვნების მიმბაძველნი ჩაუდგენ თავში რუსეთის „რევოლუციის" საქმეს ევროპული პროგრამებით. შედეგი მათი მუშაობისა იყო ინტელიგენციისა და ქალაქის მუშათა სუსტი ორგანიზაციები, მუჟიკთა ზღვა კი ისევე მდორე დარჩა, როგორიც იყო საუკუნეთა განამავლობაში. ვისაც ორიგინალური, ეროვნულ-რუსული იდეა ჰქონდა, მათი ძალა არარაობას უდრიდა, რათგანაც არც იდეა იყო მათი ნათელი და არც ის „ხალხი" იყო მოაზროვნე და მოძრავი, რომლის სასწაულთ-მოქმედების იმედი მათა ჰქონდა, არამედ ბნელი, პასიური „მასსა", არა მქონე წარსულისა, წარსულ საქმეთა მოგონებისა. საჭირო იყო ყოველთვის გარეშე მტრის მიერ დამარცხება რუსეთისა, ომის წაგება იმპერიის მიერ, რომ რუსეთში დიდი მოძრაობა ყოფილიყო შესაძლებელი. იაპონიის ომში დამარცხებამ მიანიჭა რუსეთსა 1905 წლის „რევოლუცია" და ის პოლიტიკური თავისუფლება, რომელიც შესაფერისი იყო თვისის არარაობით მისის შემქმნელის „რევოლუციისა" და ეს უკანასკნელიც ადრე და ადვილად ჩააქრო მთავრობამ, რათგანაც რუსეთი ჯეროვანად არ გამოდგა დალეწილი გარეშე მტრის მიერ და მთავრობას „შინაური მტრის" წინააღმდეგ გამკლავება ვაუკაცურად შეეძლო. ხოლო უკანასკნელი დიდი რუსეთის რევოლუცია, უპირველეს ყოვლისა, ჰინდენბურგისა და ლუდენდორფის მიერ გალახულ რუსის ჯარების აქტია, – სასოწარკვეთილ დამარცხებულთა ველური, უწესო აღრევა, შეიძლება შურისძიებაც თვისის ერისა და თავის თავის წინააღმდეგ! გამხეცებულ მეზღვაურთა და მხედართ თავში ჩაუდგენ პროფესიონალი რევოლუციონერები

და მოინდომეს მათ პროგრამათ მიხედვით მიეცათ მიმართულება დაწყებულ მოძრაობისათვის. დამარცხებულ მხედართა და ქალაქის ბრბოებისაგან შემდგარი ძალებით უნდოდათ მათ შეექმნათ ახალი რუსეთი, თავისუფალი, რესპუბლიკური და სხვ., მაგრამ მუჟიკთა ზღვა ისე სდუმდა და „მხედართა და მუშათა საბჭო" კი ამ 100 მილიონ მუჟიკთაგან „თავისუფალ" და „რესპუბლიკურ-დემოკრატიულ" ქვეყანას ვერ შექმნიდა. ასეთი ელემენტებისაგან არ იქმნება ის, რაც მათა სწადდა და არც ასეთს სოციალურს ალქიმიას გამოუღია არსად ნაყოფი და ვერც რუსეთში გამოიღო.

პირველი დემოკრატიულ-რევოლუციური მთავრობა ნეტარხსენებულ უნიჭოთა საპნის ბუშტივით განქრა, ვითარცა უნიადაგო რუსეთის ომით დასერილ ნიადაგზედ; დემოკრატიული მთავრობა უდემოკრატიო ქვეყანაში გამხეცებულ შეიარაღებულთა ბრბომ ერთი თვალის დახამხამებაში განაქრო. მუჟიკთ ზღვა, რომელიც დემოკრატიათ ეჩვენებოდა კერენსკისა და მის თანამმართველთ, კვლავ სდუმდა. მოვიდა ძლიერი ლენინი და დაუდგა საყდარი ბატონობისა მას, რასაც მხოლოდ შეეძლო რუსეთში ბატონობა დიდ ომში დამარცხების შემდეგ, – ხამოკრატიას. 1917 წლიდან მეფობს რუსეთში ეს საშინელი ხამი, რომელსაც ჭკვიანნი კაი ხანია წინასწარმეტყველებდენ და წინასწარ გრძნობდენ. „წითელი" მხედრობა, „ჩეკა" – აი, თარიღი, რომლითაც შექმნა რუსის ხამმა არა სოციალიზმი, არამედ საზოგადოება გარეშე ყოველივე კანონისა, სარწმუნოებისა და ზნეობისა. კაცის საკლავ ბაკებად აქცია მან მთელი რუსეთი. სასაფლაოდ არის ქცეული მთელი ეს უზარმაზარი ქვეყანა და არა შრომის სამოთხედ, როგორც ამას ჰპირდებოდა ერს მოძღვრება რევოლუციისა; აზრისა და ინიციატივის მქონე ნაწილი ერისა წამებით აღხოცეს და დარჩა ნამდვილი „მასსა ხალხისა", რომელსაც ასეთის სიყვარულითა და პირმოთნეობით ჰლიქნიდენ მოციქულნი რევოლცციისა. წამები, მოსპობა პიროვნების თავისუფლებისა და თვით ფიქრის უფლებისა, განქრობა ადამიანის სიცოცხლის ღირებულებისა, მოსპობა სამართლისა, ზნეობისა, სარწმუნოებისა – აი, რა არის საბჭოთა რუსეთში! ის, რაც ვერც – ერთმა ტირანიამ, ინკვიზიციამაც კი

ვერ შესძლო, – და არც დაუსახავს მიზნად სავსებით აღმოეფხვრა ის საფუძველი, ურომლისოდაც საზოგადოებრივი ცხოვრება შეუძლებელია, – რუსეთში შესაძლებელი გახდა. და მუჟიკთა ზღვა ისევე იტანს და მანამდის აიტანს ამ უცნაურ „რეჟიმს", როგორც იტანდა იგი თვითმპყრობელობას და სანამ რაიმე მიზეზის გამო თვით არ დაინგრევა ბოლშევიზმი, რუსეთის სადიზმზედა და პასსივობაზედ დამყარებული. „კოკასა შიგან რაცა სდგას, იგივე წარმოსდინდების"-ო და რუსეთის ეროვნულმა ჭურჭულმა ჯერ-ჯერობით ეს ბოლშევიკური შხამი და სიბინძურე წარმოადინა. აი, ეს შხამი და სიბინძურე გარდაენთხია თავისუფალ საქართველოს, რომელსაც ჯერ ვერც კი გაეგო, თუ რა იყო დამოუკიდებლობა და როგორ უნდა ყოფილიყო იგი დაცული!

ბოლშევიკებთან ერთად კვლავ მოგვევლინენ ის ელემენტები ძველის რუსეთისა, რომელნიც ყოველთვის იყვნენ მატარებელნი რუსეთის იმპერიალისტური იდეისა და მსახურად დაუდგენ ახალს, წითელს იმპერიალიზმს. მათთან ერთად შემოზვავდა საქართველოში მთელი ხროვა ჯალათთა და მაწამებელთა, – რუსნი, ურიანი, ჩინელნი, ბალტიის ბარბაროსნი, – ზოგნი სიმდიდრის შესაძენად, ზოგნი თავიანთ სადისტურ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. მათვე მიემხრენ ჩვენ მეზობელთა ის ელემენტები, რომელთაც მართლაც სწადიათ აღიგონ „არწივის ნაბუდარზედ" „ყვავ-ყორნის" ბუდეები. და, აი, ეს ოთხი წელიწადია ჯვარზედ არის გაკრული საქართველო და ენით გამოუთქმელ ვნებას განიცდის: განადგურდა ერი ნივთიერად, ისპობა მისი კულტურული შემოქმედება, აღკვეთილია უფლება აზროვნობისა, თავისუფლად ფიქრისაც კი, და რასაკვირველია, წერისა, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ მოქმედებისა. პირქვე არიან დამხობილნი სალოცავნი ქართველთა – არა მეჩეთნი, სინაგოგანი და სომხის ეკლესიანი. ქართველთა სამღვდელოებას სდევნიან, ჰხოცვენ, აწამებენ – არა ტერტერებს, მულლებს, რაბინებს. სული კეთილშობილი ბევრი ქართველი კაცისა შეირყვნა, გათახსირდა, რა ვეღარაიტანა სიღატაკე, შიში წამებისა, საპყრობილე, წამება ჩვეულებრივი მოვლენაა საქართველოში. სიკვდილის უკვე აღარ ეშინიათ, არამედ

წამებისა. ხელს აწერინებენ წინ-და-წინ გამზადებულ განცხადებაზედ თავმოყვარე, საუკეთესო ქართველებს, რომ უარაყოფიონ ის, რაც მათ სწამდათ და უყვარდათ, რასაც იგინი მთელის მათის სიცოცხლის განმავლობაში ემსახურებოდენ, და მით გაუთახსირონ, გაუბინძურონ, მოუშხამონ სული, დასცენ იგინი მათთავე თვალში, წაართვან შეგნება მათი პიროვნების ღირებულებისა. ბავშვებს უკვე აღზრდის პირველი დღიდანვე ჰრყვნიან, რომ სამაგალითო ჯალათთა, ნამდვილი ბოლშევიკური სულის მატარებელთა შთამომავლობა შეჰქმნან. მთელი ერის ნივთიერ და სულიერად მოსპობის რეჟიმი, ინკვიზიცია აღმსდგარა მთელის მისის საშინელებითა და საზიზღრობით, შეზავებული რუსული სადიზმითა, სემიური სისასტიკით, აღტყინებული ჩვენ შურიან მეზობელთა უჭკუო და უაზრო ბოროტებით, – აი, რას განიცდის საქართველო, ოთხი წლის განმავლობაში ჯვარზედ გაკრული! და სიკვდილი! სიკვდილი ჰკაფავს ყოველ დღე საქართველოს საუკეთესო შვილებს!

მკვლელობა ნაანგარიშევი, მთელი ერის სამუდამოდ დაკნინებისა და დაკოდვის მიზნით ნაანგარიშევი მკვლელობა მოგვიტანა ძღვნად რუსულმა „რევოლუციამ“ და სოციალიზმმა. და ვინც ამ სისტემაში ვერა ჰხედავს მტერთა მიზანს, რომ ერთადერთი სახელმწიფოს შექმნის ნიჭის მქონე ქართველი ერი სამუდამოდ აღხოცოს კავკასიის მიწა-წყლიდან, რომ 1918 წლის 26 მაისი აღარასოდეს განმეორდეს, იგი ბრმაა და ვერავითარი სასწაული მას თვალს ვერ აუხელს.

საქართველოში მარტო სადისტური ტერორი არ მეფობს, რუსეთში რომ მეფობდა და დღესაც არ დამცხრალა – საქართველოში შახ-აბაზის პოლიტიკური ტერორია გამეფებული, მხოლოდ უფრო სასტიკი, უფრო საზიზღარი და უფრო საშიში, რათგანაც იგი მთელს საქართველოს რუსულადა სცემს მათის ხელით, ვისაც არ აქვს არც სარწმუნოება, არც კანონი, არც სირცხვილი, – არაფერი, რაც ადამიანის საშინელებას საზღვარს უდებს, ჰლაგმავს, შახ-აბაზსა და მისს ურდოებს სარწმუნოება მაინც ჰქონდათ. ღმერთი მაინც სწამდათ...

აი „ახალი“ რუსეთის ნამდვილი სახე, მისი მიზანი და მისი ბატონობის მეთოდი საქართველოში. იგია მიზეზი იმისა, რომ დღეს ძაძებშია გახვეული მთელი ქართველი ერი. ხოლო, თითქოს სადღაცა არსებობდეს უკეთესი რუსეთი, უკეთესი სოციალიზმი მისი, რუსის რაღაც დემოკრატია და სხვ. „Credat Judaeus Apella!“

მიხეილ წერეთელი

ჟურნ. „სამშობლოსათვის“, პარიზი, 5, 1925 წ.

მათი „ბრწყინვალე“ თარიღი

საქართველოს „სოციალ-დემოკრატიული მუშათა-პარტიის“ საზღვარგარეთელმა ორგანიზაციებმა ზეიმით აღნიშნეს ორმოცი წლის დატა პარტიის „სახელოვანი“ არსებობისა და მოქმედებისა, და ვიღაც ბ. ისელი თბილისითგანაც ხმას აწვდის – ჩვენც აქ გულში ვზეიმობთ ამ ბრწყინვალე თარიღსაო. არ ვიცით, მართლა თბილისითგან არის ეს „ბრძოლის ხმაში“ (1934, იანვარი, 39) დაბეჭდილი წერილი, თუ ჩვეულებრივად პარიზშია მეხანხლული. ეს ნაკლებად არის საინტერესო. ხოლო საინტერესოა, საკვირველი და მწარედ დამაფიქრებული ის განუსაზღვრელი სიჩლუნეგე გონებისა და უგრძნობლობა გულისა, რომლითაც ეს წერილია აღსავსე.

რომ რწმენით აღსავსე პარტიის კაცმა თავისი პარტიის წარსული სიყვარულით მოიხსენიოს, გინა „ბრწყინვალედ“ დასახოს მისი ჩასახვის დატა, არ არის საკვირველი. მაგრამ როდესაც საქართველო, სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორმოცი წლის მოღვაწეობის შემდეგ, უდიდესი კატასტროფის მსხვერპლი შეიქმნა – ისეთი კატასტროფისა, რომელმაც თვით ჩვენი ერის არსებობის საკითხი დააყენა – და პოლიტიკური მოღვაწე ისე აღნიშნავს მთელი ეპოქის პარტიულ მოღვაწეობას, თითქოს არა თუ ს. დ. პარტიას არავითარი დანაშაული არ მიუძღოდეს ჩვენი ერის დაღუპვის საქმეში, არამედ მცირე შეცდომაც არ შეჰპაროდეს თვის მოქმედებაში მარქსისტ ბრძენთა კრებულს, აქ უკვე დამნაშავეთა ჩვეულებრივ ბრძოლისა და გონების სისუსტესთანა გვაქვს საქმე.

ქართველი ერი წარსულში არარაობა ყოფილა: კარჩაკეტილი ცხოვრება, პროვინციათა ერთი-ერთის წინააღმდეგობა, ერო-

ვნული შეუგნებლობა, „გაბლანდული ერთიანობა“, მეფეთაგან შექმნილი, რომელიც საპნის ბუშტივით ჰქრებოდა დიდ პიროვნებათა გაქრობასთან ერთად, – აი რა ყოფილა ძველად ქართული ცხოვრება, და ქართველი ერი ერად გამხდარა მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში, როდესაც მას „კაპიტალისტურ ჭახრაკში გაუყვია თავი“. მარქსიზმის მეცნიერების თანახმად ამ „კაპიტალისტურ ჭახრაკში თავის გაყოფას“ თან მოსდევს მშრომელ კლასთა დარაზმვა კლასთა ბრძოლის ნიადაგზედ, „მეცნიერული სოციალიზმის“ დოქტრინის გაბატონება მათ შორის, და ეგნატე ნინიშვილს, სილიბისტრო ჯიბლაძეს და დიდ თეორეტიკოსს ნოე ჟორდანიას შეუქმნიათ ახალი იდეური საქართველო. ბრწყინვალედ გაძლოლიან ს. დ.-ები ერს 1918 წლის დამოუკიდებლობამდე. დამოუკიდებლობის დროს კი ს.-დ. პარტია შესდგომია ეროვნული აღორძინების საქმეს და მხოლოდ უცხო ძალას დაუნგრევია ეს „დარაზმული ერთ-სულოვნება“ ქართველი ხალხისა და ს. დ. პარტიისა. ხოლო როდესაც დაინგრევა რუსეთის ბოლშევიზმი, ქართველმა ხალხმა და ს.დ. პარტიამ კვლავ უნდა წარიმძღვანონ წინ ძველი მედროშე ნოე ჟორდანია და გამარჯვებაც მათი იქმნება!

თითქოს არაფერი არა მომხდარიყოს რა საქართველოში მცირე მარცხის გარდა, რომელიც ს.დ.-ებს დაემართა და მალე გამოისწორებენ ბოლშევიკური ბონაპარტიზმის (!!) მიწურულში! თითქოს არც მსოფლიოში ხდებოდეს არაფერი ისეთი, რაც მარქსიზმის გამარჯვებას შეაფერხებს! თვით უზენაესს დაუკანონებია მარქსიზმის ბატონობა მსოფლიოში და ნ. ჟორდანიასი საქართველოში!

მაგრამ კარგად განიხილონ, რაცა ჰქმნეს მარქსისტებმა მთელ ქვეყანაზედ და ჩვენშიაც და დაინახავენ, რომ მარქსიზმის ბოლო ის არის, რაც აუცილებლად უნდა იყოს ერისა და მის კულტურის დამღუპველ მოძღვრებათა, და დატა მისი ჩასახვისა საქართველოში „ბრწყინვალე“ კი არ არის, არამედ წყევა-კრულვით იქმნება მოხსენიებული ქართველი ერის მიერ.

ერის ორგანიული თვისება უარყოფილია მარქსიზმისაგან. სოციალოგიაში ორგანიულ თეორიებს რეაქციონურ თეორიებად სთვლის იგი. რათგანაც „მუქთა-ხორათა" ჯიბე მშრომელთა შრომით სქელდება, შეურიგებელი წინააღმდეგობაა ერის წიაღში. პროლეტარს ერთი ქვეყნისა მეორე ქვეყნის პროლეტართან აქვს „ინტერესთა ერთობა და მაშასადამე მეტი საერთო, ვიდრე თავისი ქვეყნის „მყვლეფელებთან". პროლეტარს სამშობლო არა აქვს! პროლეტარები ყველა ქვეყნისა უნდა შეერთდენ და საქვეყნო სოციალური რევოლუციის შემდეგ, რომელიც მოხდება" კაპიტალიზმის უმწვერვალეს განვითარების დასასრულს და გამოიხატება „ექსპროპიატორთა ექსპროპრიაციით", პროლეტარი მხოლოდ ბორბალს ჰკარგავს და იძენს მთელს მსოფლიოს და სხვ.

ეს „უსამშობლოთა" მიერ შექმნილი თეორია იქადას საქართველოში ჩვენმა მარქსისტებმა და დიდი წინასწარმეტყველები ეგონათ თავი, როდესაც დაჰგმეს მაშინდელ პატრიოტთა სიტყვები: „თვითოეული ჩვენგანი, გლეხია, თავადი, აზნაური, ქალია, თუ კაცია, სულ ყველანი ერთად ქართველები ვართ, ჭირსა და ლხინში განუყრელი და განუწყვეტელი", და თავიანთ დროშას კლასთა შორის „დაუცხრომელი ჭიდილი და მტრობა-ქიშპობა" დააწერეს. ხოლო რათგანაც კლასსები ერთად არიან, „გამყვლეფელს" „უგაყვლეფილოდ" არსებობა არ შეუძლია, და ბრძოლა მათ შორის უნდა გათავდეს პროლეტარიატის გამარჯვებით და მისი დიქტატურით. ეს არის აუცილებლობა და თანაც იდეალის მიღწევაო.

აი, ამ მოძღვრებამ შექმნა საქართველოში ის სული, რომელმაც დაღუპა ჩვენი ქვეყანა. საქართველო დღეს სულთ-მობრძავი გდია, ფიზიკურად და სულიერად განადგურებული. მის სხეულს მარქსიზმის მოსავნი სძიძგნიან და არა ისინი, ვისაც მარქსისტები ორმოცი წლის განმავლობაში „ხალხის მტრებადა" გვთვლიდენ.

სიძულვილი „გაბატონებული კლასსებისადმი" წარსულშიაც გადაიტანეს. გლეხს შეაძულეს წარსული, რათგანაც უწინ ბატონ-ყმობა იყო. როგორც დემოკრატებსა და რესპუბლიკელებს, მართლ-მორწმუნე მარქსისტს, პროლეტარსა და გლეხს აგრეთვე

უნდა სძულებოდათ მეფეთა და ფეოდალთა წარსული, როგორც გამატერიალისტებულ დიალექტიკოსებს, მარქსისტებს უნდა სძულებოდათ, რასაკვირველია, სარწმუნოება, ეკლესია, – ხალხის შეგნების მიმაძინებელი „ოპიუმი" და ორგანიზაცია უმეცრებისა, ცრუ-მორწმუნოებისა, მოკავშირე გაბატონებულ კლასსთა ხალხის „საყვლეფად" და თვითონაც მისი „მყვლეფელი". ეკლესიასაც, რჯულსაც სასტიკი ბრძოლა უნდა გამოცხადებოდა.

წარსული არა იყო რა, გარდა მეფეთა და თავადთა მიერ ხალხის ყვლეფისა და ჩაგვრისა, ეკლესიის მიერ ხალხის ექსპლოატაციისა, გონების დაბნელებისა და ცრუ-მორწმუნოების გავრცელებისა, კარჩაკეტილი ცხოვრება, შეუგნებლობა. აწმყოს „კაპიტალისტურ ჭახრაკში" ჰქონდა თავი გაყოფილი და ამიტომ აუცილებლად დადგებოდა ხანა ბორკილებითგან პროლეტარიატის განთავისუფლებისა, მაგრამ აწმყოც, „ყვლეფაზედ" დამყარებული, საზიზღარი იყო. საქართველო იყო „ტაბულა რაზა" და მარქსისტებს უნდა დაეწყოთ ნამდვილი ისტორია ქართველი ერისა. ცხრამეტი საუკუნის განმავლობაში მას მთლიანი ეროვნული ცხოვრება არა ჰქონია, და სხვ. ამიტომ გაისმოდა ხშირად ვიღაც ერთისაგან წარმოსროლილი სიტყვა და რეგვენთაგან განმეორებული, ვითარცა დიდი სიბრძნე: წარსული მეზიზღება და აწმყო ჭირივით მძულსო! თუ რა ულოღიკობა იყო ამ სიტყვებში, ამას მარქსისტები ვერცა ჰხედავდენ და არც დაეძებდენ: მათაც ხომ სწამდათ, რომ ერთი ფორმა საზოგადოებრივი ცხოვრებისა წინასწარის განვითარის შედეგი იყო ჩვენსი ისევე, როგორც სხვაგან.

ის ერი, რომელსაც წარსული არა აქვს, რომლის ისტორია არ აღიწერება, ერიც არ არის. ხოლო მომავალი მაშინ ექმნება, როდესაც „წარსულს" განვლის. ის ერი, ვისაც წარსული ჰქონია და დავიწყებია, იშვიათი დეგენერატი უნდა იყოს, და მას არც მომავალი აქვს, იგი გაქრობის გზაზეა დამდგარი. ის ერი, ვისაც დიდი წარსული ჰქონია, ახსოვს და უყვარს იგი, ამაყობს მით, ატარებს წარსულ საუკუნეთა სულს, დიდი ენერგიით არის ყოველთვის აღსავსე, რომ მომავლისათვის იბრძოლოს და შექმნას იგი. ხუ-

თასი წლის ოსმალთა მონობაში წამებულმა და განადგურებულმა საბერძნეთის ერმა სწორედ დიადი წარსულის მოგონებით, მაგალითით, სიყვარულით, ისე იბრძოლა დამოუკიდებლობისათვის წარსული საუკუნის დასაწყისში, როგორც არ უბრძოლია არც ერთ ერს, ბერძნებზედ უფრო ძლიერსა და უკეთეს პირობებში მყოფსაც!

ჩვენმა მარქსისტებმა ჩვენი ისტორია არა თუ საკმარისად არ იცოდენ, არამედ რაც იცოდენ, იმასაც განგებ აყალბებდნენ, არარად ხდიდენ. შექმნეს თავისებური, მარქსისტული ისტორია ქართველი ერისა, რომელსაც არავითარი საერთო ნამდვილ ისტორიასთან არა ჰქონდა. უხსოვარი დროითგან მთლიან ერად შეერთება ქართველ ტომთა, შექმნა ერთი სახელმწიფოსი, შექმნა დიდი ქრისტიანული კულტურისა, რომელსაც წინ უძღოდა ჯერ კიდევ გამოუკვლეველი დიდი კულტურა წარმართული, განვითარება და გაძლიერება საქართველოს სახელმწიფოსი, რომელმაც შესძლო იმპერიის შექმნაც კი კავკასიაში და მის საზღვრებსაც გადააცილა. რთულნი და მრავალმხრივნი დამოკიდებულებანი მისნი მეზობელ სახელმწიფოებთან, დიდი როლი მისი საერთაშორისო ცხოვრებაში ახლო აღმოსავლეთისა, მისი რთული სოციალურ-ეკონომიური ცხოვრება, საეკლესიო და საერო დიდი კულტურა, მწერლობა, ხელოვნება, და ბოლოს, „ბედი ქართლისა", რომელიც ისე მწარე იყო საუკუნეთა განმავლობაში მთელი აღმოსავლეთის წინააღმდეგ მებრძოლისათვის – ყოველივე ესე თურმე ისტორია არა ყოფილა, ღირსი ცოდნისა ქართველის მიერ. არც მოსაგონებელი და სამაგალითო რამ ყოფილა ამ „საზიზღარ" წარსულში, არამედ საქართველო უცდიდა იმ დღეს, როდესაც „კაპიტალისტურ ჭახრაკში" გაჰყოფდა თავს და ეგნატე ნინოშვილი, სილიბისტრო ჯიბლაძე და ნოე ჟორდანია მოევლინებოდენ მას წინასწარმეტყველებად და ღირს-ჰყოფდენ ცხოვრებისა. ნოე ჟორდანიას ისტორიით საქართველოში „შრომის განაწილება, აღებ-მიცემობა, წარმოება თითქმის სრულიად არ არსებობდა, და თუ ხან და ხან აქა-იქ თავს იჩენდა, ისიც ისე ხანმოკლედ და სუსტად, რომ ცხოვრების მიმდინარეობაზე არავითარი გავლენა

არა ჰქონდა. ამ გარემოებამ დაჰბადა კარჩაკეტილი ცხოვრება ქალაქებისა, პროვინციებისა და სოფლებისა.

აღორძინდენ და განვითარდენ იმგვარი ეროვნული თვისებანი, რომელნიც აშორებდენ, აცალკევებდენ სხვა და სხვა ჯგუფთ ქართველი ტომისას. ცხრამეტი საუკუნის განმავლობაში ქართველობა წარმოადგენდა არა ერთ მთელ ერს, არამედ რამდენიმე დანაწილებულ ჯგუფს, რომელნიც ცხოვრობდენ სხვა და სხვა ეკონომიურ და გეოგრაფიულ პირობებში. „თამარ მეფის, დავით აღმაშენებლის, გინდ სხვა გამოჩენილ მეფეთა ხელში საქართველო არ იყო შებმული მტკიცე ეროვნულ უღელში, და თუ იყო, მხოლოდ მოჩვენებით, დროებით, და დიდ პიროვნებათა გაქრობასთან საპნის ბუშტივით ქრებოდა ეს გაბლანდული ერთობაო", გადმოგცემს შემდეგ ბ. ისელი რომ ჟორდანიას სიბრძნეს, და სოსო ჯუღაშვილს ედავება, ეს დიდი აღმოჩენა შენ კი არ გეკუთვნის, არამედ უნიჭოდ განიმეორე ნოესაგან თქმული ამ 21 წლის წინადო – ამ მარქსისტული ობროდობას განხილვა შორს წაგვიყვანდა. გეტყვით მხოლოდ, რომ ამ თეორიით არც ერთი ერი არ არსებულა, როგორც ნამდვილი ერი, „კაპიტალისტურ ჭახრაკში თავის გაყოფამდე", მაგრამ საკვირველია, რა საიდუმლო ძალა ჰქმნიდა ამ „საზიზღარ წირსულში" დიდ სახელმწიფოებს, იმპერიებს, ვისი ენერგიით იყვნენ იგინი შექმნილნი, ვინ იყო მაშინდელ დიდ სახელმწიფოებრივ იდეათა მატარებელი, რამ შექმნა და საითგან გამოვიდენ „დიდნი მეფენი" ან საქართველოში, ან სხვაგან, და როგორ შესძლეს მათ თავიანთ არარაობა – ერთა ჰეგემონიის დამყარება უზარმაზარ ტერრიტორიებზედ. ან რა საერთო აქვს ერის განსაზღვრულ ეკონომიურ წყობილებას თვით ერის არსებობასთან და მის ეროვნულ შეგნებასთან. თავისი ხანგრძლივი ისტორიის განმავლობაში ერი განსაზღვრულ რთულ და მრავალ პირობათა მიხედვით ხან დაქსაქსულია პოლიტიკურად, ხან შეერთებული, ხან ერთი ეკონომიურ-სოციალური აგებულებისაა, ხან სხვისა, მაგრამ იგი, დღითგან გაჩენისა, ყოველთვის ერთი სულიერი პიროვნებაა და რჩება ამგვარად სიკვდილამდე. ძველი საბერძნეთი პოლიტიკურად არასოდეს შეერთებულა, მა-

გრამ ელლადა იყო და ეს ყოველმა ბერძენმა იცოდა. გერმანიის ერი დღეს შეერთდა სრულიად პოლიტიკურად, მაგრამ საუკუნოებით არსებობს, როგორც ერი. ფეოდალური წყობილების დროს თუ ნაციონალ-სოციალისტურისა, იგი გერმანიის ერი იყო და არის, როგორც კოლლექტიური, ცოცხალი არსი განსაზღვრული სახელწოდებისა მთელი მისი ისტორიის სიგრძეზედ და არა მხოლოდ „კაპიტალისტურ ჭახრაკში" თავის გაყოფის შემდეგ. მაგრამ მთელი ზემოხსენებული მარქსისტული ობროდობა მხოლოდ ჭკვიანად ნაანგარიშევი ზრახვაა სწორედ ერის მთლიანობის დაშლისა, დარღვევისა, მისგან მის ნაწილთა, „გაყვლეფილთა" სულიერად განყოფისა და განშორებისა, რათა „სამშობლოს არა მქონე" პროლეტარიატმა ეროვნული „ბორკილი" დაჰკარგოს და მსოფლიო მოიპოვოს.

და აბა მოიგონეთ, თუ როგორ იხსენიებდენ საქართველოში სიტყვებს „სამშობლო", „მამულიშვილი", „პატრიოტიზმი", „ქართველი", ან წარსულ დროთა დიდ მოღვაწეთა და თავდადებულთა საქართველოსათვის!

მარქსისტთა პრესსაში, პროპაგანდის დროს, კერძო ბაასის დროს, ყოველდღიურ ცხოვრებაში, სუფრაზედაც ყველაფერი გამასხარავებული და სასაცილოდ აგდებული იყო, ან „შოვინიზმად" მონათლული, ან წარსულზედ ლაჩრულ ტირილად დასახული. სადღაც მიყრუებულ სოფელში ღობის პროპაგანდისტების შიშით წიგნთ საცავისათვის „ქართული ბიბლიოთეკის" სახელიც ველარ დაურქმევიათ. თვით სიმღერასაც კი „ქართველო ხელი ხმალს იკარ" დასცინოდენ. სარწმუნოება, მღვდელი და ეკლესია ხომ დაცინვასა და დევნას ვერ გადარჩებოდენ. 1921 წელს კი დასჭირდათ მარქსისტებსაც ეს „ქართველო ხელი ხმალს იკარ", მაგრამ გვიან იყო, რათგანაც ხმალს ხელი მხოლოდ იმან იკრა, ვისაც მათგან სასაცილოდ აგდებული „მამულიშვილური" სული გაელვიძა, ეს კი არ იყო საკმარისი, მთელს ერს უნდა გაღვიძებოდა მამულიშვილური სული, მარქსიზმისაგან დევნილი ორმოცი წლის განმავლობაში, რაიცა უკვე შეუძლებელი იყო.

ჩვენი სოციალ-დემოკრატების ინტერნაციონალიზმმა იქამდე მიაღწია, რომ ნოე ჟორდანია ბოლოს იმასვე სწერდა, რასაც რუსთა ოფიციალური პრესსა – უმაღლესი კულტურა რუსებმა შემოიტანეს საქართველოშიო. ისტორიის გაყალბება (ამ სენისაგან დღესაც ვერ განთავისუფლებულან ჩვენი ს.-დ,-ები. იხ. მაგალითად წერილი „ქართულ ეროვნულ მოძრაობის საფეხურები" „ბრძოლის ხმაში" – 1933, 37, სადაც ავტორი ეროვნულ მოძრაობასაც ს.-დ. პარტიას უკავშირებს და თვით რუსების შემოსვლის შემდეგ მომხდარ აჯანყებებს „გაელენიან თავადთა უკმაყოფილებას" აწერს. ნეტავ თვით ოფიციალურ „აქტებში" არ იყოს უამრავი მასალა ამ აჯანყებათა ისტორიისათვის, თუ ვინ იბრძოდა უმთავრესად და რისთვის!) დემაგოგიური მიზნით ხელობა იყო საზოგადოდ ჩვენი მარქსისტული პუბლიცისტებისა და ქართული ძველი კულტურის უარყოფაც მათ მარქსიზმის განსამტკიცებლად საქართველოში დიდ საქმედ მიაჩნდათ. – რათგანაც „საერთაშორისო პროლეტარიატთან" საქართველოს „პროლეტარიატს" ძალიან ცოტა განწყობილება ჰქონდა. ჩვენი მარქსისტების „ინტერნაციონალიზმი" ბოლოს და ბოლოს რუსსოფილობით გამოიხატა. მათ ისეთი ლოიალობა გამოიჩინეს რუსეთის პროლეტარიატისადმი და ერთობ დემოკრატიისადმი, ბოლოს და ბოლოს რუსეთისადმი, რომ საკუთარი, ქართული ს. დ. პარტიაც არ შექმნეს, არამედ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე დარჩენ რუსეთის ს.-დ. პარტიაში. ამიტომ იყო, რომ „ავტონომიასაც" კი ებრძოდენ ისინი გააფთრებით მთელი მათი მოღვაწეობის განმავლობაში, რუსის ს.-დ. პარტიასთან ერთად.

პრაქტიკულად მათი კლასსთა ბრძოლის თეორიითგან გამოვიდა ნოდებათა და კლასსთა ურთიერთზედ გადაკიდება და ტერრორიზმი, მათი თავისუფალი აზროვნების თეორიითგან – უღმერთობა და უსჯულოება, მათი ინტერნაციონალიზმისაგან – რუსსოფილობა და უარყოფა საქართველოს არა თუ თავისუფალი პოლიტიკური ცხოვრებისა, არამედ ავტონომიისაც კი რუსეთის იმპერიის საზღვრებში, მათ მიერ ისტორიის გაყალბებითგან და წარსულის დაგმობითგან – არარაობად ქცევა ერის პიროვნებისა.

ერის ორგანიზმი გაიხრწნა, დაიმალა, განქრა უძვირფასესი ტრადიციები, რომელიც საუკუნოებით არსებობდა საქართველოში და შესაძლებლად ხდიდა მთლიან ეროვნულ მოქმედებას; განქრა ძველი სიამაყე და ვაჟკაცობა, რწმენა საკუთარი ეროვნული ღირებულებისა; განქრა ღმერთი და განიძარცვა სული აუარებელი ქართველისა ყოველი კეთილშობილი გრძნობისაგან; შეიქმნა განსაკუთრებული, საზიზღარი ტიპი ბოლშევიკისა და მენშევიკისა, რომელსაც უკანითგან სიარულზედაც კი იცნობდა კაცი. და როდესაც ეს ტიპი განმრავლდა ქართველი ერის „მასსათა" შორის ეს იმას მოასწავებდა, რომ მე-19-ე საუკუნის საქართველო დაღუპული იყო. მას ვერ იხსნიდა ვერავითარი ძალა. მარქსიზმა სძლია საუკუნეთა ბრძოლით დაღლილ ერს, მოწინააღმდეგე ძალები სუსტნი გამოდგენ მარქსიზმთან ბრძოლაში (ამას ტრიუმფით პირში გვახლიან ხოლმე ს.-დ.-ები, თითქოს ეს ამართლებდეს მათ კრიმინალობას) და ამ გამარჯვებით დამთვრალმა ლიდერმა ჩვენი მარქსისტებისა წამოიძახა უსირცხვილოდ, როდესაც ილიას მოკვლის გამო აბორგდა ყოველივე, რაც კიდევ იყო დარჩენილი საქართველოში ქართული და კეთილშობილი: ტყესა ჰკაფავენ, ნაფოტები სცვივაო! – ს. დ.-ებს ძალიანა სწყინსთ, როდესაც ილიას მოკვლას მათ აბრალებენ. მაშ ვინ მოჰკლა ილია? განა არა ზემოხსენებულმა სულმა? განა ამ სულმა მთელი საქართველო არ მოჰკლა? და განა ჩვენ ის გვაინტერესებს, „კომიტეტის დადგენილებით", „პარტიის დადგენილებით" იყო თუ არა ილია მოკლული? გვჯერა, რომ არა! არამედ ჩვენთვის მნიშვნელობა აქვს ხასიათს იმ ბრძოლისას, რომელსაც ილიას წინააღმდეგ ეწეოდენ ს. დ.-ები, როგორც მახარაძე, ისე ჟორდანია, და ლიდერის საბოლოო მსჯავრს: ტყესა ჰკაფავენ, ნაფოტები სცვივაო!

მარქსიზმმა საერთოდ დაღუპა საქართველო. ბოლშევიკებს და მენშევიკებს განურჩევლად მიუძღვისთ ღვაწლი ამ დანაშაულში, ტყვილად სწყინსთ ჩვენ ახლანდელ მენშევიკებს, როდესაც მათ ბოლშევიკებთან ერთად ვიხსენიებთ. აქ მაგონდება ერთი ახალი ანეკდოტი: „ზემო-იმერულ გლეხს ურემი მიჰყავდა და თან ახლდა ერთი ახალგაზრდა. „ბიძია", ჰკითხა გლეხს ყმაწ-

ვილმა, „რა არის ბოლშევიკი და მენშევიკი?“ ამ დროს ურმის ბორბალმა გადასჭრა დიდი უშველებული ფუნა, უდიდესი ნაწილი ერთ მხარეს დარჩა უმცირესი მეორეს. შეჰხედა გლეხმა და მიუგო მსწრაფლ ყმაწვილს: „ე, ბოშო, ე, დიდი ბოშონიკია და ე, პატარაა, მეშენიკი“! და მართლაც ერთნი არ იყვნენ ჟორდანია და მახარაძე, ერთის მსოფლმხედველობის აღმსარებელნი, ერთი ძირისაგან შობილნი?! ოდეს განიყვნენ, უკვე გვიან იყო, ჩვენი ქვეყანა უკვე უფსკრულში ჰქონდათ ორივეს ერთად გადაგდებული და მერე ორივემ სძიძგნეს იგი, მხოლოდ მეტ-ნაკლები სიჩლუნგით, სირეგვნით და სადიზმით.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას ჩვენი მენშევიკები დიდ პატრიოტულ აქტად სთვლიან. მაგრამ დამოუკიდებლობა მათ იძულებით გამოაცხადეს. რუსეთის დანგრევა და თურქის ძლევამოსილი ფაშები იყვნენ უფრო მიზეზნი ჩვენი 1918 წლის დამოუკიდებლობისა, ვიდრე მენშევიკების პატრიოტიზმი.

ამბობენ, რომ სწორედ დამოუკიდებლობის გამოცხადების გადაწყვეტისას ლიდერი პარტიისა წინააღმდეგი იყო ამ აქტისა და თავისი „განსაკუთრებული აზრი“ პროტოკოლში შეატანია, ხოლო მეორე დიდ მენშევიკს ჯავრით გულს შემოეყარა, როდესაც დამოუკიდებლობის გამოცხადება გადწყდაო. ანეკდოტია? – სულ ერთია, ჩვენ მარქსისტთა სულისკვეთებას დაახასიათებს ამგვარი ანეკდოტებიც, და სრული ჭეშმარიტება კი ის არის, რომ ჟორდანია და წერეთელი რომ დემოკრატიული რუსეთის სახელმწიფო კაცნი ყოფილიყვნენ იმ ხანაში, ხოლო მახარაძე და ჯუღაშვილი გამგენი დამოუკიდებელი ბოლშევიკური საქართველოსა, რუსის ჯარები მაინც შემოვიდოდენ საქართველოში მენშევიკთა წინამძღოლობით „დემოკრატიის“ სახელით, 1921 წელზედ უფრო ადრე და მეტის რიხითა და სიმართლის პრეტენზიებითაც.

რასაც ბოლშევიკები თავიანთ საბრძანებელში სჩადიან მაქსიმალურად, იმასვე „მინიმალურად“ სჩადიოდენ მენშევიკები ყველგან, სადაც კი მათ ბატონობა მოიპოვეს. რაც მათ დამოუკიდებელ საქართველოს დამართეს, ცნობილია, ხშირად გვითქვამს და აღარ განვიმეორებთ. იგივე ჰქმნეს გერმანიაში: ქვეყანა გას-

ძარცვევს და უფსკრულის პირამდე მიიყვანეს. და რომ იტალიაში და გერმანიაში არ გამოჩენილიყო საკმარისი ეროვნული ძალა, ამ დიდ ქვეყნებსაც იგივე ბედი ეწეოდა, რაც ეწია საქართველოს, – განადგურება ბოლშევიკებისაგან, ე. ი. მაქსიმალისტ მარქსისტთაგან, რომელთაც ნიადაგს მინიმალისტები უმზადებდენ ყოველთვის. ეს ეროვნული ძალა ფაშიზმის და ნაციონალ-სოციალიზმის სახით ამოძრავდა ამ ქვეყნებში და გაანადგურა მარქსიზმი, მენშევიზმი და ბოლშევიზმი ერთად. საქართველოშიაც იმდენი ეროვნული ძალა კიდევ იყო გადარჩენილი, რომ შინაურ ბოლშევიზმს მოვრეოდით, მაგრამ იმდენი კი აღარ გადარჩა მარქსიზმის ოცდაათი წლის მძვინვარებას, რომ უცხოეთითგან შემოჭრილი ბოლშევიკური ძალისათვის ჯეროვანი პასუხი გაგვეცა.

აი, რა იყო შედეგი საქართველოში მარქსიზმის მიერ „ხალხის დარაზმვისა". ხალხის დარაზმვა თავის თავად უდიდესი საქმეა, მაგრამ როდესაც დარაზმულ ხალხს უმსგავსო აზრს უნერგავენ, უმსგავსო აზრი უმსგავსო საქმეს წარმოშობს ყოველთვის და ჩვენც მსხვერპლნი გავხდით მარქსიზმის უმსგავსობისა, და იმდენად, რაოდენადაც არც ერთი სხვა ერი! უკითხავსთ თუ არა ჩვენ მენშევიკებს თავისი თავისათვის: წმინდა მარქსიზმის თვალთახედვით რითა სჯობია მენშევიზმი ბოლშივიზმს? რომელი უფრო წმიდად განახორციელებს „კომუნისტური მანიფესტის" პრინციპებს? – რით აიხსნება ის მოვლენა, რომ, სადაც კი მარქსიზმმა გაიმარჯვა, – ბოლშევიზმა თუ მენშევიზმა, იქ ქვეყანა განადგურდა და ყველგან მთელი ერი დაირაზმა მის წინააღმდეგ ქვეყნის გადასარჩენად, და გადაარჩინა კიდეც ყველგან, სადაც კი ერი ერობდა და რუსეთის პასსიურ უკულტურო, პროტოპლაზმიურ „მასსას" არა ჰგავდა? – რით აიხსნება ის, რომ საქართველოს არაოდეს მოვლენებია ისეთი მტერი, როგორნიც არიან ბოლშევიკები: არც მონღოლთ, არც სპარსთ, არც თურქთ, არც რუსეთის ძველს რეჟიმს ისეთი ვნება, ფიზიკური და სულიერი არ მიუყენებიათ საქართველოსათვის საუკუნეთა განმავლობაში, რაც მას მიაყენეს ბოლშევიკებმა ყველა ეროვნებისა. მათ შორის უმთავრესად ჟორდანიას ძველმა მოწაფეებმა, თორმეტი წლის

სივრცეზედ? ის მენშევიკი, ვისი გონების წინაშე ეს საკითხები დადგება და გულწრფელად გასცემს მათ პასუხს, არ შეიძლება არ მივიდეს იმ დასკვნამდე, რომ თვით მარქსიზმის არსებაში უნდა იყოს შხამი ერის დაშლისა და მტრობისა, როგორც ერის საწინააღმდეგო მოძღვრებაში, და მაშინ მისთვის გასაგები შეიქმნება ნაციონალისტთა მტრობა მარქსიზმისადმი...

მაგრამ ჩვენი ერი გაუძლებს კი მარქსიზმის ბარბაროსოებას, სანამ ქვეყანაზედ მოისპობოდეს იგი? აი საკითხი, რომელიც ბოლმით აღავსებს ყოველი ნამდვილი ქართველის გულს და აღმოათქმევინებს მას წყევლა-კრულვას იმ თარიღასას, რომელიც „ბრწყინვალედ" დასახეს ჩვენმა მარქსისტებმა, საითგანაც დაიწყო გახრწნა, დაშლა, დალაჩრება ქართველი ერისა, როდესაც გადაწყდა საქართველოს მსხვერპლად მიტანა მარქსისტული ინტერნაციონალის საკურთხეველზედ.

წყეულიმც იყოს ის თარიღი, ურომლისოდაც ასეთი ეჭვიც არავის აროდეს დაებადებოდა, და თუ საქართველომ ეს უდიდესი ჭირიც მოინელა – ამ იმედით ღა გვიდგია სული – ვნახოთ თუ სხვაგვარად მოიხსენიებს იგი ამ უსაშინელეს და უბინძურეს ხანას მისი ისტორიისა!

მიხეილ წერეთელი

გაზ. „თეთრი გიორგი", პარიზი, 74, 75, 1934 წ.

სიტყვა ბატონ მიხეილ წერეთლისა წარმოთქმული გერმანულ ენაზე ბერლინში 1943 წლის 26 მაისის საზეიმო დღეს

მე-23-ჯერ ვდღესასწაულობთ სამშობლოსგან გადმოხვეწილნი ქართველნი 26 მაისს. ხოლო საქართველოში 1921 წლითგან აღკვეთეს ეს ეროვნული დღესასწაული მათ, ვინც 26 მაისს 1918 წელს განცხადებული დამოუკიდებლობა საქართველოსი დაამხეს და ვისაც ქართველი ერი დღემდე ჯვარზედ ჰყავთ გაკრული. ვინ იცის, იქნებ ბოლშევიკების სიმხეცეს გადარჩენილი რამდენიმე ძველი ქართველი ჩუმად იგონებს 26 მაისს, იგონებს წარსულ ბედნიერებას, ხოლო საქართველოში ბევრია ისეთი ახალგაზრდა, რომელმაც არც კი იცის, თუ რა მოხდა მის სამშობლოში 26 მაისს 1918 წელს.

არა ერთი გრძნობით ვიგონებდით ჩვენ აქ იმ დღეს, არამედ მრავალით. 26 მაისი იყო ჩვენთვის დღე სიხარულისა, მაგრამ, აგრეთვე, დღე გლოვისა, და ბოლოს, დღე იმედის ზრახვათა

საქართველოს დამოუკიდებლობის 1918 წლის 26 მაისის აქტი



საქართველოს დამოუკიდებლობის 1918 წლის 26 მაისის აქტი

აღმძვრელი, განსაკუთრებით დღეს, როდესაც აღკვეთა ბოლშევიზმის ჭირისა მიზნად აქვს დასახული კულტურული კაცობრიობის უკეთეს, უკეთილშობილეს ნაწილს.

ქართველმა ერმა თავისი ცხოვრების მრავალ საუკუნეთა განმავლობაში, ჯერ კიდევ ქრისტეს წინად, შესძლო გამხდარიყო სახელმწიფოებრივობის ნიჭის მქონე ერად, რადგან იგი იყო ერი, შემქმნელი საკუთარი კულტურისა, საზოგადოება დასრულებული ეროვნული სახისა. ქრისტიანობის მიღების შემდეგ, მე-IV საუკუნეში, იგი შევიდა ევროპის საქრისტიანო კულტურულ სფეროში, შექმნა ახალი ქრისტიანულ-ეროვნული კულტურა და აქ დაესახა მას ახალი ეროვნულ-პოლიტიკური მიზნები, რომელთა მისაღწევად იგი იბრძვის 1500 წლის განმავლობაში, ერთი მხრივ, განვითარება შეუფერხებელი და დაუბრკოლებელი თვისი ახალი კულტურისა და, მეორე მხრივ, დამცავი მიწა-წყლისა და წინაპართა მემკვიდრეობისა აურაცხელ და ძლიერ მტერთა წინააღმდეგ – აი, რა იყო ეს მიზნები და რას ეწირებოდა ქართველი ერის

ენერგია მისი ხანგრძლივი ისტორიის განმავლობაში და გმირთა აღურიცხავი შთამომავლობით მოიტანეს მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისამდე ქართული ეროვნება, კულტურა და სახელმწიფოებრივობა, – სულითა და ხმლით: ამ დროის განმავლობაში საქართველოს ჭირიც ბევრი გამოუცდია და დიდებაც უხილავს, უძლიერესი სახელმწიფოც ყოფილა იგი ქვეყნის იმ ადგილას, სადაც მიმდინარეობდა ცხოვრება მისი, და პოლიტიკური თავისუფლებაც დაუკარგავს ხოლმე მას, მაგრამ იმედი ამ თავისუფლების აღდგენისა, კვლავ მოპოვებისა, მას არასოდეს დაუკარგავს. პოლიტიკური თავისუფლება ქართველისათვის ერის სისხლით მოპოვებული უფლება იყო, ბუნებრივ უფლებად ქცეული მისთვის, გარდაუვალი. ქართველი ყოველთვის შეურყეველი რწმენით მოელოდა დამოუკიდებლობის აღდგენის დროს, რაც მისი უზენაესი უფლების აღდგენას მოასწავებდა, და საქართველომ მე-18 საუკუნის დასასრულს, უამრავ და უძლიერეს მტერთა წინააღმდეგ ბრძოლაში დაკნინებულმა, დასუსტებულმა და დაღლილმა იწყო ევროპის მფარველობის ძებნა. სულიერად მონათესავე ევროპასთან კავშირთა და მისი მფარველობით უნდოდა გადაერჩინა ის, რის დაცვასაც შეალია მან საუკუნეთა განმავლობაში მთელი ძალა თავისი სულისა და მკლავისა. როდესაც მან ამ მიზანს ვერ მიაღწია, რადგანაც ევროპისაგან შველა და მფარველობა იმ დროს მას ვერ მიეღინჭებოდა, მაშინ მან რუსეთს შეაფარა თავი, ერთმორწმუნეს და თითქოს ევროპისფრად მოწესრიგებულ სახელმწიფოს და დარწმუნებული იყო, რომ რუსეთიც ღირსეულად და პატივით მოეპყრობოდა მის უფლებას ეროვნული და სახელმწიფოებრივი არსებობისა.

1783 წელს რუსეთსა და საქართველოს შორის დადებულ ხელშეკრულებაში ეს აღთქმა მართლაც იყო ჩადებული რუსეთის მიერ საქართველოს წინაშე. მაგრამ რუსეთმა ხელშეკრულება დაარღვია, მოსპო საქართველოს სახელმწიფო, სამეფო სახლი ბაგრატიონთა, რომელიც IX საუკუნიდან მეფობდა საქართველოში და მისცა მას დიდნი ხელმწიფენი და დიდნი მეთაურნი ერისა, და ბოლოს რუსეთმა საქართველო რუსეთის გუბერნიებად გარდაქმ-

ნა. ამას მოჰყვა მთელი კავკასიის დაპყრობა და პოლიტიკურად დამონება რუსეთის მიერ, მაგრამ საქართველო ვერც რუსეთის 117 წლის ბატონობამ გასტეხა. კულტურა ქართველი ერისა იყო ძველი, ხოლო ძირები ჰქონდა მაგარი და მრთელი და მისგან განვითარდა და შეიქმნა ახალი ქართული კულტურა XIX საუკუნისა, ისეთივე ევროპული, ვითარცა იყო ძველი და ეს მოხდა, მიუხედავად რუსეთის ბატონობისა და ერი ახლაც თვისი ცხოვრების ერთ უსიამოვნო ეპიზოდად სთვლიდა ამ უცხო ბატონობას და ახლაც ელოდა ჟამს თავისი განთავისუფლებისა, როგორც ძველად და ეს ჟამიც დადგა. წარსულ დიდ ომში საქართველო გერმანიის მოკავშირე იყო.

გერმანიაში მუშაობდა მაშინ საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი, რომელსაც კავშირი ჰქონდა საქართველოს მოქმედ პოლიტიკურ პარტიებთან. გერმანია მომხრე იყო საქართველოს დამოუკიდებლობისა, რადგან მას საქართველო ეგულებოდა, როგორც მნიშვნელოვანი და ერთგული მოკავშირე და თანამშრომელი თვისი ახლო აღმოსავლეთის კუთხეში თვისი დიდი პოლიტიკური და სამეურნეო გეგმების განსახორციელებლად, და როდესაც რუსეთის ფრონტი კავკასიაში დაირღვა და ჯარმა რუსეთისაკენ იწყო დენა, კავკასიის ერებმა იწყეს მოწესრიგება თავისი ცხოვრებისა, განკარგვა საკუთარი პოლიტიკური ბედისა. მაშინ გერმანიის დახმარებით საქართველომ გამოაცხადა დამოუკიდებლობა 26 მაისს 1918 წელს და ამას მოჰყვა დამოუკიდებლობის გამოცხადება სხვა ერთა. 26 მაისს იმავე წლისა, გერმანია იყო პირველი, რომელმაც საქართველო ცნო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, ჯერ de facto და მერე de jure, და ვიგონებთ რა ამ დღეს, როდესაც გათავდა ჩვენთვის 117 წლის უცხო ბატონობა და საქართველოს თვისი უზენაესი უფლება დაუბრუნდა, როდესაც საქართველომ მოთხოვა მეგობართ და მფარველთ, რაიცა მისი ოცნება იყო XIII საუკუნიდან...

საქართველო 1918 წლისა, სადაც ჯერ კიდევ ჭარბად იყო კეთილშობილი ჯიში ქართველთა, მატარებელი გმირებისა და შემქმნელი საქართველოს დიდებისა და ღირსებისა, შემქმნელი

იმ არისტოკრატიული საქართველოისა, რომელიც ბევრი სხვა და სხვა მიზეზით ბევრს არ უყვარდა, მაგრამ ურომლისოდაც თვით ეგრეთ წოდებული „დემოკრატიული რესპუბლიკა" საქართველოისი 1918 წლისა შეუძლებელი იქნებოდა.

მაგრამ რუსეთის რევოლუცია 1917 წლისა, რომლის ისეთი დიდი იმედი ჰქონდა რუსის ხალხსაც და იმპერიის სხვა ერებსაც, ის არ გამოდგა, რასაც ყველანი მოელოდნენ, არამედ ის, რაც იგი უნდა ყოფილიყო თანახმად მის შემქმნელ ფაქტორთა რაობისა – რუსეთი იყო კულტურულად ჩამორჩენილი უზარმაზარი ქვეყანა, რასიულად არეული მოსახლეობა მისი, სხვა და სხვა სისხლისა, ისტორიისა, კულტურისა, სარწმუნოებისა; რუსეთში მებრძოლ იდეოლოგიათა შორის მარქსიზმი გამოდგა უძლიერესი და მან გაიმარჯვა, მოძღვრებამ ბრძოლისა და სიძულვილისა, ტერორისა და კაცთა კვლისა ე. წ. „პროლეტარიატის დიქტატურამ"; დასაწყისი რუსეთის რევოლუციისა იყო რუსის ჯარის დამარცხების დრო ომში და დამარცხებულ მხედართა ბრბოების მოპოვება და გამოყენება რევოლუციონერთა მიერ მათი რევოლუციის მიზნისათვის და ამ რევოლუციამაც მიიღო ბოლშევიზმის სახე; ამ სახით გაიმარჯვა რუსეთის რევოლუციამ და ბოლშევიზმმაც სავსებით განახორციელა თავისი წმინდა მარქსისტული იდეალები. მან მოსპო უკეთესი ელემენტები რუსეთის მოსახლეობისა, ფიზიკური და სულიერი ღირებულების მქონე, მაშასადამე მისი სატანიზმის წინააღმდეგობის ნიჭის მქონე და შექმნა უზარმაზარი ორგანიზაცია „მასსათა", ე. ი. უნებისყოფოთა ბრბონი, რომელთა დამონება და განუსაზღვრელი ექსპლოატაცია შესაძლებელი იყო; მან შემოიკრიბა დამნაშავენი, ქვეადამიანები ყოველი გვარისა და ამ ელემენტებზე დააფუძნა ძალა კომუნისტური სახელმწიფოსი, რომელშიც თავისი ბატონობის განმავლობაში ათეული მილიონობით მოსპო ხალხი.

კომუნისტურმა სამეურნეო სისტემამ კიდევ სხვა მილიონები იმსხვერპლა. საქართველო იურიდიულად აღიარებული სახელმწიფო იყო 1921 წელს, ხოლო საქართველოს სუვერენობა თვით ბოლშევიკურმა რუსეთმაც სცნო 1920 წლის მაისში საქართვე-

ლოსთან დადებული ხელშეკრულებით, მაგრამ ბოლშევიკებისათვის ხელშეკრულება მხოლოდ „ბურჟუაზიული" ცრურწმენაა და იგინიც 1921 წლის თებერვალში დაეცნენ საქართველოს მოულოდნელად და დაეპატრონენ მას და ამით მთელს კავკასიასაც. მას შემდეგ, რაც განვიცადეთ ჩვენ ქართველებმა და კავკასიის ყოველმა ერმა, ამის გაგება მხოლოდ მათ შეუძლია, ვისაც ბოლშევიზმის ბატონობა გამოუცდია, ხოლო არა მათ, ვისაც ღმერთმა აშორა ეს სასჯელი ჯოჯოხეთისა. აი, ამიტომ არის დღეს ჩვენთვის მწარედ მოსაგონებელი 26 მაისი, რომელსაც 1921 წლიდან მხოლოდ ეროვნული უბედურების დროს ვდღესასწაულობთ და არა ბედნიერება, მხოლოდ ბედნიერი წარსულის მოსაგონებლად მწარე აწმყოში.

ხოლო არც ჩვენ აქ და არც ქართველ ერს იქ არ დაგვიკარგავს იმედი ხსნისა. მიუხედავად იმისა, რომ მეთაური ქვეკაცობრიობისა, საქართველოში დაბადებული კაცია ბნელი წარმოშობისა, რომლის უბოროტესი და უსაზიზღრესი საქმე მისივე საკუთარი ქვეყნის თავისუფლების მოსპობა იყო 1921 წელს, არც ერთ ერს საბჭოთა კავშირისა ისეთი ენერგიით არ უბრძოლია ბოლშევიზმის წინააღმდეგ, როგორც ქართველ ერს და არ დაუღვრია იმდენი სისხლი, რაოდენიც დაღვარა ქართველობამ, განსაკუთრებით აჯანყების დროს 1924 წელს და შემდეგ. დღემდე არც კი ვიცით – თუ რა დარჩა დღეს ქართველთაგან, რასაც აქვს მაღალი ღირებულება. ღრმად გვწამს მხოლოდ, რომ გული ქართველი ერისა ჯერ კიდევ მრთელია და კვლავ შექმნის იგი ახალ საქართველოს. ვიცოდეთ ერთი რამ: ვინც ზედაპირსა ჰხედავს მხოლოდ დღევანდელ დიდ საქმეთა, მისი დასკვნაც ზერელეა მომავლის შესახებ. ხოლო ვინც თავისი ხილვით მოვლენათა ძირს სწვდება, მან იცის, რომ ეს ომი გარეგანი გამოსახულებაა იმ დიდი რევოლუციისა, რომელმაც კულტურულის კაცობრიობის ცხოვრება უნდა გარდაქმნას საბოლოო გამარჯვება სატანისა არ იქმნება. არც შეიძლება, რომ იყოს, და ყოველ ერს, და საქართველოსაც ბედი არგუნებს საბოლოო გამარჯვებას, ვითარცა ჯილდოს მისი ბრძოლისათვის და ისიც ვალმოხდილი შევა კულტურულ ერთა

საზოგადოებაში, რომლის ცხოვრება ახალ პრინციპებზე იქნება დამყარებული – პრინციპებზედ ეროვნული მთლიანობისა, სოციალური მშვიდობიანობისა და სამართლიანობისა, პიროვნების თავისუფლებისა, შრომისა და შემოქმედების პატივისცემისა და არა ტერორზედ, კრიმინალთა „ფაქტორზედ", კაცის წამებაზედ და კვლაზედ, ან მის უსაზღვრო ექსპლოატაციაზედ!

ამ შეგნებით მდგომარეობისა და ამ იმედით ვხვდებით დღეს ჩვენ 26 მაისს. ჩვენ ვიცით დღევანდელ დიდ ბრძოლაში თუ სად არის ადგილი ქართველისა. ბევრი ქართველი თვის მოვალეობას მხედრისა დიდი ხნითგან ასრულებდა უკვე მთელ ანტიბოლშევიკურ ფრონტზედ ვინ იცის, იქნებ შორს არ არის ის დღე, რომელიც ახალ რიცხვად იქნება მიჩნეული საქართველოს და ყველა დამონებულ ერთა განთავისუფლებისა – დღე ჩვენთვისაც სადღესასწაულოდ შემცვლელი 26 მაისისა.

ბერლინი, 26 მაისი, 1943 წ.

ჟურნ. „ქართველი ერი", ბერლინი, 1-2, 1943 წ.

ძახილი გმირისა

არჩილ ჯორჯაძე

ორი სიტყვა, ორი დევიზი, რომელიც არჩილ ჯორჯაძის დროშაზე ეწერა, იყო: განთავისუფლება შრომისა და ერთა სწორუფლებიანობა. დღიდან გამოსვლისა სალიტერატურო ასპარეზზედ სამარის კარამდე არჩილს ერთხელაც არ უღალატნია თავისი რწმენისთვის, იდეისთვის, მედგრად, მტკიცედ და შეუპოვრად იცავდა არჩილი ორივე პრინციპს და ეს ორი დევიზი ცალ-ცალკე ვერც კი წარმოედგინა. იგი იცავდა ეროვნებას მისთვის, რომ ქართველ დემოკრატიას პოლიტიკური და ეკონომიური სამოქმედო ასპარეზი ჰქონოდა და იცავდა დემოკრატიის ინტერესებს მისთვის, რომ ქართველ დემოკრატიას პოლიტიკური და ეკონომიური სამოქმედო ასპარეზი ჰქონოდა და იცავდა დემოკრატიის ინტერესებს მისთვის, რომ ქართველი ერი, მისი კულტურა, ისტორია მშრომელ ერს სიკვდილისაგან ეხსნა და წარმატების გზაზე დაეყენებინა. მისი ეროვნული და სოციალური პროგრამა მჭიდროდ იყო დაკავშირებული ერთი მეორეზე, საოცარის ჰარმონიით იყო შეთანხმებული და ძნელია ამ ორ საკითხს შორის მიჯნის პოვნა, განსაზღვრა.

არჩილ ჯორჯაძე იდგა ქართველ მშრომელ ხალხის ინტერესთა სადარაჯოზე ფხიზელ გუშაგად და ამ დემოკრატიას იცავდა გარეშე თუ შინაურ მტრებისგან. თავისი ხანმოკლე, მაგრამ

მშვენიერებით აღსავსე სიცოცხლეში იგი მოუწოდებდა მთვლემარე, ბურანში მყოფ ქართველ მუშას და ქართველ გლეხს და ჰსურდა იგიც ენახა ცხოვრების შექმნაში მომქმედად, შეგნებულ ძალად. არჩილი მოუწოდებდა ამ დაკოჟრებულხელებიან ხალხს სამოქმედოდ, საკუთარი თავის საცნობად, უხმობდა შეგნებისაკენ. როგორც ერთგულ მკურნალს, თავისი ყური მიედო მშრომელ ხალხის და მთელი ქართველი ერის მკერდზე და თავდავიწყებით უსმენდა მის გულისცემას. როდესაც სასიცოცხლო ნიშნები ეტყობოდა სნეულს მშრომელს, არჩილის სიტყვები ხალისიანად, ბრგედ და აღფრთოვანებით მომდინარეობდა. როდესაც გულისცემა მიყუჩდებოდა, სიკვდილის აჩრდილი გაიელვებდა, მწარე ნაღვლის იერი, სასოწარკვეთილება კი – არასოდეს. არჩილს ვერას გზით, ვერა საბუთით ვერ დააჯერებდით, რომ მშრომელი ხალხი, ქართველი ერი, ისე გაჰქრება, ისე მოისპობა, რომ თავის თავს ვერ სცნობს.

არჩილი უხმობდა, უხმობდა იმედიანად ამ მშრომელს ხალხს. რა ვუყოთ, რომ ჯერჯერობით გამოძახილი ისე ძლიერად არ ისმოდა! იგი დარწმუნებული იყო, რომ ადრე თუ გვიან, მისი სიტყვა ჩასწვდებოდა მშრომელს ხალხს გულში, აუფორიაქებდა მის მდუმარე, მისუსტებულ გულისცემას და მის მოდუნებულ ძალებს სამოქმედოდ გამოიწვევდა. და მართლაც, არჩილი არ მოსტყუვდა, ქართველი მუშა და ქართველი გლეხი გამოფხიზლდა და თავისი გულისყური იქეთკენ მიაპყრო, საიდანაც ისმოდა ასეთი იმედიანი მოწოდება. ქართველმა მუშამ და გლეხმა გაიგეს, რომ სოციალური სამართლიანობის დამყარება დაჩაგრულ ერში ვერასგზით ვერ მოხერხდება და იმასაც მიხვდნენ, რომ ერის სიცოცხლე, თუ არ არსებობს სოციალური სამართლიანობა, არ იქნება შარავანდედით გაბრწყინებული, კულტუროსნობით მოსილი.

გაიგეს ყველაფერი ეს და იმედით, მოქმედების სურვილით აღტყინებული გამოეშურნენ იქითკენ, საიდანაც მოისმოდა ეს თვალ-წარმტაცი ხმა, ხმა უკეთესი მომავლისა, მოვიდნენ იქ, და ჰნახეს: გმირი, რომელმაც სხვას ჩაუდგა გმირული სული, იქ

აღარ იყო და მიჰხვდნენ: ეს გმირი მომკვდარა ჩვენს ძახილში, ჩვენს გამოფხიზლებაში. ნაღვლით და სევდით აევსო გული ამ მშრომელ ხალხს, მაგრამ ეს იყო მშვენიერი სევდა, რომელიც კი არა ჰკლავს იმედს და ხალისიანობას, არამედ ერთი-ორად ამტკიცებს და აკაჟებს ძალას და აღუძრავს მოუკვლელ წყურვილს მოქმედებისას.

მათ გაიგეს, მოვიდნენ... არჩილ ჯორჯაძეს რომ ერთ წუთს შეეძლოს დალაპარაკება, იგი მხოლოდ იმას იტყოდა სიხარულით აღვსილი: სალამი თქვენ! და მერე მიუბრუნდებოდა თვის მოაზრეებს და ეტყოდა: „თქვენ იცით, როგორც უპატრონებთ ამ ჩვენს ახალს მეგობრებსო“.

მიხაკო წერეთელი

„სახალხო გაზეთი“, 1914, 23 მარტი, №1147

არჩილ ჯორჯაძის სახსოვრად

დღეს ჩემი მიზანი არ არის სავსებით დავაფასო ქართველი მწერალი, პუბლიცისტი არჩილ ჯორჯაძე, არამედ მოვიგონო ჩემი მეგობარი არჩილ ჯორჯაძე, რომელიც ოცდაათი წლის წინად განვიდა ამა სოფლითგან.

არჩილ ჯორჯაძის დიდი როლი ქართულ ეროვნულ-პოლიტიკურ მოძრაობაში საკმაოდ ცნობილია და უკვე დაფასებული და არც სიყრმის მეგობარი ვიყავ განსვენებულისა და არც ბრძოლისა. რათგან მას, სენით შეპყრობილს, ბრძოლა არ შეეძლო, არამედ მოქმედება გონებითა მხოლოდ. მე შევხვდი მას სწორედ იმ ჟამს, როდესაც ახალ ეროვნულ მოძრაობას ქართულს ეყრებოდა საფუძველი, რომლის ერთი უმთავრეს შემქმნელთაგანი არჩილი იყო; მაშინ გაიბა ჩვენს შორის მეგობრობა სულიერი და კავშირი გონებრივი, და ამ ჟამის მოგონება ჩემ მიერ მომცემს ნებას აღვნიშნო ის დიდი ღვაწლი მისი, რომელმაც შექმნა ღირებულება, სიდიდე მისი პოლიტიკური პიროვნებისა.

1901 წელს პარიზში გავიგონე პირველად არჩილ ჯორჯაძის სახელი. მის სიყვარულით იგონებდნენ მისი მეგობრები – თედო სახოკია და ალექსანდრე გაბუნია, რომლებთანაც არჩილს რამდენიმე თვე გაეტარებია პარიზში. ინგლისიდან დაბრუნების შემდეგ, მითხრობდენ, რომ არჩილი გატაცებული იყო ანარქისტული იდეებით. მაგრამ აგრეთვე თანაუგრძნობდა ტოლსტოიზმს – რომელიც ერთ-ერთი ფორმა იყო ანარქიზმისა – და ამიტომ სცხოვრობდა რამოდენიმე ხანს ინგლისში, ცნობილი რუსის, ტოლსტოისტის ჩერტკოვის ტოლსტოისთთა კოლონიაში. მაგრამ შემდეგ არჩილს ანარქიზმიცა და ტოლსტოიზმიც დაეტოვებინა

და დაბრუნებოდა თავის ერს, თავის ქვეყანას, საქართველოს, რომლისათვისაც ღვაწლი გაეხადა თავისი ცხოვრების მიზნად.

არჩილის ანარქიზმმა ძლიერ დამაინტერესა, რათგანაც 1900 წელს, ჟენევაში ჩემი ყოფნის დროს მეც დავინტერესდი ანარქიზმით, ხოლო პარიზში ჩემი სიმპათიები ამ მოძრაობისადმი გაიზარდა, და ვნატრობდი არჩილის შეხვედრას და მასთან საუბარს, როგორც ნაანარქისტალთან, რომ გამეგო მისი აზრები ანარქიზმის, სოციალიზმისა და მსგავს მოძრაობათა შესახებ, მაგრამ ტოლსტოიზმი არჩილ ჯორჯაძისა კი მაკვირვებდა და არ მესმოდა, როგორც შემდეგ ვეროდეს გავიგე ტოლსტოიზმი ილია ნაკაშიძისა. სად ქართველი, კაცის ბუნება და სად ტოლსტოიზმი! არჩილის დაბრუნება კი ერის წიაღში ბუნებრივად მეჩვენებოდა. რადგანაც მე, ახალგაზრდას, რომლის განუწვრთნელი გონება ძიებაში იყო, შესაძლებლად მეჩვენებოდა შეერთება ანარქიზმისა და მსგავს იდეოლოგიათა და ნაციონალიზმისა. როგორც შემდეგ მრავალ პრობლემათა დამოუკიდებლად განხილვამ დამარწმუნა, მაშინ არცა ვსცდებოდი, დღეს კი სინამდვილე მაჩვენებს, რომ მაშინ ჩემი უფრო ნაგრძნობი, ვიდრე ნააზრი, თურმე მართალი იყო, რომელიც მომავალში ქვეყანათა და ერთა წინაშე ცხადიქნებოდა.

იმავე დროს გავიცანი პარიზში გიორგი დეკანოზიშვილი. მისი მეუღლე ფრანგი ქალი იყო და სახლობა გიორგისი პარიზში ცხოვრობდა. გიორგი საქართველოთგან იყო ჩამოსული და გავიგე პირველად, თუ რა ხდებოდა საქართველოს ნაციონალისტთა წრეებში: იქ დაბადებულიყო და განმტკიცებულიყო აზრი ქართული ნაციონალისტური მოქმედი ორგანიზაციის, პარტიის შექმნისა და საქართველოს საკითხის ქვეყნის წინაშე გამოტანის საჭიროებისა. ეს სრულიად ახალი რამ იყო ჩვენ ცხოვრებაში, უდიდესი მნიშვნელობისა.

საქართველოში მაშინ აი, რა მდგომარეობა იყო: შემოვიდა მარქსიზმი და ღრმად განიდგა ფესვები ჩვენი ერის სიღრმეში: მარქსიზმი იყო ჩამოსხმული სისტემა იდეათა, რომელიც დამუშავებული იყო განსაზღვრული მიმართულების მოაზრეთა რამოდე-

ნიმე შთამომავლობის მიერ. მას ჰქონდა საკუთარი ფილოსოფია, ბუნების მეტყველება, სოციოლოგია, სოციალური იდეალი. იგი იყო მებრძოლი, რევოლუციური მოძღვრება, საერთაშორისო სოლიდარობის მქადაგებელი და ამიტომ ძლიერი, და ძლიერადაც მოედვა იგი მთელი კულტურული კაცობრიობის ერებს. თავისი კლასთა ბრძოლისა და კოსმოპოლიტური იდეებით რომ იგი დამღუპველი იყო ერთა, ამაზედ მარქსიზმი ცივ პასუხს იძლეოდა თავისი სოციოლოგიით: გარდაუვალ, რკინის კანონთა ძალით საზოგადოებათა განვითარებისა კაცობრიობა მიდის ერთი დიდი საკაცობრიო საზოგადოებისა, საკაცობრიო კულტურის შექმნისაკენო. ერი აქ მეორე ხარისხის მნიშვნელობის მოვლენად სჩანდა, გარდამავლადაც კი, წარმოსადგენია და ვიცით, გვახსოვს, თუ რა ძალით შეებრძოლებოდა და ებრძოდა ასეთი მოძღვრება ყოველი ფორმის ნაციონალიზმს. დათმობანი მან მხოლოდ სოციალისტური პროგრამის მქონე სუსტი ნაციონალიზმის წინაშე იცოდა, ან შორეული დაპირებით ანუგეშებდა მათ, ვისაც არ შეეძლო ერის მსხვერპლად მიტანა საერთაშორისო სოციალიზმის საკურთხეველზე: – ჯერ განხორციელდეს სოციალიზმი და მერე ყველა პრობლემა კარგად გადაწყდება, ეროვნულიცაო! ჩვენში ამ მოძღვრების გავრცელებას ჩვენმა საზოგადოებრივმა განვითარებამაც შეუწყო ხელი, ოდნავ ჩვენშიაც დაიბადა პირობები, რომლებიც შესაძლებელს ქმნიდა მარქსიზმის ქადაგებას.

მუშებს, ღარიბ გლეხებს, საზოგადოდ ღარიბ ნაწილს საზოგადოებისა იმედი დაებადათ უკეთესის მომავლისა, ხოლო ინტელიგენტთ დიდი რიცხვი, აგრეთვე მომლოდინე დიდი მომავლისა და იდეალისტურად განწყობილი, იდეურ ხელმძღვანელად დაუდგა ამ ეგრეთ წოდებულ „მშრომელთ მასებს“, დარაზმა იგი და შექმნა მისგან დიდი რევოლუციური პარტია იდეოლოგიითა, რევოლუციური იდეალითა, ბრძოლის მიზნებითა და წესებით. ქართულ მარქსიზმს ამასთანავე ზურგი ჰქონდა გამაგრებული მთელი რუსეთის და ამით მთელი საერთაშორისო მარქსიზმისაგან. საზოგადოდ სოციალიზმისაგან, ყველა რევოლუციურ ძალათაგან. და რადგანაც მათი პროგრამა არაფერს ნამდვილ ეროვნულს არ

შეიცავდა, თვით რუსეთის მთავრობა ებრძოდა მას მხოლოდ როგორც სოციალურ მოწინააღმდეგეს და არა როგორც ეროვნულ მოძრაობას, რომელიც ყოველთვის დაშლით ემუქრება ხოლმე სხვა და სხვა ერთა და ქვეყანათგან შემდგარ იმპერიას.

ძლიერი საჭურველი ქართველ სოციალ-დემოკრატთა ბრძოლაში იყო აგრეთვე მათი ეგრეთ-წოდებული – „პროგრამა მინიმუმი", რომელსაც მიზანდ ჰქონდა ახლო მომავალში განხორციელება უსაჭიროეს სოციალურ რეფორმათა და მოპოება პოლიტიკურ თავისუფლებათა, და რათგანაც ქართულ ნაციონალიზმს არც სოციალური პროგრამა ჰქონდა კარგად ჩამოსხმული, ხოლო, არავითარი პოლიტიკური პროგრამა, აქაც პროპაგანდისა და მოქმედების ასპარეზი მარქსისტებს რჩებოდათ.

სუსტი გამოდგა მაშინდელი ქართული ნაციონალიზმი მარქსიზმთან ბრძოლაში. და უმთავრესი მიზეზი ამისა იყო ის, რომ მარქსიზმს, როგორც მოძღვრებას, საწინააღმდეგო იდეათა სისტემით ვერ შეებრძოლა ქართული ნაციონალიზმი, და მან ვერ შეჰქმნა მთლიანი ნაციონალისტური მსოფლიოსხედვა. მარქსიზმს ებრძოდნენ ცალ-ცალკე, ყველა პატრიოტი და ნაციონალისტი, მაგრამ სხვა და სხვა მიმართულებისა და მსოფლიოს-ხედვისა. ზოგს არც კი ესმოდა საჭიროება ამ დიდ ბრძოლაში იდეათა სისტემისა და ეგრედ-წოდებულ „თეორიას" დასცინოდა – რა დროს თეორიებია, დღეს პრაქტიკაა საჭირო, ჩვენ გლეხს პური და ტანისამოსი არა აქვს, ამაზედ უნდა ვიზრუნოთ უპირველეს ყოვლისაო და სხვა. ხოლო მათ არ იცოდნენ, რომ სწორედ „თეორია", მსოფლიოსხედვა, იდეოლოგია, იდეათა სისტემაა ის უდიდესი საჭურველი, რომლის ხმარებაც არის პრაქტიკა და შედეგი პრაქტიკული მოქმედებისა – ნათლად დასახული მიზანთა მიღწევა.

ასე იყო მუდამ და ასე იქნება ყოველთვის. ვინაითგან ასეა განწყობილი ადამიანის თავი. ჩვენში კი მაშინ ზოგი ძველთა ნაროდნიკული იდეებით ებრძოდა მარქსიზმს, ზოგი თვით მარქსიზმის ცოდნითა და მისი თითქოს უფრო სწორი გაგებით ვიდრე, იგი სოციალ-დემოკრატებს ესმოდათ, ან და მისი კრიტიკით, მაგრამ ყველა ამით მარქსიზმის დამარცხება შეუძლებელი იყო.

თვით ილია ჭავჭავაძის დიდი აზრები განმარტოებული კლდეებივით თავაღერილნი მაშინდელ ნაციონალისტურ იდეათა ქაოსში, არ იყო საკმარისი მარქსიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად და მის დასამარცხებლად. ილიას აზრთაგან დღესაც მრავალი რამ შეგვიძლია სახელმძღვანელოდ დავსახოთ, მაგრამ მაშინ მას ამ აზრთაგან ერთი მთლიანი და დიდი სისტემა არა მიუცია მებრძოლი ნაციონალიზმისათვის და არც შექმნილა რევოლუციურ-მებრძოლთა ორგანიზაციები ილიას ირგვლივ და მისი ხელმძღვანელობით. ხოლო რუსეთის მთავრობისათვის რაიმე გარკვეული პოლიტიკური მოთხოვნილების ნაყენებას მაშინ არც ერთი მიმართულების ქართველი ნაციონალისტი არ ფიქრობდა! ყველაფერი ეს იყო მიზეზი იმისა, თუ რად მარცხდებოდა ბოლოს უფრო ნიჭიერ ნაციონალისტთა პუბლიცისტიკა ქართული და იმარჯვებდა პუბლიცისტიკა ნაკლებად ნიჭიერ მარქსისტთა და თუ რად რჩებოდა მოქმედების ასპარეზი ერში მარქიზმს, რომელიც ეპატრონებოდა სავსებით მის სულსა და სხეულს.

აი, ამ მდგომარეობაში სცნეს ზემოხსენებულმა ქართულმა ნაციონალისტურმა წრეებმა საჭიროება მარქსიზმის საწინააღმდეგო იდეოლოგიისა და ამ იდეოლოგიით პრაქტიკული მოქმედების შესაძლებლობის შექმნისა. საქართველოში დაირაზმენ ისეთი პირები, როგორიც იყვნენ გიორგი ზდანოვიჩი, კიტა აბაშიძე, გიორგი ლასხიშვილი, სამსონ ფირცხალავა, სხვა განათლებულნი და ერთგულნი ქრათველნი, მათ ირგვლივ, აგრეთვე ბაქოს ქართველნი, რომელთაც ნივთიერად შეეძლოთ ახალი მოძრაობის გატანა. და მათ შორის ინიციატორნი ამ დიდი საქმისა, როგორც ვიცი, თვით მიმცემნი წყობის იდეისა იყვნენ გიორგი დეკანოზიშვილი და არჩილ ჯორჯაძე. იგინი გამოგზავნა საქართველოთგან ამ წრემ საფრანგეთში და დაავალა მათ არა მარტო შექმნა ახალ იდეათა შემცველი ლიტერატურისა და გაგზავნა მისი საქართველოში, არამედ დაყენება საქართველოს საკითხისა ევროპაში, სადაც ძლიერი იყო ინტერნაციონალური სოციალიზმი, მაგრამ ძლიერი – სხვა ელემენტებიც, რომლებიც ყურადღებას აქცევდნენ ეროვნებათ პრობლემებს და დიდ დახმარებას უწევდნენ

პოლიტიკურად ჩაგრულ ერთა ბრძოლას ეროვნულ უფლებათა მოპოვებისათვის და სრული დამოუკიდებლობისათვისაც კი, მით უმეტეს, რომ ბევრი ეროვნული პრობლემა დიდ სახელმწიფოთა პოლიტიკურ ინტერესთან იყო დაკავშირებული.

გიორგი დეკანოზიშვილი იყო განუსაზღვრელი ენერგიის კაცი, პრაქტიკული მოღვაწე, შეუდარებელი დიპლომატი, რომელსაც ევროპის ყველა მნიშვნელოვან პოლიტიკურ წრეებთან ჰქონდა კავშირი გაბმული, ორგანიზატორი, კონსპირატორი და დიდი მოხერხებით საბრძოლ საშუალებათა მშოვნელი. ხოლო არჩილ ჯორჯაძე იყო თეორეტიკოსი, პუბლიცისტი ღრმა და ფართო განათლებისა, კაცი, რომელსაც შეეძლო სწორი ანალიზი ზემოხსენებული სულიერი მდგომარეობისა და აგრეთვე შეეძლო შეექმნა ქართული ნაციონალიზმისათვის მაშინდელი დროის შესაფერი იდეოლოგია და საბრძოლო პროგრამა. გიორგი და არჩილი აფასებდნენ ურთიერთს და განსაზღვრული ჰქონდათ სფერონი მათი მოქმედებისა. მათ დარაზმეს მთელი ნაციონალისტურად მოაზროვნე ქართველობა უცხოეთში მათ მიერ გამოცემული გაზეთის „საქართველო"-ს ირგვლივ, რომელიც ფრანგულადაც გამოდიოდა. ამ გაზეთებში დაიწყო ჩამოსხმა ქართული რევოლუციურ-ნაციონალისტური იდეოლოგიისა და დადგა პირველად საკითხი საქართველოს პოლიტიკურ უფლებათა, რომელნიც ფეხქვეშ გათელილი იყვნენ რუსეთის მიერ და რომელთა აღდგენას მოითხოვდა საქართველო არა მარტო ბუნებრივი სამართლისა, არამედ საერთაშორისო სამართლის ძალითაც. პარიზითგან გაზეთი „საქართველო" და სხვა გამოცემები საიდუმლოდ შედიოდა საქართველოში და ფრანგულ „ლა ჟეორჟი"-ში გამოქვეყნებული წერილები საქართველოსა

ვარლამ ჩერქეზიშვილი

და მის უფლებათა შესახებ დიდ თანაგრძნობას იწვევდა ევროპის პოლიტიკურ წრეებში.

ამ წინასწარი მომზადების შემდეგ გიორგიმ და არჩილმა საჭიროდ დაინახეს უცხოეთის ქართველთა კონფერენციის მოწვევა ერთი ეროვნული ფრონტის შესაქმნელად. ეს კონფერენცია ჩატარდა ჟენევაში 1904 წ.

აი, მაშინ გავიცანი არჩილი პირველად და მყისვე გაიბა ჩვენ შორის მეგობრული კავშირი. ჩემ წინ იდგა მშვენიერი ვაჟკაცი, ტიპიური ქართველი არისტოკრატი, ევროპიულად განათლებული, მაგრამ სრული ქართველი, აღსავსე კახური ჰუმორითა. ხუმრობა მეც მიყვარდა და ბევრს ვიცინოდით ხოლმე, როდესაც არჩილი და მე ვეჯიბრებოდით ერთმანეთს მეგობართა ხმის წაბაძვაში. გიორგის წაბაძვაში არჩილი გვჯობნიდა. მართლაც, ისე ჰბაძავდა, რომ გიორგი გეგონებოდა, თუ მარტო ხმა გესმოდათ და ვერ ხედავდით მოლაპარაკეს. ამ ხუმრობამ ისე დაგვაახლოვა მე და განსვენებული, რომ მას შემდეგაც მისი მძიმე ავადმყოფობის დროს ყოველთვის ესიამოვნებოდა ხოლმე ჩემი ნახვა. ჩემი ხუმრობა მას კარგ გუნებაზე აყენებდა.

არჩილი დიდი ხნითგან იყო ჭლექის სენით შეპრყობილი. ერთხელ ჟენევაშივე მითხრა, არ მრჩება არც ცოლ-შვილი, არც დიდი სიმდიდრე, არც დიდი სიყვარული. ჩვენი ერი პატარა ერია, იგი მძიმე პირობებში იბრძვის არსებობისათვის და ფართხალებს. მას უნდა ვემსახურო სანამ ცოცხალი ვარ, მეტი არა დამრჩენია რაო. არჩილმა ეს აღთქმა შეასრულა და როგორ! უკანასკნელ წუთამდე თვისი სიცოცხლისა მას არ დაუგდია ღვაწლი თვისი ქვეყნისათვის, რომლის გეგმა მას ნათლად ჰქონდა წარმოდგენილი და რომლის აღსრულებაც ჭლექის სენით შეპყრობილი ადამიანისათვის მხოლოდ გიგანტური სულის სიმტკიცით იყო შესაძლებელი.

კონფერენციას სხვადასხვა მიმართულების ხალხი დაესწრო. მათ შორის სოციალ-დემოკრატებიც და თვით ნოე ჟორდანია. ნოე ჟორდანია რომ საქართველოდან ჩამოვიდა იმ ხანებში, დარწმუნებული იყო, რომ საქართველოსა და სხვა ერთა ავტონომიას რუსეთის სოციალ-დემოკრატია სცნობდა. მაგრამ მისი იმედი არ

გამართლდა. რუსეთის სოციალ-დემოკრატთა კონფერენციაზედ 1902 წ. პარტიამ უარჰყო ავტონომია, რომელსაც ნოე ჟორდანია და ერთი სხვა ქართველი დელეგატი იცავდა. ნოე ჟორდანია ამით უკმაყოფილო იყო და რუსეთის სოციალ-დემოკრატიის გაყოფის შემდეგ მენშევიკებად და ბოლშევიკებად, დიდ ხანს ეგრედ წოდებულ „ჭაობში“ იყო, ე. ი. არც ერთს ემხრობოდა და არც მეორეს, მას შეიძლება აზრადაც არ ჰქონდა, რომ ქართული სოციალ-დემოკრატიული პარტია დაეარსებინა, მაგრამ ბევრი მოსაზრებით მან არჩია პარტიულ დისციპლინას დამორჩილებოდა. ამიტომ დასტოვა მან ქართველთა კონფერენცია ჟენევისა, რომელსაც ეროვნული პარტია უნდა დაეარსებინა. შემდეგ, ცნობილია, იგიც ისევე ებრძოდა საქართველოს ავტონომიის იდეას, როგორც სხვა სოციალ-დემოკრატები, თუმცა მას, ალბათ გულში საქართველოს ავტონომია სწამდა და დამოუკიდებლობაც, თუ ამისათვის დრო დადგებოდა, რაიცა ვნახეთ მართლაც 1918 წელს.

გიორგი დეკანოზიშვილი (ზის მარცხნიდან პირველი), გრიგოლ გველესიანი და ალექსანდრე ხახანაშვილი.

დავრჩით კონგრესზედ სამი „ანარქისტი“ (ვარლამ ჩერქეზიშვილი, კომანდო გოგელია და მე) და სხვა განურკვეველი მიმართულების ნაციონალისტები (როგორც, მაგალითად ალექსანდრე გაბუნია), მაგრამ აქ იყო თავმჯდომარე კონგრესისა გიორგი დეკანოზიშვილი და სული კონგრესისა არჩილ ჯორჯაძე, და მათ მისცეს კონგრესს ის მიმართულება, რომლისაგანაც შეიქმნა – „საქართველოს რევოლუციური სოციალ-ფედერალისტური პარტია“

ჩვენ, ეგრედ-წოდებული „ანარქისტთა" მოხსენებაში ამ სოციალურ რადიკალიზმს შეიცავდნენ, ან შორეული იდეალის განხორციელების ოცნებას, ან არაფერს ანარქისტულს, არამედ წმინდა ეგრედ-წოდებულ დემოკრატიზმს, ხოლო პრაქტიკული მოღვაწეობის ფორმულები გიორგი დეკანოზიშვილისა და ეროვნული, პოლიტიკური და სოციალური აზრები არჩილ ჯორჯაძისა სინამდვილეს ეყრდნობოდენ და იყვნენ ნათელნი, უშუალო მოქმედებისათვის გამოსადეგნი: რათგანაც საქართველოს სუვერენობაზედ მაშინ ფიქრიც არ შეიძლებოდა და ასეთი აზრის გამოთქმაც კი შეუძლებლად გახდიდა ყოველ თანამშრომლობას რუსეთის სხვა რევოლუციურ პარტიებთან – რუსეთის მომავალ რევოლუციაზედ კი დიდ იმედებს ამყარებდა ყოველი ერი რუსეთის იმპერიისა, ამიტომ საქართველოს ავტონომია და ავტონომიური საქართველოს კავშირი ფედერაციულად მოწყობილ მომავალ რუსეთთან იქმნა მიღებული ახალი ქართული პარტიის პოლიტიკური პროგრამის უმთავრეს მუხლად და პარტიას ეწოდა „ფედერალისტური". რათგანაც სოციალურ პრობლემათა გადაწყვეტის საჭიროება ცნობილი იყო და გათვალისწინებული, შემუშავებული იყო პროგრამა მიწათმოქმედთა და ქარხნის მშრომელთა უზრუნველყოფისა ახლო მომავალში და დასახული სოციალისტური იდეალი შორეული მომავლის საზოგადოებრივი წყობილებისა. უამისოდაც არ შეიძლებოდა მაშინ არავითარი მუშაობა ხალხში და არავითარი თანამშრომლობა იმპერიის სხვა ერთთ რევოლუციონერებთან. და პარტიას დაერქვა •„სოციალისტური", რათგანაც ურევოლუციოდ პროგრამა მინიმუმიც – არა თუ მაქსიმუმი – განუხორციელებლად იყო მაშინ წარმოდგენილი. ამიტომ პარტიამ აირჩია რევოლუციური გზა თვის მიზანთა მიღწევისა. არც უამისოდ შეიძლებოდა მაშინ სხვა ერთა პარტიებთან ერთად მუშაობა, რათგანაც ეს პარტიები ყველა რევოლუციური იყო. პარტიას დაერქვა ამიტომ „რევოლცციური" და რასაკვირველია, იგი დემოკრატიულიც იყო. რადგანაც „დემოკრატიზმის" განხორციელება რუსეთის ერებისათვის უდიდესი და უსწრაფესად განსახორციელებელი პოლიტიკური იდეალი იყო.

აი, ეს იდეური ინსტრუმენტი შეიქმნა ჟენევაში, რომლითაც ქართველმა ერმა უდიდესი და უნაყოფიერესი ბრძოლა გასწია საბედისწერო წლებში რუსეთის რევოლუციის დასაწყისისა და შემდეგ. იგი ახალი იყო, ბევრი ნაკლით, მაგრამ ამ ერთადერთი ეროვნული, ამასთანავე რევოლუციურ-სოციალური, და ეს იყო მისი ძალა მარქსიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, რომელმაც წაქცელა საქართველო და შეიპყრო სული ქართველი ერის დიდი სიმრავლისა. ქართული „სოციალ-ფედერალიზმი" განსხვავებული იყო სოციალ-დემოკრატიზმისაგან. მასზედ იქონია გავლენა „ანარქიზმმაც" და სხვა იდეოლოგიებმაც. მაგრამ ჩვენთვის, ქართველთათვის, მას განსაკუთრებით მნიშვნელობა ჰქონდა, რომ მან პირველმა სთქვა: ერი თვით არის ის არსება, რომელსაც ძალუძს სოციალიზმის განხორციელებაც. ერისა და სოციალიზმის ცნება არ ეწინააღმდეგებიან ურთიერთს. ინტერნაციონალიზმი არ არის ერის უარყოფა ან მისი უმნიშვნელო მოვლენად დასახვა, არამედ თანამშრომლობა ერთა, რომელთა უფლება ხელშეუხებელი და ცნობილი უნდა იყოსო. აი, ამ ნიადაგზედ იყო შესაძლებელი ამ პარტიასთან ერთად მუშაობა ყველა ნაციონალისტ სოციალისტებისა, იმათიც, ვინც პარტიას არ ეკუთვნოდა, 1905 წლის რევოლუციის დროს და შემდეგ, მარქსიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ამავე 1904 წელს მე გიორგი დეკანოზიშვილის დავალებით ჩავედი მალულად საქართველოში და ვნახე ახალი ორგანიზაციის წევრები. დიდი შთაბეჭდილება მოეხდინა კონგრესს და მის დადგენილებათ ყველა მათზედ, დიდხანს დარჩენა საქართველოში არ შეიძლებოდა – პლევეს რეჟიმი ტყვიასათვის აწვა მთელ რუსეთს – და მეც მალე დავბრუნდი ჟენევაში. ხოლო 1905 წლის რევოლუციის დასაწყისითგანვე საქართველოში ვიყავი კვლავ და მეც ჩავერიე იმ ბრძოლაში, რომელსაც ეწოდება პირველი რევოლუცია რუსეთისა. მაშინ გამოჩნდა სავსებით, რომ ქართული სოციალ-დემოკრატია არ მოქმედებდა როგორც ქართული სოციალ-დემოკრატია, არამედ როგორც ნაწილი რუსეთის სოციალ-დემოკრატიისა და უარმყოფელი იყო თვით საქართველოს ავტონომიისა. და მაშინ გამოჩნდა აგრეთვე, თუ რა დიდი საქმე გაკეთებული-

ყო ჟენევაში. ქართული სოციალ-ფედერალისტების პარტია იყო ერთადერთი, რომელმაც შესძლო ხალხში გასვლა ეროვნული და აგრეთვე სოციალური ნათელი პროგრამით, და რევოლუციური, თავგანწირული ბრძოლით თვის მიზანთა მისაღწევად, ეს აღარ იყო ძველი რომანტიული ქართული ნაციონალიზმი, არამედ მებრძოლი ნაციონალიზმი, რომელსაც ვერც რეაქციონერეობას დააბრალებდა მიუდგომელი მოწინააღმდეგე, – თვინიერ დემაგოგთა ვერავინ.

არჩილ ჯორჯაძე და გიორგი დეკანოზიშვილი ახლა კიდე უფრო იღვწოდნენ: დეკანოზიშვილმა იარაღით დატვირთული გემიც კი მოაყენა საქართველოს შავი ზღვის ნაპირებს. მას კავშირი ჰქონდა ფინლანდიის ნაციონალისტებთან, რუსის ესერებთან და სხვებთან. და ამ შეერთებულმა ძალამ მიიღო იაპონიისაგან დახმარება და ამით შეიქმნა შესაძლებელი, რომ ჩვენს ქვეყანაში საბრძოლელი იარაღი შემოვიდა – საუბედუროდ ცუდი, მაგრამ მაინც იარაღი – პირველად ევროპითგან!

არჩილ ჯორჯაძემ კი განაგრძო საქართველოში თავისი პუბლიცისტური მოღვაწეობა, და რაც მან ღვაწლი დასდო ქართული სოციალისტური ნაციონალიზმის თეორიულ განმტკიცებას, ეს უკვე საკმაოდ და ღირსეულად არის დაფასებული ქართულ მწერლობაში.

რასაკვირველია, არჩილ ჯორჯაძის სოციალისტური ნაციონალიზმი არ იყო დღევანდელი ნაციონალ-სოციალიზმი გერმანიისა ან ფაშიზმი იტალიისა, მაგრამ იგი იყო მეცნიერული სფუძვლის მქონე მოძღვრება, რომელიც ერს სცნობდა იმ მუდმივ სზოგადოებრივ არსებად, რომლის წიაღში იყო შესაძლებელი ყოველგვარი სოციალური ცვლილება. ამ მარქსიზმის სრული საწინააღმდეგო თეორიით განხილული ყოველი საკითხი – კლასსთა, წოდებათა, სარწმუნოებისა და ეკლესიის, საკითხი მუშათა, გლეხთა და სხვა – სულ სხვა ნათლით იყო გაშუქებული, და პოლემიკასაც სოციალ-დემოკრატებთან და მისი წრის პუბლიცისტებთან უფრო საფუძვლიანი ხასიათი მიეცა. თუმცა უფრო მკაცრად, რადგანაც მარქსიზმს ახლა ძლიერ მოწინააღმდეგესთან ჰქონდა საქმე.

სოციალ-ფედერალისტთა პარტიას სწორედ მისი ასეთი იდეოლოგიისა და პროგრამის წყალობით შეეძლო შეთანხმებით ემუშავნა რუსეთის ჩაგრულ ერთა სხვა მსგავს პარტიებთან, თვით რუსის ესერებთანაც (თუმცა ამათთან შეთანხმება და მუშაობა უფრო ძნელი იყო), და ეს დიდად უადვილებდა პარტიას ნაყოფიერ პოლიტიკურ მოქმედებას.

ჩვენ, არა წევრნი სოციალ-ფედერალისტების პარტიისა, ამ პარტიის თანამშრომელნი ვიყავით, შეკრებილნი მისი ორგანოს – „სახალხო საქმე" და სხვა ორგანოთა ირგვლივ. აგრეთვე 1905 წლის რევოლუციური მოქმედება ჩვენი და ფედერალისტებისა ერთი იყო.

მე პირადად 1907 წელს ეგრედ წოდებულ ანარქიზმს ზურგი ვაქციე და მიზნად დავისახე დამოუკიდებლად გამერკვია ის თეორიული პრობლემები, რომელიც მე მაინტერესებდა, განსაკუთრებით პრობლემა ერის არსებისა, და ჩემს წერილებს ყოველთვის სტუმართმოყვარეობით ხვდებოდა ყოველი ურგანო ფედერალისტებისა. ხშირად მქონია არჩილთან მრავალ საკითხზედ საუბარი, რომელიც ერს შეეხებოდა და მისი ბრძნული მსჯელობა ჩემ წარმოდგენათა ხშირად შემსწორებელი, ჩემ აზრთა მიმმართველი და ჩემ რწმენათა განმამტკიცებელი ყოფილა.

მაგრამ უკვე 1908-1910 წლებში ჩემი თეორიაც ერისა უფრო სხვანაირად ჩამოისახა. აქედან გამომდინარე პოლიტიკური იდეალი და გზა, მეთოდი ამ იდეალის მიღწევისა სხვა, უფრო რადიკალური შეიქმნა. და ასე ბუნებრივად, მაგრამ მეგობრულად მოხდა განყოფა ჩემი და არჩილის გზისა: არჩილი მტკიცედ დარჩა ძველზედ, მე ახალს დავადექ. მაგრამ ეს თეორიაც და ეს ჩემი გზაც არჩილისათვის მიუღებელი კი არ იყო, რაიცა მან ნათლად სთქვა ჩემი წიგნის „ერისა და კაცობრიობის" დაფასებაში 1910 წელს. და ვინ იცის, როდესაც თბილისში იმ ხანაში ჩვენ დავაარსეთ ნახევრად საიდუმლო ჯგუფი „სეპარატისტთა" ჩვენი ორგანოთი „ერი" და სხვით, იქნებ არჩილიც ჩვენთან ყოფილიყო, რომ მისთვის ხელი არ დაერია ულმობელ სენს და პრაქტიკული მოქმედება შესძლებოდა მას. იქნებ ის 1910 წელს ჩვენსავით

წამოსულიყო უცხოეთში, ყოფილიყო დამაარსებელი ჟენევის „თავისუფალი საქართველო“-ში და მონაწილე და ხელმძღვანელიც „დამოუკიდებლობის კომიტეტისა“ 1914-1918 წელს. მაგრამ ულმობელმა სენმა მას სიცოცხლე მოუსპო 1913 წელს.

გიორგი დეკანოზიშვილი 1910 წელს გარდაიცვალა საფრანგეთში. მას არა გულის ავადმყოფობამ წარსტაცა სიცოცხლე, რასაც ის მოელოდა, არამედ მასაც ჭლექმა, რომელიც გვიან გამოაჩნდა და რომელსაც სრულიად არ მოელოდა. გიორგიმ სიკვდილის შემდეგაც კი დაამარცხა ის მტერი, რომელსაც ის მუდამ ებრძოდა. გიორგი რუსის მთავრობის მიერ იაპონიასთან კავშირის გამო სახელმწიფო მოღალატედ იყო გამოცხადებული. მისი გვამის წასვენება საქართველოში ოფიციალურად შეუძლებელი იყო. და სიკვდილის წინ მის მიერ შემუშავებული გეგმით, იგი საიდუმლოდ წაასვენეს საქართველოში და დამარხეს თბილისში დიდი პატივით, მაგრამ ისე, რომ რუსის ადმინისტრაციამ მაშინ გაიგო ეს ამბავი, როდესაც გიორგი უკვე საუკუნო განსასვენებელს იყო.

მახსოვს მაშინ არჩილის წერილი: – „მყავდა მეგობარი!“ დიახ, ის მეგობარი იყო არჩილისა, და როგორი! და ვინც იცოდა მათი განწყობილება, მხოლოდ მას შეეძლო სავსებით ეგრძნო არჩილის გლოვის სიღრმე!

ამ თავგანწირულმა მეგობრებმა შეჰქმნეს ის დიდი საქმე, რომელმაც შესაძლებელი გახადა მარქსიზმთან ეროვნული ბრძოლა ქართველთა.

1913 წელს არჩილიც აჩრდილთა სამეფოში გადასახლდა. მას შემდეგ მოხდენ დიდნი საქმენი. მარქსიზმი საქართველოში ვერ დამარცხდა, მაგრამ ეროვნული იდეა, რომლის განვითარებასაც იმდენი ღვაწლი დასდვა არჩილმა, ისე ძლიერი იყო საქართველოში, რომ სწორედ მარქსისტთა ერთმა შტომ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებაში 1918 წელს აღასრულა გადამწყვეტი როლი. მარქსიზმის მეორე შტომ კი ეს დამოუკიდებლობა მოსპო და ქართველი ერიც აწამა და გაანადგურა, ხოლო მარქსიზმის იმ

პირველი შტოს ხალხიც, არჩილის პარტიის კაცნიც და სხვანიც აქა ვართ ახლა გადახვეწილნი, ხოლო იმედით აღსავსენი, რომ კვლავ დავუბრუნდეთ საქართველოს, მაგრამ გაწმენდილნი წარსულ შეცთომათაგან და ღირსეულად დამფასებელნი იმ ადამიანთა, რომელთაც შექმნეს უკვდავი იდეა ერისა, აღსარებული დღეს აქ ყველა ქართველის მიერ. ერთი ასეთი დიდ კაცთაგანი იყო არჩილი და ამიტომ ვიგონებთ დღეს მას ყოველი მიმართულების ქართველები მისი უდროოდ გარდაცვალების 30 წლის შემდეგ – სიყვარულით და გლოვით.

მიხაკო წერეთელი

ჟურნ. „სახალხო საქმე", ბუენოს-აირესი, 1952 წ.

ექვთიმე თაყაიშვილი



ექვთიმე თაყაიშვილი

გარდაიცვალა საქართველოში იმ წელს ექვთიმე თაყაიშვილი, ღრმად მოხუცებული, 90 წლის კაცი, მრავალგვარი ღვაწლით ცნობილი საქართველოში, ერთი უდიდესი იმ ქართველ მოღვაწეთაგან, რომელნიც მეცხრამეტე საუკუნეში და შემდეგ, საქართველოსათვის უმძიმეს – რუსეთის ბატონობისა და ერთა-მომსპობი რუსული პოლიტიკის პირობებში, თავ-განწირულად, უანგაროდ და დიდი ხერხით და ჭკუით იბრძოდენ ქართველი ერის სახის დასაცავად, რომლის გაქრობა უკანასკნელ მტერს, გაიძვერას და დაუნდობელს, ვერაგულ საშუალებათა რთული სისტემით ჰქონდა განზრახული.

ერთი უძლიერესი საჭურველთაგანი ამ მტრის წინააღმდეგ ბრძოლისათვის იყო განმტკიცება ქართველთა შეგნებისა, რომ ქართველი ერი უძველესი და დიდი კულტურის შემქმნელი ერია, მას მიზეზი აქვს ამით იამაყოს მთელი მსოფლიოს წინაშე და შეძლებაც, რომ დაიმსახუროს პატივისცემა განათლებულ ერთა შორის, და არავისგან არ არის ადვილად ხელნამოსაკრავი, და არც ადვილად მოსასპობი. ამისათვის კი საჭირო იყო, რომ ქართველს თვალით ეხილა თავისი წარსულის დიდება, ერის ნამოქმედარი საუკუნეთა განმავლობაში.

ეს საჭურველი განჭედა მთელმა რიგმა ქართველ მოღვაწეთა, და მათი „ბრძოლა" ამ მიზნის მისაღწევად ბევრი მხრით უფრო ძნელი იყო, ვიდრე ბრძოლა იდეურ მებრძოლთა, ვიდრე ბრძოლა რევოლუციონერთაც, და პირველთა ღვაწლი და ბრძოლა გამარჯვებით რომ არ დამთავრებულიყო, უკანასკნელნიც ვერ მიაღწევდნენ მათს იდეალს საქართველოს აღდგენისა, – თუ პოეტები და პუბლიცისტები ერს ცხოვრების იდეალებს უსახავდენ, თუ პრაქტიკული საზოგადო მოღვაწენი ერის ცხოვრების წინსვლისათვის იღვწოდენ, თუ რევოლუციონერები ხალხის დარაზმვით და პოლიტიკურად გათვითცნობიერებით მიისწრაფოდენ დასახულ იდეალთა განხორციელებისაკენ, არქეოლოგები, ისტორიკოსები, წარსულის მკვლევარნი ერს აჩვენებდენ, თუ ვინ და რა იყო იგი საუკუნეთა და ათასეულთა წინათ, – რომ ქართველი ერი ვიგინდარა არ არის, ან და გუშინ განმცხადებელი თვისი არსებობისა, არამედ ძველი დიდი კულტურის შემქმნელი, რომლითაც იგი უნდა ამაყობდეს და რომლის აღდგენა, წარმატება და გაძლიერება მიზანი უნდა იყოს მისი მოქმედებისა – ცუდ პირობებშიც!

ექვთიმე სპეციალობით არც არქეოლოგი იყო, არც ხელოვნებათა მეცნიერი, არც ისტორიკოსი, არც ქართული ფილოლოგიის სწავლული. მაგრამ იგი ამავე დროს ერთიც იყო, მეორეც, მესამეც და მეოთხეც. სიდიდე მისი სულისა სწორედ აქ არის, – მან თავისი ერის სამსახურისათვის ეს მეცნიერებანი თვით შეისწავლა, იგი იყო „მოხალისე", „მოყვარული", მაგრამ ნამდვილი ბატონი საქართველოს წარსულის კვლევისა ფართო ნიადაგზედ, – „მოყვარული" მეცნიერი ქართველი ერის სიყვარულით და მისი კულტურის ღირსების წინაშე პატივით აღსავსე. იგი იყო განმგრძობი დიმიტრი ბაქრაძის, თავისი უფროსი თანამედროვის თ. ჟორდანიას და სხვათა ღვაწლისა, რომელთაც იგივე მიზანი ამოძრავებდა მათი უანგარო, დაუღალავი და ხანგრძლივი შრომის დროს. ნამდვილი სპეციალისტები (ჯერ ნ. მარრი, შემდეგ ივ. ჯავახიშვილი და სხვანი) ზემოხსენებულ მეცნიერთა შემდეგ გამოჩნდენ, რომელთაც „მოყვარულებმა" მოუმზადეს ნიადაგი და ამით გაუადვილეს კვლევა.

ექვთიმე ბერძნულ-ლათინურ ენათა მეცნიერი იყო. პეტერბურგის უნივერსიტეტში ისტორიულ-ფილოსოფიური ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ იგი მსახურობდა რუსულ დაწესებულებებში როგორც პედაგოგი, (ერთ დროს ის თბილისის სათავადაზნაური ქართული გიმნაზიის დირექტორიც იყო), იყო თანამშრომელი რუსულ მეცნიერულ გამოცემათა და სხვ. მან რუსის სამსახურში წარჩინებაც დაიმსახურა, მაგრამ ამით იგი რუსის „ჩინოვნიკად" არ გამხდარა, არამედ საქართველოში მოქმედმა, მან რუსის დაწესებულებებთან კავშირით იმოდენი ღვაწლი გასწია საქართველოს წარსულის კვლევის საქმეში, რაოდენიც არავის სხვას არ გაუწევია და ვერც თვით ექვთიმე გასწევდა, რომ იძულებული ყოფილიყო მაშინდელ პირობებში მარტო ქართული ქველმოქმედების დახმარებით ეშრომა. მარტო ის რად ღირს, რაც ექვთიმეს ძეგლებზე გამოუცია საქართველოს სიძველეთა იმ საშუალებით, რომელსაც მას აძლევდა წევრობა რუსულ არქეოლოგიურ და სხვა სამეცნიერო საზოგადოებათა. მაგ., „ქართლის ცხოვრების" მარიამ დედოფლის ვარიანტი, მხედვრულად მისგან გადმოწერილი 1885 წ., დიმიტრი ბაქრაძის მიერ აღმოჩენილი ხელნაწერი, შენიშვნებში სხვა ვარიანტთაგან დამატებებით, – ეს უძვირფასესი კრებული ძველ ქართულ ისტორიკოსთა თხზულებათა, ექვთიმემ უცხო დახმარებით გამოსცა 1906 წ., და არა ქართული „ქველმოქმედებით".

ხან ასეთი საშუალებით, ხან გაჭირვებით, ქართულ ღარიბ კულტურულ დაწესებულებათა დახმარებით, ექვთიმემ ბევრი სხვა ფასდაუდებელი, მის მიერ არმოჩენილი ძეგლი ძველი მწერლობისა გამოსცა ჩვენ ისტორიკოსთა და მწერლობის მკვლევართა შრომის შესაძლებელყოფად: მაგ. „ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა", „სამი ისტორიული ქრონიკა", „ხელმწიფის კარის გარიგება", „სიბრძნე ბალავარისი" და სხვ.

ხოლო რაოდენადაც თვით ქართული დაწესებულებანი, როგორც მაგ., „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება" და სხვ., რომელთა წევრიც ექვთიმე იყო, ფეხზედ დგებოდენ, იმოდენად ექვთიმეს მეტი საშუალება და დახმარება

ეძლეოდა საქართველოს წარსულის კელევისა დამოუკიდებლად, უცხოთა დაუხმარებლად. თვისი დაუდეგარი და ხანგრძლივი არქეოლოგიური მოგზაურობით მან აგრეთვე შეჰკრიბა და აღწერა აუარებელი ძეგლი ქართული ხუროთმოძღვრებისა, მხატვრობისა და სხვა ხელოვნებისა. – თბილისის თავად-აზნაურობის ბანკი ექეთიმეს მიერ ბანის ეკლესიის რესტავრაციის მიხედვით აღაშენა ხუროთ-მოძღვარმა კლდიაშვილმა. ბანის ეკლესია კი უშვენიერესი ძეგლი იყო ქართული ხუროთ-მოძღვრებისა. – არ დაუტოვებია მას საქართველოს არც ერთი კუთხე ცხენით და თვისი მტკივანი ფეხით მოუვლელი და ყოველ კუთხითგან ჩამოჰქონდა თბილისში ძვირფასი ნაშთები საქართველოს წარსულისა. ამით ჩაუყარა მან საფუძველი საქართველოს სიძველეთა მუზეუმს, რომელსაც პირველად თვით განაგებდა, და რომელიც დღეს ერთი უშესანიშნავესთაგანია არა თუ მთელ კავკასიაში, არამედ მთელ „საბჭოთა კავშირში". – მან გამოსცა თვისი მოგზაურობანი, უმეტესნი ქართულ ენაზე, ნაშთთა აღწერით, სურათებით და ეპიგრაფიკით, აღწერა (რუსულად) „ქ. შ. ნ.-კ. გამ. საზოგადოების" ხელნაწერები, დააარსა „ქართული ისტორიულ-ეთნოგრაფიული საზოგადოება" თვით ხელმძღვანელობდა და სხვ. რომლის ორგანოებს „საქართველოს სიძველეთ" და „ძველ საქართველოს" მას საქართველოს წარსულის ყველაფერი ანტერესებდა და ყველა ნაშთს ჰკრეფდა და სწავლობდა და სხვა მეცნიერთაც აძლევდა საგნად შესწავლისა. მაგრამ მას აწმყოც უყვარდა და აინტერესებდა თვისი ერისა, და ამის შესწავლაშიც მან თვისი ღვაწლი გაიღო: 1920 წ. თბილისში თვით განსვენებულისაგან და სხვებისაგანაც გამიგონია, რომ მას აუარებელი ძვირფასი ძეგლი ჰქონდა შეკრებილი ქართული ზეპირ-სიტყვაობისა: თქმულებათა, ზღაპართა და სხვ.

და არც უცხოეთში ყოფნის დროს შეუწყვეტია ექვთიმეს მეცნიერული ღვაწლი, არამედ მრავალი რამ გამოაქვეყნა ქართულად, ფრანგულად და ინგლისურად თვის ნაკვლევთაგან საქართველოს წარსულისა.

ხოლო ხშირად მსმენია მისგანვე, თუ რაგვარ იყო გამქრალი მრავალ ქართველთა სახლებში ყოველი გაგება ძველი ქართული კულტურის ნაშთთა ღირებულებისა და პატივი მათ მიმართ: სხვენზედ დაყრილი ხელთ-ნაწერები, რომლებიც ერთ დროს სახლის უძვირფასეს საუნჯეს წარმოადგენდა, იკითხებოდა მის წევრთა მიერ და განათლებას აძლევდა მათ, დღეს თაგვებისაგან იყო დახრული, ფურცლებ-ამოგლეჯილი, ხშირად დამპალი და ნაცვლად ამისა „სალონში" ჟურნალი „ნივა", ან მისნი დამატებანი ..., და არც ერთი ქართული წიგნი, ახალი, დაბეჭდილიც კი..., ან და „დედა ენის", ან „ბუნების-კარრის" გაყვითლებული ფურცლების ნაგლეჯები!.. ექვთიმეს თუ ერთი მხრით, გული ტკიოდა ამგვარ სურათთა მხილველს, მეორე მხრით, ის მაინც უხაროდა, რომ ასეთ ხელთნაწერებს სიამოვნებით აძლევდა მას პატრონი, რომელსაც არც მათი ღირებულება ესმოდა და კმაყოფილიც იყო, რომ ეს „ხარა-ხურა" თავითგან მოიშორა... შესანიშნავი ხელთნაწერი „ხელმწიფის კარის გარიგება" ექვთიმემ აღმოაჩინა ერთ სახლში, როდესაც შეამჩნია, რომ დედა-კაცი სახლსა ჰგვიდა და რაღაც ფურცლები ქაღალდისა ნაგავთან ერთად ცოცხს მიჰქონდა! – საბედნიეროდ, ასეთი რამ ყოველ სახლში არ შეხვედრია ექვთიმეს. ხშირად სახლის პატრონი ხელნაწერებს, თუ ჰქონდა, კარგად ინახავდა, და თუცა მათი კითხვა არ შეეძლო, ღირებულება მათი მაინც იცოდა და სახლის საუნჯედ სთვლიდა მათ. ხელნაწერთა ასეთ პატრონთ ექვთიმე არწმუნებდა, რომ უმჯობესი იქმნებოდა მათი გადატანა „ქ. შ. წ. – კ. ს."-ს წიგნთ-საცავში, სადაც იგინი უკეთ იქმნებოდენ შენახულნი, და თუ პატრონი ამაზედ არ დათანხმდებოდა, ექვთიმე თვისი ჩვეულებრივი ენერგიული მიდგომით ბოლოს დაითანხმებდა მას, და ხანდახან ძალითაც წართმევდა ხოლმე, რაიცა, აგრეთვე საბედნიეროდ, არ თავდებოდა უსიამოვნობით, არამედ სიცილით, და მასპინძლის კიდე უფრო გულ-უხვი მასპინძლობით.

ხშირადვე, შეგნებულ ქართველთ თვით მიჰქონდათ ძვირფასი ძეგლები და სწირავდენ „წ.-კ. ს."-ს, რაიცა ექვთიმეს მუდმივ მოგზაურობათა დროს პროპაგანდის შედეგი იყო. – მონასტრე-

ბითგან და ეკლესიებითგან ექვთიმეს მოჰქონდა თბილისის ეროვნული საგანძურისათვის ის, რასაც მათნი გამგენი შესწირავდენ მას, ხოლო რომელ ძეგლთა გამოტანაც არ შეიძლებოდა ეკლესიებითგან და მონასტრებითგან, ექვთიმეს მოჰქონდა მათი ფოტოგრაფიული სურათები და ხელთ-ნაწერთაგან გადმოწერილი ტექსტები. ხოლო დანგრეული ნაწილითგან საქართველოისა ექვთიმეს მოჰქონდა ნადავლი ნაშთთა, – საგნები, სურათები ძეგლთა, ხელთ-ნაწერები, უპატრონოდ მრავალ ადგილს ხილული და სრულიად მოსასპობლად განმზადებული საქართველოს ძველ და ახალ მტერთაგან, – ძლივს ნაწილობრივ გადარჩენილი, ან აღსაწერად-ღა შესაძლებელი მკვლევარის მიერ.

ჯილდო ექვთიმესი მთელი მისი ღვაწლისათვის მოგზაურობათა დროს იყო უმთავრესად კმაყოფილება მისი სულისა, რომ ძვირფასი ძღვენით დატვირთული დაბრუნდებოდა თბილისში და ამ ძღვენს მიართმევდა ქართულ ეროვნულ საგანძეურს. მაგრამ მას კიდე ერთი ჯილდო ახარებდა: მძიმე და ხანგრძლივი მუშაობის შემდეგ სადმე სოფლად მხიარული მასპინძლის მიერ საღამოს გაშლილი სუფრა, არა სასმელ-საჭმლის სიუხვით მასპინძლისა, არამედ მისი მარტივი, წრფელი გულით, და პატივით მოსმენა თანამესუფრეთა მიერ ძველ და ახალ ამბავთა, რომელთა მბობა ექვთიმეს ისე უყვარდა, – ხანგრძლივად და გონების სიმახვილით, მისი საყვარელი გურული კილოთი. ეს იყო დაღლილი ექვთიმეს მოსვენება, და შემდეგ მოკლე ჟამის ძილი, რომ განთიადს კვლავ განეგრძო თვისი დიდი და წმინდა საქმე.

და ეს საქმე მისი, ასეთ პირობებში ნაწარმოები, გაგრძელდა 1917 წლამდე, როდესაც რუსეთის ძალა დაემხო და საქართველოსაც დაუდგა დრო თავისუფლად სულთ-თქმისა. ვითარცა დიდმა მცოდნემ საქართველოს საეკლესიო საქმეთა და დიდმა პატრიოტმა მან შესაფერი ღვაწლი იდვა თავს იბერიის ეკლესიის ავტოკეფილიის აღდგენისას, 1811 წლითგან რუსეთის მიერ დათრგუნვილისა. ვითარცა საქართველოს-მცოდნეობის მეცნიერი იგი ერთი დამფუძნებელთაგანი იყო ქართული უნივერსიტეტისა თბილისში, სადაც რუსეთისა და ქვეყნის ყოველი კუთხითგან შე-

კრბენ ქართველნი მეცნიერნი ამ დიდი საქმის აღსრულებისათვის, – ივ. ჯავახიშვილი, პეტრე მელიქიშვილი, აკაკი შანიძე, იოსებ ყიფშიძე და სხვანი. თვით საქართველოში მყოფნი მეცნიერნი, – კ. კეკელიძე, ფ. გოგიჩაიშვილი და მრავალნი სხვანი, და მათ შორის ყველაზედ უფრო ღვაწლ-მოსილი ექვთიმე, მათ ამოუდგენ გვერდში. და კათედრა საქართველოს სიძველეთა მცოდნეობისა ვისთვის უნდა ჩაებარებიათ თუ არა ექვთიმე თაყაიშვილისათვის.

ექვთიმე პოლიტიკოსიც იყო, თავისი ერის ცხოვრების მონყობის ცოცხალი საქმის გარეშე იგი არ დარჩენილა. იგი იყო წევრი „ქ. ერ.-დემ" პარტიისა, წევრი მოქმედი, პატივით მოსილი და ავტორიტეტის მქონე. საქართველოს დამოუკიდებლობის დროს იგი იყო ერთი ამხანაგთაგანი საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების თავმჯდომარისა. ამიტომ, ჩვენი სახელწმიფოს დამხობის შემდეგ, მანაც იგემა სიმწარე ემიგრაციის ცხოვრებისა 1921 წლითგან სხვა გადმოხვეწილ ქართველებთან ერთად. 27 წელიწადი დაჰყო მან საფრანგეთში, ხოლო ყველაფერი აიტანა, რათგანაც მას გვერდში ედგა მისი მეუღლე ნინო, ეს მართლაც იშვიათი მაღალი სულის ადამიანი, რომელიც ექვთიმეს განუსაზღვრელად უყვარდა და რომელსაც იგი განუსაზღვრელადვე პატივს სცემდა. ხოლო როდესაც მან თვისი დიდი მეგობარი და მოყვარე დაჰკარგა, იგი გატყდა. ის ექვთიმე, კლდე-კაცი, რომელიც ყველამ იცოდა, ვითარცა შეუდრეკელი, განქრა. ამ უბედურობის შემდეგ იგი მარტოდ შთენილი, უკვე ღრმა მოხუცებაში შესრული, სამშობლოს განთავისუფლების უიმედო, ნივთიერად შეიწრებული, ძნელად მოსავლელი, აგრეთვე შეიძლება იმედებული, რომ სიკვდილამდე კიდე მოასწრებდა საქართველოში დატოვებული მისგან შეკრებილი აუარებელი სამეცნიერო მასალის დამუშავებას და გამოცემას, დაბრუნდა მტრისაგან პყრობილ სამშობლოში და თანვე წაიტანა საქართველოს კულტურის ის ძეგლები, რომლებიც საქართველოს მთავრობამ უცხოეთში გამოსვლისას წარმოიღო და ექვთიმეს მოურავობის ქვეშ იმყოფებოდა.

ექვთიმე ამისთვის ბევრმა პოლიტიკურად განიკითხა. ვერ ვიტყვი აქ მიცვალებულისათვის, – სამართლიანად თუ უსამართლოდ, ან მსჯავრი განმკითხველთა სამართლიანი იყო თუ უსამართლო. მე ახლა მხოლოდ მსურს, მიცვალებულსაც სხვათა გასაგონად გადავუხადო ის დიდი მადლი, რომელიც მე ცოცხლისათვის მრავალჯერ პირადად გადამიხდია, რათგანაც ამ უკანასკნელ სტრიქონებს არ ვსწერ ვითარცა პოლიტიკოსი, არამედ მხოლოდ ვითარცა მგონებელი ჩემი განწყობილებისა განსვენებულთან: 1905 წლის მღელვარებათა დანელების შემდეგ 1910 წლამდე საქართველოში ვცხოვრობდი, თბილისში. იყო დაუსრულებელი კამათი ქართულ პრესსაში ეროვნული „მიმართულებისა და მარქსისტული მიმართულების კაცთა შორის. მე „ეროვნულ-სოციალისტური" მიმართულების კაცი ვიყავი და ვსწერდი მუდამ ჩემი „იდეოლოგიის" საფუძველთა შექმნისათვის, მაგრამ ვხედავდი, რომ უპირველეს ყოველისა წარსული უნდა იცოდე კაცმა იმ ერისა, რომელსაც ემსახურები და მიზნად გაქვს დასახული, რომ მას ღირსეული მომავალი მოუმზადო. ამიტომ ვსწავლობდი საქართველოს წარსულს, ვკითხულობდი დაბეჭდილ წიგნებს, ვუსმენდი ლექციებს ივ. ჯავახიშვილისა, ალ. ცაგარელისა და ნ. მარრისა, რომლებიც საქართველოში ჩამოდიოდენ ზაფხულში და აცნობდენ მათ ნაკვლევს ქართული კულტურისა ქართულ საზოგადოებას, და არ გამომიტოვებია არც ერთი მოხსენება ექ. თაყაიშვილისა, რომელიც თბილისში იყო და მუდამ ესაუბრებოდა დაინტერესებულ ქართველთ საქართველოს წარსულზედ და თვისი კვლევა – ძიების შედეგებზედ.

ერთხელ, 1909 წ., ექვთიმე შემობრძანდა „წ.-კ. ს."-ის სამდივნოში და განუცხადა საზოგადოების მდივანს ს. ფირცხალავას: უნდა წავიდე ბორში (სოფელია ზესტაფონის სამხრეთით), რაღაც ფრიად საყურადღებო საგნები აღმოუჩენიათ „განძის მთხრელებს" (იყვნენ ასეთნი, რომელნიც ჩუმად თხრიდენ და ნაპოვნ საგნებს ევროპის მუზეუმთა აგენტებზე ჰყიდდენ), მერმე იქიდან უნდა ვესტუმრო უბისას (ძირულის ხეობაში), იქ ძველ ეკ-

ლესიაში მეგულება შესანიშნავი ძეგლები ჩვენი ხელოვნებისა, ის უნდა გადავიღო ფოტოგრაფიულადო, და სხვ. – მე იქ ვიდექ და ვუსმენდი. აღელვებული ვიყავი. შემომხედა ექვთიმემ, შემატყო აღელვება და მითხრა: წამოდი შენც, არ გაწყენს ნახო, რა გვქონდა ძველად, „ანარქიზმზედ“ წერას ეს გირჩევნია! სიხარულით და მადლობით დავეთანხმე, სურვილი წამოსვლისა განაცხადა აგრეთვე ს. ფირცხალავამ. და რაოდენიმე დღის შემდეგ ექვთიმე, მისი ფოტოგრაფით და ჩვენ გავემგზავრეთ ზემო-იმერეთისაკენ. ბორში „განძის მთხრელებს“ აღმოეჩინათ პატარა წყლის პირას რომაელების სადგომი საფლავებით. ამოელოთ შესანიშნავი ხელოვნებით ნაკეთები საგნები (ბეჭდები, სამაჯურები და სხვ.), რომლებიც ერთხელ თბილისში გვაჩვენა ერთმა კარგი გვარის იმერელმა აზნაურმა. ვერ შეძლო მათი ყიდვა „წ.-კ. ს.“-ამ და საგნებიც გაქრა, – ალბათ ბრიტანიის მუზეუმში ან სხვაგან სადმეა იგი ახლა შენახული ხოლო ბორში ექვთიმემ საფლავები ნახა სავსე კაცისა და ცხენის ძვლებით, და რომაული სესტერციებით, რომელსაც არავითარი ფასი არ აქვს, – სხვით აღარაფრით, და ჩვენც, ვიგემეთ რა გულითადი მასპინძლობა ერთი მაჭავარიანის სახლში, გავსწიეთ მეორე დღეს ცხენებით უბისისაკენ (უცნაური და საყვარელი სანახავი იყო, თუ რა ელვის სისწრაფით მოახტებოდა ხოლმე ცხენს ექვთიმე თვისი მტკივანი ფეხით!). დავიდევით ბინა ახალგაზრდა თავად გიორგი აბაშიძესთან. ძვირად მინახავს მისი მსგავსი შვენების ვაჟკაცი ტიპიური ქართული ჯიშისა (ნეტარ თუ არსებობს კიდე საქართველოში ეს ჯიში ადამიანისა? თუ ბოლშევიკებმა აღმოფხვრეს იგი და ამით მოუსპეს ქართულ ერს საფუძველი მომავალი აღორძინებისა?). ექვთიმემ გადიღო სურათები ყველა საგანთა, რომელნიც ჰპოვა ძველ ეკლესიაში, – შესანიშნავი ხელოვნებით მოჭედილი ხატები, და სხვ., და აქაც ვიგემეთ რა მხიარული და უხვი მასპინძლობა თავადი გიორგისი, გამოვსწიეთ რკინისგზის სადგურისაკენ ცხენებით ძირულის ხეობაში.

თავადმა გიორგიმ, შესანიშნავ ოქროსფერ ცხენზედ მჯდომმა (ამ ცხენოსნის სახე მარადის წარუშლელი დარჩა ჩემს მეხ-

სიერებაში), შუა-გზამდე გამოგვაცილა და მერმე გამოგვეთხოვა. – და აქ გამართა ექვთიმემ ჩემთან საუბარი: კაცო, შენ, რაღაც „ანარქისტულ" სტატიებს რომ სწერ, და თანაც საქართველოსთვის გინდა ყველაფერი, ამ შენი ქვეყნის რამე უნდა გაგეგებოდეს, კარგად უნდა იცოდე მისი წარსული და აწმყო, თვარა ისე ვერც მომავალს შეუქმნით მას ვერც შენ და ვერც სხვა, ვინც ქვეყნის გაბედნიერებას გვპირდება, – რა ვქნა, ბატონო ექვთიმე, ვსწავლობ, რაც შემიძლია, თქვენგანაც და სხვა ჩვენ მეცნიერთაგანაც, ვუპასუხე. – მარტო ჩვენი მოსმენით და ჩვენი წიგნების კითხვით რა უნდა ისწავლო! საჭიროა საფუძვლიანად შეისწავლო მეცნიერება, ამისთვის უნივერსიტეტში უნდა შეხვიდე, სადაც გაგწვრთნიან, გასწავლიან მეთოდს კვლევისა, მეცნიერულ კვლევისათვის მოგამზადებენ, იყო ექვთიმეს პასუხი. – მეშინია, ბატონო ექვთიმე, ვერ მოვერევი, და ახლა გვიანაც არის ჩემი უნივერსიტეტში შესვლა, მეოცდაათეში გადავდეგი, – მოვახსენე მე. – რას სულელობ, კაცო, შენზედ უფროს ხალხს, მოხუცებულებსაც კი დაუწყვიათ გვიან მეცნიერების შესწავლა და უდიდესი რამე გაუკეთებიათ. როლინსონი, მაგალითად, უკვე ოფიცერი და დიპლომატი იყო, როდესაც ლურსმული ტექსტები წაიკითხა, გაიგო და გადათარგმნა და საფუძველი დაუდვა ასსირიოლოგიის მეცნიერებას მიპასუხა ექვთიმემ. როლინსონის სახელი რომ გავიგონე, შევკრთი, მისი ამბავი მეც ვიცოდი, გაგონილი და წაკითხული მქონდა აგრეთვე, რომ ქართველი ერის ძირები უშორეულეს წარსულშია საძებარი, მისი ნახვა მხოლოდ სხვა და სხვა უძველეს ერთა ლურსმულ მწერლობაში შეიძლება, აგრეთვე, ნათესაობა ქართული ენისა შეიძლება იმავე უძველეს ერთა ენებთან მისი შედარებით გამოირკვეს. აღელვებულმა მოვახსენე ექვთიმეს: ქართველი ერის ძირები მაინტერესებს, მისი ენის ნათესაობა. რას მირჩევთ, თუ გავბედე, დავიწყო იმ მეცნიერების შესწავლა, რომელიც საშუალებას იძლევა მათი გამორკვევისა, თუ ნ. მარრთან წავიდე პეტერბურგს ქართული ენათ-მეცნიერების შესასწავლად? – რასაც უფრო გულს დაუდებ, ის ისწავლე, მხოლოდ ისწავლე კარგად და საქართველოს წარსულის კელევისათვის,

მითხრა ექვთიმემ და მერმე ათასი დარიგება მომცა და დამადებია აღთქმა, რომ მეცნიერების შესწავლის გზას დავადგებოდი და რომ მას იმედს არ გავუცრუებდი. 1910 წელს ამ მიზნით და ისედაც რუსის ჟანდარმერიისაგან დევნილი, წავედი ლონდონს და იქ დავიწყე ასსირიოლოგიის შესწავლა.

შემდეგ წელს გადავსახლდი ლაიპციგში და შემდეგ ჰაიდელბერგის უნივერსიტეტში დავამთავრე სწავლა. შევისწავლე ის, – რაც ექვთიმეს აღვუთქვი, ხოლო შემდეგ, როდესაც დავიწყე კვლევა ჩვენი ერის ძირთა, მისი ძველი კულტურისა და ენისა, გავუმართლე თუ არა ექვთიმეს იმედი ჩემ კვლევათა შედეგებით, არ ვიცი. არა მგონია, რათგანაც მე ყოველთვის უმაღლესად ყოვლისა ვთვლიდი მოვალეობას ჩვენი ქვეყნის თავისუფლებისათვის ბრძოლისა, რაიცა წმიდა მეცნიერების სამსახურისათვის კაცს ბევრ დროსა და ძალას არ უტოვებს. ხოლო ჩემს გულში სამუდამოდ დარჩა უღრმესი გრძნობა მადლობისა იმ დიდი ქართველის მიმართ, რომელიც 44 წლის წინათ ძირულის ხეობაში ჩემი ერთგვარი „ნათლისმცემელი“ იქმნა და მეორე გზა გამიჩინა ცხოვრებისა.

მიხაკო წერეთელი

ჟურნ. „ბედი ქართლისა“, პარიზი, 16, 1954 წ.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას, ალექსანდრე ასათიანის გარდაცვალების გამო

ალექსანდრე ასათიანი

აღრმესად ვიგლოვ ალექსანდრე ასათიანის დაკარგვას, – დიაღ, უდროოდ დაკარგვას დიდი ქართველი პოლიტიკური მოღვაწისა, მებრძოლისა და მოაზრისა, რომელიც საქმით, კალმით და სიტყვით თავგანწირულად ემსახურა ქართველ ერს თავის ახალგაზრდობითგან უკანასკნელ დღემდე მისი ცხოვრებისა.

მოვახსენებთ სამძიმარს საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას მისი ერთი უდიდესი ხელმძღვანელთაგანის, ორგანიზატორის, მოქმედის და პუბლიცისტის მისგან განშორების გამო.

და ამავე გულწრფელ სამძიმარს ვუთვლი ჩვენ ტანჯულ, უბედურ ქვეყანას, რომელიც მის აწ განსვენებულ ღირსეულ ძეს ისე უყვარდა და რომლის მტერთა წინააღმდეგ ბრძოლაში მან განვლო მთელი მისი ცხოვრება, ხოლო რომლის ხანმოკლე ბედნიერების დროს იგი იღვწოდა მისი მკვიდრ საფუძველზე აშენებისათვის.

საქართველოსათვის ღვაწლი იყო ალექსანდრეს ცხოვრების დანიშნულება და აზრი, მისი უდიდესი ვალი ამ ქვეყანაზედ, და ეს ვალი მან ბრწყინვალედ მოიხადა როგორც იქ, დაცემული სამშობლოს აღდგენისათვის და მისი თავისუფლების დაცვისათვის ბრძოლით, ისე აქ, უცხოეთში, ამ ბრძოლის განგრძობით.

ალექსანდრე იყო იმ ქართველთა გვარისა, რომელთაც მათი მხნე-კაცობით, ჭკუით და გულით შესაძლებელ-ჰყვეს არსებობა და წარმატება ქართველი ერისა. ამიტომ ქედ-დადრეკილნი პატივსვცემთ მათ ძველთა ხსოვნას და მათ საფლავთ, სადაც კი იგინი დაშთენილან და მეც აქ, უცხოეთში, მიუნხენის „ტყის სასაფლაოზედ" ახლად გათხრილი საფლავის წინაშე დიდი ქართველი მამულის-შვილისა ქედს ვიხრი და ვამბობ: გიყვარდა საქართველო, ძვირფასო ალექსანდრე, და მისთვის თავდადებული რაინდი იყავ მხოლოდ და მხოლოდ და დიაღ ღირსი ხარ, რომ ხსენება შენი საუკუნოდ იყოს ქართველთა შორის!

მიხეილ წერეთელი

ჟურნ. „ბედი ქართლისა", პარიზი, 17, 1954 წ.

გიორგი კერესელიძე

(ძვირფასი მეგობრის ხსოვნას)

გიორგი კერესელიძე

ორმოცდათხუთმეტი წლის განუყრელი მეგობრობა და თანამშრომლობა მაკავშირდება მე გიორგისთან. პირველად ვნახე იგი თბილისში 1905 წელს. შვეიცარიაში, ჟენევაში ვიცნობდი და ვმეგობრობდი მისს უფროს ძმას, ლეო კერესელიძეს, რომელიც ჩემზედ უფრო ადრე დაბრუნდა საქართველოში, და მეც რომ დავბრუნდი 1905 წელს, მის სანახავად მიველი გიორგის ბინაზედ. ვიხილე მშვენიერი ახალგაზრდა ვაჟკაცი, უკვე დაქორწინებული. მისი მეუღლეც, თამარ ციციშვილის ასული, იქ იყო, და ორივე შეჰხაროდენ პირველ შვილს მათეს (დღეს მათ ჭირისუფალს), რომელიც გიორგის ხელში ეჭირა და ათამაშებდა. კავშირი დავმეგობრდით გიორგი და მე და მას უკან კერესელიძეების სახლთან მაშინ არ შემიწყვეტია. ვმუშაობდით „ს.-ფ."-ის პარტიასთან ლეოც, გიორგიც და მეც (თუმცა პარტიის წევრები არ ვიყავით), რათგანაც მაშინ მხოლოდ ამ პარტიას ეჭირა ეროვნული დროშა და ჩვენც იმედი გვქონდა, რომ რევოლუცია რუსეთის თვათმყრობელობას დაამხობდა და საქართველოც თავისუფლებას მოიპოვებდა.

ლეო და გიორგი შვილები იყვნენ მათე კერესელიძისა, მის დროს ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწისა და პატრიოტი-

სა, და შვილებს მამის სახლითგან მოჰქონდათ მოვალეობა სამშობლოსათვის ბრძოლისა, აღტყინებული სიყვარული მისი.

ე. წ. დუშეთის საქმის გამო ლეო კერესელიძე, უმთავრესი მონაწილე ამ საქმისა, უცხოეთში გადმოიხვეწა (1906 წელს) და დაემკვიდრა ჟენევაში. მალე გიორგიც იძულებული იყო ცოლშვილით გადმოსახლებულიყო აგრეთვე ჟენევაში, და მასთან ერთად კერესელიძეების სახლის ნათესავი ნესტორ მაღალაშვილი. რუსეთის მთავრობამ მოსთხოვა შვეიცარიის მთავრობას გაცემა კერესელიძეებისა და მაღალაშვილისა, ვითარცა სისხლის სამართლის დამნაშავეთა. შვეიცარიის მთავრობამ კერესელიძეები და მაღალაშვილი დააპატირმა და საქმე სასამართლოს გადასცა გასარჩევად, თუ რამდენად სამართლიანი იყო რუსეთის მთავრობის მოთხოვნა, სასამართლოში შეეკითხა ერთ უდიდეს ავტორიტეტს საერთაშორისო სამართლისა ბელგიელ მეცნიერს ერნესტ ნისს. და მან შემდეგი მსჯავრი დასდვა საქმეს: რუსეთი მოტყუებით დადებული და დამტკიცებული, 1783 წლის ხელშეკრულების დარღვევით გაბატონდა საქართველოში. მისი ბატონობა უკანონოა და წინააღმდგომი საერთაშორისო სამართლისა. ამიტომ ყოველი მოქმედება ქართველთა ქვეყნის განთავისუფლებისათვის უკანონო უცხო ბატონობისაგან, პოლიტიკური აქტია, და დუშეთის საქმეც.

კერესელიძეებისა და მაღალაშვილის გადაცემა რუსეთისათვის ამიტომ უკანონო იქმნებოდა საერთაშორისო სამართლის მიხედვით, რათგანაც ისინი სისხლის სამართლის დამნაშავენი კი არ არიან, არამედ პატრიოტულ-რევოლუციონური აქტის ჩამდენნი – მაშინ საერთაშორისო სამართალს ძალა ჰქონდა და შვეიცარიის მთავრობამ კერესელიძეები და მაღალაშვილი გაამართლა და გაანთავისუფლა. ისინი ჟენევაში დარჩენ. ლეომ უნივერსიტეტი დაამთავრა და მეცნიერი იურისტი პრივატ-დოცენტი გახდა ჟენევის უნივერსიტეტში. გიორგიც სწავლობდა ქიმიას, მაგრამ ხელს უშლიდა ზრუნვა ოჯახისათვის. მეორე ვაჟი, ლეო იქ შეეძინა გიორგის და მის მეუღლეს თამარს.

1910 წ. სასტიკი დევნა გვიყო რუსის ჟანდარმერიამ თბილისში ქართველ ნაციონალისტებს. ჩვენი ჟურნალი „ერი" (და სხვა სახელებით) მრავალჯერ იყო აკრძალული. ბოლოს გავიფანტენით. პეტრე სურგულაძე ჟენევაში წამოვიდა (მე ლონდონში მომიხდა გარდახვეწა). პეტრე სურგულაძემ ჟენევაში განაახლა „საქართველოს დამოუკიდებლობის ჯგუფი" და ჟურნალიც „თავისუფალი საქართველოს" სახელით. უაქტიურესი წევრები ამ ჯგუფისა აქაც ლეო და გიორგი კერესელიძეები და ნესტორ მაღალაშვილი იყვნენ. ეს უკანასკნელი ჟურნალს აწყობდა, კერესელიძეები კი დაუღალავად თანამშრომლობდენ.

და აი სწორედ ამ ჯგუფმა შეადგინა „საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი" პეტრე სურგულაძის თავმდჯდომარეობით 1914 წელს, როდესაც პირველი დიდი მსოფლიო ომი დაიწყო. ბერლინში და სტამბოლში ეს კომიტეტი სხვებმა შევავსეთ და მთელი ომის განმავლობაში მუშაობდა გიორგი (ლეოსთან ერთად) ხან სტამბოლში, ხან ლაზისტანში, ბოლოს ბერლნში; მიიღო მონაწილეობა პირველ ბრძოლაში რუსების წინააღმდეგ. იღვწოდა ქართველ ტყვეთა მოსავლელად გერმანიაში და იყო გამომცემელი და მთავარი რედაქტორი ბერლინში ტყვეებისათვის განკუთვნილი გაზეთისა, რომელსაც აგრეთვე „თავისუფალი საქართველო" ერქვა. 1918-1919 წლებში გიორგი მუშაობდა დამოუკიდებლად ცნობილი საქართველოს საელჩოსთან ბერლინში, სადაც აუარებელი საქმე იყო გასაკეთებელი, პოლიტიკური და სხვ. (ტყვეების დაბრუნება სამშობლოში და სხვ.).

დამოუკიდებლობის დროს გიორგი საქართველოში არ დაბრუნებულა. ორმოცი წელიწადი ემიგრანტული ცხოვრებისა საქართველოს დამოუკიდებლობის მოსპობის შემდეგ მან გერმანიაში და საფრანგეთში გაატარა.

გიორგი შეუდრეკელი, მაგარი ბუნების კაცი იყო. მან ვაჟკაცურად აიტანა საყვარელი მეუღლის დაკარგვა პარიზში, მერმე დაკარგვა საყვარელი უფროსი ძმისა ბერლინში (28 ნოემბერს 1943 წ. დაიღუპა ლეო კერესელიძე ბერლინზედ ინგლის-ამერიკის საჰაერო ფლოტის თავდასხმისას), და წინად კიდე ბევრი უბე-

დურობა, რომელიც მის ოჯახს ენია საქართველოში, და ბოლოს ტყვეობა მისი ვაჟის, მათესი რუსეთში. უკანასკნელი სიხარულიც მისი ეს იყო, რომ მათე 15 წლის ტყვეობის შემდეგ დაუბრუნდა მამას, ძმას და ცოლ-შვილს. თვით თურმე სასიკვდილო სენით იყო შეპყრობილი და ერთი ჩივილიც არავის გაუგონია მისგან!

გიორგის სხვა თვისებებიც ჰქონდა ბუნებისა: იგი იყო ამხანაგთა და მეგობართა გამტანი, ერთგული. იგი იყო განუსაზღვრელად გულკეთილი, მუდამდამხმარე ხელმოკლე ქართველთა, სიუხვით და სტუმარ-მოყვარეობით ცნობილი. და რაც მართლაც იშვიათი თვისებაა ადამიანისა, მასაც ჰქონდა: ეს იყო აროდეს დამახსოვრება ვისგანმე წყენისა, აროდეს შურისძიება, აროდეს ცუდისათვის სამაგიეროს გადახდა. მას არ სწამდა „თვალი თვალისა წილ და კბილი კბილისა წილ"

ასეთი იყო ცხოვრება და ბუნება ამ კეთილშობილი ქართველისა. დღეს იგი აღარ არის „სოფლისა ქმნისა წესითა"

მშვიდობით, ჩემო გიორგი, – ასე გეძახდით შენი ახლო მეგობრები. განასვენე მარადის და მარადისვე იქმნება ხსოვნა შენი ჩვენ შორის, სანამ ჩვენც არ განვვლით ამ სოფელს.

მიხეილ წერეთელი

ჟურნ. „ბედი ქართლისა", პარიზი, 39-40, 1962 წ.

დავით ვაჩნაძე

დავით (დათა) ვაჩნაძე

ამა წლის თებერვალში მიუნხენში გარდაიცვალა საქართველოში და ემიგრაციაში ცნობილი მოღვაწე და სამშობლოსათვის თავგანწირული მებრძოლი დავით ვლადიმერის-ძე ვაჩნაძე, რამაც ყოველ შეგნებულ ქართველ პატრიოტს გული ატკინა.

დათა ვაჩნაძე ეკუთვნოდა საქართველოში ვაჟკაცობით და პატრიოტიზმით სახელგანთქმულ გვარს კახელ ვაჩნაძეთა. სრულიად ახალგაზრდა იგი გაგზავნა მამამ პეტერბურგს და მიაბარა იმპერატორ პავლე პირველის სახელობის კადეტთა კორპუსში. სწავლის დამთავრების შემდეგ, იგი მსახურებდა რუსის ჯარში, როგორც ოფიცერი. ერთი ნაწილი ამ ჯარისა იდგა კავკასიაში. 1905 წ. რევოლუციის დროს ამ ნაწილის ოფიცერთა შორის გავრცელდა რევოლუციური იდეები, რასაც შედეგად მოჰყვა ჯარიდან განდევნა მრავალ ოფიცრისა. დათამაც თავი დაანება სამხედრო სამსახურს და დაუბრუნდა თავის სამშობლოს.

კადეტთა კორპუსში მას თითქმის მთლად დაავიწყდა ქართული ენა, რასაც ამაყი დათა ვერ ითმენდა. იგი დაესახლა თავის სოფელ ბაკურციხეში და დარჩა იქ რამოდენიმე წელიწადი, სანამ ზედმიწევნით არ შეისწავლა ქართული ენა. შემდეგ მას არასოდეს არ გაუწყვეტია კავშირი თბილისში მოწინავე პატრიოტ ქართველებთან და არ ყოფილა არც პოლიტიკური, არც კულტურული საქმე, რომ მას იქ მონაწილეობა არ მიეღოს.

როდესაც საქართველოში დაარსდა ქართული ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, დათა უაქტივესი წევრი გახდა მისი და პარტიის ორგანოს „კლდე"-ს დაარსებაში უახლოესი და უდიდესი მონაწილეობა მიიღო.

აღსანიშნავია უმთავრესად, რომ დათა იყო შეუდარებელი სამხედრო ორგანიზატორი. როდესაც კი ქართველთა ჯარი მტერს ებრძოდა, დათა იყო მიმწოდებელი მებრძოლი ჯარისათვის იარაღისა, სანოვაგისა და ყველაფრისა, რაც საჭირო იყო (აქ ემიგრაციაში ერთმა მეგობარმა სომეხმა უთხრა დათას: „ჩვენ თქვენმა გენერლებმა კი არა, შენ დაგვამარცხე შენი სამხედრო ორგანიზატორული ნიჭით"-ო).

პირველი მსოფლიო ომის დროს, როდესაც გერმანიაში მუშაობდა „დამოუკიდებლობის კომიტეტი", რომელმაც კავშირი გააბა საქართველოსთან, დათა იყო საქართველოში ჩუმად შეპარულ ქართველ მებრძოლთა მიმღები, დამხმარე და მომწყობი ყოველ შეხვედრათა სხვა და სხვა მიმართულების ქართველთა.

დათას ბევრ სხვა ქართველთან ერთად წილად ხვდა ემიგრაციაში ცხოვრება. აქაც მას თავისი ენერგია არ დაუზოგავს, რომ ეროვნულ საქმეში მონაწილეობა მიეღო.

ბოლოს არ უნდა დავივიწყოთ, რომ დათა ნიჭიერი მწერალი იყო და ნიჭიერი მხატვარიც. მას დარჩა რამოდენიმე მოთხრობა და მოგონებანი დაუბეჭდავი, რომელთა გამოცემა მეტად სასარგებლო იქმნებოდა, და რამოდენიმე შესანიშნავი ხელოვნებით შესრულებული სურათი.

დათამ 77 წელს გადააცილა. ცხოვრებაში ბევრი უბედურება შეხვდა ავადმყოფობისაგან და საქართველოდან მისი ოჯახის ცუდ ამბავთა გამო. მაგრამ ყოველივე ამას ვაჟკაცურად იტანდა.

ახლა კი მან დაასრულა თავისი შრომით და ტანჯვით აღსავსე ცხოვრება. მისი სული „სულთა სირას" შეუერთდა, ხოლო მისი სხეული ფერფლად იქცა. ჩვენ შორის კი მისი სახელი მუდამ დაუვიწყარი დარჩება.

მიხეილ წერეთელი

ჟურნ. „ბედი ქართლისა", პარიზი, 39-40, 1962 წ.

ჩემო ძვირფასო გრიგოლ!

გრიგოლ რობაქიძე

ჩემო საყვარელო მეგობარო! შენ წახვედი და მე დამტოვე, მაგრამ იმავე სიტყვებით მოგმართავ, რომელიც შენთვის, ცოცხალისათვის მითქვამს:

უეჭველად იცოდი, თუ რაოდენი „პროპაგანდა“ გაგვიწევია ჩვენი უცხოეთში ყოფნის დროს, რაოდენი წერილები დაგვიწერია გაზეთებში, გრძელი წერილებიც პერიოდულ გამოცემებში, რაოდენი მოხსენება წაგვიკითხავს, რომ „ჩვენი თავი გაგვეცნო“ უცხოელთათვის, მათი „ინტერესი გაგვეღვიძებია“ საქართველოსადმი, რაოდენი „მემორანდუმი“ გადაგვიცია მთავრობათათვის და სხვ., რაოდენი ფულიც კი დახარჯულა ღარიბი ქართველობისა ამ საქმისათვის! და შედეგი ყოველივე ამისა უმეტესად არარაობას უდრიდა. იყო „ინტერესი“ უცხოთა ჩვენდამი, – ასეთ პროპაგანდას თვითაც აწარმოებდენ და ჩვენიც თითქოს ნაყოფიერი იყო. არ იყო ეს ინტერესი, – ვერავითარი მემორანდუმი, პრესსა და მოხსენებები ველარ გვიფარავდენ მათ მიერ საქართველოს დავიწყებისაგან და უმეცრებისაგან. მახსოვს, პირველი დიდი ომის დროს, ჩემ მოხსენებათა შემდეგ ბერლინში საზოგადოების წინაშე, რომელთაც ესწრებოდენ საკმაოდ რჩეულნი, რა კითხვებითაც მომმართავდა ხოლმე ბევრი: „სად არის საქართველო?“ – „თქვენი ანბანი ხომ „კირილიცაა“ და როდის შემოიღეთ?“ – თბილისში რამდენი მეჩეთია, საინტერესო უნდა იყოს ეს აღმოსავლური ქალაქი“ და სხვ. რაოდენიმე წუთის წინ კი დამთავრებული მქონდა დიდი მოხსენება

საქართველოს მდებარეობაზედ, ისტორიაზედ, სარწმუნოებაზედ, ერთობ კულტურაზედ, და სხვ.! – ხოლო გამოცხადდა თუ არა საქართველოს დამოუკიდებლობა და გაჩნდა საქართველოს დელეგაცია ბერლინში, უცბად ათასობით იცოდა ხალხმა საქართველოს გეოგრაფიაც, კულტურაც, ეკონომიკაც და ყველაფერი, – გადაჩხრეკილი ჰქონდათ უკვე ლექსიკონები და წიგნები, ძველი და ახალი, და თხოულობდენ ვიზებს იქ გასამგზავრებლად – „საქმეთათვის". „ინტერესი" იყო!.. მაგრამ როდესაც საქართველომ დამოუკიდებლობა დაჰკარგა, კვლავ შთაინთქა იგი დავიწყების უფსკრულში უცხოეთის საზოგადოებათა უმეტესი ნაწილისათვის. „ინტერესი" აღარ არის და ჩვენი „პროპაგანდის" შედეგიც 1921 წლითგან ისევ არარაობას უდრის.

მიუხედავად ყოველივე ამისა, ეს პროპაგანდაც საჭირო იყო, აუცილებელი. მაგრამ სულ სხვა საქმეა, როდესაც უცხო საზოგადოებას იმას ვაძლევთ, რასაც თვით აქვს ღირებულება, და ვაიძულებთ იცნოს ეს ღირებულება, ქართველისაგან შექმნილი და საქართველოს მაჩვენებელი. ეს არ არის „პროპაგანდა", მაგრამ საუკეთესო და დიაღ ძნელი საშუალება უცხოთა შორის დაუვიწყარობისა და პატივის მოპოვებისა. და შენ, ძვირფასო გრიგოლ, უდიდესი ღვაწლი მიგიძღვის ამ მხრით შენი სამშობლოს წინაშე. შენი წიგნები, გერმანულად დაწერილი: „გველის პერანგი", „მოკლული სული", „ქალღმერთის ძახილი", „გრაალის მცველები" და სხვ. ძველი წესით დაწერილი „რომანები" არაა, „ჩვენი ცხოვრებიდან", არამედ შენი ორიგინალური შემოქმედება. გულწრფელად ვიტყვი, გადაჭარბებადაც რომ ვინმემ ჩამითვალოს, რომ მე არ მეგულება არც ერთი სხვა მწერალი, რომელსაც პროზით მოთხრობა სიტყვათა მუსიკად, სიმფონიად გადაექციოს ისეთი საკვირველი ხელოვნებით, როგორც შენ შესძელი. ეს სიმფონია საქართველოს მიწაზედ აღესრულების, და შენი გმირები ჩვეულებრივი, ე. ი. „ცხოვრებიდან ამოღებული" გმირები კი არ არიან, არამედ ქართული არსების ხორც-შესხმულობანი. სადაც გიგანტნი აზროვნებდენ და ღვთის შვილნი მუსიკოსობდენ, იქ რჩეულთ დააფასეს, გაიგეს შენი ხელოვნება, პატივი დასდვეს მას დიდი,

და საქართველო და ქართველიც მათთვის მარად დაუვიწყარ და პატივით მოხსენებულ იქმნებიან, რათგან შენი ხელოვნება ყოველთვის აღაფრთოვანებს მათ, ვინც რჩეულნი არიან იმ მაღალი ხელოვნების გაგებისათვის და სიყვარულისათვის, რომლითაც შენი ქვეყანა და ერი ადიდე. შენი წიგნები მკითხველთა „მასსისათვის" არ არის დაწერილი, არც საშუალო „განათლებული" მკითხველისათვის, – მათ უმეტეს წილად კრიმინალური რომანები უფრო მოსწონთ, ან ტლანქი „რეალიზმი", – არამედ „არისტოს"-ებისათვის სულითა და გულითა. ასე სჯობდა, ძვირფასო გრიგოლ: ამათ დავიწყება არ იციან იმისა, რაც კეთილია და კეთილშობილი, რათგან თვით არიან კეთილნი და კეთილშობილნი, და მათ არც შენ წიგნებში აღსახული საქართველო და ქართველი დაავიწყდებათ. ხოლო „მასსამ" მალე იცის დავიწყება: იგი „მოდის" მიმდევარია

აწ განისვენე მშვიდობით, ძვირფასო მეგობარო.

მიხეილ წერეთელი

ჟურნ. „ბედი ქართლისა", პარიზი, 47, 1964 წ.

ქართველო, ხელი ხმალს იკარ!

მიხაკო წერეთლის მოწოდება-პროკლამაცია, გავრცელებული ილია ჭავჭავაძის დაკრძალვის წინ (1907 წლის 30 აგვისტო)

ქ ა რ თ ვ ე ლ ე ბ ო !

საქართველოს თავ-ლაფი დაასხეს! შერყვნეს და შელახეს მისი ღირსება, მისი თავ-მოყვარეობა! არც ერთი ფაქტი ჩვენის ცხოვრების უბედობის დამახასიათებელი ისეთი თავ-ზარდამცემი, ისეთი საზიზღარი, ისეთი სასირცხო არა ყოფილა საქართველოსათვის, როგორც ილია ჭავჭავაძის და მისი ოჯახის ამოწყვეტა. თავზარდამცემია ეს საშინელება, იმიტომ რომ ჩვენ მეორე ილია აღარ გვყავს და მგონი აღარც დაიბადოს გათახსირებულ ცხოვრებაში! საზიზღარია ეს მოვლენა, იმიტომ, რომ დიდებულ ადამიანს წარუტაცეს ავაზაკურად სიცოცხლე არა ყაჩაღებმა და ქურდებმა ანგარებით, არამედ, როგორც თვალ-ცხადათა სჩანს, ვითომცა და რომელიმე პრინციპის მქონე ჯგუფმა და ადამიანებმა, თავიანთ ვითომც და „იდეის" განსახორციელებლად და ილიას დასამცირებლად! სასირცხოა იგი მთელი საქართველოს ერისათვის იმიტომ, რომ ილია მოკვდა საქართველოს მიწა-წყალზედ, სწორედ იმ ადგილას, რომელსაც მან მთელი თავისი სიყვარულის ძალითა და დიადი ნიჭით დაწერილი ლექსი უძღვნა, – იმიტომ, რომ ილია მოკვდა შეიძლება ქართველის ხელითაც!

როგორ! ილია ჭავჭავაძე, რომელიც მთელი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის განმავლობაში საქართველოსათვის შრომობდა, მღეროდა და სტიროდა, ილია, რომელსაც არც ერთი საქართველოს ჭირი არ გამოჰპარვია რომ არ აღენიშნა და ყოვ-

ელთვის ბრძნული წამალი არ ენახა, ილია, რომელიც XIX საუკუნის რუსთაველი იყო საქართველოსათვის, რომლის ენითაც ლაპარაკობს მთელი საქართველოს მწერლობა, მთელი საქართველოს უბრალო წერა-კითხვის მცოდნე ხალხიც კი, ილია, რომელიც საუკეთესო დამამშვიდებელი, ბრწყინვალე გვირგვინი იყო ჩვენ ისედაც ღარიბ კულტურისა, – ეს ილია ჭავჭავაძე საქართველოშივე ქართველებმა მოჰკლეს?! ჰოი, უმადურნო, ბრმანო და საზიზღარნო! ნუ თუ მართლა ჩაიდინეთ ასეთი დანაშაული, – დანაშაული, რომლის მსგავსი მსოფლიო ისტორიას არ გაუგონია, დანაშაული, რომელიც მართლაც დაამტკიცებს მთელი ქართველობის მართლაცა და სრულ გადაშენებას?

სირცხვილი ჩვენთვის, ქართველებო, თუ მართლა გავხდით მოწამენი ასეთის ჩვენის დამცირებისა, ჩვენი სასაცილოდ აგდებისა ჩვენივე თავის მიერ, სირცხვილი ჩვენ დამცირებულსა და ფეხ ქვეშ გათელილ სამშობლოს, რომ ჩვენივე ხელით ტყვიებით დავხრიტეთ ჩვენი უპირველესი ადამიანი, როგორც უბრალო დამნაშავე ან ქურდი! სირცხვილი მთელ საქართველოს, თუ მან ისეთნაირად დაჰკარგა ყოველივე სინდისი და გრძნობა, რომ ხმა არ ამოიღო, არ მოიწმინდა ასეთი საშინელი შეურაცხმყოფი ჩირქი, რომელიც მას წასცხეს თავიანთმავე უბედურ შვილებმა! მაშინ მართლაც მთელი საქართველო ყოფილა ავაზაკური სულისა და გულის, ცინიკური რწმენისა და დაბნელებული გონების პატრონი! რასაკვირველია, მაშინ იგი სირცხვილის სიწითლესაც ვეღარ იგრძნობს! მაგრამ თუ ჯერ ჩვენში სინდისი არ მომკვდარა, თუ კიდევ ცოტა რამ მაინც შეგვრჩენია ადამიანობისა, თუ საქართველოში ყოველი ქართველი ჯერ კიდევ არ გამხდარა სულ მხეცად უგუნურად და გარყვნილად.

ქართველებო! ნუ ვაპატიებთ ნურავის ასეთ საშინელ შეურაცხყოფასა და უბედურებას, ნუ მოვიჭრით თავს ქვეყანაში! უგუნურმა ხალხმა ქრისტე ჯვარს აცვა, იუდის შური ქრისტეს მეგობრებმა ვერ იძიეს, მაგრამ ეს მოხდა ოცი საუკუნის წინად! ნუ თუ ეხლა მთელი საქართველო უნდა შეიქმნეს იმ ადამიანის

ჯვარმცმელი, რომელმაც სამოც წელზედ მეტი იმსახურა, ნუ თუ მთელი საქართველო იუდათ უნდა გადაიქცეს?

ქართველებო! ხელი ხმალს, მოვიდა ჟამი ნამდვილი თავის დაცვისა ყველა ოხერთაგან, ცინიკოსთაგან, უნამუსოთაგან, კაცის მკვლელ ავაზაკთაგან, ჩვენ შეურაცხმყოფელთაგან და თავლაფდამსხმელთაგან! ხელი ხმალს და საშინელი სასჯელი მათ, ვინც უკანასკნელად ლაფში ამოსვარა მთელი საქართველოს სახელი! სადღა გამოვყოთ თავი სირცხვილით? ვიღას რა ვუთხრათ, – ან ახლო, ან შორეულ მეზობლებს? ქართველებმა ილია ჭავჭავაძე მოჰკლეს! – იცით, რას ნიშნავს ეს საშინელი სირცხვილი? – ეს ნიშნავს: რუსებმა ტოლსტოი მოჰკლეს, გერმანელებმა ჰეინე მოჰკლეს, ინგლისელებმა – ბაირონი, ფრანგებმა – ვიქტორ ჰიუგო! აი, რას ნიშნავს ეს, ვინაიდან ჩვენი ჰეინეც, ჰიუგოც, ბაირონიც, ტოლსტოიც, – ილია იყო. მისი გონების შემოქმედება იყო ჩვენი ერთად ერთი დიდება, სინტეზი ჩვენი ლიტერატურისა; ილია იყო ჩვენი პუბლიცისტი, ბელლეტრისტი, პოეტი, – ყოველისფერი, – თითქმის მთელ ნახევარ საუკუნის განმავლობაში! მაგრამ ფრანგებს ჰიუგო არ მოუკლავსთ, გერმანელებს – ჰეინე, ინგლისელებს – ბაირონი, რუსები ტოლსტოის არ მოჰკვლენ, – ჩვენ კი მოვკალით ჩვენი ილია, – ამით სამუდამოდ დავისვით შუბლზედ მთელმა საქართველოს ერმა იუდობის ბეჭედი და დავსწყევლეთ ჩვენივე თავი უკუნითი უკუნისამდე!

ქართველებო! მხოლოდ საშინელი შურის ძიებით შეიძლება ამ იუდობის ბეჭდის ჩვენი შუბლიდან მორეცხა! ხელი ხმალს იკარ, ქართველო, დღეს დამტკიცდება შენი მოქალაქეობრივი ვაჟკაცობა, თუ დაიცავ შეურაცხყოფილსა და ლაფდასხმულ თავს მთელი შენი ახალი ისტორიისა და თავმოყვარობის წამბილწველთაგან! მაგრამ თუ ჯერ კიდევ ისე არ დავცემულვართ ჩვენდა საბედნიეროდ, რომ ილიას სიკვდილი ჩვენი საკუთარი ხელიდან არ გამოსულა, თუ ქართული სინდისი ისე არ გამქრალა ჯერ, რომ ჩვენ არ ჩაგვიდენია ეს საშინელი დანაშაული ჩვენივე თავის წინაშე, – თუ ილია სკვითთა მსხვერპლია, ისე, როგორც ჰერცენ-შტეინი და იოლლოსი.

ქართველებო! ნურც მაშინ შევაწევთ მტერს ასეთ დანაშაულს, ხელი ხმალს მაშინაც და ავინაზღაუროთ ის საშინელი დანაკლისი, რომელმაც ილიას სიკვდილით ყველა ჩვენ უბედურებასთან შედარებით გაცილებით უფრო გაგვანადგურა! იყო შავი დრო, როდესაც სკვითი უგვანო წარდგა მძინარე დიმიტრი ყიფიანის წინაშე და „მირონცხებულ მოსუცსა“ ავაზაკურად შეახო ხელი, და ნუ თუ ეხლაც, უარეს შავ დროს, ილიასაც შეახო სკვითმა თვისი უწმინდური ხელი?!...

ქართველებო! კმარა ამდენი მოთმინება! აღივსო მოთმინების ფიალა! ვინც უნდა იყოს მკვლელი, გარეული თუ შინაური, – დაჰკარ, ვაჟკაცო, გულ-ცივად და შეუბრალებლად, ნათელი სინდისი გიძღოდეს წინ ამ სამართლიან შურის ძიების წმინდა საქმეში! დაჰკარ და გაუპე გული უწმინდურთა და უგვანოთა, რომელთაც დღეს სრულიად უმიზეზოდ გლოვის ზარით აამღერეს მთელი საქართველო, სამგლოვიარო შავი ზეწარი გადაჰხურეს მის ისედაც განადგურებულ, გადამწვარ, შეურაცყოფილს და გაუპატიურებულ მიდამოებას! კმარა ამდენი სილაჩრე აზრითა, მოქალაქეობრივობითა და იარაღითა! კმარა ქალაჩუნობა და მონურად ქედის მოხრა ყველა შინაურსა და გარეშე წუნკალ მტერთა წინაშე!

ქართველებო! ვინც უნდა იყოს დამნაშავე, – გარეშე თუ შინაური, – ერთნაირი შურის ძიება მათ, სასტიკი, ულმობელი და ღირსეული! ამაზე მეტი რაღა უნდა დაგვმართონ, რაღას ვიცდით?!

ქართველებო! შემოკრბით საქართველოს ყოველი კუთხიდან ჩვენ სატახტო ქალაქში, თბილისში, განურჩევლად სჯულისა, რწმენისა და ადგილისა! მართლ-მადიდებელნო, მაჰმადიანნო და კათოლიკენო, – ქართლ-კახელნო, გურულ-იმერ-მეგრელნო, აჭარა-ქობულეთელნო, მესხნო და ჯავახელნო, – ყველანი შემოკრბით რომ ჩვენს საერთო მამასა და მასწავლებელს, ასე ვერაგულად წართმეულს, უკანასკნელი გამოსალმების სიტყვა ვუთხრათ! შეიძლება აქაც ვიღონოთ ჩვენ მტერთა აღმოჩენა და მათი დასჯა საერთო ძალით! ეს ხომ ბუმბერაზული ომი არ არის,

ერთი იმ ომთაგანი, რომელსაც წინად ვეწეოდით ხოლმე ურიცხვ მტერთა მოსაგერებლად! ეს უბრალო თავის დაცვაა შეურაცხყოფისაგან, იმ ადამიანთაგან, რომელითაც მთელ საქართველოს ასეთი სასირცხვინო სილა გააწნეს საჯაროდ! გვიწეევენ? უნდათ ჩვენი გამოცდა? – მაშ ნუ დავლაჩრდებით ნურაფრით, შევიყარნეთ და იქნებ გავიგოთ, ვნახოთ, ვინ არიან და როგორნი ჩვენზედ უკანასკნელად მოსულნი მტერნი!

ქართველებო! თუ მთლად ერთიანად არ დავცემულვართ, აღვასრულოთ ეს მცირედი საქმე და მტრის სასაცილოთ ნუ გავიხდით თავებს ამ საშინელი შეურაცყოფის შემდეგ მაინც, თუ გინდ რომ ყველამ ვიხილოთ ჩვენი თავისვე მახვილით განგმირვა.

ერი

(მონოგრაფიის „ერი და კაცობრიობა“ (თბილისი, 1910) მე-6 თავის შემოკლებული ვარიანტი)

ერი სოციალური მონადაა. ნუ ვინ იტყვის და დაიწყებს დავას რომ მონადათა ნამდვილი არსებობა ფილოსოფიურად საეჭვოა. ჩვენ აქ მონადათა ნამდვილი არსეობობა არ გვაინტერესებს, ჩვენთვის აქ საჭიროა ცნება მონადათა, როგორც ერთ განუყოფელ ცოცხალ არსთა. ჩვენთვის ეს გონებისაგან შეთხზული საშუალება მსოფლიო საგანთა წარმოდგენისა საუცხოოა ცნებათა ნათელ ყოფისთვის, როდესაც ამ საგანთა ინდივიდუალობა გვინდა გავარკვიოთ და ამ მხრით ერის მონადად დასახვა არც არსებითი შეცდომა არის და მსჯელობასაც აადვილებს.

როდესაც ერი ერად ხდება, დიახაც, იგი ცოცხალი არსია, სოციალური ინდივიდუალობაა, მონადაა. განვიმეორებთ: ერი უფრო „ცოცხალია“, ვიდრე სახელმწიფო, ვიდრე ხალხი, საკუთარი წარმოება, საკუთარი ხელოვნება, მეცნიერება, ზნეჩვეულება, სამართლის ნორმები, სარწმუნოება, საკუთარი ენა, საკუთარი ეთნიური ტიპიც – ყოველივე ეს ერს ახასიათებს, როგორც ერთ სოციალურ ინდიუვიდუალობას. მართალია, ზოგ ამ თვისებათაგანი სხვა ერთა თვისებაც არის, მაგალითად, ორ ერს შეიძლება ერთი და იგივე რელიგია ჰქონდეს, ზოგიც დაკარგულია, მაგალითად, საკუთარი სამართალი და პოლიტიკა, რომელთა ადგილიც სხვა სახელმწიფოსგან ძალით შემოტანილ სამართალსა და პოლიტიკას დაუჭერია, ზოგიც ნასესხებია, მაგრამ ყოველთვის საერთოსა და ნასესხებს ადევს ეროვნული

ელფერი. დაკარგული კი ან ყოველთვის არსებობს რომელიმე ფორმით, როგორც მაგალითად კონვენციონალური სამართალი, ან ძალით შემოტანილის დათრგუნვა და საკუთარის შემოღების სურვილი ყოველთვის არსებობს ერში. ყოველ ერს აქვს თავისი სპეციალური ორგანოები, რაიცა აჩვენებს მის ცოცხალ მონადობასა. საფრანგეთის ეკონომიკური ორგანოები, ხელოვნებისა და მეცნიერებისა სამართლისა და პოლიტიკისა, ერთი სიტყვით, როგორც უბრალოდ ამბობენ ხოლმე – მისი სიმდიდრე, მისი ლიტერატურა და ენა, მისი მუსიკა, მისი მეცნიერება, მისი ჯარი, მისი პარლამენტი და სამინისტროები – საფრანგეთისაა და არა სხვისი, საფრანგეთის ტერრიტორიაზედაა, რომელიც საზღვრებით არის შემოფარგლული და რომელსაც გეოგრაფიის რუკაზედ, ე. ი. კაცობრიობას შორის განსაზღვრული ადგილი უჭირავს.

ვერავითარი კლასსთა ბრძოლა ვერა შლის ეროვნულ ერთობასა. ყოველი კლასთა ბრძოლა მხოლოდ ამ ერთიანობის შიგნით არსებულ წინააღმდეგობათა მტერია, მსურველია იმავე სოციალურ ერთეულში სხვანაირი მოწესრიგებისა და არა თვით სოციალური ორგანიმის დარღვევისა, მაშინ როდესაც ეროვნული მოძრაობის სურვილია ერთი ერის მეორისაგან გამოყოფისა, ვინაიდან მეორე პირველის სოციალური ინდივიდუალობის გაქრობას სცდილობს თავისი სახელმწიფოს ორგანოთა შემწეობითა.

აიღეთ სამაგიეროდ რომელიმე დიდი სახელმწიფო, მაგალითად, რუსეთი, – ეს დიდი, ვეებერთელა სოციალური უფრო მექანიზმი, ვიდრე ორგანიზმი და რამდენი ხალხი ჰყავს შთანთქმული ძალით! სად არის ან საერთო ეკონომიკა, ან საერთო ენა, ან საერთო ლიტერატურა და სხვა? სად არის ნამდვილი სოციალური ცხოვრება, გარდა სახელმწიფო მოწესრიგებისა და ნაძალადევი სამართლისა, რომლის ტლანქმა ძალამაც ლამის არის გაანადგუროს არა თუ სხვა ერები, არამედ რუსის ერიც. რუსთან დღეს სხვა ერებს სამხედრო წესებიღა აერთებს და სხვა თითქმის არაფერი. ყველა ცოტად თუ ბევრად განვითარებულ ერს შეუქმნია დღეს საკუთარი სოციალური ორგანოები. იგინი ნამდვილი სოციალური ორგანიზმები არიან და არა მათ გაერთიანებას წარ-

მოადგენს დღეს რუსეთის სახელმწიფო, არამედ მათი სიკვდილის მსურველ დიდ სახელმწიფო ორგანიზმსა, მაგრამ სამაგიეროდ ყველა ეროვნული ორგანიზმი გაურბის მის სიმკაცრესა, აღარა სურს მასთან დარჩენა, თავს სრულ ნლოვანადა სთვლის და მიილტვის თავისუფალ, დამოუკიდებელელ, ეროვნულ-სოციალურ ორგანიზმთა შექმნისკენ. თვით ციმბირიც, რუსის ხალხით დასახელბული, ვეღარა სძლებს თავისი დედის ეკლიან კალთაში და ცალკე სურს დასახლდეს, წარმოადგინოს ერი. დიახ, დიდი სახელმიწფო მითი განირჩევა ერისაგან, რომ პირველი უფრო უსულო სოციალური ორგანიზმია ან სხვათა დამხრჩობი ვეშაპი, უკანასკნელს კი სოციალური სული უდგია. განვითარება ამ სულისა, მისი ზრდა და სიმწიფე ნიშნავს ერთა ორგანიზმების სოციალური სიმტკიცის განდიდებას, ამასთანავე სახელმწიფოს ტლანქ, უსულო მექნიზმთა დაშლას. ნიშანავს ამ ვეშაპთა სიკვდილს, უდიდესს რევოლუციას, რომელიც კი ოდესმე ხდება ხოლმე ადამიანთა ცხოვრების ისტორიაში.

ქართველი ერის ერთი ნაწილი დღეს გაოსმალების გზაზედ ადგია, ჟამთა ვითარებაში ეს ნაწილი ძალით ჩამოაჭრეს ქართულ ეროვნულ ორგანიზმსა. ქართველს არ სურდა ნებით მოსცილებოდა თავის საზოგადოებას. საუკუნეობით იბრძოდნენ გმირები, მაგრამ დღეს ხალხიღა დარჩენილა ამ ქართველთაგან. იგინი აღარ არიან ნაწილი ქართველი ერისა. ზოგი ისევ საქართველოს ტერიტორიაზედ დარჩენილა, ზოგიც გადასახლებულა ოსმალეთის სხვადასხვა ადგილას, მაგრამ აქ დარჩენილიც და გადასახლებულიც სოციალური მასალაა ქართველი ერისა. ბევრს გაღვიძებაც ეტყობა: თხოულობენ ქართულ სკოლებს, შეუნახავთ ქართული ენა, რომლის განვითარებასაც თხოლულობენ. შერჩენიათ კიდევ ტიპი ქართული და მრავალი ზნე ჩვეულება, ქართველი ერიც სცდილობა დაიბრუნოს თავისი დაკარგული ნაწილი და როდესაც ერთ ნაწილს მაინც დავიბრუნებთ, გავხდით ისევ ჩვენი ერის ნაწილდა, მაშინ იმ ნაწილთ დაბრუნებაც ადვილი იქნება, სადაც ენაც კი დავიწყებიათ და მცირე მოგონებებიღა დარჩენილა ქართველობისა, მაშინ კვლავ აღსდგება საქართველო, ისევე

გაცოცხლდება საქართველოს ეროვნული ერთობა, ერთობა კულტურისა, მაშინ ვიხილავთ აჭარელ, სამცხელ, ტაოს მწერალთა და ხელოვანთა, იქაურ ქართველ გმირთა, რომელთაც ქართული ეროვნება ისევე ექმნებათ მჯდარი გულში, როგორც გურულსა ან კახელსა, მხოლოდ ამ შემთხვევაში იქმნებიან ისინი ნაწილნი ქართველი ერისა, ეხლა კი მხოლოდ ხალხის ნაწილნი არიან, უბრალო სოციალური მასალა. ამ მასალის გადამუშავება და ეროვნულ ელემენტებად შექმნა თვით ჩვენი დანარჩენიერი ერის მხნეობისაგან და ენერგიისგან არის დამოკიდებული.

ის ხალხები კი, რომელთაც არა ჰქონიათ ნამდვილი ეროვნული ცხოვრება, დღეს იღვიძებენ და მიილტვიან ასეთის ცხოვრების შესაქმნელად. იგონებენ ან-ბანსა და ჰქმნიან ლიტერატურასა, ჰქმნიან თავიანთ ეროვნულ მრავალგვარ დაწესებულებას, რომ ავი თუ კარგი, – მაგრამ მაინც საკუთარი საზოგადოება შექმნან – ოსური, ლეკური თუ სხვა რომელიმე. როგორია მათი მომავალი – ეს ჩვენ აქ არ გვაინტერესებს. ჩვენთვის თვით მოვლენაა საინტერესო, – მოვლენა ხალხისაგან მჭიდრო ერის შექმნის მისწრაფებისა, ვინაიდან რთულ საზოგადოებრივობის განხორციელება ეხლა მხოლოდ ეროვნულ ფარგლებშია შესაძლებელი და ხორციელდება კიდეც.

თვით სული ცალკე რომელიმე ერის ადამიანისა ეროვნულ სოციალურ ატმოსფეროშია განვითარებული. გადაასახლეთ მაგალითად ფრანგი გერმანიაში, იგი მაინც ფრანგი რჩება მრავალ წელთა განმავლობაში. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ოჯახი ნახევრად გერმანელისაგან შედგება, შთამომავლობა შეიძლება გაგერმანელდეს. თვითონაც გადასახლებული კი – მაინც ფრანგი იქნება, თუმცა, თავის სოციალურ ორგანიზმს მოშორებული. იგი ერთი სოციალური უჯრედია, სხვა სოციალურ ორგანიზმში შემთხვევით მოყოლილი, მაგრამ დაუბრუნეთ იგი თავის ბუნებრივ სოციალურ ორგანიზმს, იგი უფრო ბუნებრივად იგრძნობს თავსა.

ფრიად იტანჯება მთელი ნაწილი ერისა სხვა ეროვნულ ორგანიზმში მოყოლილი, დაუბრუნეთ ელზას ლოტარინგია საფრანგეთს, ან ტრიესტი იტალიელებს, იგინი კმაყოფილნი იქნებიან

უარეს ეკონომიკურ პირობებშიაც რომ ჩავარდნენ. იტალიელთა უკიდურესი ნაციონალისტები – ტრიესტელები არიან. აბა, უთხარით ტრიესტელს ავსტრიელი ხარო: მე იტალიელი ვარ და უფრო იტალიელი, ვიდრე სხვა ყველა იტელიელები, Sono Italiano irredentissimo – იმ საათშივე ასეთ პასუხს მიიღებთ.

აქ საკვირველიც არაფერია. ბუნებრივი ნაწილი ერისა მისწრაფის თავისი ბუნებრვი ორაგანიზმისკენ და შეურყეველი, შეუჩერებელია ასეთი მოძრაობა. ეს სისხლისა და საზოგადოებრივობის ნათესაობაა და მსგავსად ქიმიურ ელემენტთა ნათესაობისა, ეს ნათესაობაც საშინელ ლტოლვილებას წარმოადგენს მსგავსისას მსგესისადმი.

ასეთია სიცოცხლე ერისა, მაგრამ მიუხედავად ერის ასეთი სიცხოველისა ერთა ისტორიაში მაინც ვამჩნევთ ისეთ მოვლენებს, რომ გადაგვარება ეროვნული სოცალური ორგანიზმისა არ არის შეუძლებელი მოვლენა და განსაზღვრულ აუტანელ ცუდ პირობებში ერს, როგორც დაჩაგრულს, ისე თავისუფალს გადაგვარების ნიშნები გამოაჩნდება ხოლმე. აგრეთვე ზოგი ხალხი უცხო დიდ სახელნმიფოში მოყოლოლი, არა დაპყრობით, არამედ გადასახლებით ისეთ პირობებში ასრულებს თავის სოციალურ ფუნქციას, რომ სახელმწიფოს საშინელი მექნიზმი პირდაპირ მტვრად აქცევს ხოლმე შიგ მოყოლილ ეროვნულ ელმენტებს. პირველი მოვლენის მაგალითი ბევრია, მაგალითად, საქართველო. მეორეს მაგალითი კი შეერთებული შტატებია, სადაც უცხო ელემენტები მალე ითქვიფება ანგლო-საქსონელების სოციალურ მორევში.

ჩვენ აქ არ შევუდგებით გადაგვარების მიზეზთა გამოკვლევას. ეს სულ სხვა საგანია. ვიტყვით მხოლოდ რაში გამოიხატება ეს გადაგვარება: როდესაც ეროვნული ორგანიზმის ზრდა დამთავრებულია, როგორც არა ვსთქვით, მას აქვს ყველა სოციალური ორგანო თავის ფუნქციათა აღსასრულებლად: ეკონომიკური, არტისტული, სარწმუნოებისა და მეცნიერებისა, ზნეობრივი, იურიდიული, პოლიტიკური. რაც უფრო რთულია და სპეციალური ორგანო, მით უფრო მგრძნობიარეა იგი. ეკონომიკური ორგანო ყველაზე უფრო საზოგადო და მარტივია, მაგარი და

მტკიცე. პოლიტიკური კი ყველაზე უფრო სპეციალური, რთული და მგრძნობიარე. უმეტეს შემთხვევაში ერის გადაგვარება იწყება ამ რთულ და მგრძნობიარე ორგანოს ატროფიიდან და თავდება ეკონომიკურ ორგანოთა გაქრობით. შემდეგ თვით ხალხი და ტერიტორია ჰქრება, ეს ორი უპირველესი ელემენტი ეროვნულ-სოციალური ორგანიზმისა, მისი მასალა და საფუძველი. საქართველომ მაგალითად ჯერ პოლიტიკური ორგანი დაჰკარგა შემდეგ კი თანდათან მიდის მისი სოციალური ორგანიზმის დაცემა. დაიშალა მისი იურიდიული ორგანიზმი პოლიტიკური ორგანიზმის დაშლის შემდეგ, დაეცა ეკლესია და განიძარცვა სიმდიდრისაგან, დაეცნენ ზნე-ჩვეულებანი, მწერლობა, ენა, გაღარიბდა მთელი ერი ეკონომიკურად. თითქმის მთელი მესამედი მისი ტერიტორიისა ოსმალებამ წაიღეს და ზედ დარჩენილი ქართველობა გადააგვარეს და დაუკარგეს ეროვნება, შეარჩინეს მხოლოდ მცირეოდენიღა – ხალხობა. დანარჩენი ორი მესამედი ტერიტორიისა თანდათან ეხლა გვეცლება ხელიდან. ხალხი დაბნევის გზაზედ არის დამდგარი, ენაც ირყვნება და საზოგადოების მაღალ კლასსებს თითქმის ავიწყდება იგი. ამაში იხატება საქართველოს გადაგვარება, ქართველი ერი ებრძვის მართალია გადაგვარებას, მაგრამ ვინ იცის მიაღწევს თუ არა დაშლილი ეროვნული ორგანიზმის აღდგენას იმდენი ხელის შემშლელი პირობა ახვევია გარს. თუ სძლია ამ პირობათა მისი ეროვნული ორგანიზმი ხელახლავე აღსდგება თუ ძლეულ იქნა მისი ეროვნული ორგანიზმი გაქრება, ტერიტორია – საფუძველი საზოგადოებისა დაიკარგება, ხალხი გაიბნევა მთელ დედამიწაზედ და გახდება მხოლოდ სოციალურ მასალად – ქართველ ხალხად, მსგავსად სომეხთა და ურიათა. და ვინ იცის, იქნებ მისი ხალხობაც სუსტი გამოდგეს, იქნებ სომხებსავითა და ურიებსავით საუკუნეთა განმავლობაში ვერ შეინახოს თავისი ხალხობა ქართველმა და შთაინთქას სრულიად სხვა ერთა სოციალური ცხოვრების მორევში.

ბერვი მოიპოვება ერი მსგავსი ქართველთა, იგინიც მსგავს მდგომარეობაში არიან მათი გადაგვარებაც და პროგრესიც განი-

ზომება აგრეთვე იმ რთულის მეტრით, რომელიც გათლილია სოციალურ ორგანოთა კლასიფიკაციის მიხედვით (დე-გრეფ).

არიან ერნი, რომელთა გადაგვარებას ზომავენ ხოლმე ძლიერ მარტივი მეტრით, რომელიც ერთი სოციალური ორგანოს ატროფიის მიხედვით არის გათვლილი. მაგალითად საფრანგეთს ამ უკანასკნელ ხანებში ეტყობოდა მისი გენეზიური ორგანოს გადაგვარება. მთელი საფრანგეთი სასოწარკვეთილებას მიეცა ხალხი აღარ მრავლდება და გადაგვარების გზაზედ ვდგავართო. მაგრამ ასეთი გადაგვარება ისეთ შინაგან მიზეზთაგან არის გამოწვეული, რომ ერის სხვა სოციალური ორგანოებს შეუძლიათ მისი თავიდან აცილება, და საფრანგეთიც სცდილობს მოსპოს თვით მიზეზი ასეთი გადაგვარებისა. სულ სხვაა, როცა გადაგვარება ყველა სოციალურ ორგანოს ეტყობა.

შეერთებული შტატები კი ისეთი მაგალითია ერისა, რომელიც ძლიერ ადვილად შთანთქავს იქ მოყოლილ სხვა ერთა ელემენტებსა. იგი ინგლისის ხალხისაგან შესდგებოდა უმეტეს ნაწილად თავდაპირველად. მან ისეთი ეროვნული ძალა განავითარა, რომ გადასახლებულნი გერმანელი, ფრანგი, ირლანდიელი და სხვა ვერ უძლებენ მის სიძლიერესა და გაცილებით უფრო მალე ჰკარგავენ თავიანთ ხალხობას შეერთებულ შტატებში, ვიდრე სხვაგან. მხოლოდ ნეგრებმა გაუძლეს მიუხედავად ენის სრული დავიწყებისა. ერთობ ძლიერი იყო ნეგრთა და ევროპიელთა შორის განსხვავება, როგორც რასიული, ისე სოციალური. ძლიერი იყო მათი სიმძულვარე, როგორც მონათა და ბატონთა. ამით აიხსნება უპირველეს ყოვლისა ნეგრების შენახვა, რომელთაც ქალსაც აღარ ათხოვებენ ეხლა თეთრკანიანები, ამ გუშინდელ მონათ. მათ შორის ეხლაც საშინელი წინააღმდეგობაა.

რამდენადაც ერებს იდენტური საერთო ორგანოები აქვსთ, იმდენად ერი საერთო ცნებას წარმოადგენს. რამდენადაც ეს ორგანოები განსხვავდებიან ერთმანეთისგან, იმდენად ერს აქვს თავისი ინდივიდუალობა. სოციალურ ევოლუციას შეუქმნია მრავალფეროვნება ერთა, მიუხედავად მათი იდენტიურ ორგანოთა, ისევე როგორც ფრანგი ფილოსოფოსის ბერგსონის აზრით, სი-

ცოცხლეს შეუქმნია სახეთა და ინდივიდთა მრავცალფეროვნება. მიუხედავად მათ იდენტურ ორგანოთა საზოგადო ცნება ერისა არის ერთობა მრავალფეროვნებაში, კონკრეტული ერი არის ინდივიდუალობა, ერი ნაკვეთი მრავალფეროვნებისა ერის არსებობის საერთო მოვლენაში. ეს აუცილებელი პირობაა ყოველ განსაზღვრის შესაძლებლობისა, რადგანაც განსაზღვრა სწორედ ჩვენებაა ერთის მხრით მრავალფეროვნებათა ერთობისა, მეორეს მხრით ჩვენება ამ ერთობაში მრავალფეროვანების ცალკე ნაკვეთთა არსებობისა. ხოლო დაუსრულებელი ერთფეროვნება განუსაზღვრელია, მიუწვდომელი. იგი არავითარ განსაზღვრას არ ემორჩილება, ვინაიდან განსაზღვრა მსგავსებათა და განსხვავებათა შედეგია. ერთფეროვნებას კი არც მსგავსება აქვს და არც განსხვავება.

ერის საზოგადო არსებობა, მისი სოციალური ორგანიზმობა და არა მექნიზმობა – აი, რა არის ერთობა მისი ცნებისა. ერის ინდივიდუალობა, საკუთარი სოციალობა, საკუთარი ენა, ლიტერატურა, სამართალი, პოლიტიკა, სარწმუნოება, რომელსაც მიუხედავად სხვა ერის სარწმუნოებათა მსგავსებისა იმ სოციალური წრის ელფერი ადევს სადაც იგი დამკვიდრებულა. განსაკუთრებული სოციალური ელფერი თვითოეული ეროვნული ინდივიდისა, თვით შეგნება ეროვნული ორგანიზმისა, რომელიც უპირველეს ყოვლისა თავის დაცვისათვის ბრძლაში გამოიხატება, – აი რა ჰქმნის ერის ინდივიდუალობას, აი რა უჩვენებს რომ იგი განსაკუთრებული ერთი ნაკვეთია ერთა მრავალფეროვნებისა.

ეხლა ყველა ელემენტი გვაქვს ერის განსაზღვრისათვის. რაც ზემოთა ვსთქვით საკმარისია. ერის ეკუთვნის ერთ-ერთ რომელიმე რასას ან რამდენიმე რასის ხალხის ნარევისაგან შედგება, ე. ი. განსაზღვრული სოციალური მასალისაგან. მჭიდრო კოჰეზიის ერი წარმომდგარია უფრო მდაბალ სოციალურ ორგანიზმთაგან დროთა ვითარებაში და დღეს ერთად ერთი ბუნებრივი სოციალური ორგანიზმია დაფუძნებული განსაზღვრულ ტერიტორიაზედ რომელსაც შეუძლია განვითარება, ცვალებადობა, გადაგვარება, სიკვდილი, ბროლა არსებობისთვის, თავის დაცვა გამარჯვება და დამარცხებაც, – მაღალ კაცობრიობის კულტურულ ცხოვრებაში.

იგი ინდივიდუალობაა, ვინაიდან აქვს საკუთარი ენა, ლიტერატურა, სამართალი, პოლიტიკაც, როდესაც სახელმწიფოს შეადგენს, აქვს თვითშეგნება, თავმოყვარეობა სურვილი, სიცოცხლისა, და ყოველივე ეს არა ჰგავს სხვა ერთა იმავე თვისებათა. იგინი მისი საკუთრებანი არიან. განსაკუთრებით ენა წარმოადგენს ასეთ თავისებურებას. როგორც გამოცდნილნი შენიშნავენ. გერმანული და ბერძნული ფილოსოფიის ნამდვილი გაგება ძლიერ ძნელია, თუ ეს ენები არ იცი. განსაზღვრა ერისა, მაშასადამე, ასეთნაირად არის შესაძლებელი:

ერი ეს არის ერთი სოციალური სუპერ-ორგანიზმი ანუ ჰიპერ-ორგანიზმი, შემდგარი ერთგვარ ანუ მრავალგვარ ეთნიურ და სოციალურ მასალათაგან, რომელსაც შეუძლია ჟამთა ვითარებაში შექმნას ერთი გარეგნულად მოწესრიგებული საერთო ცხოვრება თავის შემადგენელ ერთეულთა. ერთი საზოგადოება ყველა თავისი ორგანოებითა, ენითა, სარწმუნოებითა, მეცნიერებითა, ზნეობითა, ხელოვნებითა, სამართლითა და პოლიტიკითა საზოგადოება განსაკუთრებული ისტორიითა, ტიპითა და თვით შეგნებითა, სრულის ინდივიდუალობითა.

აი, რა არის ერი. მას კი აბუჩად იგდებენ უვიცნი და ფიქრის ნიჭის არა მქონენი. მათა სურთ – კაცობრიობის დიდი სახელით დაჩრდილონ ეს უაღრესი სოციალური სინამდვილე. ხოლო უბედურება სწორედ ის არის, რომ კაცობრიობა არ წარმოადგენს ამ სინამდვილესა. არც ერთი თვისება, რომელიც მოიპოვება ერში ზემოხსენებული განსაზღვრით, არ მოიპოვება კაცობრიობაში. ეს უკანასკნელი სოციალურად არ არსებობს. იგი ან არითმეტიკული სუმმაა რასათა, ხალხთა, ერთა, რომელთაც არავითარი ორგანიული ერთობა არ აკავშირებს, ან იგივე არითმეტიკული სუმმაა ადამიანთა, – 1, 1/2 მილიარდი ადამიანი, რომელთა ლიტონი რიცხვი არას გვეუბნება სრულიად კაცობრიობის სოციალურ ვითარებაზედ.

მაგრამ თვით დიდი ოგიუსტ კონტიც კი შესცდა კაცობრიობის დაფასებაში და გაჰხადა ეს ფიქცია რაღაც ფეტიშად, და რაღა გასაკვირველია, რომ პიგმეები, სხვისი ფეხის ამყოლნი, სცდებოდნენ.

მცირე რამ „ვეფხის-ტყაოსნისა“-თვის

თითქმის შვიდ ნახევარი საუკუნე გავიდა მას შემდეგ, რაც შოთა რუსთველმა „ვეფხის-ტყაოსანი" დასწერა და ამ საუკუნეთა განმავლობაში სიდიადე ამ საკვირველი ქმნილებისა არა თუ არ დაჩრდილულა, არამედ უფრო ცხად იქმნა ქართველი ერისათვის და ყველა კულტურულ ერთათვისაც. ქართველი ერი მას შვიდ ნახევარი საუკუნე კითხულობს და განიცდის სულიერ სიტკბოებით, ხოლო უცხოთ მეცხრამეტე და მეოცე საუკუნოებში სთარგმნეს იგი, იგრძნეს რა სიდიადე მისი, და ბოლოს მთელმა კულტურულმა კაცობრიობამ საქართველოსთან ერთად გენიოსის პატივით მოიხსენია რუსთველი, იდღესასწაულა შვიდას ორმოცდაათი წლის გასვლა მისი შემოქმედების დროითგან და კვლავ ახალი თარგმანები შეეძინა მსოფლიო მწერლობას „ვეფხის-ტყაოსნისა“.

რით მოქმედობს „ვეფხის-ტყაოსანი“ ისე ძლიერად მკითხველზედ, უპირველეს ყოვლისა კი ქართულის კარგად მცოდნე მკითხველზედ, რომ მისი წაკითხვა ათჯერ, ასჯერ და ათასჯერაც შეიძლება მოუწყენლად? – ბევრი რამით: განათლებული, თვით კულტუროსანი მსოფლიო და კერძოდ, ძველი საქართველოს კულტურის მცოდნე მკითხველი პოულობს „ვეფხის-ტყაოსანში" მართლაც იმდენ „კულტურას“, ისე დახვეწილს და მაღალს, ისეთ სისრულემდე მიღწეულს, რომ ასეთ ატმოსფეროში მისი სული ისვენებს, და მას მოთხოვნილებად ექცევა, ხშირად ნახოს ხოლმე იქ განსვენება ცხოვრების ყოველდღიური სიტლანქისაგან და უშვერობისაგან შეწუხებულმა. „ვეფხის-ტყაოსანი" გამარჯვების საგალობელია, აღმაღლებული კეთილისადმი, რომელიც ხანგრძლივი და ძლიერი ბრძოლით ბოროტს ამარცხებს. და

რათგანაც ყოველი ადამიანის ცხოვრება ბოლოს და ბოლოს ეს ბრძოლაა და ნორმალური ადამიანის სული არასოდეს შეიძლება კმაყოფილი იქმნეს, თუ არ იხილა თავისთვისაც და საზოგადოდაც გამარჯვება იმისა, რასაც იგი „კეთილს“ უწოდებს. ამიტომ განიცდის „ვეფხის-ტყაოსნის“ მკითხველი უდიდეს სიხარულს, როდესაც რუსთველის სიტყვით მოთხრობილ ამბავში „კეთილი“ სძლევს „ბოროტს“, – კეთილი, რომლის „არსება გრძელია“ – სიყვარული, ეს უტკბესი და უკეთილშობილესი გრძნობა ადამიანისა, ეს უდიდესი სიხარული მისი ცხოვრებისა, – სიყვარული მიწიერი, მაგრამ მაღალი, რომელიც ღვთის ნიჭია კაცისათვის განკუთვნილი და თვით ღმერთთან სულიერად შეერთების მიბაძვაა და არა ბილწი სიძვა და მრუშობა, რომელსაც საერთო არა აქვს რა სიყვარულთან. აი, რის მიუწვდომელ მშვენიერობასა და ძალას ჰხედავს მკითხველი „ვეფხის-ტყაოსანში“.

სიყვარულის ვნება ტარიელისა და ნესტან-დარეჯანისა, ავთანდილისა და თინათინისა, მათი ბრძოლა ამ უდიდესი ბედნიერების, ამქვეყნიური სამოთხის მოპოებისათვის, ადამიანის ცხოვრების უმძიმესი, მაგრამ უმშვენიერესი ეპოპეაა, და ამიტომ ჰპარავს ცრემლს „ვეფხის-ტყაოსნის“ მკითხველს მის გმირთა ამბავი. მასაც აგონდება თავისი „ტარიელობა“ და „ავთანდილობა“, ან „ნესტან-დარეჯანობა“ და „თინათინობა“, რამდენადმე მაინც მეგობრობა, ერთგულება ძმად ან დად შენაფიცართა ურთიერთის მიმართ, – ეს მეორე უდიდესი და უკეთილშობილესი გრძნობა, რომელიც ქალ-ვაჟის სიყვარულსაც კი შეეწონების ძლიერებით და გადაძლევასაც უპირებს, მაგრამ ბოლოს მაინც მას უნდა დაუთმოს პირველობა, როგორც ხშირად მისმა მსახურმა. აი, კიდევ რა არის აღწერილი „ვეფხის-ტყაოსანში“ ისეთი გულით, რომ მკითხველს „კაცობის“ ან „ქალობის“ თვალ-მოუშორებელ იდეალად ესახებიან „ვეფხის-ტყაოსნის“ გმირები. რაინდობა „ადლისაგან“ განუშორებელი, ისეთი, რომ ნამდვილმა რაინდმა „ორგული და მოღალატე ნამსახურსა“ დაამგვანოს, რათგანაც „ესე არის მამაცისა მეტის-მეტი სიმგულვანე“ – აი, კიდევ რა აყვარებს რუსთველის გმირებს ისეთ მკითხველს, რომელიც

„მადლის" გრძნობას ატარებს და რაინდობას „კაცობის" უაღრეს მიხწევად განიცდის.

სიყვარული, მეგობრობა და პატივისცემა გამზრდელ-გაზრდილთა ურთიერთის მიმართ, განწყობილება პატრონ-ყმათა შორის, ერთგულებაზედ, სიყვარულზედ, ურთი-ერთისა წინაშე მოვალეობათა აღსრულებაზე დამყარებული, – თვით „მეძავი" ფატმანის სიყვარული, მაგრამ ამავე დროს თავგანწირულება მეგობარი ქალისათვის – ყოველივე ესეც შედის იმ სათნოებათა კრებულში, რომელთა მქონე გმირები „ვეფხის-ტყაოსნისა" თავიანთი ბედით იტაცებენ მკითხველს.

„ვეფხის-ტყაოსანი" უაღრესად რეალისტური მწერლობის ძეგლია. ბედი მის გმირთა, მათნი ვნებანი მარადის ადამიანურნი არიან. თუ ღმერთი კეთილისა კეთილის მომცემია, არ დამბადებელი ბოროტისა, ეშმაკი ბოროტისა დასაბამია და მებრძოლი კეთილისა. და ადამიანსაც მასთან უხდება ბრძოლა ბედნიერების მოპოებისათვის. ეშმაკის მიერ დაბრკოლება აუცილებელია ამ კეთილის მიხწევის დროს. რომ რაინდი ტარიელი იძულებულია არარაინდულად მოჰკლას თავისი მეტოქე მძინარე ხვარაზმშა, „დედალთა" საქმე ჩაიდინოს, „ეშმაკის" მიერ მოწყობილ გარემოებას უნდა მიეწეროს. „ეშმაკის" მიერვე მოწყობილ გარემოებაში სჩადის რაინდი ავთანდილი არარაინდულ საქციელს, ჰკლავს მძინარეე ჩაჩნაგირს, შეიყვარებს ფატმანს, სჩადის მეორე „უმსგავსო საქმეს". ერთობ ბრძოლა „ვეფხის-ტყაოსნის" გმირთა ბედნიერებისათვის ეშმაკის მანქანებათა წინააღმდეგ ხდება, რათგანაც კეთილს ბოროტი დასდევს მარადის მტრად, და თუმცა კეთილი ბოლოს იმარჯვებს, მაგრამ „ვარდი უეკლოდ არავის მოუკრეფია". და აი, ამ ორი დიდი დასაბამის ბრძოლა და ერთის გამარჯვება აღწერილია „ვეფხის-ტყაოსანში" ისეთი რეალიზმით, რომ მკითხველი იქ თავისი ბედის სრბოლას ხედავს და ამიტომ იტაცებს მას „ვეფხის-ტყაოსნის" გმირთა ბედიც, სტირის მათთან და იხარებს მათთან. ბოლოს, „ვეფხის-ტყაოსანი" მართლაც „წყაროა სიბრძნისა", აღსავსე დიდი აზრებითა. რუსთველის მიერ თავისუფლად გამოთქმული სიბრძნენი, ხან დამაფიქრებელნი, ხან

აღმაფრთოვანებელნი და ძალის მიმნიჭებელნი, აგრეთვე, იტაცებენ მკითხველს, ცხოვრების მორევში მცურავს და მებრძოლს, ვინაითგან იმ სიბრძნეთ, იმ იდეათ გარდაუვალი მნიშვნელობა აქვს, დღესაც იგივე, რაც ჰქონდა რუსთველის წინად და რუსთველის დროს და მარად ექმნება.

ყოველივე ესე ჰქმნის „ვეფხის-ტყაოსანს“ განსაზღვრული მსოფლიო-ხედვის წიგნად და ასეთ მსოფლიო-ხედვაში შესვლა ათასჯერაც არ მოსწყინდება მკითხველს, იმდენად დიდია იგი და იმდენად შეიცავს ყოველივე კეთილშობილს, ამაღლებულს და შვენიერს, რაიცა კულტურულ კაცობრიობას ათას წელთა სულიერი განვითარების შემდეგ იდეალად დაუსახავს. მაგრამ „ვეფხის-ტყაოსნის“ მიმართ განუსაზღვრელი სიყვარული მკითხველისა უმთავრესად ყველა ამით კი არ აიხსნება, რაც „ვეფხის-ტყაოსანშია“, ის ბევრ სხვა წიგნშიაც არის, მაგრამ მას „ვეფხის-ტყაოსნის“ მომხიბლაობა არ ჰქონია და არა აქვს. „ვეფხის-ტყაოსნის“ უდიდესი ძალა რუსთველის ხელოვნებაა, რუსთველის დიდი გენიოსობა, როგორც სიტყვის ხელოვანისა. რაცა „სთქვა“ რუსთველმა, დიდია, მაგრამ კიდევ უფრო დიდია ის, თუ როგორცა „თქვა“ მან თვისი „ამბავი“. „ვეფხის-ტყაოსანი“ ლექსია, ლექსი კი სიტყვათა მუსიკაა, და ეს სიტყვათა მუსიკა რუსთველისა მართლაც შეუდარებელია, შეიძლება მსოფლიო პოეზიაში უცალო. იგი იმდენად წარმტაცია, რომ ხშირად მკითხველი წინადადებათა აზრსაც აღარ აქცევს ყურადღებას, არც შეცდომათ ტექსტის გადამწერთა და გამომცემელთა და გაუგებარ ადგილებს მოთხრობისა. ვის არ განუცდია ეს „ვეფხისტყაოსნის“ კითხვის დროს! და ეს არის ის უძლიერესი საჭურველი, რომლითაც „ვეფხის-ტყაოსანი“ კლდესავით ურყევად სდგას, უძლეველი განმქიქებელთა მიერ, და მარადის უძლეველი დარჩება, რა მხრითაც არ უნდა მიუდგეს მას კრიტიკა და არ მოინდომოს წაართვას მას მარადისობა, უკვდავება. ისე როგორც შექსპირს, დანტეს, ვაგნერს ვერა დააკლეს რა უდიდესმა კრიტიკოსებმაც კი, თვით მიეცნენ დავიწყებას, ხოლო მათგან უარყოფილნი კერპნი კვლავ დგანან თვალაუწვდენელნი მთებივით და მათ ვერა შეარყევს რა, სანამ კულტურული კაცო-

ბრიობა იარსებებს, ისევე რუსთველი ვერავინ შესძრა და ვერც ვერავინ შესძრავს მას მისი სიდიადის კვარცხლბეკითგან. „გიყვარდე, რათგან ღირსი ვარ შენი სიყვარულისა, მსწავლობდე, მიკვლევდე, რათგან საუკუნეთა უბედობამ ჩემი მშობელი ერისა მტვერი წამაყარა და მომაშორე ეს მტვერი, სავსებით მოგვფინე ნათელი მე და ჩემს შემომქმედს, გამათვისუფლე მათგან, ვინც საუკუნეთა განმავლობაში მაწამებდა – მავსებდა და მასწორებდა, ზოგი სიყვარულით, ზოგი შეიძლება მტრობითაც, სხვად კი – ნოლი მე ტანგერე! – აი, რას ეუბნება „ვეფხის-ტყაოსანი“ ყველას, ვინც მას რაიმე ინტერესით უახლოვდება.

აი, ეს გარდაუვალი ხელოვნებითი ღირებულება არის შემქმნელი „ვეფხის-ტყაოსნის“ უკვდავებისა. და უკვდავნი ქმნილებანი ბევრნი არ არიან მსოფლიო მწერლობაში. ბევრნი არიან დიდნი, ნახევრად უკვდავნი, მაგრამ სრულიად უკვდავნი – ცოტანი, თითებზედ ჩამოსათვლელნი – და მათ შორის, „ვეფხის-ტყაოსანი“. მას ჰკითხულობს დღეს მთელი ქართველი ერი, ისევე, როგორც ჰკითხულობდა მთელი შვიდასი წლის განმავლობაში. იქ სწავლობდა სიბრძნეს, გრძნობდა შვენიერებას, იკეთილშობილებდა სულს, იძენდა „კაცობას“ ან „ქალობას“, სიმხნეს, იჭურვებოდა და ივსებოდა იმედით და არ სწყინდებოდა და არც მოსწყინდებოდა აროდეს კითხვა მისი, რათგანაც სიტყვის მუსიკა რუსთაველისა შეუძლებელია ქართულად მეტყველს მოსწყინდეს, და არც ქართულის მცოდნე უცხოს მოსწყინდება იგი, როგორც ბერძნულის მცოდნე არაბერძენს ჰომეროსის კითხვა არასოდეს მოსწყინდება... ეს არის დიდი საამაყო ქართველი ერისათვის, რათგანაც ბევრ მასზედ უფრო ძლიერ და დიდ ერს, შემქმნელს დიდი მწერლობისა, „უკვდავი“ და „გარდაუვალი“, მსგავსი „ვეფხის-ტყაოსნისა“ ვერ შეუქმნია!..

დიდი და რთული საქმეა რუსთველის კვლევა – რუსთველოლოგია: რუსთველის ვინაობისა, მსოფლიო-ხედვისა, იმ კულტურული ატმოსფეროსი თამარის დროის საქართველოში, სადაც რუსთველი დაიბადა და დიდ ხელოვნად აღიზარდა და სხვ. ამ კვლევაში დიდი ღვაწლი მიუძღვის განსაკუთრებით

განსვენებულ ნ. მარს, პ. ინგოროყვას და ზ. ავალიშვილს. თვით უარყოფით დასკვნებსაც კი დიდი მნიშვნელობა აქვთ პრობლემათა გამოთქმისა და მათი კვლევის შემდეგ. მაგ., ჯერ არ ვიცით ნამდვილი ვინაობა შოთა რუსთველისა, რომელიც თამარ მეფის დროს სცხოვრობდა. ინგოროყვას თეორია, რომ იგი უნდა ყოფილიყო ჰერეთის ერისთავი შოთა, ბაგრატოვანთა გვარისა, არ არის დამარწმუნებელი, და მკვლევარმა მესხეთს უნდა მიმართოს ამ საკითხის გამოსარკვევად. ენაც რუსთველისა უდავოდ ხომ მესხურია და არა ჰერეთული.

რუსთველი არც მუსულმანი იყო, როგორც ეს ერთხელ მარს ეგონა, და არც მანიქეველი, როგორც ეს ინგოროყვას ჰგონია, არამედ ისეთივე „მართლ-მადიდებელი ქრისტეანე", როგორც სხვა მისი თანამემამულე ქართველი მწერლები... მისი მიზანი სრულიად არ ყოფილა რაიმე რელიგიური იდეა გაებატონებინა „ვეფხის-ტყაოსანში", მაგრამ რატომ არ უნდა იყოს ღმერთი ქრისტიანეთა, არამედ სხვა! ხოლო ქრისტიანული მწერლობის ცოდნა რუსთველისაგან „ვეფხის-ტყაოსანს" ცხადად ეტყობა, მაშინ როდესაც კურანისა შიგ არაფერია. „ვეფხის-ტყაოსნის" გმირებიც ნამდვილი ქართველებია, „ქრისტიან-დასავლელები" და არა „მაჰმადიან აღმოსავლელები". მათ მხოლოდ „ამბავში" მიცემული აქვთ გარეგნული სახე მაჰმადიანთა. რუსთაველი არც განსაზღვრულ ფილოსოფიურ სკოლას ეკუთვნის, იგი არც პლატონიკოსია, არც ნეოპლატონიკოსი და არც სტოელი სავსებით, არც სუფი, და არც საშუალო საუკუნის სქოლასტიკოსი, არამედ მას თავისი მსოფლიო ხედვა აქვს ქართული, ე. ი. უფრო დასავლური, ვიდრე აღმოსავლური. და თუ „ვეფხის-ტყაოსანში" მოიპოვება ელემენტები პლატონური, ნეოპლატონური ან სხვა დასავლურ-აღმოსავლური ფილოსოფიისა და მსოფლიო-ხედვისა, ეს რუსთველის დიდი განათლების შედეგია. იგი ამ ელემენტებით სარგებლობს თავისი მიზნისათვის, თვისი მსოფლიო-ხედვისა და ხელოვნებისათვის, – სარგებლობს თავისუფლად, ვითარცა ბატონი სიტყვისა და ზრახვათა. და თვით ის უძველესი წარმოდგენა ზარატუსტრასი კეთილისა და ბოროტის, ნათელისა და ბნელის

ბრძოლისა, რომელიც „ვეფხის-ტყაოსანში“ გვხვდება, უპირველეს ქრისტიანობაში იყო შესული და ქცეული მის განუყოფელ და საუკეთესო ნაწილად.

შორს წაგვიყვანდა აქ ყველა ამაზედ მსჯელობა. ვიტყვით მხოლოდ, რომ საუკეთესო კულტურული და ლიტერატურულ-ისტორიული გამოკვლევა „ვეფხისტყაოსნისა“ ბ. ზ. ავალიშვილის კალამს ეკუთვნის (იხ. მისი, „ვეფხის ტყაოსნის“ საკითხები, პარიზი, 1931 წ.). იქ ჰხედავს მკითხველი რუსთველის დროის კულტურულ ატმოსფეროს საქართველოში და სხვადასხვა ელემენტს უცხო კულტურათა „გავლენისას“ ამ ატმოსფეროზედ და „ვეფხის-ტყაოსანზედ“, რომელიც იქ წარმოიშვა მხოლოდ ერთი არა გვწამს ზ. ავალიშვილის წიგნში: „ვეფხის-ტყაოსნის“ ვაჟთა მიჯნურობა – მეგობრობის გაგება მის მიერ. ეს ადგილი მისი შესანიშნავი წიგნისა დაუსაბუთებელია, ეწინააღმდეგება არა თუ მთელს „ამბავს“ „ვეფხის-ტყაოსნისა“, არამედ მის სულს, რუსთველის გაგებას მიჯნურობისა და მეგობრობისა. აქაც შორს წაგვიყვანდა მსჯელობა, ვეტყვით მხოლოდ ბ. ზურაბს სრულის პატივისცემით და მეგობრობით: „კარგი მკვლევარი იგია, ვინ იქმს შეცდომის გმობასა“... ბოლოს, ცოტა რამ „ვეფხის-ტყაოსნის“ სპარსულობის შესახებ.

„სპარსული“, რომ საკუთრივ სპარსულადაც არ გავიგოთ, მთელი აღმოსავლეთის მწერლობაში არ მოიპოვება „ვეფხის-ტყაოსნის“ მსგავსი შინაარსის ამბავი. მარრმაც და სხვებმაც (თვით მარის ძემ, განსვენებულმა გიორგიმ) ბევრი ეძებეს ეს მსგავსი რამ, ორიგინალი ამბავისა, თითქოს წინად ქართულად ნათარგმნი, და შემდეგ გალექსილი რუსთველის მიერ, მაგრამ ეს ძებნა უშედეგო გამოდგა. ხოლო თუ ავიღებთ არა მარტო თვისებათ „ვეფხისტყაოსნის“ გმირთა, რომელნიც ქართულნი არიან და არა „სპარსნი“, არამედ თვით ამბავს, იქ უპირველეს ყოვლისა თამარის პირველი ისტორიკოსი გვაგონდება: ტახტზედ ასვლა თამარისა, აღწერა მის შვენებისა და სხვა თვისებათა, თვით გამოთქმანი ბევრ ადგილს მისი მოთხრობისა იმდენად ჰგვანან „ვეფხის-ტყაოსნის“ მოთხრობათა და გამოთქმათ, რომ კაცს ეჭვი ებადე-

ბა, თამარის ეს პირველი ისტორიკოსი თვით რუსთველი ხომ არ იყო, რომელმაც თქვა „ქებანი" თამარისა?.. ყოველ შემთხვევაში, სრულიად მართალია პ. ინგოროყვა (იხ. მისი, „რუსთველიანა", I, გვ. 54 და შემდ.), როდესაც იგი ტაეპს „ესე ამბავი სპარსული" და სხვ. ჩამატებულ ტაეპად სთვლის, ხოლო, რომ კიდევაც ჩამატებული არ იყოს იგი, როგორ შეუძლია გონიერ მწერლობის ისტორიკოსს „ვეფხის-ტყაოსნის" „ორიგინალობის" საკითხი დააყენოს იმიტომ, რომ შოთამ შეიძლება მართლაც თავისი ქმნილების „ამბად" ქართულად ნათარგმნი სპარსული ამბავი აიღო. მაშინ ხომ უდიდესი ქმნილებანი შექსპირისა, გოეთესი და სხვანი „ნახევრად ორიგინალურნი" იქნებოდნენ! ეს ცოდვა „ვეფხის-ტყაოსანის" წინაშე კ. კეკელიძემ ჩაიდინა, მაგრამ აქ ადგილი არ არის, რომ მას გამოვუდგეთ.

„ვეფხის-ტყაოსნის" თარგმანები ბევრია სხვადასხვა ენაზედ, – ზოგი „კარგი", ზოგი უფრო მდარე, ზოგი სიტყვა-სიტყვით, ზოგი თავისუფალი. ბევრ ადგილს „ვეფხის-ტყაოსნისა" კარგ თარგმანშიაც შეუძლია მკითხველს რუსთველის გენიოსობა აგრძნობიოს, მაგრამ ყველას არა. აი, აქ არის ერთი დაბრკოლება. „ვეფხის-ტყაოსანს" ჩვენამდე დამახინჯებულსა და ნაწვალებს მოუხწევია. ხელნაწერები მე-16-17 სს. ასეთებია და ის ხელნაწერებიც, რომელიც ვახტანგ მეფეს, „ვეფხის-ტყაოსნის" პირველ გამომცემელს, ჰქონია ხელთ, უკეთესი არ იყო. და უპირველესი საქმე ფილოლოგებისა უნდა იყოს „ვეფხის-ტყაოსნის" ტექსტის განმენდა ჩართულ ტაეპთაგან და აღდგენა გადამწერთაგან დამახინჯებულ სიტყვათა. ეს ბევრმა სცადა – განსვენებულმა ალექსანდრე სარაჯიშვილმა მე-90-იან წლებში („მოამბეში"), ოდნავ ყველა გამომცემლებმა, შემდეგ (ნაწილობრივ) ნ. მარრმა და პ. ინგოროყვამ, ი. აბულაძემ, კ. ჭიჭინაძემ და სხვებმა, მაგრამ ამ დიდი საქმის დასრულებას ჯერ კიდევ დიდი ხანი და მრავალ მეცნიერთა შრომა სჭირდება. დასრულდება რა იგი, მაშინ წარმოგვიდგება თვალის-წინ რუსთველის მზით სავსე ქმნილება, თუ მისი მთელი პირველყოფილი ბრწყინვალებით არა, უმეტესად მაინც მართალი და მაშინ ზოგიერთი მნიშვნელოვანი კერძო

საკითხიც გამოირკვევა „ვეფხის-ტყაოსნისა“ და მთარგმნელიც ტექსტს გადათარგმნის და არა მრავალს აზრით მიმხვდარს თვით დასწერს, როგორც ახლანდელი მთარგმნელნი მისი იძულებულნი არიან ჰქმნან, რათგანაც ტექსტი ბევრგან გაუგებარია და ვის როგორც ესმის, ისე სთარგმნის.

ჩვენცა ვთარგმნეთ „ვეფხის-ტყაოსანი“ გერმანულ ენაზედ, მაგრამ თარგმნამდის აგრეთვე შევეცადეთ აღგვედგინა და გაგვეწმინდა ტექსტი. ბევრი საინტერესო დასკვნა იყო ჩემთვისაც აუცილებელი ამ მუშაობის დროს:

1) „ვეფხის-ტყაოსნის“ ის ძველი ხელნაწერები, რომელთა პირები ცნობილი ხელნაწერებია, დაზიანებული ყოფილა, ჰკლებია ადგილები და იგინი შეუვსიათ გადამწერლებს. ეს დიდი ხანია შენიშნულია და კ. ჭიჭინაძემ თავის გამოცემაში „ვეფხის-ტყაოსნისა“ და აგრეთვე უნივერსიტეტის ახალმა გამოცემამ დაკარგული უდიდესი ადგილის შევსება – ტარიელის ინდოეთში დაბრუნები ამბავი – ტექსტში შეიტანეს!

2) „ვეფხის-ტყაოსანში“ დამახინჯებული სიტყვები და გაუგებარი ადგილები მე-16-17 სს. გადამწერალთა ბრალია, რომელთაც არც ესმოდათ ხშირად აზრი ტექსტისა (შეადარეთ მაგ., ე. თაყაიშვილის გამოცემა მარიამ დედოფლის „ქართლის ცხოვრების“) ანდა ზეპირად იცოდენ ბევრი ადგილები და როგორც ახსოვდათ სიტყვები, ისე სწერდნენ.

3) დაზიანებულ ხელნაწერში ნაწილობრივ ან მთლად წაშლილი ან წახეულ სიტყვათა აღდგენას და შევსებას სცდილობდნენ და ეს მათი აღდგენა და შევსება ხშირად სწორი არ იყო. აქედან არის მრავალი გაუგებარი ადგილი „ვეფხის-ტყაოსანში“, უცნაური ფორმა და სიტყვა. ბევრი მკვლევარი შესცდა და მათ რაღაც უცნაური მნიშვნელობა მიაწერა, მიუხედავად იმისა, რომ არც სინტაქსი ქართულისა ამის ნებას არ იძლევა და სიტყვაც არ არსებობს და არც არსებულა აროდეს. ზოგიერთი მკვლევარი კი იქამდე მივიდა, რომ რუსთველი ქართულ სიტყვათა წარმოების კანონთა უარისმყოფელად დასახა! ხოლო რუსთველს მართალია

აქვს თავისუფალი სიტყვათა წარმოება, მაგრამ არც ერთი, რომელიც ამ კანონთ ეწინააღმდეგებოდეს!

4) ბოლოს, „ვეფხის-ტყაოსნის" გადამწერთ, რომელთაც მელექსეობის სიყვარული ჰქონდათ, ხშირად არა უნიჭოთაც, უვარჯიშნიათ თვით ნამდვილი ტექსტის ვითომც სრულ-ქმნად, საკომენტაროდ, მაჯამებით შესამკობად და თავიანთი „ნაჭორვები" ჩაუქსოვიათ „ვეფხის-ტყაოსანში".

იმედი მაქვს სიცოცხლეში ვიხილო „ჩემი" „ვეფხის-ტყაოსანი" დაბეჭდილი მისი გერმანული თარგმანით. ეს იქნება ძღვენი დიდი ქართული გენიოსისადმი საიუბილეოდ მიძღვნილი იმ ქართველისაგან, რომლის სახლში „ვეფხის-ტყაოსანი" ქალმა და კაცმა ზეპირად იცოდა და რომელმაც ჯერ წერა-კითხვაც არ იცოდა კარგად, მაგრამ „ვეფხის-ტყაოსნის" თავებს კი ზეპირად ეტყოდა სტუმრებს მათ შესაქცევად, – ძღვენი „ვეფხის-ტყაოსნის" არა სპეციალისტისა, ხოლო სიყრმითგან მოხუცებამდე ნაზარდი სიყვარულისა ამ უკვდავი ქმნილებისათვის.

გაზ. „თეთრი გიორგი", პარიზი, 6, 1938 წ.

მიხაკო წერეთლის შესახებ

მიხეილ წერეთელი

(მოგონებათა ბარდული)

მიხაკო წერეთელი, ნინო სალია და გრიგოლ რობაქიძე

გაეშურებით „ფერმისაკენ" ზედა ხიდიდან ქუთაისისა, თვალს მოჰკრავთ მარცხნით გრძლად გაწვდილ სახლს, ზედ რიონის პირას, სანატორიის თუ სასტუმროს სახისა. ბენაშვილს ეკუთვნოდა ანდროს. იყო ტანმორჩილი კაცი, ფერმიბინდული და კანმჭნარი – („მჭნარი" და არა „მჭკნარი", ასეა ეს კლასიკურ ქართულში, როგორც „ბრჭალი" და არა „ბრჭყალი"). მშვიდი იყო, წყნარი, ყუდრო, უაღრესად ფაქიზი, ერთი მოხატვით: „გუგული" ასწავლიდა ქართულს სასულიერო სასწავლებელში. არ მინახავს არც გულმოსული და არც ხმაამაღლებული. ლოტბარობდა მგალობელთა გუნდს გაბრიელ მღვდელ-მთავარისა. არ გავდა ჩვეულ ლოტბარს, რომელიც ლოტბარობს ვითარ ტორეადორი. ანდრო აქაც ნელი იყო: იდგა ცალგვერდით, უძრავად, მხოლოდ მარჯვენას თუ ააქნევდა ხოლმე, თითქო სიზმარეული, გალობის ხვევულთა რიტმიულ გაყვანისათვის. გუნდი ისე ჰყავდა გაწვრთნილი, რომ ესეც საკმაო იყო. ბენაშვილთან ბინადრობდა ანდრია ტყემალაძე, რომელიც ჩემთან ერთად

სწავლობდა ჯერ სასულიერო სასწავლებელში და შემდგომ სასულიერო სემინარიაში. დიდი ხანია, რაც გარდაიცვალა – განუსვენოს უფალმა. ნიჭიერი იყო, თანვე მუყაითი და ბეჯითი: ირიცხებოდა მოწაფეთა პირველ რიგში ყოველთვის, დროდადრო პირველობაც რგუნებია. ხშირად შემიხვევია ხოლმე მასთან. ერთს ნასადილევს, როცა მასთან ვიყავ, აივანზე ორ გიმნაზიელს მოვკარი თვალი: ახალისებულნი და ჟინაყვანილნი ერთიმეორეს „ეღლაბუცებოდენ". ერთი მათგანი მოტრიალდა უეცრად და ჩვენს ოთახში შემოიხედა. მომკრა თვალი – შეჩერდა, მე მსინჯავი თვალით შევხედე – ამ დროს თვალხამხამი არ ვიცი. გიმნაზიელი მყისვე გატრიალდა. გამოხედვაში, ეს შემდეგ ვსცანი, უცხო ფრინველის თვალი კიაფობდა. კიდევ უფრო გამაკვირვა მისმა მიხვრამოხვრამ. ეხლა, როცა უკან ვიხედები, მეჩვენება: თითქო უცხო ყმაწვილი მთავრის შვილი ყოფილიყვეს, ხოლო ისეთი, რომელმაც არ იცის თავის შთამოება. აქედან: მიხვრა-მოხვრა ნებიერი და ჯიშით დაქნილი, გარნა არა „გამომწვევი" და „ხაზგასმული". თანვე სახეც აიხაზა მისი ჩემში: სუფთად მოშოთილი, მრავალ მეტყველი და მხვედრი („მხვედრი" – იმ სიტყვის გენიალობას ათეული წლების შემდეგ ვწვდი. „მხვედრი": „მოახვედრა" ნიშანში აღებულს, „მიხვდა" საიდუმლოდ გააზრებულს, „ხვედრი" ბედისაგან). „ვინ არის?" შევეკითხე ანდრიას. „ესაა მიხაკო წერეთელიო", მომიგო. „ესაა" – ამით უნდოდა გამოეთქვა: ეს იგია, რომლის ირგვლივ ისე ბევრი გსმენიაო.

მიხაკოს ნიჭიერება მთელს ქუთაისში იყო ხმაგავარდნილი. შემდგომ იგი ქუთაისში აღარ მინახავს, ხოლო ჩემს ოცნებაში ცოცხალი დარჩა.

* * *

„ოცნებაში ცოცხალი დარჩა". ეს რომ „ნამდვილად" გაიგოს მკითხველმა, საჭიროა ყურადიღოს ქვემორე. ბავშვობიდანვე მჩვევოდა „გაბნეულობა", პირდაპირ ფანტასტიური. უამრავი მაგალითებიდან აქ მხოლოდ ერთი. პირველ წლებში ჩემი ქუთაისში ყოფნისა ამბაკო სულაქველიძის ოჯახში ვიყავი აყვანილი. გაგეგონებათ ალბათ: იგი მასწავლებელი იყო სასულიერო სასწავლებელში.

„ფილოსოფოსს“ უხმობდენ. შეიძლება ისიც იცოდეს ვინმემ, რომ ვალოდია სულაქველიძე, დღეს პირიზში მყოფი, შვილია ამბაკოსი. თეკლე, დედა ვალოდიასი, ხშირად მავალებდა ხოლმე, რომელიმე მეზობელ ოჯახიდან მომეტანა სანათხოვროდ: თეფში თუ კარდალი თუ კიდევ სხვა რამ. რამდენჯერ გამოვბრუნებულვარ უკან, რათა გამეგო, თუ რა დამაბარა! ასეთი შემთხვევაც ყოფილა ხანდახან: თეკლე მიხსნის უკანდაბრუნებულს სათხოვარს. მივდივარ და შუა გზიდან კვლავ ვბრუნდები უკან, ხელცარიელი და დარცხვენილი. ეს „გაბნეულობა“ ჩემს ზრდაში არ კლებულობდა, პირიქით: იგი კიდეც მატულობდა. ვიყავ „გაბნეული“, რადგან ვიყავ შინაგან „შებოჭვილი“ დღეს ეს „გაბნეულობა“ იქამდე მიდის, რომ ჩემი თანამოსაუბრისთვის იგი ხშირად აუტანელი ხდება. სამაგიეროდ: თუ ჩემს „შუაგულს“ რაიმე „მოხვდა“, ამ სიტყვის ზემო ახსნით – იქნება იგი: შეხვედრა, სიტყვა, სახე, წიგნი, სურათი – მას ვეღარაფერი ამოშლის იქიდან. მიხეილის სახეც ცოცხლად შერჩა ჩემს შუაგულს.

მიხაკო წერეთელი
1926 წ.

გარეგან „გაბნეული“ და შინაგან „შებოჭვილი“ მეოცნებეა. მეც ოცნებაში ვიყავ გამუდმებით გადასული, დავდიოდი მარტო: რამდენჯერ მომივლია განმარტოვებულს სატურიას ველები ფიქრებში გადასულს! დრო ბევრი მქონდა, რადგან გასაოცარი მეხსიერება მქონდა: „მეცადინეობა“ სულაც არ მჭირდებოდა. ფიქრებში მიხეილის სახეც გაიელვებდა ხოლმე. მსურდა გაცნობა – არ მოხდა. აქ ერთი დეტალი. წმ. ნინოს ქალთა სასწავლებლის პირისპირ წიგნთსაცივი იყო ტხორჟევსკის სახელობისა. იქ ხშირად დავდიოდი. იქვე ფოტოგრაფია იყო და გარეთ: გამოფენილი დაფა სურათებით. სურათებში ერთი სურათი, რომელიც, რამდენადაც მახსოვს, წლების განმავლობაში არ მოუხსნიათ. ამ სურათზე იყო გადაღებული მიხეილი მის განუყრელ მეგობართან ერთად: ალექსანდრე მიქელაძესთან, რომელსაც „კუჭიას“ ეძახდენ – რა უხიაგ სახელს არ მიარქმევენ ხოლმე ვინმეს

ქვემო იმერეთში და კიდევ უფრო უხიაგს სამეგრელოში! მეგობრები იდგენ მხრებზე მკლავგადაჭდობილნი. ხუთი წუთით მაინც შევჩერებულვარ ხოლმე ამ სურათის წინ: ვაკვირდებოდი სახეებს. მიხეილი – გვრემანი. ხომ გინახავთ თოვლი, მთის კალთებზე დაფენილი, რომელსაც ლაჟვარდის მსუბუქი ციალი გადაჰკრავს? ასეთი იყო ფერი მისი სახის კანისა, „კუჭიასი" კი უფრო „ღია" ფერისა. მიხეილი შემმართებელს გავდა, მეგობარი მისი შენელებულს: თითქმის მოდუნებულს. თვალში გეჩრებოდათ: პირველი როგორც თაოსანი და გეზის ამკვალავი, მეორე როგორც ამრქმევი და გამყოლი. ორი სახისაგან ერთი სახე იფინებოდა.

* * *

მართებულად ვთვლი: ორიოდე სიტყვით მაინც მოვხაზო აქ ტყუპი-მეგობარი მიხეილის სიყმაწვილისა. იგი 1910 წლის შემოდგომაზე გავიცანი პეტერბურგში. ნათელი პიროვნება იყო: იმდენად ნათელი, რომ სინათლით ანთებული მეჩვენებოდა. ეს „ნათელი" იფინებოდა ვითარ შარავანდი ირგვლივ ნამდვილი თავადის სახისა. არ წამოეგოს მკითხველი „ფსიქოლოგიზმს", ასე გავრცელებულს დღეს „თავადის" ხსენებისას! „ჯიში" ჩვენში „თეორია" კი არაა, როგორც ევროპაში: იგი „სინამდვილეა" თვითონ. აბა დააკვირდით! ვაგინებთ ჩვენ ვისმე, ვიტყვით: „უჯიშო!", ვკრულავთ ჩვენ ვისმე, ვამბობთ: „მისი ჯიში ამოვარდა!" ისიც ვიცით თანვე, რომ „ჯიშის" დგენისათვის მარტო „სისხლი" არ კმარა: ვიცით, რომ მისთვის საჭიროა წვართი სულისა და გულისა და ხასიათისა, „თავადი". ჩვენში ძველისძველად რჩეული არსი იყო: ნათელმგები ხალხისა, მცველი და მმართავი. იგი „რაინდი" იყო – რა ოქროსიტყვაა! ბატონყმობა ჩვენში არ ყოფილა „კრეპოსტნიჩესტვო". აბა განსჭვრიტეთ: „ყმა", ქართულში არ ნიშნავს „მონას" – გადაფურცლეთ რუსთაველი! დააკვირდით სიტყვას „ყმაწვილი"-განა აქ „ყმა" „მონას" ნიშნავს? „ბატონ-ყმობა" „Lehn"-ის სისტემის ხმიერებაა. ეს სისტემა აღმოსავლეთში ქართველებმა შექმნეს,

დასავლეთში გერმანელებმა, შექმნეს ერთიმეორის დამოუკიდებლად – (საცნაური პარალელი მკვლევართათვის). „თავადობა" ქართველობაში ბოლო ხანებში გადაგვარდა. ხოლო მის ანარეკლს ჩვენ დრომდეც მოუღწევია. აქ ერთი ზეიმი უნდა ვახსენო, გაგონილი აპოლონ წულაძისაგან, რომელიც მას მოსწრებია და კიდეც დასწრებია მრავალჯერ. ყოველ იანვრის მეორე დღეს თავად გურიელებისას თურმე ზეიმი იმართებოდა, საცა „ყმებად" გურიელები გამოდიოდენ და „თავადება", გლეხები. მინდა მოვიგონო ამ „ანარეკლის" ერთი გამოშუქებაც კიდევ. 1912 წელს სუფსაში ვარ სადგურზე. ველი ბათუმიდან მომავალ მატარებელს. ვხვდები ვახტანგ გურიელს. ვმუსაიფობთ: ვტკბები მისი ქართული კილოთი: „გურიელურით". მატარებელი ახლოვდება. მე კასისაკენ ვეშურები ბილეთისათვის. ვახტანგი მეუბნება: „მზადაა უკვე". მოდის მისი მხლებელი და მაწვდის ბილეთს. მე მიკვირს – მიკვირს ისიც, თუ როგორ ანიშნა ვახტანგმა მხლებელს ბილეთის ყიდვა. ვიგონებ: ჩემთან საუბრისას მან მას რაღაც ჩაუჩურჩულა – ალბათ „ეს" იყო. ჩემი გაკვირვება გრძელდება. მესმის ვახტანგის სიტყვები: „ჩემს სამფლობელოში, აბა, როგორ გაგაცილოთ სტუმარი, მცირე პატივი მაინც არა გცეთ!" სიტყვას „სამფლობელოს" ხაზს უსვამს ღიმილით. ორივეს გვესმის, თუ რა იმალება ამ ღიმილში. დაუვიწყარი სცენა! ვახსენო კიდევ ერთი რამ? ევროპიელნი დამიწუნებენ ამდენ „გადახვევას", მაგრამ მე ქართველთათვის ვწერ და ამათ ოღონდ „გული მოფხანე" მოყოლილით და „არქიტექტურაში" არ გამოგედავებიან. აი ეს „გულმოსაფხანიც". ტელემაკმა, უმცროსმა ძმამ ვახტანგისა, მითხრა ერთხელ: „ვახტანგს ისეთი ღონე აქვს, რომ პირისბანა უჭირსო". განვცვიფრდი, „მკლავთა კუთები ისე ეკვრივება ბანისას, რომ ბანას, ვერ ახერხებსო". შემდეგ ესეც მიაყოლა: „ვთქვათ, ვახტანგი სადარბაზოდ მივიდა ვინმესთან და შინ არავინ დახვდა – მაშინ, თუ მონახა იქვე სადმე რკინა, აიღებს, მოღუნავს და სადარბაზო ბარათად დასტოვებსო: „ბარათს" რო ნახვენ, მიხვდებიან ვინ იყოვო".

* * *

მიხაკო წერეთელი (ცენტრში) თეთრგიორგელებთან ერთად, 1926 წ.

ზედმეტი არ იქნება, „კუჭიას", „ბოლოც" აღვნიშნო. ხმა მომესმა: ლუესი სჭირსო. „მეტაფიზისი" ამ საიდუმლო ავადობისა ევროპაში არ იციან: იგი „მზის ელემენტის" დაავადებაა სისხლში. ვერ გამოვუდგები აქ ამის ახსნას: შორს წამიყვანდა – უნდა განმეხილა, თუ როგორ იშვა ძველს მექსიკოში „თეთრი" მზისაგან „შავი", თანაც ეგვიპტელთა ერთი გადმოცემაც უნდა მომეშველებია. ვიტყვი მხოლოდ: აღმოსავლეთში, დღესაც, ლუესს, დაავადებულ მზიურ ელემენტს სისხლისა, მზითვე არჩენენ. აქედან რჩევა: ლუეტიკი უნდა ერიდოს ჩრდილოეთს. პეტერბურგის ცივმა ჰავამ, ასე მგონია, გაამძაფრა ავადობა „კუჭიასი". რამოდენიმე თვის შემდგომ ჩემი მასთან გაცნობისა შეიშალა ეს ნათელი ადამიანი. ხოლო საკვირველი: „სინათლე", თუმცა მეტაფიზიური: „აბრუნდით", არც შეშლილობაში მოსცილებია მას – ქრისტედ მოეჩვენა თავის თავი. ერთ კვირაში „მოთავდა" საცოდავი.

* * *

გასული საუკუნის მიწურულში ახალი თაობა სოციალიზმს ეტანებოდა, მარქსისტულ ჯიშისას, საკუთრივ. ხმა მომესმა: მიხაკო წერეთელიც მარქსელიაო, აგრეთვე მისი მეგობარიც მიქელაძეო. იმისაც ამბობდნენ: მიხაკომ „კაპიტალის" პირველი ტომი თარგმნაო. ერთხელ დაბა ჩხარში, ბაზრობისას, რომელიც პარასკეობით იმართებოდა, მეთოდე ქათამაძის „აფთიაქში", საცა

ჩხარისა და მიდამო სოფლების „ინტელიგენცია“ თავს იყრიდა – ჰოი ეს ჩხარი, ეს ბაზრობა, ეს „აფთიაქი“, ეს მეთოდე: საუცხოვო თემა ბალზაკისათვისაც: არჩილ ჯორჯაძეს კი ეგონა, საქართველოში სარომანო მასალა არ მოიპოვებაო – იქ ერთხელ „ივერიის“ ერთი ნომერი ჩამივარდა ხელში, მოთავსებული იყო ერთი ვებერთულა ფელეტონი – მარქსიზმს ეხებოდა – ხელმოწერილი ფსევდონომით „un camarade“. გავიგე შემდეგ: ფსევდონიმი მიხეილის ყოფილიყო. ჩემმა ინტერესმა მისდამი იმატა. გავიგე კიდევ: მიხეილი შესულიყო კიევის უნივერსიტეტში, იმავ წელს მონაწილეობა მიეღო სტუდენტების დემონსტრაციაში, წარმოეთქვა რევოლუციონური სიტყვა ცეცხლეული, და, მეფის მთავრობის დევნა რომ აეცდინა, გადასულიყო ევროპაში: ჟენევაში, 1902 წლის შემოდგომა. ეხლა მეც ევროპაში ვარ: ლაიპციგში. მსურს გავიგო რაიმე მიხეილის შესახებ. 1903 წელს თავი ამოყო ჟენევაში სიმონ ძველაიამ, რომელსაც სემინარიიდან ვიცნობდი (ეს შესანიშნავი ყმაწვილი მოითხოვს განსაკუთრებულ ესკიზს; გარდაიცვალა ლეიდენში ჭლექით, 1906 წელს, ზაფხულში; გავხდი მოწმედ მისი უკანასკნელი წუთებისა; დავასაფლავე იქვე). ძველაიასთან ვმართავ მიწერ-მოწერას. შიგადაშიგ იგი მატყობინებს მიხეილის ამბებსაც: უკანასკნელი ამ ხანაში უკვე ანარქისტია. 1907 წელი, ზაფხული. ოდესაში ვარ გავლით. „გავლა“ რამოდენიმე თვეს გრძელდება. მიზეზი – „რომანი“. თავზარდამცემი ამბავი: მოჰკლეს ილია (ბიოგრაფიისათვის: ილიას სიკვდილი ანგელოზმა მიმხილა სიზმარში, მეორე დღეს მამცნო გაზეთმა; ერთი დეტალიც: „კარდუ“ ვიგზნე ჩემში სწორედ მაშინ, ილიას მოკვლა რო გავიგე). ვბრუნდები საქართველოში. მესმის ყოველი მხრით: მიხეილმა ილიას დასაფლავებაზე სიტყვა წარმოსთქვაო. სიტყვა ცეცხლი ყოფილიყო: ამ ცეცხლით წვას ეხლაც გრძნობს ჩემი უფროსი მეგობარი გიგო დიასამიძე, როცა მას მიხეილის სიტყვა მოაგონდება ხოლმე. ტფილისში მოხსენება წავიკითხე „ნაციის იდეის“ შესახებ. გავბრუნდი პარიზისაკენ – დავბრუნდი ტფილისში 1908 წელს. აი ამ ხანებში შევხვდი მიხეილს. დავუახლოვდი – დამიახლოვდა. გადის დრო. მიხეილი მიდის კვლავ ევროპაში

– ფილოლოგიის შესასწავლად. ყველას უკვირს; პოლიტიკური მებრძოლი და ფილოლოგია? მიკვირს მეც. ირკვევა შემდეგ: თურმე მოწადინებულია იკვლიოს ძირები ქართულისა. წლების სვლაში ჩემთვის სხვა რამეც ირკვევა: რამდენად იფესვები ქართულში, იმდენად ეზიარები კარდუს არსს. ცხადი ხდება: მიხეილის ფილოლოგად ქცევა მის მამულიშვილობას წარმოეშვა. 1927 წელს ბერლინში ვარ. ვხვდები მიხეილს. „გველის პერანგის" წაკითხვის შემდეგ, ბერლინშივე წერილობით მამცნო თავისი აზრი რომანის შესახებ. 1931 წელი კვლავ ბერლინში ვარ. 1933 წლიდან მოყოლებული 1943 წლის შემოდგომამდე ვხვდებით ერთიმეორეს, თითქმის ხუთჯერ კვირაში – თუ ბერლინიდან არა ვარ გასული. დაახლოვება მეგობრობაში გადავიდა.

* * *

ჩემ წინ დევს ერთი ფოტოსურათი, გადაღებული უნდა იყოს 1903 წელს, როცა აქ, ჟენევაში, კონფერენცია გაიმართა ქართველ ნაციონალისტთა და ანარქისტთა. დგანან, მარცხნიდან მარჯვნით: სანდრო გაბუნია, კომანდო გოგელია, ვარლამ ჩერქეზიშვილი; სხედან: არჩილ ჯორჯაძე, მიხეილ წერეთელი; ზის ამ ორის შუა, დაბლა: გიორგი დეკანოზიშვილი. ექვსი ქართველი. ტომით: ორი კახელი: ჩერქეზიშვილი და ჯორჯაძე, ერთი ქართლელი: დეკანოზიშვილი, ერთი მეგრელი: გაბუნია, ერთი გურული: გოგელია, ერთი იმერელი: წერეთელი. ამათგან: ნაციონალისტი: დეკანოზიშვილი, ჯორჯაძე; ანარქისტი: ჩერქეზიშვილი, გოგელია, წერეთელი, მგონი გაბუნიაც. ვარლამი: დათუთქული „ქართლის ბედით", სიმწარეს ოდნავ მონაქროლი ღიმილით იქარვებს; გიორგი: ურყევი და უტეხი, სჯერა ყველაფერს გადაიტანს; არჩილი: დაღვენთილი უძირო სევდით, ხოლო არა სასომიხდილი; კომანდო: ამაყი შინაგან, თავის თავში დაჯერებული, უზადო შუბლით, „ჩახედული"; სანდრო გამჭრიახი, ინტუიტივი; მიხეილი: მოშვილდული, როგორც ჯეირანი ციცაბო კლდის პირას, თუ დასჭირდა, უფსკრულს გადაევლება თავს. ექვს ქართველს – გრძნობთ ამას

– მცველად კარდუს აჩრდილი აფარებია: მარჯისათვის. ამ ექვსიდან: ვარლამს ვიცნობდი გაკვრით, გიორგი არ მინახავს, არჩილთან დაახლოვებული ვიყავ ფრიად, კომანდოსთან ერთი საღამო გავატარე პარიზში, სანდროსათვის თვალი მომიკრავს, მიხეილის მეგობარი გავხდი. აღარ არის ამ სოფლად: აღარც ვარლამი, აღარც გიორგი, აღარც არჩილი, აღარც კომანდო, სანდრო თუ ცოცხალია არ ვიცი. „ვა, სოფელო, რა შიგან ხარ! დარჩა მიხეილი“.

* * *

მიხაკო წერეთელი,
1930-იანი წლების დამდეგი

კონფერენცია ნაციონალისტთა და ანარქისტთა? გაგონილა სადმე ასეთი შეთავსება? მაშინ მეეჭვებოდა ეს, გონებით, გული კი სხვას მეუბნებოდა. ეხლა რომ ვუკვირდები ამ უცნაურობას, გულით მონაქროლი გონებითაც მართლდება. მართლაც: თუ მოიშლებოდა სახელმწიფო წყობილება საერთოდ – ანარქიზმის მიზანი ესაა – მაშინ რუსეთიც, რომელიც პრეისტორიული მამონტივით თავს აწვა საქართველოს, დაიმხობოდა სახელმწიფოებრივი მხრით, და, როგორც შედეგი ამისა, საქართველოც თავისუფლად ამოისუნთქავდა. აი ქვეშეცნეული ხაზი ვარლამ ჩერქეზიშვილის პოლიტიური ბრძოლისა. ხაზი, რომელიც, ჩემი წვდენით, გეზად გახდა სხენებული კონფერენციისა. უნდა შევჩერდე ვარლამზე.

მაოცებს ვარლამის მოვლინება. მსოფლიო ისტორიაში იგი ერთადერთია როგორც ანარქიზმისა და ნაციონალიზმის შემზავებელი. მოწყვეტილი მამულს, მოცილებული დედულს, ბავშვობიდანვე უცხოეთში გადახვეწილი, მარტო თავის თავს მიყენებული, იგი სათნო და გულჩვილი, „ანგრევს“ წარმოსახვით

სახელმწიფოებს. ამავე დროს დარბის თავქუდმოგლეჯილი, ხან ამ სამინისტროში შევარდება, ხან იმ სამინისტროში, არ ასვენებს არც ერთს უწყებას, გაიხსნება რაიმე კონფერენცია, უმალვე იქ გამოჩნდება, თავს „აწუხებს“ გამოჩენილ პოლიტიკოსებს საფრანგეთში თუ ინგლისში თუ კიდევ სად, აქვეყნებს ჟურნალებში და გაზეთებში წერილებს, იბრძვის ქადაგად დავარდნილი – იბრძვის ტრაქტატისათვის, საქართველოსა და რუსეთს შორის 1783 წელს დადებულისა. ალბათ „შერეკილი“ ეგონათ, „გადაქანებული“, ხანდახან „სასაცილოც“. გარნა სასაცილო არაა სერვანტესის უკვდავი რაინდი, რომელიც იმავე დროს და – ესაა უმაგალითო მსოფლიო ლიტერატურა? – გენიით არის აყვანილი! ამავე გენიით იყო ატეხილი ვარლამი: იგი კარდუს დონ კიხოტია! გენიის „სიგიჟეს“, „მანიას“, ლომბროზოს ბრიყვული თეორიით ხსნიან მრავალნი. ავიწყდებათ ან და არ იციან „მანიის“ მეორე მხარე: „წმინდა შეშლილობა“, რომელიც ცნობილი იყო ანტიურ სამყაროში. ამ „შეშლილობის“ გარეშე – შეეკითხონ დიდ პლატონს – იქ ვერ ეგულვათ: ვერც პროფეტიული წინჭვრეტა, ვერც პოეტური ხილვა და ვერც საიდუმლოს გადმომშლელი აზრი. ვარლამი იყო „მანიით“ ჭირვეული – პლატონის აზრით. ჭირვეული – ვინაიდან კარდუს მოლანდებით აღვივებული. აღვივებული – რადგან საქართველოს ქვეძირებიდან სულდგმული. აქ ერთი გასაშტერებელი ამბავი, მეტყველი იმისა, თუ რა ღრმად იყო იგი იმ ძირებში ჩაფესვილი. ბავშვობიდანვე სამშობლოს გარე მყოფს გადავიწყებული ჰქონდა ქართული. იცოდა: რუსული, ინგლისური, ფრანგული. სიკვდილის ჟამს რუსულიც დავიწყებოდა, ინგლისურიც და ფრანგულიც – თურმე ქართულად იწყო ლუღლუღი.

აი ვინ იყო ქართველნო, ვარლამ ჩერქეზიშვილი! მარტოდ მარტო „ტრაქტატი“ ეჭირა ხელში?! „ტრაქტატი“ აქ მხოლოდ გარე-სახე იყო კარდურ „მზიური ელვარისა“, რომელიც – მეწამული და შუაგულ თეთრ-ალ-გაწვდილი – ბაგრატიონთა ალამად გაიშალა. მიხეილმა იმ „ელვარით“ მიიღო ნათელი ვარლამისაგან. გრძნობს ამას იგი?

* * *

მიხაკო წერეთელი
1910 წ.

ვარლამის „ლულლული" სიკვდილის წინ მიხეილმა, ვთქვათ ასე, აამეტყველა როგორც ფესვებმწვდომმა ფილოლოგმა. არ იფიქროს მკითხველმა: უსჯიდე აქ ვითარ „სპეცი" მე ენათმეცნიერი არა ვარ და კარგად ვიცი, სად თავდება ჩემი საზღვარი. ხშირად ვეხები ენას, საკუთრივ ქართულს – ხოლო ეს შეხება „ფილოლოგიური" როდია. მაგალითისათვის „მარხვა" და „ხსნილი" ფილოლოგები გადაშლიან ამ სიტყვებს ყოველი მათი რადიუსით – დარჩება აუხსნელი მათი შინაგანი საზრისი: ლოგოსი. უკანასკნელის „გამოშიგნვა" – ილიას საყვარელი სიტყვა კიდევ ერთხელ რო ვიხმარო – ფილოსოფიის საქმეა. ერთს ნარკვევში კიდეც ვცადე გადმომეფინა ქვეფარული დენა „მარხვისა" და „ხსნილისა", დენა უნივერსალური მნიშვნელობისა. ლოგოსის ცნაურება ქართულში – (ზემო მოყვანილი მაგალითი იქ მხოლოდ წვეთია) – ისე ელემენტურია, რომ იგი ენათა შორის სასწაულად მეჩვენება. აი რას ვიკვლევ ქართულში!

* * *

მიხეილი „იმპრესსიონისტია" ბუნებით: უშუალოდ აღქმულ შთაბეჭდილებას უშუალო „რეფლექსით" ხვდება. ეს თვისება სახიფათოა, განსაკუთრებით მეცნიერისათვის, თუ – თუ მას „ალღო" აკლია. მიხეილს კი ალღო თანდაყოლილი აქვს. აქ ერთი საოცარი წვლილმანი. ბერლინში მას ხშირად ვეთამაშებოდი ჭადრაკს. თამაშის დაწყებისას იგი ყოველთვის – როცა ის იყო ამრჩევი – თეთრს ფიგურას აგნებდა ჩემს ხელში. მაოცებდა ეს. გავიფიქრე: შესაძლოა ჩემი ცოდნა, თუ რომელ ხელშია დამალული

„თეთრი", ვინაიდან აზრი მძაფრი მაქვს მუდამ. მასზე გადაგის მეთქი. მივმართე ეხლა ასეთს ფსიქოლოგიურ ხერხს: ფიგურებს ისე ვიჭერდი, რომ მე თვითონ არ ვიცოდი, რომელ ხელში იყო „თეთრი" და რომელში „შავი" ჩემი გუმანი გამართლდა, ხოლო მისი ალღო მაინც ძლიერი რჩებოდა: ხუთს შემთხვევაში სამჯერ მაინც, თუ არა მეტჯერ, „თეთრი" მიხეილს ხვდებოდა. ეხლა მეორე, მიხეილი „სუბიექტივისტიცაა" ხასიათით. ეს თვისებაც სახიფათოა, განსაკუთრებით მკვევარისათვის, თუ-თუ მას აკლია „სუბსტანცია": შინაგანი თვითება. მიხეილს „თვითება" გურკა-მაგარია, ბირთვ-მტკიცე, ალღოანი იმპრესსიონისტი და თვითება-მაგარი სუბიექტივისტი: მიმგნებია, მხვედრი, აღმომჩენი. მიხეილიც მიმგნებია, მხვედრი და აღმომჩენი, ამის დასტურს იძლევა მისი კვლევა ქართულისა და შუმერულის ნათესაობის ირგვლივ.

მართალია თუ არა მისი ჰიპოთეზი? პირადად ჩემთვის – უთუოდ, მხოლოდ ერთი განხრით, მიხეილის ჰიპოთეზი არღვევს, ცხადია, ნიკო მარრის „იაფეტიდურ" თეორიას. ეს თვითონ მიხეილსაც აღუნიშნავს და ხანდახან მკაცრადაც. მე კი მარრის თეორიაში ერთი რამ მაფიქრებს ფრიად გულისხმიერი. მარრი იკვლევს ენებს არა ევროპაში ერთხელ და სამუდამოდ განმტკიცებული მეთოდით – იგი იკვლევს მათ ისე, როგორაც ხანათა მკვლევარნი: „ქვის" ხანას, „ბრინჯაოს" ხანას და ასე მიყოლებით, ეს ხანანი განვრცობილნია ქვეყანაში რადიუსურ ისე, როგორც კლდის კეცეულნი მთაში. პირველნი ენანი – ლოგოსის მცნაურებელნი უნივერსალურ – ამგვარად განფენილ კეცეულებად მეჩვენებიან და მათში ყოვლის უწინარეს ქართული, ჩემი გზნებით: უპირვანდელესი. თუ ეს მართალი გამოდგა – რაიცა მერმისის საქმეა – მაშინ მკვლევარისათვის მარრის თეორია, თუცაღა მის მიერ ამ მხრით საკმაოდ არნათელყოფილი ერთს მუხლში, რომელიღაც სხვა მოზომვით, გამართლდება.

* * *

მიხაკო წერეთელი, (ზის) მეგობრებთან ერთად, ბრიუსელი, 1910-იანი წლები.

ივანე ჯავახიშვილის ხსოვნის აღსანიშნავად ბერლინის ქართველთა სათვისტომოში სხდომა გაიმართა – (არ ვხმარობ „კოლონიას“: იგი აქ სრულიად უადგილოა). სხდომას თავმდჯომარეობდა განსვენებული ლადო ახმეტელი. სიტყვები წარმოსთქვეს: განსვენებულმა შალვა ამირეჯიბმა და გიგო დიასამიძემ. მეც ვილაპარაკე. ღერძი სხდომისა მიხეილის მოხსენება იყო. გასაოცარი ცოდნით და კიდევ უფრო საოცარი სიყვარულით გადმოგვიფინა მან ნაშრომი დიდი „მომნივთებელის“ საქართველოს ისტორიისა: ივანესი. ალაგალაგ თავისს ნაკვლევებსაც იხსენებდა – ამას საგანი მოითხოვდა. ბოლოს თავმჯდომარემაც ილაპარაკა. მახსოვს, სთქვა მან: „ამდენი ხანია გადმოხვეწილობაში ვიმყოფები და რაც დღეს განვიცადე, ასეთი რამ არ განმიცდიაო“. ეს განცხადება უმთავრესად მიხეილის მიმართ იყო გულვებული. მიხეილმა ამ მოხსენებაში – რომელიც შემდეგ „ქართველ ერში“ დაიბეჭდა – მოხაზა ამოწურვით ივანეს ადგილი ქართველოლოგიაში და მით: მისი საკუთარიც იქვე. ვიცი – და ეს თვითონ მიხეილმა უკეთ იცის – რომ ივანემ ქართველოლოგიაში გაცილებით უფრო მეტი გააკეთა, ვიდრე მან. ხოლო ნუ დაგვავიწყდება, რომ ივანე უმთავრესად „მხოლო“ მეცნიერი იყო, მიხეილი კი თანვე პოლიტიური მებრძოლიც. საგანი კი როგორც იქ „კელევაში“, ისე აქ, „ბრძოლაში“, ერთი და იგივე: საქართველო. დავისახავთ რა ამას,

მივიღებთ: ის, რაც „იქ" აკლია მიხეილს, ემატება „აქ" სამაგიეროდ. წონასწორობა იმართება – ყოველ შემთხვევაში ჩემთვის. მიხეილი ივანეს „გვერდით" დგას. ესაა „ჩემი" რწმენა, ღრმა.

* * *

ეხლა დროა, თვალი მოვავლო ოდნავ არეს, საცა მიხეილი, როგორც პოლიტიკური მებრძოლი იმართება. ჩემი სიტყვა არც აქ იქნება სჯა „სპეცისა", ვინაიდან პოლიტიკოსი არ ვყოფილვარ და არცა ვარ. არ ვარ: არა იმის გამო, ვითომ პოლიტიკის არა გამეგებოდეს რა, არა ვარ იმის გამო, რომ ღრმად და მკაფიოდ მაქვს შეგნებული: მწერალი, რომელიც პოლიტიკაში ერევა, პოლიტიკას ვერას არგებს, თავის თავს კი, როგორც ხელოვანს, ვნებასაც მიაყენებს. „თქვენი ერთი გერმანული წიგნი, სადაც მოხატულია ერთი პოლიტიკური პიროვნება?" მესმის შეკითხვა. ჩემი გადაჭრითი პასუხი. მოახდინოს მკითხველმა ერთი უბრალო ცდა: წიგნის კითხვისას არ გაუშვას გონებიდან ერთი ღიად არ თქმული, ხოლო ქვეფარულად გაყვანილი აზრი, – „თუ მოტატული პიროვნება აქ მოვლებულ ხაზებში ავლენს თავის თავს". იგი აქ „დათუებულია". დაინახავს ერთს რამეს, ვფიქრობ, უფრო გულისხმიერს, ვიდრე „პოლიტიკას", ამ სიტყვის დღევანდელ გაგებით. ჩემი „განმარტება" მზადაა გამოსაქვეყნებლად.

სულ სხვაა „მამულიშვილობა". იგი მეტია, ვიდრე „პოლიტიკა" და დავუმატებ: მეტია, ვიდრე „პარტიაც" ნოე ჟორდანია მარქსელია – მე, არა მარქსელი, ვთვლი მას შესანიშნავ მამულიშვილად. არ მჩვევია „ზადნიმ უმომ" რაიმეს მტკიცება – წაიკითხონ ჩემი ესკიზი, 1920 წელს გამოქვეყნებული, საცა მოვხაზე ჟორდანიას პიროვნება. მარქსელია აკაკი ჩხენკელი – ვიგულვებ თავდადებულ მამულიშვილად. ევგენი გეგეჭკორიც მარქსელია – ძალიან მაგარ მამულიშვილად მიმაჩნია. აქ ერთი დეტალიც, პირდაპირ „ისტორიული" – გამოადგებათ ოდესმე ქართველ პოლიტიკოსებს. 1943 წელი, ივნისი, ევგენი გვაცილებს. მივდივართ, წინ: გიგო დიასამიძე და ალ. ქორქია, უკან: ევგენი და მე. ევგენი დაბალი

ხმით: „გრიგოლ! ჩვენი ერის ბედს. ნუ გადავაბამთ ერთი ერის ბედს!" სიტყვასიტყვით. დააკვირდით ამ „ერთს": იგი აქ მარტო რიცხვს არ ნიშნავს! დააკვირდით, თუ „როდის" იყო ეს თქმული! დაინახეთ: პოლიტიკურ გამჭრიახობასთან ერთად მამულიშვილურ ზრუნვასაც (და მერე რამხელას?). მოვალედ ვრაცხ ჩემ თავს, გარდაცვლილებიც გავიხსენო: კარლო ჩხეიძე და ვლასა მგელაძე, ისინიც მარქსელნი და თანვე გულმხურვალე მამულიშვილნიც. პირველი – ნელი, ყუდრო ცეცხლით აღვივებული, მეორე – შმაგური ალით „ავარდნილი". შემთხვევა უნდა გამოვიყენო და კარლოს შესახებ ესეც უნდა ვთქვა: გონიერი კაცი იყო, ხოლო ისეთი, რომლის გონი მაინც და მაინც „თვალში არ გეჩრებოდა". სტამბოლში ვართ – გაიხსენეთ საქართველოს დელეგაცია პარიზისაკენ მიმავალი. შევდივართ ერთხელ „აგია სოფიას" ტაძარში. ვაკვირდები კარლოს – განციფრებულია. მესმის თაყვანებით დაშვებული სიტყვა: „გრიგოლ! „ილიადაა" ჰომერის, ქვებით აგებული! ერთი მოსხლეტით მოხატა ტაძარი.

* * *

მიხეილის პოლიტიკური ბრძოლა საქართველოს „თავისთავადობის" აღდგენისათვის საკმაოდ ცნობილია. ნათქვამს აქ არ გავიმეორებ – მით უფრო, რომ დღეს სხვებიც გადმოშლიან, ერთხელ კიდევ, ამ ბრძოლის დრამატიულ ხვეულებს. მე შევეხები მას, როგორც „თეთრი გიორგის" რაზმის მესვეურს, და, რასაც ამ მხრით მის შესახებ ვიტყვი, ეხება აგრეთვე მის თანამებრძოლთაც. სახეში მყავს უმთავრესად ლეო კერესელიძე, დაღუპული 22, 11, 1943 ყუმბარებით ბერლინის დამეხვისას.

ვინც საქართველოსათვის საქართველოს შუაგულიდან გამოდის, იგი „თეთრ გიორგის" გვერდს ვერ აუხვევს. „თეთრი გიორგი" რაინდია ქართველობისა და რაინდი: „წმინდა". განიხილეთ ალავერდობის მისტერია, გადმოფინეთ ფენომენი ლაშარისა – ლაშა: „სხივოსანი", „ბრწყინვალე": ლაშარი იგივეა მთაში, რაც

ბარში თეთრი გიორგი – დაინახავთ, რომ ეს ასეა, ეს განხილვა, ეს გადმოფენა მე მიცდია არა ერთხელ: ნათქვამის გამეორება ყოველთვის არაა სათანადო. აქ ავამეტყველებ მხოლოდ ორიოდე „წვრილმანს“. 1918 წელს საქართველოს ერგუნა დაკარგული სუვერენობის აღდგენა. მმართველებათ მას მარქსელნი მოექცენ თავს და აი: სახელმწიფო ღერბისათვის ინტერნაციონალისტებმა თეთრ გიორგის მიმართეს. სხვათა შორის: წარწერა ამ ღერბზე ჩემი სულითაა გაყვანილი. დაარსდა მწერალთა კავშირი განსვენებული კოტე მაყაშვილის მეთაურობით – (აი კიდევ ერთი შესანიშნავი ქართველი; გული მწყდება, რომ მისი ხსოვნა ჯერ კიდევ არ აღმინიშნავს). მწერალთა „დღედ“ ავარჩიეთ მაისის მეხუთე დღე: დღე „გიორგობისა“ ახალი სტილით. ამ „დღეს“ საქართველოს გასაბჭოების შემდეგაც ვდღესასწაულობდით. პირველ წელს დღესასწაულზე მე ავიღე სიტყვა: გადმოვშალე „გიორგი“ როგორც მისტერია ქართველთა – (მაშინ კიდევ შეიძლებოდა ასეთს საგნებზე საუბარი; მახსოვს მაგალითად: გიორგი ლეონიძემ ერთხელ თემად აიღო „საქართველოს მესსიანიზმი“).

იმავე ხანებში პავლე ინგოროყვამ გამოსცა ლიტერატურული გაზეთი „ლაშარი“, საცა მეც ვიყავ მონაწილე. გაზეთმა ერთი დღე იცოცხლა. დაახლოებით ამ დროსვე პარიზში წარმოიშვა რაზმი „თეთრი გიორგისა“. არავითარი „პოლიტიკა“ არ ყოფილა თეთრი გიორგის ხსოვნით აღდგენაში იქ, საქართველოში. არავითარი კავშირი არ ყოფილა გაბმული ამ „ხსოვნის აღდგენისა“ და უცხოეთში მის „რაზმულად“ დგენის შუა. ყველაფერი ეს მოხდა თავისთავად, მოხდა: რადგან ამ ამბებში საქართველოს „შუაგული“ ფეთქდა. მიხეილის გული ძგერდა და ძგერს სწორედ ამ შუაგულიდან და მისთვის ვაფასებ მას როგორც ნამდვილ ქართველ მამულიშვილს. ეს მამულიშვილობა გადაძლევს თვითონ „დარაზმულობასაც“, მის ნიადაგზე პოლიტიკურად განრიგებულს.

* * *

„გადაძლევს". ამით ერთი რამ მინდა აღვიარო აქ, რაიცა ხშირად გამიფიქრია, ხოლო არ გამომითქვამს. „თეთრი გიორგი" ცოცხალი „ხატია", ქართველთა მისტერიისაგან შობილი. როგორც ასეთი მისი „ყოფადება" მხოლოდ მისტიური გეზით თუ შეიძლება. ამ „ყოფადდებას", ვფიქრობ, მხოლოდ „ორდენის" სახით ძალუძს განსხეულდეს. გაიხსენეთ პითაგორელთა ორდენი, იგი რიცხვმრავალი არ ყოფილა – რადგან ყველას, ძალიან მომდომებულსაც კი, არ შეეძლო გამხდარიყო მისი წევრი. წევრობისათვის საჭირო იყო: მზადება შინაგანი სულითა და გონით, მზადება, არა როგორც „სწავლა" საიდუმლოთა – ეს ყველას შეუძლია. საჭირო იყო: „ხილვა" საიდუმლოთა და „ხილვა" როგორც „წვდენა" სიღრმესი და „წვდენა", როგორც უშუალოდ „დგენა" ხილულისა (ყველაზე უფრო ღრმად ეს გეზი „ქცევისა" დიდმა პლატონმა აცნაურა მსოფლიოს). სულისა და გონის ამ გზით ზრდასთან ერთად საჭირო იყო „ხასიათის" მტკიცება – (გაიხსენონ ქართველებმა გენიალური სტილი ქართული სიბრძნისა: „მტკიცება – „გამაგრება", თანვე – „გაწმენდა": ფქვილს ვწმენდთ ჩვენ „სამტკიცით"). საჭირო იყო „წვართი" ხასიათისა: წვართი ყოველი ღვარძლისაგან „განმწმენდი". ორდენი საიდუმლოებით იყო მოცული – ეს იმისათვის, რომ მისი იდეათა სამთავრო „პროფანებს" არ წაერყვნათ. ეხლა წარმოისახეთ, რომ საქართველოში ამგვარადვე გაიმართა ორდენი „თეთრი გიორგისა". დაინახავთ თვალნათლივ, რომ იგი მართლაც შესძლებს გარდაქმნას შინაგან საქართველოს ყოფა, რაიცა, როგორც ყოველი ყოფა საფრთხესკენაა განხრილი – (ამას იგივე ქართული სიბრძნე გვასწავლის: ყოფა „ცდაა", „ცდაში" „ცდუნებაცაა", „ცდუნება" „ცდუნისაკენ" იხრება, „ცდენა", „აცდენით" ისხლიტება). პოლიტიკურად ასეთი ორდენი „ხელმწიფის" სწორუპოვარ იდეასაგან გამოვა. „ხელმწიფე" არ ჰგულისხმობს მაინცა და მაინც მეფეს, იგი იგულვებს მხოლოდ „მწიფე ხელს": სულ ერთია, იქნება იგი მონარქია თუ რესპუბლიკა თუ კიდევ სხვა რამ. მეტი კიდევ: ამ ორდენის ნევრებს შეუძლიათ იყვნენ სხვადასხვა პარტიებში პოლიტიკურად,

მხოლოდ ერთი განსაზღვრით: თუ ეცდებიან ზეპარტიულ არეში გაიყვანონ ლაშარის ხაზი. ვხედავ: გადავცურდი უტოპიაში. რა ვქნა? ლაშარს თუ შეეხე, უთუოდ „გადაგძლევს".

* * *

მოვაჩუქურთმო დეტალები მიხეილის ხასიათისა? რატომაც არა! ესეც საგულისხმიეროა ფრიად. 1. მიხეილი ოხუნჯია და უყვარს გახუმრება – „თუ გუნებაზეა". ვზივართ ყავახანაში. შემოდის დავით ღამბაშიძე. მოგვკრავს რა თვალს, წევს მაღლა წარბებს და აბრდღიალებული იბადრება მზესუმზირას ღიმილით, მოუჯდება ჩვენს მაგიდას, ვისმენ დიალოგს. მიხეილი: „Я им покажу!" დავითი: „Болваны этакие!" ეს ვარლამ ჩერქეზიშვილის სიტყვარიდანაა. ორივე „სცინებენ" ვარლამს. კილო „ყოფილი" ბატონის, დიდრაჯა მბრძანებლის, რომელსაც საბრძანებელი ოცნებაში შერჩენია. ხმა: ბოხი, ბოლო თითქო „ჩახველებული". მიხეილი: „Сукина порода!" დავითი: „Сволочь!" ანეკდოტი ანეკდოტს მოსდევს. დავითი მოყოლაში მრეობს – აქ ის მაესტროა. სახის მიმიკაში მიხეილი ძლევს – თვითშობილი მსახიობია. ვარლამის აჩრდილი სხეულს ისხამს: თვალწინ იჭრება სერვანტესის რაინდი. რაინდი კიდევ „ისვრის" სიტყვას: სიტყვა „შეკურთხებაა", კიდევ უფრო მაგარი. „Ну и пошёл, дядя!" ამას კრაპოტკინი აწვეთებს – ვარლამს იგი თურმე „дядя "-ს უძახდა. დიალოგი გრძელდება. სიცილი მატულობს, რაიცა სიყვარულია მხოლოდ. 2. ეხლა დავითთან ვზივარ იმავ ყავახანაში. შემოდის მიხეილი – გვიერთდება. „რას მიირთმევ, მიხეილ?" უმასპინძლდება დავითი. „ანსბასხერ" გენაცვალე". დავითი დაუკვეთს. მიხეილი გაზეთებს ეძებს. დავითი მიჩურჩულებს: „ჩემს ჯიბეს არ კითხულობს, ლუდს არ კადრულობს". მიხეილი გვიახლოვდება. „ხმიადი რა დაგიკვეთო?" ეკითხება დავითი. „პრაგენ შინკენ, შენი ჭირიმე". დავითი უკვეთს ამასაც. მიხეილი ყავახანის დიასახლისისაკენ მიეშურება მისასალმებლად. დავითი მაწვეთებს „რა იქნებოდა, უბრალო ძეხვი აერჩია!" ეხლა მეც ვიღიმები. და ასე: უყვარს კარგი სმა-ჭამა მიხეილს – ვის არ უყვარს იგი? მაგრამ:

მიხეილი შიმშილს გადაიტანს და მდარე სასმელს თუ საჭმელს არას გზით არ ინებებს. 3. კვლავ ყავახანაში. მიხეილი დავითს: „როგორ ხარ, ბიჭო?" „გარდაქეშანივით – შენ როგორ ხარ?" მიხეილი: „ძლივს ვაბოგინებ ფეხებს". დავითი თვალს მიქნევს. მიხეილი სატელეფონესკენ მიდის. დავითი: „შენცა და მეც გაგვისტუმრებს იმ სოფელს, დამიჯერე: უყვარს თავისმოკატუნება". ვიცინით ორივე. „სულ ნუწუნებს", უმატებს დავითი. 4. მიხეილმა ხანდახან აკვიატება იცის: „აიჩემებს" რაიმეს და: ვერც რაიმეს დააჯერებ და ვერც გადააჯერებ რაიმეში, ასეთ დროს მე მივმართავ ხოლმე პითაგორელთა ხერხს: არ შევეცილები „პირდაპირ", მხოლოდ „შორიდან" მოვუარ საგანს, თითქოს მის ირგვლივ არც კი იყოს საუბარი. მიხეილი მისმენს: ჯერ შეეჭვებით, მერე გულდასმით და ბოლოს – ან იმ დღეს ან სხვა დღეს – „არბილებს" „ანაჩემებს", ისე, თითქოს ეხლა წამოყო თავი უკანასკნელმა. 5. მიხეილს უყვარს ჩვენი საეკლესიო გალობა და გალობს კიდეც 2 და 3 კაცისაგან შემდგარ გუნდში – სამწუხაროდ მხოლოდ პანაშვიდის გადახდისას (არც საკვირველია: წირვა-ლოცვა ჩვენთვის, გადმოხვეწილთათვის, „პანაშვიდით" ისაზღვრება). 6. მუსიკასაც ეტანება იგი. ყველაზე უფრო იპყრობს მას რიჩარდ ვაგნერი. იცის კიდეც მისი მუსიკა, იცის ნამდვილი განცდით. ვაგნერის ასეთი „მცოდნე" ქართველებში არავინ მეგულვება – არც ამ სტრიქონების დამწერი. 7. მიხეილი ადევნებს თვალყურს ლიტერატურას. აქაც დაკვირვებული და ჩახედულია იგი (აქვე უნდა ვახსენო ზურაბ ავალიშვილიც: დიდი მცოდნე იყო ლიტერატურისა და თანაც ღრმად გამგები). ხშირად უქია მიხეილს ჩემთან რომენ როლანი. „მუსიკიდან მოდის მისი თხრობაო", უთქვამს. „მუსიკა" აქ, რასაკვირველია, არნიშნავს „კეთილ-ხმოვანებას". 8. ისევ ყავახანაში.

შემოდის არჩილ გომართელი. „ბოვუშოო" – ეგებება მიხეილი ღიმილით. ეს „პაროლია" საპაექრო. იმართება სწორუპოვარი „აკამათლება", ზემოიმერული კილოსი. აქ არჩილი სჯობნის მიხეილს, რომელსაც ეს კიდეც უხარია. ეხლა მეგრელი გამოჩდნება, მიხეილი აკნინებს და გადადის მეგრულში. „სქანი" და „პატენი" ერთი მეორეს ეცილებიან, როგორც ყვინჩილები ვარიების წრეში. მიხეილს აქ ვუკოლ ბერიძე თუ გაეტოლება.

გიორგი დეკანოზიშვილი (წინ), არჩილ ჯორჯაძე (მეორე რიგში, მარცხნივ), მიხაკო წერეთელი, იოსებ გობეჩია (მესამე რიგში, მარცხნიდან პირველი), კომანდო გოგელია და ვარლამ ჩერქეზიშვილი (1912 ნელი).

ანაზდეულად გურულიც შემოყოფს თავს. მიხეილი სხაპასხუპით: „ასტარანას როგორ ყიდი, ძიაუ, ასტარანას კასტარანას? ეს ჩემთვის ესპერანტოა. ნიშნავს თურმე: „ის ტარანს, კარგს ტარანს". ეხლა მეც მოვდივარ „ეშხში" ვყვები აკაკისაგან გაგონილ ანეკდოტს. სოლომონ მეფეს კბილი ასტკივდა – დარბაისელნი „ართობენ". ამირეჯიბი თუ ამილახორი: „მაგითანა კბილს კიი" – ბოლო უცენზუროა. ეხლა წერეთელი: „აგრე მოგიხთება!" პაუზა – გაოცების. შემდეგ მოსხლეტით: „აქეთ იძალოს ეცი, იქით ვიღაც ძაღთაპირს – აბა რა კბილი გაგიძლებდა?!" ვიცინით: იქ „ქართლელი", აქ „იმერელი" „ეშხში მოსვლა აბა მე მკითხეთო – ამას დავითი თუ ფიქრობს და იწყებს მოყოლას, რამაც ცენზურა არ იცის. ქართველ ხალხს „უცენზუროს" „მოდაღვაში" არა მგონია რომელიმე პოეტი შეედაროს, იყოს იგი თუ გინდ გენიოსიც.

ეხლა მიხეილი ბავარიაში იმყოფება, სადღაც მივარდნილ კუთხეში, ზის ალბათ პატარა ოთახში ვითარ განდეგილი სენაკში.

სადღაა ის შეხვედრანი? სადღაა ის ხალისი? ზის განმარტოებული და სდუმს როგორც მარტვილი. დაღონებულია, დამწუხრებული, სდუმს: მხოლოდ გულისცემას უგდებს ყურს – (გული სასწაულს მოელის ყოველთვის). იღვენთება: აგონდება საყვარელი ვაჟი, ერთადერთი შვილი, ომის ორომტიალში უკვალოდ დაკარგული ხმაური მოესმის – კარებისაკენ მიაქცევს თვალს. გული ამოვარდნას აპირებს – (ვინ იცის: ეგებ უეცრად ძველებურად შემოანათოს ოთარმა). არავინაა – სულში ფართოვდება სიცარიელ. „ვაი მე, შვილო!“ აღმოხდება საცოდავ მამას. იწმენდს ცრემლებს. თავს იმაგრებს კიდევ. შემდეგ მაგიდას მიმართავს. იქ ჟურნალი დევს ასსიროლოგიისა. ფურცლავს მჭნარი თითებით. კითხულობს. გადადის ნელინელ ათასწლებში. ალაგალაგ შუმერული სიტყვა ამოყოფს თავს – სიტყვაში ციალობს ცინცხალა ფესვი ქართულისა. ეხლა საქართველოს ძირებში იძირება მკვლევარი, („განდეგილი“ ეხლა „ივერონის“ მარტვილს მაგონებს, გიორგი მთაწმინდელს – სახეც მიუგავს ეხლა, მოხუცებულობაში, შეუდარებელ სახეს ქართული წმინდანისა, ლოცვებში შინაგან ანთებულისა) ჟურნალს განზე გადადებს. შემდეგ წვდება ტექსტს „ვეფხის ტყაოსნისა“, მის მიერ დაწმენდილს და განმტკიცებულს – („წმენდა“: „სამტკიცი“). ერთხელ კიდევ გადახედავს მას. შემდეგ გადასინჯავს კვლავ ტექსტის გერმანულ პროზაულ თარგმანს, მის მიერვე შესრულებულს. შრომისთვის თავსდაურთვია სიტყვარი – ამასაც განიხილავს ხელმეორედ. ბოლოს შეუდგება ტექსტს „ჟამთააღმწერელისა“ – სწორუპოვარს სამატიანო მწერლობაში. ეხლა იფესვება „ქართლის ცხოვრებაში“: ღრმა ჩახედვით და ნელად აღვივებული სიყვარულით. „ცხოვრებაი ქართლისაი“ ზედაშეა მისთვის – ეზიარების მას. გულდათუთქული იფერფლება საქართველოს მარადიულ ქვეფენებში. ფენები იშმუშნებიან მასში – თვითონაც იშმუშნება, როგორც შავარნა – („შავარნა: მზისაგან დამჭნარი მხალი რა მოირწყოს, აცოცხლდეს“, გვიხსნის საბა). მხრებში იმართება. მამულის ფესვებიდან ამოდის ეხლა, ვითარ ახლადშობილი.

და მაინც: გული აღარ უხარის, გულს არჩენს მხოლოდ გული. არის სადმე ასეთი გული, გადაიხსნას მრჩენელად მისი გულისა? ქართველნი გულმავიწყნი არიან: გულმავიწყნი – რადგან უდარდელნი; უდარდელნი – ვინაიდან მზიური ჯიშისა („გულმავიწყობა“ არც ისე დასაძრახისია: ეს რომ არ გვქონოდა, შესაძლოა, ვერც გადაგვეტანა ამდენი უბედობა, საუკუნეებში თავსდატეხილი!). „მავიწყია“ ქართველის გული, ხოლო: თუ ამ გულს ერთი ნაპერწკალი მოხვდა მეორე გულის ცეცხლიდან, მაშინ-მაშინ არც ერთს გულს ქვეყანაზე არ ძალუძს წყაროს ხალასი თვალივით გადაეხსნას სხვა გულს, როგორც მას: გადაეხსნას გახარებად და გასახარებლად? (ტყუილად კი არ მოეპოვებათ ქართველ მათს გენიალურ სიტყვაში ეს უგენიალესი სიტყვაც: „გული“. როგორ ვადარო მას, შინაგანი პლასტიური ხმიერებით: ლათინური Cor ან ფრანგული Coeur ან გერმანული Herz ან რუსული Сердце?). ამ „ბარდულში მოგონებათა“, ვფიქრობ – ხელხლებულია კერა, საცა ყუდროდ ღვივა ქართული ცეცხლი. დარწმუნებული ვარ: ორიოდე ნაპერწკალი მისი ჩემს თანამემამულეთ მოხვდებათ და მჯერა: მათი გულები გადაიხსნებიან დღეს მიხეილის დათუთქული გულის მიმართ. სიტყვა შესაძლოა, საჭიროც აღარ იქნეს – გული უმართლესი სიტყვაა თვითონ.

გრიგოლ რობაქიძე

ნოემბერი 1948. ჟენევა.

კრებული „გრიგოლ რობაქიძე“, მიუნხენი, 1984, გვ. 129-138.

საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი პირველი მსოფლიო ომის დროს

(მასალა ისტორიისათვის)

პირველი მსოფლიო ომის დროს საზღვარგარეთ არსებული საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის სრული თავგადასავალი დღემდე არავის გამოუქვეყნებია. მისი მოღვაწეობა კი იმდენად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ჩვენი ქვეყნის განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიაში, რომ დანაშაული იქნებოდა მისი დავიწყება და სათანადოდ არ აღნიშვნა. ჩვენ ვცადეთ აღგვედგინა მთლიანი სურათი ამ ორგანიზაციის საქმიანობისა მისი ცოცხლად დარჩენილი უკანასკნელი წევრის ბ-ნ პროფ. მიხეილ წერეთლის დახმარებით, რომელსაც აქ ქვემოდ ვაქვეყნებთ.

საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი დაარსდა შვეიცარიაში, ქ. ჟენევაში, ომის გამოცხადებისთანავე, 1914 წელს.

პირველი მისი წევრები იყვნენ: პეტრე სურგულაძე, ლეო და გიორგი კერესელიძენი და ნესტორ მაღალაშვილი. კომიტეტის თავმჯდომარე პეტრე სულგულაძე იყო წევრი იმ დამოუკიდებლობის ჯგუფისა, რომელის არსებობდა საქართველოში 1909-1910 წელს და რომელშიც შედიოდენ: იაკობ გოგებაშვილი, ფილიპე გოგიჩაიშვილი, სვიმონ ყიფიანი, ალექსანდრე ყიფშიძე, მიხეილ წერეთელი,

პეტრე სურგულაძე

მიხაკო წერეთელი, 1915 წ.

გიორგი გვაზავა, ვალერიან გუნია, ნიკო ლორთქიფანიძე და სხვ. მათი ურგანო იყო „ერი“, რომელიც ცეზურისაგან დევნის გამო სხვა და სხვა სახელით გამოდიოდა და გაბედულად მოითხოვდა საქართველოს სუვერენობის აღდგენას.

1910 წელს ქართველი ნაციონალისტები დიდ დევნას განიცდიდენ. ამიტომ პეტრე სურგულაძე გადასახლდა ჟენევაში, სადაც მან განაახლა დამოუკიდებლობის ჯგუფის მუშაობა ძმ. კერესელიძეებთან ერთად და დააარსა გაზეთი „თავისუფალი საქართველო“ მიხეილ წერეთელი ამ დროს ლონდონში იყო; იგი უკავშირდება ჟენევაში მომქმედ ქართველთა ჯგუფს და თანამშრომლობს მათ გაზეთში. ხოლო 1911 წლიდან 1914 წლამდე იგი ჰაიდელბერგშია და იქიდან განაგრძობს თანამშრომლობას ჟენევის ჯგუფთან. გიროგი მაჩაბული კი ბერლინში ცხოვრობს და კავშირშია მიხეილ წერეთელთან და ჟენევის ჯგუფთან; ომის დაწყების წინ იგი ბელგიაში გადასახლდება. ომის გამოცხადებისთანავე ჟენევის დამოუკიდებლობის კომიტეტი იჭერს კავშირს გერმანიის პოლიტიკურ წარმომადგენლობასთან, რომელიც საგარეო საქმეთა სამინისტროს თანხმობით ქართველებთან ერთად იმუშავებს მთელ გეგმას კომიტეტის მუშაობისა. ჟენევიდან ბერლინში გადმოსახლებული საქართველოს დამოუკიდებლობის კომტეტი წარუდგება გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მუშაობის საბოლოოდ დასამტკიცებლად. აქ იქმნა დადებული ერთნაირი ხელშეკრულება გერმანიის მთავრობასა და ქართულ კომიტეტს შორის, სადაც იყო დაპირება გერმანიის მთავრობის მიერ სა-

გიორგი მაჩაბელი

ქართველოს სუვერენობის ცნობისა, თუ გერმანია გაიმარჯვებდა და საქართველოს მიეცემოდა შესაძლებლობა დამოუკიდებლობის გამოცხადებისა. იყო აღთქმული აგრეთვე ყოველნაირი დახმარება კომიტეტის მუშაობისათვის.

მთავარი მაწარმოებელნი ქართული საქმისა გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროში იყვნენ: მომხსენებული – მრჩეველი რუდოლფ ნადოლნი, ამავე დროს გენერალური შტაბის პოლიტიკური სექციის უფროსი, და „ლეგაციის სეკრეტარი" ოტო გიუნტერ ფონ ვეზენდონკ, რომლებსაც უდიდესი ღვაწლი მიუძღვით ქართული პრობლემის შესწავლის საქმეში და მთავრობასთან მის დაცვაში.

ლეო კერესელიძე

გერმანიის მთავრობასთან შეთანხმების დადების შემდეგ დამოუკიდებლობის კომიტეტი მიემგზავრება სტამბოლს ოსმალეთის მთავრობასთან მოსალაპარაკებლად.

საინტერესოა, რომ სრულიად დამოუკიდებლად ქართული კომიტეტისა, რომლის წევრი იგი მაშინ არ იყო, გიორგი მაჩაბელსაც ჰქონია შემუშავებული იგივე გეგმა, რომელიც ჟენევის ჯგუფმა გერმანიის მთავრობას წარუდგინა. ამ გეგმით გ. მაჩაბელი მივიდა ფელდმარშალ ფონ დერ გოლცთან, რომელიც მაშინ დაპყრობილი ბელგიის გუბერნატორი იყო. ფელდმარშალმა აღტაცებით გაიზიარა მაჩაბლის გეგმა და თავისი ავტომობილით გააგზავნა იგი გერმანიაში. გიორგი მაჩაბელმა გაიარა ჰაიდელბერგში მიხეილ წერეთელთან და ორივენი დაუყოვნებლივ გაემგზავრენ ბერლინს. საგარეო საქმეთა სამინისტროს მოხელეებმა იგინი მაშინათვე მიიღეს და ერცელი მოლაპარაკება გამართეს მათთან საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტთან უკვე შემუშავებული და დადგენილი გეგმის განხორციელების შესახებ.

ენვერ-ფაშა, ოსმალეთის სამხედრო მინისტრი, რომელთანაც მოლაპარაკებას აწარმოებდა დამოუკიდებლობის კომიტეტი

გერმანელების რჩევით გ. მაჩაბელი და მ. წერეთელი გაემგზავრენ კონსტანტინოპოლს და იქ შეხვდენ პეტრე სურგულაძეს, ლეო და გიორგი კერესელიძეებს და ნესტორ მაღალაშვილს. დამოუკიდებლობის კომიტეტი გაფართოვდა. მას მიემატენ: გიორგი მაჩაბელი, მიხეილ წერეთელი, მელიტონ ქარცივაძე, ზია ბეგ აბაშიძე და შალვა ვარდიძე. შემუშავდა საბოლოოდ კომიტეტის წესდება და მუშაობის გეგმა. თურქეთის მთავრობამაც აღუთქვა კომიტეტს ცნობა საქართველოს დამოუკიდებლობისა გამარჯვების შემთხვევაში და იგივე დახმარება, რასაც გერმანიის მთავრობა დაჰპირდა.

გრაფი ფონ დერ შულენბურგი და გენერალი ფონ კრესენშტაინი

კომიტეტი შეუდგა მუშაობის გეგმის განხორციელებას. უპირველესი ამოცანა იყო ქართული ლეგიონის დაარსება ოსმალეთში, რომლისთვისაც მას ეხმარებოდა გერმანია. კომიტეტს სურდა რუსეთის წინააღმდეგ აშკარა მონაწილეობის მიღება სამხედრო მოქმედებაში. ლეგიონის სამოქმედო ადგილად არჩე-

ულ იქმნა ჭანეთი (ლაზისტანი), სახელდობრ, ვიწე, რომელიც ომის გამოცხადების დროს უახლოესი ადგილი იყო ფრონტიდან.

ლეგიონის შედგენის საქმე დაევალათ ლეო კერესელიძეს და გერმანელ ოფიცერს კიშკეს, რომელიც, ასე ვთქვათ, სამხედრო ატაშე იყო ქართულ კომიტეტთან. ხოლო პოლიტიკურ ატაშედ იყო დანიშნული ბ-ნი მოზელ, ორივენი ბოლომდე დარჩენ ქართულ კომიტეტთან და მუშაობდენ მასთან.

ლეო კერესელიძემ სცადა ქართული ლეგიონის შედგენა მაჰმადიან კავკასიელთა ერთად შეყრით: ქართველთა, ლეკთა და სხვათა, და მცირე ხნის შემდეგ შეიქმნა პატარა რაზმი, დაახლოვებით 70 კაცისაგან შემდგარი და სათანადოდ გაწრთვნილი. ეს იყო საფუძველი, რომელზედაც უნდა აშენებულიყო ქართული ლეგიონი.

შალვა ვარდიძე „წმ. თამარ მეფის ორდენით“

ჯერ კიდევ ომი არ იყო გამოცხადებული რუსეთსა და ოსმალეთს შორის, რომ ეს ახლად დაარსებული პატარა ქართული ლეგიონი აითვალისწუნეს თურქებმა, განსაკუთრებით მათმა პოლიტიკურმა კომისიამ, რომელიც თურქეთის ჯართან იყო და დავალება ჰქონდა ქართულ კომიტეტთან მუდმივ კონტაქტში ყოფილიყო.

როგორც შემდეგ გამოირკვა, თურქებს თავისი განსაკუთრებული მიზნები ჰქონდათ. გამარჯვების შემთხვევაში მათ სურდათ სამუსლიმანო საქართველოს შეერთება და ამიტომ ეშინოდათ ქართული სამხედრო ძალის შექმნისა, რომელიც შევიდოდა საქართველოში თუ არა, წინ გადაეღობებოდა თურქების ამ მიზანს. ეს იყო მიზეზი იმისა, რომ ერთ ღამეს ვიღაც უცნობმა ნავთი გადაასხა და ცეცხლი მოუკიდა იმ სახლს, სადაც კომიტეტის წევრებს და მათთან მივლინებულ გერმანელებს ეძინათ. მათ საბედნიეროდ, მოზელს არ ეძინა, რომელსაც უძილობის ავად-

მყოფობა ჰქონდა. სწრაფლ წამოვარდა ზეზე, გააღვიძა მძინარე ხალხი და ყველა გადაარჩინა, სახლი კი საძირკვლამდის დაიწვა.

ცოტა ხნის შემდეგ გამოცხადდა რუსეთსა და ოსმალეთს შორის ომი. ჭანთაგან შემდგარი მოხალისეთა რაზმი თურქეთის ჯარის ნაწილებთან ერთად შეიჭრა რუსეთის ტერიტორიაზე, დაიჭირა უმეტესი ნაწილი აჭარისა და წამოიყვანა ტყვეთ ართვინის ოლქის უფროსი და ასზე მეტი ყაზახი.

ქართულ პატარა რაზმს ამ სამხედრო მოქმედებაში მონაწილეობა არ მიუღია. ასეთი იყო თურქების სურვილი. მათ არ სურდათ, როგორც თქმული იყო, ქართველებს საკუთარი სამხედრო ძალა ჰყოლოდათ და სამხედრო მოქმედება გამოეჩინათ. ეს მდგომარეობა ნათლად გაითვალისწინა ქართულმა კომიტეტმა და სასწრაფოდ გაგზავნა მიხეილ წერეთელი სტამბოლს, რომ გერმანიის საელჩოს ჩარევით თურქებს აესრულებინათ დაპირება: მიეცათ უფლება და შესაძლებლობა ქართული კომიტეტისათვის ლეგიონის შედგენისა.

ჩავიდა თუ არა სტამბოლში, მიხეილ წერეთელმა ინახულა გერმანიის ელჩი ბარონ ფონ ვანგენჰაიმი, გააცნო მას საქმის ვითარება და სთხოვა დახმარება თურქებთან. ამავე დროს ოსმალეთში იმყოფებოდა ფელდმარშალი ფონ დერ გოლც, დიდი სამხედრო მეცნიერი და პირველი შემქმნელი ევროპულად გაწრთვნილი ოსმალეთის მხედრობისა.

ქართულ კომიტეტის ატაშე კიშკესთან ერთად მ. წერეთელმა სთხოვა აუდიენცია ფელდმარშალს, რომელმაც მართლაც მამაშვილურად და პატივით მიიღო ისინი, – როგორც გადმოგვცემს ბ-ნი პროფესორი, – მან ქართველ კაცს დიდი და ღრმა ყურადღებით მოუსმინა და უთხრა შემდეგი: – დარწმუნებული იყავით, რომ თურქებს მე დავითანხმებ თქვენ შესაძლებლობა მოგეცეთ ქართული ლეგიონის შედგენისა და მოქმედებისა მათ ტერიტორიაზე, მაგრამ ეს არ კმარა. უდიდესი მნიშვნელობა აქვს წმინდა პოლიტიკურ მუშაობას და პროპაგანდას ბერლინში, სადაც დღეს, როგორც გავიგე, არც ერთი წევრი თქვენი კომიტეტისა არ იმყოფება. აუცილებლად საჭიროა კომიტეტის ერთი ნაწილის

ბერლინში წასვლა და საგარეო საქმეთა სამინისტროსთან ერთად თქვენი ქვეყნის საქმისათვის მუშაობა. მხოლოდ გაძლევთ ერთ რჩევას: არამც და არამც არ გასწიოთ საქართველოში პროპაგანდა ქართველი ერის ასაჯანყებლად. არ დაგავიწყდეთ, რა ბედი ეწია სომხეთს ოსმალეთის ტერიტორიაზე რუსეთის შემოსვლის

გენერალი ლეო კერესელიძე და ლეგიონერები, 1915 წ.

დროს აჯანყების გამო. თქვენი პრობლემა არის წმინდა პოლიტიკური. არავითარი მნიშვნელობა არ შეიძლება ჰქონდეს ამ უზარმაზარ მსოფლიო კონფლიქტში თქვენ სამხედრო ძალას. გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ უნდა სცნოს პოლიტიკური მნიშვნელობა საქართველოსი და კავკასიის ერთა დამოუკიდებლობისა გერმანიისათვის, და ეს არის ნამდვილი საფუძველი თქვენი პოლიტიკური მუშაობისა და მოქმედებისა გერმანიაში-ო.

თანახმად ფელდმარშალის რჩევისა კომიტეტის წევრები: მიხეილ წერეთელი და გიორგი კერესელიძე ბერლინში გადასახლდენ. მათ მიემატა მალე თბილისიდან დაბრუნებული გიორგი მაჩაბელი, რომელიც გაგზავნილი იყო საქართველოში გასაგებად იმისა, თუ რა სულისკვეთება იყო ჩვენში, როგორ უყურებდენ

მსოფლიო კონფლიქტს ქართული პოლიტიკური წრეები, რა შეხედულება და მიზნები ჰქონდათ მათ საქართველოს მომავალზე. გიორგი მაჩაბელმა საქართველოდან ფრიად საინტერესო და სანუგეშო ცნობები ჩამოიტანა. იქ უკვე ცნობილი იყო დამოუკიდებლობის კომიტეტის მუშაობა გერმანიაში და ბევრი ქართველი

„წმ. თამარ მეფის ორდენი", რომელიც დაწესებულ იქნა 1915 წელს გერმანიის სარდლობისა და დამოუკიდებლობის კომიტეტის მიერ. ამ ორდენით, დამოუკიდებლობის კომიტეტის სხვა ლიდერებთან ერთად, 1918 წელს დაჯილდოვდა პროფესორი მიხეილ (მიხაკო) ნერეთელიც.

დიდ იმედებსაც ამყარებდა ამ მუშაობაზე: თვით ის პოლიტიკური პარტიებიც კი, რომელნიც დიდ სიფრთხილეს იჩენდენ, რადგანაც ეეჭვებოდათ გერმანიის გამარჯვება, მტრულად არ უყურებდნენ ბერლინის კომიტეტს. ცნობილია, რაც უთხრა ნოე ჟორდანიამ გიორგი მაჩაბელს – დაბრუნდით გერმანიაში, თქვენმა კომიტეტმა იქ იმოქმედოს იმ ხაზით და პროგრამით, რომელიც თქვენ გაქვთ; ჩვენ კი აქ ვიმუშავებთ. ვნახოთ რა იქნება-ო.

ხოლო ეროვნულ-დემოკრატიულმა ჯგუფმა – დათა ვაჩნაძემ, სპირიდონ კედიამ, შალვა ქარუმიძემ, რევაზ გაბაშვილმა და სხვებმა – პირდაპირ სურვილი განაცხადეს კომიტეტთან საიდუმლო თანამშრომლობისა და მასთან კავშირის გაბმისა.

თბილისიდან ზურგ-გამაგრებული გიორგი მაჩაბელი ჩავიდა პეტერბურგს, მოაწყო იქ კომიტეტის დამხმარე საიდუმლო ორგანიზაცია, რომლის ხელმძღვანელად დააყენა თავისი ძმა ნიკო მაჩაბელი, შეიფიცა იქვე ვასო დუმბაძე, რომელიც შემდეგ ხშირად

ჩამოდიოდა საიდუმლოდ ბერლინში და უზარმაზარი სამსახური გაუწია ქართულ საქმეს.

პეტერბურგში შეხვდა გიორგი მაჩაბელი პროფესორ ალექსანდრე ცაგარელს, რომელიც აღფრთოვანებული იყო ქართული კომიტეტის დაარსებით და მათი საქმიანობათ და სთხოვა გიორგი მაჩაბელს თან წამოეყვანა იგი ბერლინში კომიტეტთან სათანამშრომლოდ: – აუარებელი მეგობრები მყავს გერმანიაში და დიდი სარგებლობის მოტანა შემიძლია თქვენთვის-ო.

რასაკვირველია, გიორგი მაჩაბელმა თავს არ იდვა ასეთი პასუხისმგებლობა და მხცოვანი პროფესორი არ წამოიყვანა, თვითონ კი დაბრუნდა ბერლინს სტოკჰოლმის გზით.

სტოკჰოლმი გახდა ამის შემდეგ შესახვედრი ადგილი ბერლინის ქართული კომიტეტისა და საქართველოში მომქმედ ძალთა შორის.

ბერლინში კომიტეტის მუშაობა ორ უმთავრეს საქმეზე ნარმოებდა: ქართველ ტყვეთა გამოყოფა უზარმაზარი რუსის ტყვეთა ლაგერებიდან და მათზე ზრუნვა, მეორე – პროპაგანდა გერმანულ საზოგადოებაში და ქართული საკითხის გატანა არა მარტო გერმანულ საზოგადოებაში, არამედ ყველგან, სადაც კი შესაძლებელი იყო – ბროშურებისა და პრესაში გამოქვეყნებული წერილების საშუალებით და სხვა.

მიხეილ წერეთელს ჰქონდა მინდობილი განსაკუთრებით პროპაგანდის საქმე, გიორგი კერესელიძეს – რედაქტორობა ტყვეებისათვის დაარსებული გაზეთისა, ხოლო გიორგი მაჩაბელს – კომიტეტის საგარეო საქმეთა ხელმძღვანელობა, როდესაც იგი ბერლინში იყო. მას მუდმივი კავშირი ჰქონდა გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან.

პროპაგანდის გარდა მიხეილ წერეთელს დავალებული ჰქონდა გერმანიის სამხედრო უწყებისაგან ტყვეების ლაგერთა ნახვა მთელს გერმანიაში და ავსტრიაში და თუ კიდევ სადმე არ იყვნენ ქართველები გამოყოფილნი რუსებისაგან, მათი გამოყვანა და მოწყობა. მ. წერეთელმა დაათვალიერა ყველა ლაგერი როგორც ჯარისკაცების, ისე ოფიცრებისა. უმეტესი ნაწილი ქართველე-

ბისა უკვე გამოყოფილი იყო და ისინი ცხოვრობდენ ცალკე ლაგერებში. მათი მდგომარეობა, შედარებით სხვა რუსის ტყვეებთან, უკეთესი იყო. ხოლო რაც შეეხება მათ პოლიტიკურ განწყობილებას, უნდა ითქვას შემდეგი: უმეტეს ნაწილს არ სწამდა გერმანიის გამარჯვება. ამიტომ ძნელი იყო მათთვის წინადადების მიცემა ქართულ ლეგიონში ჩაწერისა, თუმცა სრულებით არ იყვნენ განწყობილნი ქართული კომიტეტის წინააღმდეგ, შენიშნა რა ასეთი სულისკვეთება ქართველი ჯარისკაცებისა, მიხეილ წერეთელს არ მიუცია მათთვის წინადადება ლეგიონში შესვლისა. უხნიდა მათ მხოლოდ ქართული კომიტეტის მუშაობის მნიშვნელობას და საქართველოს დამოუკიდებლობის შესაძლებლობას.

ოფიცერთა შორის განწყობილება კი უფრო სხვა იყო. ისინი უმთავრესად განათლებული პატრიოტები იყვნენ და დიდ ინტერესს იჩენდნენ ქართული კომიტეტის მიმართ, რომლის მუშაობაზე საუბარს გაბრწყინვებული სახით უსმენდენ. განსაკუთრებული აღფრთოვანებით შეხვდენ მიხეილ წერეთელს ერთ ლაგერში 4 ოფიცერი და 4 უნტეროფიცერი, რომლებმაც განაცხადეს, რომ გაგონილი ჰქონდათ ქართული კომიტეტის არსებობა და სურდათ მასთან მუშაობა: ამიტომ განგებ ჩავარდენ ტყვეთ. ესენი იყვნენ: ელიზბარ კიკნაძე, ლორთქიფანიძე, ოქროპირიძე, ტატიშვილი, წერეთელი, მძინარიშვილი და სხვები (სამწუხაროთ ბ. მიხეილს არ ახსოვს სახელები). ქართულ ლეგიონში ჩაწერის სურვილის განცხადებისთანავე ყველანი გაგზავნილ იქმნენ ოსმალეთში, გარდა მძინარიშვილისა, რომელიც კომიტეტმა დატოვა ბერლინში სხვა და სხვა დავალებებისათვის.

ავსტრიის ერთ ლაგერში ქართული კომიტეტის წარმომდაგენელს გენერალი შაქრო ბაქრაძე შეხვედრია: საუკეთესო მედლებით მკერდ-მოჭედილი, შესანიშნავი ვაჟკაცი გულდასმით მისმენდა, ბოლოს ცრემლი გადმოუვარდა და მითხრა: – ოღონდ კი განთავისუფლებული საქართველო ვიხილო და ჩემი ცხოვრების მიზანი მიღწეული იქნებაო, – მოგვითხრობს მ. წერეთელი.

გერმანიის მთავრობამ უფლება მიანიჭა ქართულ კომიტეტს შეეკრიბა აგრეთვე ის ქართველები, რომელნიც გერმანიაში ჩარ-

ჩენ ომის გამოცხადების გამო. ესენი ლაგერებში არ იჯდენ, არამედ ცხოვრობდენ სხვა ადგილებში პოლიციის უბრალო ზედამხედველობის ქვეშ. კომიტეტმა თავი მოუყარა მათ და ყველანი ბერლინში ჩაიყვანა. მათ შორის იყვნენ: კონსტანტინე გამსახურდია, რაფიელ ნიჟარაძე, ალექსი ანჯაფარიძე და სხვანი. განთავისუფლება შესთავაზეს აგრეთვე იმ დროს ლაიპციგში მცხოვრებ ლადო დარჩიაშვილს, რომელმაც კომიტეტს უპასუხა შეურაცმყოფელი და გერმანიისადმი ზიზღით აღსავსე წერილით. მოითხოვდა მასთან არავითარი კავშირი არ დაეჭირათ. საერთოდ გერმანელები ანთავისუფლებდენ ზედა-მხედველობისაგან ყოველ ქართველს, ვინც განაცხადებდა, რომ ის დგას საქართველოს დამოუკიდებლობის ნიადაგზე და სურს მისთვის მუშაობა.

ქართული საქმის პროპაგანდამ ბერლინში დიდი ნაყოფი გამოიღო. საქართველოს დამოუკიდებლობას აუარებელი თანამგრძნობი გაუჩნდა არა მარტო პოლიტიკურ წრეებში, არამედ ცნობილ მხედართა, მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადოების სხვა გავლენიან პირთა შორის, რასაც დიდი გავლენა ჰქონდა თვით საგარეო საქმეთა სამინისტროზედაც. დაარსდა გერმანულ-ქართული საზოგადოება, რომელშიც შედიოდენ ცნობილი იურისტები საერთაშორისო სამართლისა ფრანც ფონ ლისტის თავმჯდომარეობით, რომელიც იყო მუდმივი დამცველი საქართველოს უფლებათა. ხოლო საზოგადოების მდივანი იყო გერმანელი ებრაელი დევის ტრიჩ, დიდი იდეალისტი, სიონისტი, ამავე დროს გერმანიის პატრიოტი, დიდი განათლების კაცი. იგი უდიდეს დახმარებას უწევდა ქართულ საქმეს გერმანიაში. იყო ნიჭიერი მწერალი, თუმცა უმეტეს წილად ებრაულ საკითხებზე სწერდა. მაგრამ ამავე დროს ის იყო დიდი მომხრე და დამცველი ყველა დაჩაგრულ ერთა უფლებებისა. დევის ტრიჩს ხშირად უთქვამს ხოლმე ქართველებისათვის: – მე ვარ სიონისტი, რომელიც დიდი ხნიდან მთელ ჩემს ძალას და ღონეს ვნირავ ამ მოძრაობას; ჩემი იდეალია, რომ ებრაელთა ერი გახდეს გლეხთა ერი, პურის მთესველი და მომყვანი თავის უძველეს სამშობლოში. ამით გადაწყდება ებრაელთა საკითხი და ჩვენს ერს მსოფლიოში პატივი

და სიმპატიები ექნება-ო. ამით აიხსნება ჩემი თანაგრძნობა და მეგობრობა ყველა დაჩაგრულ ერთა მიმართ, და განსაკუთრებით ქართველებთან, რომლებთან თანამშრომლობა მე ბედმა მარგუნა-ო.

ბერლინში მუშაობდა ომის დროს მრავალი კომიტეტი არა მარტო რუსეთის, არამედ ანტანტის მიერ დაჩაგრულ ყველა ერებისა. აქ იყვნენ პოლონელები (პილსუდსკის ლეგიონი), მათი კომიტეტის თავმჯდომარე ლემპინსკი. ფინლანდელები, რომელთა კომიტეტი სტოკჰოლმში არსებობდა, ხოლო განყოფილება ბერლინში ჰქონდათ. კომიტეტის თავმჯდომარე იყო დიდად ცნობილი მოღვაწე კონი ცილიაკუს, რომელთან გიორგი დეკანოზიშვილს ჰქონდა საქმე იაპონიის ომის დროს. უკრაინელების კომიტეტი, ბელორუსებისა, ინდოელების, ეგვიპტელების და სხვა და სხვა. აზერბაიჯანელებს და მთიელებს ცალკე კომიტეტები არ ჰყავდათ, ისინი მუშაობდენ ქართულ კომიტეტთან ერთად.

ჩვენ გერმანელ მეგობართა შორის იყო ბალტიელი ბარონი ფონ დეს როპპ, რომელიც დიდი მომხრე იყო რუსეთის მიერ დაჩაგრულ ერთა თავისუფლებისა. მისი ინიციატივით და რჩევით ხშირად იკრიბებოდენ ერთად რუსეთის დაჩაგრულ ერთა კომიტეტები, რომ განსაზღვრულ მომენტში ერთად გამოსულიყვნენ მთელ მსოფლიოს წინაშე თავიანთ ერების უფლებათა დასაცავად.

ერთხელ როპპმა დაიბარა ყველა წარმომადგენლები კომიტეტებისა და მათ შემდეგი წინადადება მისცა: – უნდა გამოიცეს წიგნი, სადაც აღწერილი იქნება დაწვრილებით რუსეთის მიერ დაჩაგრულ ერთა მდგომარეობა. მათი ტრაღედია, რასაკვირველია, ყველანი დათანხმდენ, დაამზადეს მოკლე ისტორია თავიანთ ერთა და გამოიცა დიდი წიგნი სახელით: „იცნობთ თქვენ რუსეთს?", – გერმაუნლად, ფრანგულად და ინგლისურად.

მთელმა ამ პროპაგანდამ ისეთი გავლენა მოახდინა გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროზე, რომ ყველა დაჩაგრულ ერთა წარმომადგენლებს მიეცა წინადადება და შესაძლებლობა წასულიყვენ ლოზანაში „ერთა კავშირის" მესამე კონგრესზე და-

სასწრებლად. 1916 წ. კონგრესის მომწვევი იყო ამ საერთაშორისო ორგანიზაციის მთავარი კომიტეტი, რომელიც პარიზში არსებობდა. ბერლინში მყოფ ანტანტის მიერ დაჩაგრულ ერთა წარმომადგენლებში: ინდოელებმა, ეგვიპტელებმა, ირლანდიელებმა, ფინლანდიელებმა, პოლონელებმა, უკრაინელებმა, ქართველებმა და სხვებმა განაცხადეს სურვილი კონგრესზე დასწრებისა, გაემგზავრენ ლოზანაში და წარსდგენ რა კონგრესის ორგანიზატორთა წინაშე, მოითხოვენ კატეგორიულად უფლება დასწრებისა და თავიანთ ეროვნულ მოთხოვნილებათა წარდგენისა. კონგრესის ორგანიზატორები იძულებულნი გახდენ მათი მოთხოვნა დაეკმაყოფილებიათ.

დაინყო კონგრესი და ანტანტის მიერ განზრახული დემონსტრაცია ცენტრალურ სახელმწიფოთა წინააღმდეგ, გადაიქცა უზარმაზარ დემონსტრაციად თვით ანტანტის დაჩაგრულ ერთა, განსაკუთრებით ინგლისისა და რუსეთის წინააღმდეგ.

წარმოსთქვეს სიტყვები წარმომადგენლებმა: ინდოეთისა, ირლანდიის, ფინლანდიისა, პოლონეთისა, საქართველოსი და სხვა ერთა. – სიტყვები, რომლებიც წარმოადგენდენ უდიდეს საბრალმდებლო აქტებს, სადაც მხილებულნი იყვნენ რუსეთისა და ინგლისის იმპერიები ერთა დამღუპველ და ერთა მომსპობ მათ პოლიტიკაში.

განსაკუთრებული შთაბეჭდილება დასტოვა საქართველოს წარმომადგენლის მიხეილ წერეთლის სიტყვამ, რომელმაც აღნიშნა რუსეთის მიერ საქართველოს მიმართ ჩადენილი დანაშაულებანი ვახტანგ მეექვსედან დაწყებული უკანასკნელ დღემდე რუსეთის ბატონობისა საქართველოში. საქართველოს მრავალჯერ განადგურება თურქთა და სპარსთა მიერ რუსეთის პროვოკაციისა და მოტყუების შედეგად, ერეკლე მეფისა და ეკატერინე მეორეს მიერ 1783 წელს შეკრული ტრაქტატის დარღვევა რუსეთის მიერ, აქაც მოტყუება და მით გამოწვეული განადგურება საქართველოსი აღა-მაჰმად-ხანის მიერ და შემდეგ სრული მოსპობა საქართველოს სახელმწიფოისა, მისი დინასტიისა, ეკლესიისა და ყველა ეროვნულ დაწესებულებათა. ქართველთა

აჯანყებანი და სისხლში ჩახრჩობა ამ აჯანყებათა გამხეცებული რუსის ჯარების მიერ და ბოლოს გარუსების პოლიტიკა და დევნა ქართული ეროვნებისა მთელი 116 წლის განმავლობაში და სხვა. მოხსენება დასაბუთებული იყო ძლიერად და თვით რუსული წყაროების მიხედვით. მან არამც თუ კონგრესზე დასტოვა უდიდესი შთაბეჭდილება, არამედ თვით რუს დამსწრეთ ენა ჩაუგდო. რუსის პრესაში ეს ამბავი გამოაქვეყნა ერთმა დამსწრემ, რომელმაც ვერაფრის თქმა არსებითად მ. წერეთლის მოხსენების წინააღმდეგ ვერ მოახერხა, მხოლოდ ამბობდა: ლოზანის კონგრესზე ქართველმა მ. წერეთელმა რუსეთი და ყოველი რუსული ისე უდიერად მოიხსენია, რომ ჩემმა რუსულმა ყურმა ვერ იტანა ამისი მოსმენა და კრება დავსტოვეო

მიხეილ წერეთლის ეს მოხსენება დაიბეჭდა ფრანგულ ენაზე ბერლინში, საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის მიერ. (დიდი ნაწილი მისი ჩვენ გამოვაქვეყნეთ „ბედი ქართლისას" 15, გვ. 4, 5, 6).

ქართული ლეგიონი ამასობაში გერმანელების რჩევით და დახმარებით ოსმალეთში დაარსდა. იგი იმდენად გაიზარდა, რომ 1.500 კაცს უყრის თავს. ესენი იყვნენ უმეტესად ოსმალეთის ქვეშევრდომი მაჰმადიანი ქართველები, აჭარლები, მაგრამ იქ მრავლად იყვნენ აგრეთვე ქართველი ქრისტიანი მოხალისენი და ქართველი ოფიცრები. უფროსი ლეგიონისა იყო ლეო კერესელიძე, რომელიც სხვა და სხვა მიზეზთა გამო შესცვალა გრაფმა შულენბურგმა.

როგორც ზემოდ იყო ნათქვამი, ოსმალეთს არ სურდა ქართული ლეგიონის არსებობა, რომელიც უკვე კარგად გაწრთვნილ სამხედრო ძალას წარმოადგენდა და არ აძლევდა მას საშუალებას რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობა მიეღო. ბოლოს, 1916 წლის დამლევს თითქმის ულტიმატუმის სახით თურქებმა მოსთხოვეს გერმანიის მთავრობას ქართული ლეგიონის დაშლა. გერმანელებს, რასაკვირველია, არ სურდათ მათ მიერ შედგენილი ლეგიონის მოსპობა, მაგრამ იძულებულნი იყვნენ მოკავშირესათვის ანგარიში გაეწიათ და ლეგიონი მართლაც დაშალეს. მხოლოდ

ასოც კაცამდე შეინარჩუნა ქართულმა კომიტეტმა და მათი ოფიცრებით რუმინიაში გადმოიყვანა სხვა და სხვა სამხედრო დავალებების ასასრულებლად. ეს ნაშთი ლეგიონისა თავისი ფორმით შემდეგ შევიდა განთავისუფლებულ საქართველოში.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ქართულ კომიტეტს, ბერლინისა და ოსმალეთის განყოფილებებს მუდმივი კავშირი ჰქონდათ ერთმანეთთან. პეტრე სუგულაძე და მელიტონ ქარცივაძე ხშირად ჩამოდიოდენ ბერლინში, სადაც იმართებოდა საერთო კრება კომიტეტისა. ერთ ამ კრებაზე გადაწყდა გიორგი მაჩაბლის კვლავ გაგზავნა წყალქვეშა ნავით საქართველოში მდგომარეობის გასაცნობად და აგრეთვე ახალი ამბების ჩამოსატანად. მაჩაბელმა თან წაიყვანა ოფიცერი მძინარიშვილი და რამოდენიმე ქართველი, ერთი აზერბეიჯანელი და ერთიც მთიელი (გაზავატი). მიუხედავად უმძიმესი პირობებისა, მათ მიაღწიეს დასახულ მიზანს: მთიელი და აზერბეიჯანელი ჩავიდენ თავიანთ სამშობლოში, ხოლო გიორგი მაჩაბელმა ინახულა ქართველი პოლიტიკური მოღვაწენი, ესაუბრა მათ, გააცნო კომიტეტის მუშაობა, მათგანაც მიიღო საჭირო ინფორმაცია და ყალბი პასპორტით თბილისიდან პეტერბურგს გაემგზავრა. იქიდან ვლადივოსტოკზე, ტოკიოზე, ამერიკაზე, ნორვეგიაზე გადაიარა და ბერლინში დაბრუნდა.

1917 წლის რევოლუციის დასაწყისშივე სოციალისტურმა ინტერნაციონალმა გადაწყვიტა სტოკჰოლმში კონგრესის მოწვევა ომის წინააღმდეგ ზომების მისაღებად. ანტანტის სახელმწიფოებმა სოციალისტებს ვიზა არ მისცეს. არც რუსებს გაუგზავნიათ დელეგატები. ხოლო ზოგიერთმა სოციალისტმა, როგორც ბელგიელმა ჰიუსმანსმა და სხვებმა მაინც მოახერხეს სტოკჰოლმში ჩასვლა. გერმანიამ, ავსტრიამ და ბულგარიამ კი სრული დელეგაციები გააგზავნეს. კონგრესი, რასაკვირველია, არ შედგა, მაგრამ ჩამოსულმა დელეგატებმა მაინც ითათბირეს და შეხვედრების შესახებ წიგნიც კი გამოსცეს. მ. წერეთელი და გ. მაჩაბელი იმ დროს სტოკჰოლმში იყვნენ და სოციალისტების დელეგაციას საქართველოს შესახებ სათანადო მოხსნებებიც წარუდგინეს. მემორანდუმის გადაცემის დროს ჰიუსმანსმა ჰკითხა მ. წერეთელს

– რომელი სოციალისტური პარტიის წარმომადგენელი ბრძანდებითო? მ. წერეთელმა უპასუხა: – არც სოციალ-დემოკრატებს და ფედერალისტებს არ შეუძლიათ აქ წარმომადგენლები გამოგზავნონ, ამიტომ მე ქართველმა ნაციონალისტმა დავწერე ეს მოხსენება ქართული საკითხის შესახებ და გაახლებთ გამოსაქვეყნებლად, თუ ინებებთო. – ჰიუსმანსმა გულიანად გაიცინა და უპასუხა: – ამას მნიშვნელობა არა აქვს, თავი და ბოლო მემორანდუმია, სადაც თქვენი საკითხია გაშუქებული და ამას სიამოვნებით დავბეჭდავო. და მართლაც, მის მიერ გამოცემულ წიგნში ეს მემორანდუმი სრულიად უცვლელად არის დაბეჭდილი.

ამის შემდეგ მ. წერეთელი წარუდგა გერმანელ სოციალ-დემოკრატთა დელეგაციას და გაუკეთა მოხსენება საქართველოს შესახებ. ბ. დავიდმა წერეთელს იურიდიული საკითხები დაუყენა: – აქვს თუ არა საქართველოს უფლება დამოუკიდებელი სახელმწიფოს გამოცხადებისა და სხვა. კამათი გაგრძელდა და მოსაწყენი შეიქმნა. უცბად ამაღლებული ხმით დელეგაციის თავმჯდომარემ ებერტმა სთქვა: – ამხანაგო დავიდ, აქ სრულიად არ არის საკითხი იურიდიულ წვრილმანებზე, არამედ ცოცხალი ერი, დაჩაგრული უცხოელებისაგან მოითხოვს თავის უფლებათა აღდგენას-ო. მერე მიუბრუნდა წერეთელს და უთხრა: – დარწმუნებული იყავით, რომ ჩვენი პარტია ყოველ საშუალებას იხმარს თქვენი უფლებების დასაცავად-ო. – ეს სიტყვები მან მართლაც შეასრულა და როდესაც ბერლინში საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის საკითხი იდგა, ებერტი გამოვიდა მის უენერგიულეს დამცველად.

ასე გრძელდება კომიტეტის მუშაობა 1917 წ. რუსეთში მომხდარ რევოლუციამდე, რომელიც გამოწვეული იყო უმთავრესად, როგორც ვიცით, რუსეთის მხედრობის გერმანიის მიერ დამარცხებით. ჯარმა ფრონტი მიატოვა. საქართველოს მოაწვა ოსმალეთის ფრონტიდან მოხსნილი ნახევარი მილიონი რუსის ჯარი. ამ საფრთხის წინაშე დამდგარმა თბილისის კომიტეტმა გამოგზავნა სასწრაფოდ სტოკჰოლმში შალვა ქარუმიძე დამოუკიდებლობის კომიტეტის წევრებთან მოსალაპარაკებლად.

იქ შეხვდა მას გიორგი მაჩებელი, რომელიც სტოკჰოლმში იმყოფებოდა კომიტეტის მიერ დავალებული პოლიტიკური მისიით; მაჩაბელმა დაუყონებლივ გამოიძახა ბერლინიდან მიხეილ წერეთელი და შალვა ქარუმიძესთან ერთად გადაწყვიტეს: ეთხოვათ გერმანიის მთავრობისათვის შველა და დახმარება ასეთ მდგომარეობაში ჩავარდნილი საქართველოსათვის. გერმანელები მაშინთვე გამოეხმაურენ ქართველების თხოვნას და დაავალეს სტოკჰოლმში მყოფ ადმირალური შტაბის კაპიტანს და ფინანსიურ საქმეთა გამგეს ბარონ ფონ შტაინვაკსს ქართული კომიტეტის წევრებთან დაკავშირება და სათანადო ზომების მიღება. დადგენილ იქმნა წყალქვეშა ნავის გაგზავნა ზედიზედ მიყოლებული ექსპედიციებით სტამბოლიდან საქართველოში. ექსპედიის გადასვლის ადგილი საქართველოს ნაპირზე უკვე თბილისში იყო გადაწყვეტილი; ეს უნდა ყოფილიყო მდინარე ჭურიასთან. უნდა გადაეტანათ იარაღი, რამდენსაც კი წყალქვეშა ნავი ზიდავდა; გადაეყვანათ ხალხი, რომელიც დახმარებას გაუწევდა თბილისის კომიტეტს; აგრეთვე საჭირო თანხაც უნდა მიეშველებიათ მისთვის, რომ ამით მას შესძლებოდა მუშაობა. დადგენილი იყო აგრეთვე დრო პირველი წყალქვეშა ნავის მისვლისა საქართველოში, სიგნალები და პაროლი.

შ. ქარუმიძე გაბრუნდა საქართველოში, ხოლო გ. მაჩაბელი და მ. წერეთელი ბერლინში, სადაც ამ დროს იმყოფებოდნენ პეტრე სურგულაძე და ნესტორ მაღალაშვილი. წყალქვეშა ნავით გამგზავრებისა და იარაღის გადატანის საქმე თავს იდვეს მ. წერეთელმა და მ. ქარცივაძემ. ესენი დაუყოვნებლივ გაემგაზვრენ სტამბოლში, თან წაიყვანეს ოფიცერი გვიშიანი და კიდევ ორი ქართველი უნტერ-ოფიცერი. გერმანელებმა მოკაზმეს სამხედრო წყალქვეშა ნავი. დატვირთეს იარაღით (ხუთასი რუსის სამხედრო თოფი თავისი ამუნიციით, ხუთასი მაუზერი და სხვა) და მოზრდილი თანხა ჩააბარეს მ. წერეთელს თბილისის კომიტეტისათვის. ექვსი დღის მგზავრობის შემდეგ წყალქვეშა ნავი მიადგა საქართველოს ნაპირზე წინასწარ დანიშნულ ადგილს. ამოვიდა თუ არა ღამით წყალქვეშა ნავი სიგნალის მისაღემად, კაპიტა-

ნი უცბად შეკრთა. არავითარი სიგნალი დანიშნულ ადგილიდან არ მოდიოდა, არამედ რაღაც სინათლეს ამჩნევდენ სამი კილომეტრით ჩრდილოეთით დანიშნული ადგილისა. ვერ გაიგეს, იყო ეს შეცდომა თუ ღალატი. წერეთელმა და ქარცივაძემ სთხოვეს კაპიტანს გადაესხა ორი კაცი დასაღვერავად და გამოსარკვევად იმ სინათლისა, რომელიც ჩრდილოეთიდან მოდიოდა. დიდი სიფრთხილით გადავიდა ნაპირზე დანიშნულ ადგილს თვითონ მელიტონ ქარცივაძე ერთი გურული უნტერ-ოფიცრით და იქვე შეხვდა დავით მიქელაძეს, რომელმაც უამბო შემდეგი: – გავიგეთ, რომ ჭურიასთან, სადაც დანიშნული იყო თქვენი გადმოსვლა, რუსის პოსტი იყო აგებული. ამიტომ მოვეწყვეთ თქვენი დამხვდურები აქ, ნიკო ხორავას სახლში. თქვენი ბედი, რომ რუსებს ეძინათ და ამიტომ სინათლე იყო ჩამქრალი, თორემ ჩავარდებოდით პირდაპირ მათ ხელში-ო.

მელიტონი დაბრუნდა დამხვდურების მიერ გამზადებული ნავით, დატვირთეს იარაღი, შიგ ჩასხდენ ყველანი და უვნებლად გადავიდენ ნაპირზე. ნავმა ვერ დაიტია მთელი იარაღი, ამიტომ გვიშიანი დაბრუნდა და უკლებლივ გადმოიტანა დანარჩენიც. როდესაც ეს ოპერაცია დამთავრდა, ყველანი მიადგენ ნიკო ხორავას სახლს. აქ სიტყვას ვუთმობთ თვით მიხეილ წერეთელს:

შევედით სახლში და მოგვეგება პატრონი მისი. შესანიშნავი მოხუცი ნიკო ხორავა. მოგვესალმა. მივესალმეთ და მივართვით თამარის ორდენი, რომელიც 1916 წ. ქართული კომიტეტისაგან იყო დაარსებული. ნიკომ აიღო თამარის ორდენი, დახედა თამარ დედოფლის სურათს, განაპყრო ხელები და თქვა სახარების სიტყვები: აწ განუტევე მონა შენი, უფალო, რამეთუ ვიხილე მაცხოვრებაი შენი თამარის ქვეყანაში. მისი ქვეყნის განთავისუფლებისათვის ხალხი მეწვია ჩემ ქოხში და თამარის ორდენითაც დამაჯილდოვეს. სიზმარში მგონია ჩემი თავი-ო.

ნიკო ხორავამ თვალის დახამხამებაში მიიღო ზომები იარაღის დამალვისა ტყეში, რის შემდეგ ყველანი ნიკოსთან ერთად შევექეცით ვახშამს. მალე ისეთი სულისკვეთება შეიქმნა, რომ

მოგზაურობის დროს გადატანილი მთელი უბედურება დაგვავიწყდა, თითქო არაფერი მომხდარაო.

ნიკო ხორავა იყო ერთი მოურავთაგანი სამეგრელოს მთავრისა, რომელსაც ის ადგილი და მიმდგომი დიდი ტყე (ოხარკალია) ეკუთვნოდა. კომიტეტის წევრები ნიკოსთან მივიდენ თითქოს ხეტყის სავაჭროდ.

მეორე დღეს მ. წერეთელი, მ. ქარცივაძე და დ. მიქელაძე გაემგზავრენ თბილისს. გზაში სენაკთან შეხვდენ შალვა ქარუმიძეს და კალე მისაბიშვილს, რომელნიც ორი უშველებელი კამეჩის ურმით მიდიოდენ იარაღის წარმოსაღებად, რაც მათ კიდევაც აღასრულეს და პატარა რაზმიც შექმნეს ამ იარაღით საქართველოში. გვიშიანი და ორი გურული უნტერ-ოფიცერი გაიგზავნენ სვანეთში და გურიაში, რომ იქ ხალხისათვის გაეცნოთ ქართული საკითხის ვითარება და მომხრეები გაეჩინათ. როგორც შემდეგ გამოირკვა, მათ ეს დავალება ჩინებულად შეასრულეს.

მიაღწიეს თუ რა თბილისს, კომიტეტის წევრებმა მაშინათვე ინახულეს დათა ვაჩნაძე და შალვა ქარუმიძე და გადასცეს მათ გერმანელებისაგან გამოტანებული ფული თბილისის კომიტეტისათვის. შემდეგ შეხვდენ ნოე ჟორდანიას, რომელმაც განუცხადა შემდეგი:

ჩვენი უმთავრესი მიზანი დღეს არის ნახევარ მილიონ მოწოლილ რუსთა ბრბოსაგან განთავისუფლება, რის შემდეგ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებაც ადვილი იქნება. რაც შეიძლება მალე დაბრუნდით ბერლინში და სთხოვეთ გერმანიის მთავრობას გვიშველონ და დაგვიხსნან ამ მდგომარეობიდან-ო.

მეორე დღეს დათა ვაჩნაძის ბინაზე გაიმართა კრება, რომელსაც დაესწრენ: ნოე ჟორდანია, ევგენი გეგეჭკორი, მიხეილ წერეთელი, დავით ვაჩნაძე, იოსებ გედევანიშვილი და მელიტონ ქარცივაძე. ამ კრებამ განიხილა დაწვრილებით მაშინდელი მდგომარეობა საქართველოში და მიიღო გადაწყვეტილება – დამოუკიდებლობის კომიტეტის წევრები დაუყოვნებლივ დაბრუნებუ-

ლიყვნენ ბერლინში და ეთხოვათ გერმანიისათვის სასწრაფოდ დახმარება.

ამ ისტორიულ კრებაზე გადაწყდა სწორედ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება, როდესაც ამისათვის შესაფერი მომენტი დადგებოდა.

ევგენი გეგეჭკორმა გამოთქვა სურვილი წყალქვეშა ნავით კომიტეტის წევრებთან ერთად ბერლინში წამოსვლისა: – მე იქ თვითონ მოვახსენებ გერმანიის მთავრობას ყველაფერს და აქედან ჩასული კაცის მოხსენებას სულ სხვა შთაბეჭდილება ექმნებაო, გაგიმაგრებთ ზურგს და დაგეხმარებით-ო, – მაგრამ კომიტეტის წევრებმა არ ურჩიეს ევგენი გეგეჭკორს ასეთ გართულებულ პირობებში საქართველოს დატოვება. ხოლო შემდეგ გამოირკვა: – გეგეჭკორი გერმანიაში რომ ყოფილიყო ბრესტ-ლიტოვსკის ზავის შეკვრის დროს, როგორც საქართველოს სრულუფლებიანი წარმომადგენელი, თურქები ვერ შესძლებდენ საქართველოს ტერიტორიის დაჭერას.

მ. წერეთელი და მ. ქარცივაძე დაბრუნდენ ოხარკალიაში. დროც იყო მეორე ექსპედიციის მოსვლისა, რომლის წევრები იარაღით უნდა შემოსულიყვნენ საქართველოში, ხოლო წერეთელი და ქარცივაძე იმავე ნავით დაბრუნდებოდენ სტამბოლში და იქიდან ბერლინში. აგრამ, წყალქვეშა ნავს მოუვიდა დიდი მარცხი. სანაპიროდან, რუსის პოსტიდან უფრო მეტი სინათლე გამოდიოდა, ვიდრე იყო ქართველების სიგნალები და წყალქვეშა ნავმა მზვერავები და პაროლის მთქმელნი სწორედ იქ გადასხა. ისინი მიადგენ რუსის პოსტს, სადაც ეგონათ კომიტეტის წევრების ბინა. იქიდან გამოცვივდენ რუსის ჯარისკაცები და დაინახეს რა გერმანელები, ასტეხეს სროლა. სროლის ხმამ ოხარკალიამდე მოაღწია. წერეთელი და ქარცივაძე მიხვდენ, თუ რა მოხდა. ამიტომ მისცეს გაძლიერებული სიგნალები წყალქვეშა ნავს, რომ უკან გაბრუნებულიყო. ექსპედიცია, რომელსაც ხელმძღვანელობდენ პეტრე სურგულაძე და შალვა ვარდიძე, დაბრუნდა სტამბოლში და უკან წაიღეს ფული და იარაღი, გამოტანებული გერმანიის მთავრობისაგან საქართველოსათვის.

რუსებმა დაიჭირეს ორი გერმანელი და ქართველი და გადასცეს ადგილობრივ რევოლუციურ კომიტეტს, რომელმაც ისინი ბათუმის ციხეში გააგზავნა. მთელი ამბავი შემდეგ გაიგეს რუსებმა და ნიკო ხორავას სახლს, სადაც კომიტეტის წევრები იმყოფებოდენ, დაბომბვას უპირებდენ, მაგრამ აეროპლანი გზაში გაფუჭდა და ზღვაში ჩავარდა. ამნაირად მ. წერეთელი და მ. ქარცივაძე იძულებული შეიქმნენ მარშრუტი შეეცვალათ, – გამოიქცენ ფეხით, ტყით და დიდი ვაივაგლახით მიაღწიეს კოკი დადიანის სახლს ნოსირში, საიდანაც ცოტა ხნის დასვენების შემდეგ, გაეშურენ თბილისისაკენ. კვლავ ინახულეს პოლიტიკური მოღვაწენი, რომლებმაც ურჩიეს სხვა გზით როგორმე ბერლინში დაბრუნება. ხოლო აკაკი ჩხენკელმა, გაიგო თუ არა ოხარკალიაში მომხდარი ამბავი, გააგზავნა ბათუმში სპეციალური კაცები, მოაწყობია მათ ციხეში აჯანყება, გააქციეს ორი გერმანელი და ორი ქართველი, გურიაში დაჭერლნი და დაამალვინეს სოფელში. ჩხენკელს რომ ეს დროზე არ ექმნა, მათ გაგზავნიდენ სევასტოპოლში, სადაც აუცილებელი სიკვდილით დასჯა მოელოდათ. რადგანაც სხვა გზა არ იყო, წერეთელმა და ქარცივაძემ გადაწყვიტეს რუსეთსა და ფინლიანდიის გზით გადასვლა სკანდინავიაში და იქიდან – ბერლინში. აღიჭურვენ ყალბი პასპორტებით, მრავალი რეკომენდაციებით და გაემგზავრენ ელადიკავკაზით პეტერბურგს, რომელსაც მიაღწიეს იანვარს 1918 წელს. პეტერბურგში მათ მფარველობდა ნიკო მაჩაბელი, რომელსაც იქ დიდი კავშირები ჰქონდა. მან მოუხერხა წერეთელსა და ქარცივაძეს ავადმყოფობის მოწმობა ერთი გამოჩენილი რუსი ექიმისა და ნორვეგიაში გასამგზავრებელი პასპორტები. მაგრამ მივიდენ თუ არა ფინლანდიის სადგურზე, დაინახეს, რომ არავითარი მატარებელი იქიდან არ გადიოდა, რადგან სწორედ ამ დროს მოხდა ფინლანდიაში წითელი რევოლუცია. დიდი ხნის ცდის შემდეგ ფინლანდიის გზაც გაიხსნა. წერეთელი და ქარცივაძე ჩავიდენ ბალტიის ზღვაზე მდებარე ქ. ბიერნებორგს, სადაც იდგენ სკანდინავიის გემები რუსეთიდან წამოსული ხალხის წასა-

ყვანად. მაგრამ აქ იმდენი ხალხი უცდიდა გამგზავრებას, რომ რამოდენიმე თვე დასჭირდებოდა წერეთელს და ქარცივაძეს რომელიმე გემზე მოსახვედრად. გაიგეს თუ არა, რომ გაყინულ ზღვაზე მარხილებით გადასვლა შეიძლებოდა ალანდიის კუნძულებზე, რომელიც დაჭერილი იყო გერმანელების მიერ, დაბრუნდენ ბიერნებორგიდან აბოში, იქირავეს მარხილი და სხვებთან ერთად გაყინულ ზღვაზე სამი დღის მოგზაურობის შემდეგ მიაღწიეს ევკერეს, ალანდიის კუნძულზე. გერმანელებმა, რასაკვირველია, სრული თავისუფლება მისცეს ქართველებს მგზავრობისა და სტოკჰოლმის გზით ისინი დაბრუნდნენ ბერლინში, მარტს, 1918 წ. მ. წერეთელმა და მ. ქარცივაძემ ველარ ჩამოუსწრეს ბრესტ-ლიტოვსკის კონგრესს. გიორგი მაჩაბელი, რომელიც ნადოლნისთან ერთად დაესწრო კონგრესს, არ იქმნა დაშვებული თურქების მიერ, როგორც საქართველოს წარმომადგენელი. თურქებმა განაცხადეს პრეტენზია მთელ სამუსლიმანო საქართველოზე და ბათუმზე. ხოლო გერმანია უძლური იყო წინააღმდეგობა გაეწია, რადგან საქართველოს სრულუფლებიანი წარმომადგენელი, მანდატით აღჭურვილი, კონგრესზე არ იყო. სასწრაფოდ დაიბარეს მ. წერეთელი და მ. ქარცივაძე გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროში და უთხრეს:

– ხომ ხედავთ, რა მოხდა ბრესტ-ლიტოვსკში! ჩვენ გვესაჭიროება აუცილებლად სრულუფლებიანი წარმომადგენელი საქართველოსი, აღჭურვილი მანდატით, თუ მთელი ერისა არა, მისი უძლიერესი პარტიის მიერ მაინც. მიიღეთ ყველა ზომა ასეთი წარმომადგენელის ჩამოსაყვანად-ო.

ისევ გაემგზავრენ წერეთელი და ქარცივაძე საქართველოში. მიაღწიეს ოდესას, სადაც გერმანელები იდგენ და იქიდან წყალქვეშა ნავით სევასტოპოლს, რომელიც აგრეთვე გერმანელების მიერ იყო დაკავებული. მაგრამ საქართველოში ჩასვლა მათ აღარ დასჭირდათ, რადგან სევასტოპოლში შეხვდენ სპირიდონ კედიას, რომელიც აღჭურვილი იყო ამიერ-კავკასიის კომისარიატის თავმჯდომარის აკაკი ჩხენკელის მანდატით ევროპაში გასამგზავრებლად პოლიტიკური მისიით. კომიტეტის წევრები

სპირიდონ კედიასთან ერთად სასწრაფოდ დაბრუნდენ ბერლინში და საქართველოს წარმომადგენელი წარუდგინეს გერმანიის მთავრობას.

შემდეგი ამბები უკვე ცნობილია – გერმანელების მიერ ზომების მიღება თურქების შემოტევის გასაჩერებლად, ფონ კრესის შესვლა საქართველოში გერმანული ჯარით და სხვა.

დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ აკაკი ჩხენკელი ჩამოდის ბერლინში, როგორც სრულუფლებიანი მინისტრი დამოუკიდებელ საქართველოსი ნიკო ნიკოლაძის და ზურაბ ავალიშვილის თანხლებით. დამოუკიდებლობის კომიტეტი დაიშალა და მთელი საქმე და ანგარიში ჩააბარა აკაკი ჩხენკელს, რომელმაც დიდი მადლობა გამოუცხადა კომიტეტის წევრთ და უთხრა: უდიდესი საქმე გაგიკეთებიათ და ჩემთვის კარგი ნიადაგიც მოგიმზადებიათ-ო. ამის შემდეგ კომიტეტის ყოფილი წევრები დიდ დახმარებას უწევდენ აკაკი ჩხენკელს მთელი მისი მოღვაწეობის დროს ბერლინში. ამით გათავდა ქართული კომიტეტის ამბავი, რომელიც ბევრი ქართველისათვის და უცხოელისათვის, ვინც მას იცნობდა, ერთი მშვენიერი ეპოპეია იყო. ხოლო მტერი და მოშურნე მას დღესაც ავანტურას უწოდებს, რაც მხოლოდ ყოვლად შეუგნებულ ადამიანს შეშვენის.

კალისტრატე სალია

საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის ღვაწლი და მუშაობა დაუვიწყარი იქნება მომავალ თაობათათვის განსაკუთრებით იმიტომ, რომ საქართველომ მთელი მისი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე ევროპის რეალური დახმარება პირველად მაშინ მიიღო. დასავლეთი დაეხმარა ქართველ ერს მის დათრგუნვილ უფლებათა აღსადგენად.

კალისტრატე სალია

ურნ. „ბედი ქართლისა", პარიზი, 39-40, 1962 წ.

შალვა ამირეჯიბი

მიხეილ წერეთელს

მოსაგონებლად მარად ჟამსა და აღსანიშნად
ჩვენ ორივესი ღელვილ სულთა დაწყნარებისა,
ჰა, გიძღვნი ამას წარსულ წელთა ამბავთა
ნიშნად
ძმაო საყვარელ, ძმაო ჩემის მწუხარებისა!

გახსოვს შენ წუთი მშვენიერი და მომხიბვლელი,
იგი მოვიდა ჩვენ შორისა ვით სულის ღმერთა,
მან მოგვიწოდა, აგვამაღლა ჩვენ მან ყოველი
და ჩვენ ჭაბუკთა ნორჩი გული მან შეაერთა!

რამდენი იყო მაშინ ჩვენში ნორჩი ჭაბუკი,
ლამაზი სულით, გულით წმინდა, ურჩი ბედისა,
აღარ გაისმის ბრძოლის ველად იმათი ბუკი,
ბევრმა სთქვა უკვე სამწუხარო მღერა გედისა.

იმათი ხილვა აწ ამაოთ თვალსა სწადიან,
ვინ უწყს რომელსა ეძლევიან მხარეს დარდებსა,
რიგნი ძლეულან, რიგნი ქვეყნად აღარ არიან
და მხოლოდ ვხედავ მათი სულის სუბუქ ლანდებსა.

ეგრე მათ შორის, შემდგომ წარსულ მაშფოთარ დღეთა,
შენც სულს გიმწარებს მაბეზარი ეს მყუდროება,

დადიხარ შორის უცხო ქვეყნის ტყეთა და ღრეთა
არვინ გყავს ახლო, გარშემოა ამაოება!

არ იხიბლება სხვა მშვენებით შენი გონება,
აღარ გაოცებს უცხო თემთა ნახვა საკვირი
და დაგრჩენია შენი ქვეყნის მანდ მოგონება,
ვით მეზღვაურსა ტალღათ შორის თავის ნაპირი!

იხ.: კრებული „შალვა ამირეჯიბი“, ტ. I, თბილისი, 1997, გვ. 17-18.

დოკუმენტური მასალის ასლები

გენერალ პავლე ავალოვ-ბერმონდტის (ავალიშვილი)
მიხაკო ნერეთლისადმი მიძღვნის წარწერა ავალოვ-ბერმონდტის
მემუარებზე (1925 წ.)



მიხაკო ნერეთლის წერილი გიორგი კერესელიძისადმი
(პირველი გვერდი)



მიხაკო წერეთლის წერილი გიორგი კერესელიძისადმი
(მეორე გვერდი)



მიხაკო წერეთლის წერილი გიორგი კერესელიძისადმი
(მესამე გვერდი)



შალვა ამირეჯიბის ხელნაწერი: „ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის“ ხელმძღვანელობა (1942 წ.).



საძიებლები

პირთა საძიებელი

ა

აბას I, ირანის შაჰი, ირანის შაჰი (1587-1629) 106
აბაშიძე გიორგი 152
აბაშიძე ზია ბეგ 218
აბაშიძე კიტა 134
აბაშიძე მემედ-ბეგ 32
აბულაძე ილია 187
ავალიშვილი (ავალოვ-ბერმონდტი) პავლე 240
ავალიშვილი ზურაბ 33, 36, 54, 56, 185, 186, 211, 237
ავთანდილი (ლიტ.) 182
„ალაროდიელი" (იხ. წერეთელი მიხაკო)
ალექსანდრე V, იმერეთის მეფე (1720-1752) 15
ამირეჯიბი 212
ამირეჯიბი შალვა 8, 27, 205, 238, 239, 244
ამილახორი 212
ანჯაფარიძე ალექსი 225
ასათიანი ალექსანდრე 14, 38, 155, 156
„აურო" (იხ. ვასილ წერეთელი)
აფხაზი კონსტანტინე (კოტე) 14, 33
აღა-მაჰმად-ხანი, ირანის შაჰი (1796-1797) 227
ახმეტელი ლადო 205

ბ

ბაგრატიონები 122, 202
ბაგრატიონ-მუხრანელი ირაკლი 54, 56
ბაგრატიონი ატატო, დავით იმერთა მეფის ასული 15
ბაირონი ჯორჯ გორდონ 168
ბალზაკი ონორე დე 199
„ატონ" (იხ. წერეთელი მიხაკო)
ბაქრაძე დიმიტრი 41, 145, 146
ბაქრაძე ზაქარია (შაქრო) 41, 224
ბენაშვილი ანდრო 193
ბერგსონი ანრი 177
ბერიძე ვუკოლ 211
ბერიძე შალვა 39, 40
ბერნშტეინი ერ. 33
ბლაიხშტაინერი 56
ბლუნჩლი 80-84
ბობღიაშვილი იასონ 18

გ

გაბაშვილი რევაზ 27, 222
გაბრიელ მღედელმთავარი 193
გაბუნია ალექსანდრე (სანდრო) 130, 137, 200, 201
გაზავატი (მთიელი) 229
გამსახურდია აკაკი 50
გამსახურდია კონსტანტინე 225

გეგეჭკორი ევგენი 35, 206, 233, 234
გედევანიშვილი იოსებ 35, 233
გელოვანი ვარლამ 27
გეტცე ალბრეხტ 33
გვაზავა გიორგი 14, 21, 27, 216
გველესიანი გრიგოლ 137
გვიშიანი, ოფიცერი 231-233
გიორგაძე შ. 50
გიორგი მთაწმინდელი (წმ.) 213
გირეი ჰასან 38
გობეჩია იოსებ 212
გოგებაშვილი იაკობ 215
გოგელია კომანდო 137, 200, 212
გოგიჩაიშვილი ფილიპე 150, 215
გოეთე იოჰან ვილფგანგ ფონ 187
გოთუა პართენ 14
გოლცი ფონ დერ 217, 220
გომართელი არჩილ 50, 54, 211
„გრდემლი" (იხ. ვასილ წერეთელი)
გრიგოლია ალექსანდრე 40
გუნია ვალერიან 216
გურიელები 197
გურიელი ვახტანგ 197
გურიელი ტელემაქ 197

დ

დადიანი იოსებ 14
დადიანი ნიკოლოზ (კოკი) 41, 235
დავიდი 230
დავით II, იმერეთის მეფე (1784-1789) 15
დავით IV აღმაშენებელი, საქართველოს მეფე (1089-1125) 113
დანტე ალეგიერი 183
დარჩიაშვილი ლადო 225
დგებუაძე ნიკოლოზ 40
დეკანოზიშვილი გიორგი 17, 18, 131, 134-140, 142, 200, 201, 212, 226
დიასამიძე გიგო 199, 205, 206
დონ კიხოტ ლამანჩელი (ლიტ.) 202
დუმბაძე ვასო 222

ე

ებერტი ფრიდრიხ 230
ეკატერინე II, რუსეთის იმპერატორი (1762-1796) 227
ემირჯანი აბდულა ალი 38
ენვერ-ფაშა 28, 218
ერეკლე II, ქართლ-კახეთის მეფე (1720-1798) 227
ერისთავი ალექსანდრე 43
ერისთავი-მდივნისა დ. 18
ესმენი ადემარ 77
„ექიმი" (იხ. ვასილ წერეთელი)

ვ

ვაგნერი რიხარდ 183, 211
ვანგენჰაიმი ფონ 220
ვარდიძე შალვა 32, 218, 219, 234
„ვასილი" (იხ. ვასილ წერეთელი)
ვაჩნაძე დავით (დათა) 14, 32, 35, 38, 56, 161, 162, 233
ვაჩნაძეები 159
ვახვახიშვილი მარიამ 36
ვახტანგ VI, ქართლის მეფე (1716-1724) 187, 227

ვეზენდონკი ოტო გიუნტერ ფონ 217
ვიკო ჯანბატისტა 78
ვილლარი, ჟურნალ „თაიმსის“ ჟურნალისტი 21
ვილსონი ვუდრო 35
ვოსტორგოვი 83 (სქ.)
„ვრაცი“ (იხ. წერეთელი მიხაკო)

ზ

ზდანოვიჩი (მაიაშვილი) გიორგი 21, 134
„ზემო იმერელი“ (იხ. ვასილ წერეთელი)

თ

თავაძე (ვინმე) 47
თალაათ-ფაშა 28
თამარი, საქართველოს მეფე (1184-1210) 31, 113, 185-187, 222, 232
თამარის პირველი ისტორიკოსი 186, 187
თაყაიშვილი ექვთიმე 27, 45, 144-154, 188

ი

იაშვილი მიხეილ ჯიბრაილის ძე 28
იაშვილი მაია ფარსადანის ასული 10
იაშვილი პაოლო 28
ინგოროყვა პავლე 185, 187, 208
იოლლოსი გრიგოლ 168
„ისარი“ (იხ. ვასილ წერეთელი)
ისელი ბ. 108, 113
ისლამ-ზადე შეიხ-ულ 38

კ

„კაერემენი“ (იხ. ვასილ წერეთელი)
კავსაძე დავით (დათაშკა) 56
კანტემირი ალიხან 38
კასსონი ჯონ 82
კედია მექი 40
კედია მიხეილ 40, 56
კედია სპირიდონ 14, 54, 222, 236, 237
კეკელიძე კორნელი 150, 187
კერენსკი ალექსანდრე თეოდორეს ძე 98, 104
კერესელიძე გიორგი 24, 26-28, 34, 35, 157-160, 215, 216, 218, 221, 223, 241-243
კერესელიძე ლეო 24, 27, 28, 30, 32, 39, 41, 43-47, 54, 56, 157-159, 207, 215, 219, 221, 228
კერესელიძე ლეო უმცროსი (კერესელიძე ლეოს ძმისშვილი) 43, 158
კერესელიძე მათე, ლეო და გიორგი კერესელიძეების მამა 157
კერესელიძე მათე, ლეო კერესელიძის ძმისშვილი 157, 160
კერესელიძე მარიამი (მარო) 50
კერესელიძეები 157, 158
„კვერი“ (იხ. ვასილ წერეთელი)

კვინიტაძე გიორგი 56
კვიტაშვილი მერაბ 50
კიკნაძე ელიზბარ 224
კიშკე, ქართული კომიტეტის ატაშე 219
კლდიაშვილი დ. 50
კლდიაშვილი, ხუროთმოძღვარი 147
კობახიძე გივი 50, 56
კონტი ოგიუსტ 179
კრესენშტაინი კრეს ფონ 32, 218, 237
კროპოტკინი პეტრე 16
კუდავა ბუბა 9
კუჭუხიძე ილია (ლაშაური მინდია) 55, 56

ლ

ლაველე 78
ლასხიშვილი გიორგი 17, 134
ლაშაური მინდია (იხ. კუჭუხიძე ილია)
ლემპინსკი 226
ლენინი ვლადიმერ 104
ლეონიძე გიორგი 208
ლეხერი პოლ 78
ლისტი ფრანც ფონ 225
ლიტტრე პოლ მაქსიმილიან ემილ 76
ლომბროზო ჩეზარე 202
ლორთქიფანიძე 224
ლორთქიფანიძე ნიკო 216
ლუდენდორფი ერიხ 103

მ

მაიაშვილი (იხ. ზდანოვიჩი)
მანველიშვილი ალექსანდრე 43, 47, 54
მანჩინი პასკუალე 79-82, 84
მანწკავა ისიდორე 55
მარგველაშვილი ტიტე 56
მარი გიორგი 186
მარი ნიკო 145, 151, 153, 185-187, 204
მარიამ დედოფალი, ქართლის დედოფალი (1634-1676) 146, 188
მაღალაშვილი გიორგი 46, 54-56
მაღალაშვილი ნესტორ 24, 158, 159, 215, 218, 231
მაღლაკელიძე შალვა 44-46, 54
მაყაშვილი კოტე 208
მაჩაბელი გიორგი 23, 24, 27, 29, 30, 33, 36, 216-218, 221-223, 229, 231, 236
მაჩაბელი დავით 27
მაჩაბელი ივანე 29
მაჩაბელი მიხეილ 27
მაჩაბელი ნიკო 222, 235
მაჭავარიანი 152
მახარაძე ფილიპე 116, 117
მგელაძე ვლასა 207
მელიქიშვილი პეტრე 150
მეტტერნიხი კლემენს ვენცელ ლოთარ 79, 83 (სქ.)
მირაბო ონორე გაბრიელ 70
მისაბიშვილი კალე 233
მიქელაძე ალექსანდრე („კუჭია") 195, 196, 198

მიქელაძე დავით 232, 233
მოზელი, ქართული ლეგიონის პოლიტიკური ატაშე 219
მოძღვრიშვილ-წერეთლები 10, 15
მღებრიშვილი ბ. 40
მძინარაშვილი, ოფიცერი 224, 229
მხეიძე დავით 40

ნ

ნადოლნი რუდოლფ 217, 236
ნაკაშიძე ილია 131
ნამიტოვი ჰაიტეკ 38
ნევინსონი ჰ.-ვ., ინგლისურ-ქართული კომიტეტის წევრი 22
ნერონი, ტიბერიუს კლავდიუს დრუსუს გერმანიკუს, რომის იმპერატორი (54-68) 68, 69
ნესტან-დარეჯან (ლიტ.) 181
ნიკოლაძე ნიკო 33, 237
ნიკოლოზ II რუსეთის იმპერატორი (1894-1917) 98
ნიკურაძე ალექსანდრე 56
ნინო (წმ.) 146, 195
ნინოშვილი ეგნატე 109, 112
ნიჟარაძე რაფიელ 225
ნისი ერნესტ 22, 77, 78, 158
ნოზაძე ვიქტორ 41, 43, 55, 57

ო

ოთხმეზური ირაკლი 41, 50
ორბელიანი სულხან-საბა 53, 213
ოქროპირიძე 224

პ

პავლე I, რუსეთის იმპერატორი (1796-1801) 161
პატარიძე ელისე 40
პლატონი 202
პლევე 139
პოლტარაცკაია ნინო 150
პუგაჩოვი ემელიან 103
პურიშკევიჩი ვლადიმერ მიტროფანეს ძე 83 (სქ.)
პურტალესი ფრიდრიხ ფონ 28

ჟ

ჟაკმენი როლენ 77
„ჟამთააღმწერელი“ 213
ჟორდანია თედო 145
ჟორდანია ნოე 35, 36, 109, 112, 115-118, 136, 137, 206, 222, 233
ჟურული გიორგი 27

რ

რაზინი სტეპკა 103
რაულინსონი ჰენრი 153
რაჭველიშვილი ქრისტეფორე 28
რეგენფუსი მარიამ 59
რენანი 83 (სქ.)
რლოვი ვ. 22
რობაქიძე გრიგოლ 8, 45, 56, 163, 165, 193, 207, 214
როლანი რომენ 211
როპპი ფონ დე 226
რუსთაველი შოთა 42, 167, 180-188, 196

ს

სალია კალისტრატე 8, 40, 45, 47, 50, 55, 56, 237
სალია ნინო 193
„სანგალა მ." (იხ. წერეთელი მიხაკო)
სარაჯიშვილი ალექსანდრე 187
საღირაშვილი დავით 56
საყვარელიძე მიხეილ 28
სახოკია თედო 130
სერვანტესი მიგელ დე სააველრა 202, 210
სოლომონ I, იმერეთის მეფე (1752-1782) 15
სტალინი იოსებ (ჯუღაშვილი სოსო) 113, 117
სულაქველიძე ამბაკო 194, 195
სულაქველიძე ვალოდია 195
სულაქველიძე თეკლე 195
სურგულაძე პეტრე 23, 24, 28, 32, 159, 215, 216, 218, 229, 231, 234

ტ

ტალეირანი შარლ მორის დე 89
ტარიელი (ლიტ.) 182, 188
ტატიშვილი 224
ტიერი 83
ტოგონიძე ვალერიან 56
ტოლსტოი ლევ 168
„თონ" (იხ. წერეთელი მიხაკო)
ტრიჩი დევის 225
ტყემალაძე ანდრია 193, 194
ტყემალაძე კლავდია 28

უ

„ულმობელი" (იხ. ვასილ წერეთელი)

ფ

ფატმანი (ლიტ.) 182
ფირცხალავა სამსონ 134, 151, 152

ქ

ქათამაძე მეთოდე 198, 199
ქარუმიძე შალვა 32, 222, 230, 231, 233
ქარცივაძე მელიტონ 28, 218, 229, 231-236
ქორქია ალ. 206
ქურციკაშვილი ნინო 47

ღ

ღამბაშიძე დავით 210, 211
ღვალაძე ევგენი (გენო) 44

ყ

ყიფიანი დიმიტრი 169
ყიფიანი სვიმონ 215
ყიფშიძე ალექსანდრე 27, 215
ყიფშიძე იოსებ 150

შ

შანიძე აკაკი 150
შარვაშიძე ყადირ 32

შექსპირი უილიამ 183, 187
შვარცი, ობერლეიტენანტი 35
შვეინფურტი 84
შტაინვაკი ფონ 231
შტამლერი რუდოლფ 82
შულენბურგი ფრიდრიხ ვერნერ ფონ დერ 25, 27, 30-32, 53, 54, 218, 228

ჩ

ჩაჩნაგირი (იხ. ჭაშნაგირი)
ჩერქეზიშვილი ვარლამ 16-18, 20-24, 27, 135, 137, 200-203, 210, 212
ჩვეინფურტი 84
ჩიანო გალეაცო, იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრი 54
ჩოლოყაშვილი ქაიხოსრო (ქაქუცა) 39, 40
ჩუბინიძე შ. 50
ჩხეიძე კარლო 207
ჩხენკელი აკაკი 33, 206, 212, 235-237

ც

ცაგარელი ალექსანდრე 151, 223
ცილიაკუს კონი 226
ციციშვილი თამარ, გიორგი კერესელიძის მეუღლე 157, 158
ციციშვილი ივანე 18
ციციშვილი სვიმონ 54
ცხომელიძე ვ. 50

ძ

ძველაია სიმონ 199

წ

წერეთელი ბარბარე (ბაბო), ვასილის ასული 13, 15
წერეთელი გიორგი, მიხაკოს მამა 10
წერეთელი გიორგი, მიხაკოს ძმისშვილი 10, 13, 15
წერეთელი ელენე 15
წერეთელი ვასილ 10-15, 27
წერეთელი თინათინ (თიკო), ვასილის ასული 10, 13, 15
წერეთელი კონა 15
წერეთელი მაია 9
წერეთელი მიხეილ (მიხაკო) 7-11, 13, 15-21, 23-39, 41, 43, 45-48, 50, 53-59, 61, 72, 75, 85, 107, 119, 120, 129, 154, 156, 160, 162, 165, 166, 191, 193-196, 198-206, 208, 210-212, 215-218, 220-224, 227-236, 238, 240-243, 245
წერეთელი ოთარ 57, 213
წერეთელი სერგი 15
წერეთელი სვიმონ, მეფის კარის მოძღვარი 15
წერეთელი (ტყვე) 224
წერეთლები 10
წულაძე აპოლონ 197

ჭ

ჭავჭავაძე ალექსანდრე 44
ჭავჭავაძე ილია 8, 9, 12, 18-21, 32, 73-75, 116, 134, 166-169, 199, 203
ჭაშნაგირი (ჩაჩნაგირი) 182
ჭიჭინაძე კ. 187, 188

ხ

ხახანაშვილი ალექსანდრე 137
ხორავა ნიკო 32, 232, 233, 235
ხოსროვ სულთან-ზადე 38
ხუნწარია ბ. 40

ჯ

ჯაბაგიში 38
ჯავახიშვილი ივანე 15, 145, 150, 151, 205, 206
ჯიბლაძე სილიბისტრო 109, 112
ჯორჯაძე არჩილ 32, 127-131, 134-138, 140-143, 199-201,
ჯუღაშვილი სოსო (იხ. სტალინი იოსებ)

ჰ

ჰაინე ჰაინრიხ 168
ჰერცენშტეინი მიხეილ 168
ჰილდენბურგი ფონ 31, 103
ჰიტლერი ადოლფ 54, 56
ჰიუგო ვიქტორ 168
ჰიუსმანსი კამილ 229, 230
ჰოლცი ფონ (ჰოლცი-ფაშა) 32
ჰომეროსი 207

გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი

ა

აბო 236
„ადლონი“, სასტუმრო ბერლინში 54
ავსტრია-უნგრეთი 26, 31, 78, 95, 223, 224, 229
აზია 95
აია-სოფიას ტაძარი სტამბოლში 207
ალანდიის კუნძულები 236
ამერიკის შეერთებული შტატები (აშშ) 22, 29, 35, 87, 95, 159, 177, 229
ამიერკავკასია 25, 30, 37, 100, 236
ანაკლია 35
ართვინი 219
აფრიკა 95
აჭარა 219

ბ

ბავარია 212
ბათუმი 11, 29, 68, 197, 235, 236
ბაკურციხე 161
ბალტიის ზღვა 235
ბანა 147
ბაქო 134
ბელგია 53, 95, 216, 217
ბერლინი 7, 10, 27, 33, 34, 43, 47, 53-55, 101, 120, 126, 159, 163, 164, 203, 205, 207, 217, 216, 220, 221, 223-231, 233-237
ბერლინის ჰუმბოლდტის სახელობის უნივერსიტეტი 38, 57
ბიერნებორგი 235, 236
ბორი (სოფ.) 151, 152
ბორჩალოს მაზრა 89, 91
ბრესტი 234, 236
ბრიტანეთის მუზეუმი 152
ბრიუსელი 7, 10, 37, 205
ბრიუსელის უნივერსიტეტი 21, 22, 38, 57
ბუენოს-აირესი 143
ბულგარეთი 78, 229

გ

გერმანია 16, 25, 26, 28-31, 35, 36, 44, 45, 54, 56, 59, 78, 102, 114, 117, 118, 123, 140, 162, 174, 216-218, 220-226, 228, 229, 231, 233, 234, 236, 237
გურია 233, 235

დ

დაღესტანი 74
დიდი ბრიტანეთი 34
დუშეთი 158

ე

ევკერე 231
ევროპა 24, 26, 77-79, 83, 102, 103, 121, 122, 134-136, 151, 196, 198, 199, 204, 236, 237
ელზასი 95, 174
ესპანეთი 22

ვ

ვენა 78
ვლადივოსტოკი 229
ვლადიკავკაზი 235

ზ

ზესტაფონი 151

თ

თბილისი 7, 23, 25, 33, 36, 68, 108, 141, 142, 147, 149, 151, 152, 157, 159, 161, 163, 169, 199, 216, 217, 221, 222, 229-231, 233, 235, 239
თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი 7, 33, 37, 45, 149
თბილისის მაზრა 89
თბილისის სათავადაზნაურო ბანკი 147
თბილისის სათავადაზნაურო ქართული გიმნაზია 146
თიანეთი 11
თურქეთი (ოსმალეთი) 23, 26, 28, 30, 31, 78, 217-220, 224, 228-230

ი

იაპონია 98, 103, 140, 142, 226
იელის უნივერსიტეტი 33
იმერეთი 15, 152, 196
იმერეთის სამეფო 15
ინგლისი 22, 32, 87, 95, 97, 102, 130, 159, 177, 202, 227
ინდოეთი 188, 227
ირლანდია 34, 97, 227
იტალია 54, 102, 118, 140

კ

კავკასია 21, 22, 25, 28-30, 34, 38, 39, 65, 100, 106, 112, 123, 125, 147, 161, 221
კავკასიის ფედერაცია 95
კიევის უნივერსიტეტი 11, 16, 199
კონსტანტინოპოლი (იხ. სტამბოლი)

ლ

ლაზეთი 159, 219
ლაიპციგი 154, 199, 225
ლევილის სასაფლაო 7, 58
ლეიდენი 199
ლიტოვსკი 234, 236
ლოზანა 33, 226-228
ლონდონი 21, 24, 58, 154, 159, 216
ლოტარინგია 95, 174

მ

მარბურგის უნივერსიტეტი 33
მესხეთი 88, 185
მექსიკო 198
მთაწმინდის პანთეონი 7
მიუნხენი 47, 57, 58, 156, 161, 214
მიუნხენის აღმოსავლეთ ევროპის და სსრ კავშირის შემსწავლელი ინსტიტუტი 57
მიუნხენის უნივერსიტეტი 57
მოსკოვი 52, 66

ნ

ნეაპოლის უნივერსიტეტი 39, 79
ნორვეგია 229, 235
ნოსირი 235

ო

ოდესა 28, 29, 199, 236
ონი 10
ოსმალეთი (იხ. თურქეთი)
ოხარკალია, ტყე სამეგრელოში 233-234

პ

პალესტინა 85
პარიზი 17, 39, 41, 43, 47, 48, 57, 58, 107, 108, 119, 130, 131, 154, 156, 159, 160, 162, 165, 189, 195, 199, 200, 207, 208, 227, 237
პეტერბურგი 153, 161, 196, 198, 222, 223, 229, 235
პეტერბურგის პავლე I-ის სახელობის კადეტთა კორპუსი 161
პეტერბურგის უნივერსიტეტი 146
პოლონეთი 35, 98, 227

ჟ

ჟენევა 17, 24, 26, 94, 131, 136, 137, 139, 140, 142, 157-159, 199, 200, 214-217
ჟენევის უნივერსიტეტი 16, 158

რ

რიონი 193
რუმინეთი 78, 229
რუსეთი (რუსია) 7, 8, 13, 17, 20, 21, 23, 25-32, 34, 35, 37, 42, 49, 51, 65, 66, 95, 97, 98, 100, 102-107, 115, 117, 118, 122, 123, 133-139, 141, 144, 149, 157, 158, 160, 173, 201, 202, 218-221, 226-228, 230, 235

ს

საბერძნეთი 78, 114
საბჭოთა კავშირი 45, 47, 48, 50, 54, 57
სამეგრელო 91, 196, 233
სამცხე-ჯავახეთი 44
სარდინია 79
სატურიას ველები 195
საფრანგეთი 16, 36, 39, 58, 70, 78, 95, 102, 134, 142, 150, 159, 172, 174, 177, 202

საქართველო 7-10, 13-15, 17-37, 39-45, 48-51, 54-56, 65, 68, 69, 73-75, 86-89, 91, 92, 94, 95, 99, 100, 102, 105-111, 113-126, 131, 134-140, 142-147, 149, 151-153, 155-170, 173, 174, 176, 180, 184, 186, 199, 201, 202, 205, 207-209, 211, 213, 215-219, 221-225, 227-231, 233, 234, 236, 237
საძალისხევი (მდ.) 15
სევასტოპოლი 235, 236
სენაკი 233
სერბეთი 78
სვანეთი 233
სკანდინავია 36, 235
სომინო (სოფ.) 10
სომხეთი 98, 221
სორბონის უნივერსიტეტი 16, 40
სპარსეთი 41
სტამბოლი (კონსტანტინოპოლი) 26, 38, 159, 207, 217, 218, 231, 234
სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა სავანე (ფერიქოი) 38
სტოკჰოლმი 35, 223, 226, 229-231, 234, 236
სუფსა 197

ტ

ტირიფონის ველი 32
ტოკიო 229
ტრაპიზონი (ქ.) 29
ტრიესტი 172
ტროა 67
ტურინის უნივერსიტეტი 77
ტხორჟევსკის სახელობის წმ. ნინოს სასწავლებელი 195

უ

უბისა 151, 152
უკრაინა 97

ფ

ფერიქოი (იხ. სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა სავანე)
ფინეთი 99, 140, 227, 235

ქ

ქართლ-კახეთი 32
ქუთაისი 12, 13, 22, 193, 194
ქუთაისის კლასიკური გიმნაზია 11, 16

ყ

ყირიმი 88

შ

შავი ზღვა 74, 140
შვეიცარია 16, 87, 157, 158, 215
შტარენბურგი 52

ჩ

ჩიკაგო 22
ჩრდილოეთ კავკასია 30, 88
ჩხარი 198, 199

ც

ციმბირი 173
ცხრუკვეთი 15

ძ

ძირულას ხეობა 151, 154

წ

წიწამური 18

ჭ

ჭანეთი 219
ჭიათურა 11, 15,
ჭურია (მდ.) 231, 232

ხ

ხეთის ქვეყანა 38
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი 10

ჰ

ჰააგა 20, 22, 23
ჰაიდელბერგი 216, 217
ჰაიდელბერგის უნივერსიტეტი 7,
16, 17, 25, 33, 53, 154
ჰერეთი 185